



გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის
მიერ დაფინანსებული
შავი ზღვის გალურჯების რეგიონული
პროექტი
(P173890)

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე
ზემოქმედების მართვის ჩარჩო

საბოლოო სამუშაო ვერსია

2021 წლის სექტემბერი

შინაარსი

გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მიერ დაფინანსებული ზღვის გალურჯების რეგიონული პროექტი	შავი I
რეზიუმე	1
1. შესავალი	21
1.1. ზოგადი ინფორმაცია და კონტექსტი.....	21
1.2. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს ამოცანა და ფარგელები.....	23
2. პროექტის აღწერილობა	25
2.1. პროექტის უმაღლესი მიზანი	26
2.2. პროგრამის კომპონენტი 1 – დაბინძურების თავიდან არიდებისა და შემცირების ღონისძიებებში ინვესტირების ეკონომიკური ასპექტები	27
2.2.1. ქვეკომპონენტი 1.1 - ეროვნული პოლიტიკა და ინსტიტუციური ჩარჩო	27
2.2.2. ქვეკომპონენტი 1.2 - ეროვნული საინვესტიციო რეკომენდაციები, ცოდნის გაცვლა და რეგიონული დიალოგი	28
2.2.3. ქვეკომპონენტი 1.3 - მდგრადი ბიზნესი და საინვესტიციო სტანდარტები და სახელმძღვანელო მითითებები.....	28
2.3. პროგრამის კომპონენტი 2 - მწვანე და ინოვაციური დაფინანსება	30
2.3.1. ქვეკომპონენტი 2.1 - ეკო-ინოვაციური გამოწვევა	30
2.3.2. ქვეკომპონენტი 2.2 - ინვესტიციების მომზადება.....	33
2.4. კომპონენტი 3 - პროექტის მართვა.....	33
2.5. პროექტით მოსარგებლენი.....	34
3. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და მართვის სამართლებრივი, მარეგულირებელი და პოლიტიკის ჩარჩო	35
3.1. ეროვნულ დონეზე განსაზღვრული აქტივობების მქონე ქვეყნების სამართლებრივი, ნორმატიული და პოლიტიკის ჩარჩო	35
3.1.1. საქართველოს სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩო	35
3.1.2. მოლდოვას რესპუბლიკის სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩო	39
3.1.3. თურქეთის სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩო	43
3.1.4. უკრაინის სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩო	50

3.2. მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩო.....	54
3.2.1. სტანდარტი 1 – გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების შეფასება და მართვა.....	56
3.2.2. სტანდარტი 2 - შრომა და სამუშაო პირობები	58
3.2.3. სტანდარტი 3 - რესურსების ეფექტიანობა, დაბინძურების თავიდან არიდება და მართვა	60
3.2.4. გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი 4 - საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	61
3.2.5. გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი 6 - ბიომრავალფეროვნების დაცვა და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა.....	62
3.2.6. გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი 10 - დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა და ინფორმაციის საჯაროობა.....	63
3.2.7. მსოფლიო ბანკის საოპერაციო პოლიტიკა OP 7.50 - პროექტების განხორციელება საერთაშორისო წყალსატევებზე.....	65
3.2.8. მსოფლიო ბანკის საოპერაციო პოლიტიკა OP 7.60 - პროექტების განხორციელება სადავო ტერიტორიებზე.....	66
3.3. ქვეყნების მარეგულირებელ ჩარჩოებსა და მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტებს შორის არსებული განსხვავებების ანალიზი	67
4. არსებული პირობების მიმოხილვა	77
4.1. ფიზიკური გარემო.....	77
4.1.1. შავი ზღვის სანაპიროს მდგომარეობა	77
4.1.2. წყლის ხარისხი და ჩამდინარე ნახშირი წყლები.....	80
4.1.3. მყარი ნარჩენების მართვა.....	85
4.1.4. დაცული ტერიტორიები.....	88
4.1.5. სანაპიროებია ეროზია	89
4.2. ეკოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების „ცხელი წერტილები“	91
4.3. სოციალურ-ეკონომიკური გარემო	109
4.3.1. შავი ზღვის რეგიონის სოციალური მახასიათებლები და ბენეფიციარი ქვეყნები.....	109
4.3.2. ეკონომიკური სექტორები და საქმიანობები შავი ზღვის რეგიონში და პროექტის ბენეფიციარ ქვეყნებში.....	120
5. პოტენციური გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედება და საერთო შემარბილებელი ღონისძიებები	131

5.1. გარემოზე ზემოქმედება, რისკები და შემარბილებელი ღონისძიებები	132
5.2. სამუშაო პირობები, შრომის ჰიგიენა და უსაფრთხოება	136
5.3. სოციალური რისკები და ზემოქმედება და შემარბილებელი ღონისძიებები	139
6. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს განხორციელების პროცესი.....	141
6.1. სკრინინგი	141
6.2. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება	143
6.2.1 საშუალო რისკის ქვეპროექტები	145
6.2.2 დაბალი რისკის ქვეპროექტები	146
6.3. საჯარო კონსულტაციები და ინფორმაციის გასაჯაროება.....	146
6.4. მსოფლიო ბანკის თანხმობა	148
6.5. გრანტებისა და სამუშაოების ხელშეკრულებებში გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნების ჩართვა.....	148
6.6. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმების განხორციელება ზომიერი რისკის კატეგორიის ქვეპროექტებისთვის.....	149
6.7. მონიტორინგი და ზედამხედველობა	150
6.8. შრომის მართვის პროცედურა	151
6.9. COVID-19- ის პანდემიაზე რეაგირება	151
7. ინსტიტუციური მოწყობა და პასუხისმგებლობები.....	153
7.1. ძირითადი ორგანიზაციების როლები და პასუხისმგებლობები	154
7.2. შედეგების მონიტორინგისა და შეფასების პროცესები.....	157
7.3. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს პროცესების მიმდინარეობა პროექტის დონეზე.....	158
7.4. ინსტიტუციური მოწყობა და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობები.....	159
7.4.1. შავი ზღვის გალურჯების პროექტის განმახორციელებელი გუნდი	163
7.4.2. გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის ეროვნული კოორდინატორები	165
7.4.3. გრანტის მიმღებნი და ინოვაციების „მასპინძლები“	166
7.5. მონიტორინგი და ანგარიშგება	168
7.5.1. მონიტორინგი.....	168
7.5.2. ანგარიშგება	170

7.6. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს ბიუჯეტი.	172
8. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა, საჯარო კონსულტაციები და ინფორმაციის საჯაროობა.....	173
8.1. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა	173
8.2. საჯარო კონსულტაციები და ინფორმაციის საჯაროობა	174
8.3. საჩივრების განხილვის მექანიზმი.....	176
დანართი 1 მსოფლიო ბანკის ჯგუფის მიერ დაფინანსებისთვის აკრძალულ ქმედებათა სია	180
დანართი 2 გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის ფორმა	182
დანართი 3 მსოფლიო ბანკის პროექტებისთვის რისკის კატეგორიის მინიჭება.....	192
დანართი 4 ქვეპროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის საორიენტაციო სქემა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების კონსულტანტების კვალიფიკაცია	196
დანართი 5 ქვეპროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის მარტივი ვარიანტის ფორმა	203
დანართი 6 მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების და მსოფლიო ბანკის ჯგუფის გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის სახელმძღვანელო პრინციპების მოთხოვნები პესტიციდების მართვის მიღებულ პრაქტიკასთან დაკავშირებით	216

რეზიუმე

შავი ზღვა ოკეანეებს უკავშირდება ხმელთაშუა ზღვის გავლით - სტამბულის, დარდანელისა და გიბრალტარის სრუტეების მეშვეობით, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით აზოვის ზღვის გავლით - ქერჩის სრუტის მეშვეობით. ის დაუცველია როგორც ზღვისპირა, ისე სანაპიროს არმქონე მაგრამ შავი ზღვის აუზში მყოფი ქვეყნების მიერ ხმელეთზე განხორციელებული ანთროპოგენური საქმიანობის მიმართ.

ბიოლოგიური ეკონომიკური რესურსები, სახეობათა და პეიზაჟების მრავალფეროვნება და შავი ზღვის ესთეტიკური და რეკრეაციული ღირებულებები უარესდება ევტროფიკაციის, დაბინძურების და უპასუხისმგებლო თევზაობის გამო. გარდა ამისა, კლიმატის ცვლილებამ შესაძლოა გამოიწვიოს ეროზიისა და წყალდიდობების ზრდა და წყლისა და გარემოს ხარისხის გაუარესება. ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესი, რომელიც შავი ზღვის დეგრადაციას იწვევს, არის მასიური ევტროფიკაცია, რომელსაც ძირითადად სასოფლო-სამეურნეო, საყოფაცხოვრებო და სამრეწველო წყაროებიდან მიღებული აზოტისა და ფოსფორის ნაერთები იწვევენ. ზღვაში ჩამდინარე კანალიზაცია და ნავთობით დაბინძურება ასევე საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას და ზოგიერთ შემთხვევაში აფერხებს მდგრადი ტურიზმისა და აკვაკულტურის განვითარებას მთელ შავ ზღვასა და მის სანაპირო ზონებში.

COVID-19-ის შემდგომ პერიოდში შავი ზღვის ამჟამინდელი და მომავალი ეკოლოგიური მდგომარეობის განსაზღვრა იქნება მთავარი გამოწვევა როგორც „ლურჯი ეკონომიკის“ ფორმირების, ასევე რეგიონის მდგრადი განვითარების გზაზე. ამ კონტექსტში, აღნიშნული გამოწვევის საპასუხოდ, მსოფლიო ბანკმა და მისმა პარტნიორებმა რეგიონალური მიდგომა დაგეგმეს და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის დაფინანსებით შავი ზღვის გალურჯების რეგიონული პროექტი (ამიერიდან „პროექტი“) შეიმუშავეს.

აღნიშნული პროექტი ერთ-ერთია იმ ინიციატივებს შორის, რომლებიც ხელს უწყობენ საერთო საზღვაო დღის წესრიგის განხორციელებას და მის ხელმძღვრე შვიდ ქვეყანას. ეს ქვეყნებია: ბულგარეთი, საქართველო, მოლდოვას რესპუბლიკა, რუმინეთი, რუსეთის ფედერაცია, თურქეთი და უკრაინა. პროგრამა ითვალისწინებს ეროვნულ დონეზე საპილოტე ღონისძიებების განხორციელებას საქართველოში, მოლდოვას რესპუბლიკაში, უკრაინასა და თურქეთში. პროგრამის კოორდინაციას შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის მუდმივმოქმედი საერთაშორისო სამდივნო ახორციელებს.

პროექტის მიზანია ბუნებრივი და სოციალური გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესება შავი ზღვის გარემოს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მმართველობის გაძლიერების გზით. ამ მიზნის მისაღწევად პროექტის ფარგლებში შეფასდება ეროვნული პოლიტიკური და სამართლებრივი ჩარჩოები, შეიმუშავდება რეკომენდაციები დაბინძურების შემცირებისა

და მართვის გასაუმჯობესებლად ჩასადები ინვესტიციების შესახებ და გაძლიერდება ლურჯი ეკონომიკის ჩარჩო და რეგიონული დიალოგი.

პროექტის შემუშავების ამოცანა(ები)

პროექტის შემუშავების ამოცანაა გააძლიეროს ეკონომიკური, ტექნიკური და საკომუნიკაციო საშუალებები, რათა ხელი შეუწყოს რეგიონულ თანამშრომლობას და კერძო სექტორის ჩართულობას შავ ზღვაში დაბინძურების თავიდან არიდების მიზნით.

პროექტის კომპონენტები

პროექტი სამი კომპონენტისგან შედგება:

(i) კომპონენტი 1: დაბინძურების თავიდან არიდებისა და შემცირების ღონისძიებებში ინვესტირების ეკონომიკური ასპექტები

ამ კომპონენტის ფარგლებში გაკეთდება ეკონომიკური ანალიზი, რომელიც დაბინძურების თავიდან არიდებისა და შემცირების სფეროში არსებული ეკონომიკური ცოდნის ხარვეზებს შეავსებს. ამის შემდეგ, „დაბინძურების ტალღის უკუქცევის“ სათაურით ჩატარებული ანალიტიკური სამუშაოების საფუძველზე შემუშავდება საინვესტიციო რეკომენდაციები გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მიერ დაფინანსებული შავი ზღვის გალურჯების პროექტის სამიზნე ქვეყნების მთავრობებისთვის. ამ კონტექსტში, წარმოდგენილი კომპონენტის ფარგლებში, შეფასდება არსებული ეროვნული პოლიტიკა და სამართლებრივი ჩარჩო და შესწავლილი იქნება მათი შესაბამისობა დაბინძურების შესახებ არსებული რეგიონული რეგულაციების/კონვენციების მოთხოვნებთან ისეთ სფეროებში, როგორიცაა წყლის მართვა, სოფლის მეურნეობა, აკვაკულტურა, ტურიზმი და გადაზიდვები. შემუშავდება რეკომენდაციები ეროვნულ და მუნიციპალურ დონეზე გასატარებელი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული რეფორმების შესახებ, რომელიც შესაბამისობაში იქნება დაბინძურების კონტროლის მიზნით დარგობრივ უწყებებს შორის კოორდინაციის გასაუმჯობესებლად გასატარებელ რეგიონულ ღონისძიებებთან.

რეგიონში დაბინძურების მართვის ღონისძიებების ჰარმონიზაციის მიზნით შემუშავდება დაბინძურების შემცირებისა და მართვის ეროვნული გეგმების პროექტები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება დაბინძურების მართვის რეგიონალურ ჩარჩო-პოლიტიკასთან. გაიმართება მთელი რიგი საკონსულტაციო შეხვედრები და რეგიონალური დიალოგები, რომლის დროსაც მხარეები ერთმანეთს გაუზიარებენ და გააცნობენ ინფორმაციას თითოეული წევრი ქვეყნის დღის წესრიგისა და ინიციატივების შესახებ. გარდა ამისა, ეს კომპონენტი ხელს შეუწყობს საერთაშორისოდ და რეგიონულად აღიარებული მდგრადი საინვესტიციო სტანდარტების მიღებას ყველა სექტორში. შესაძლებლობების გაღრმავების მიზნით, ჩატარდება სემინარები და ვებინარები საინვესტიციო პროექტების მომზადების საკითხებზე, შავი ზღვის ქვეყნებში მომუშავე ბიზნეს-ოპერატორებისა და მთავრობის წარმომადგენლებისთვის.

კომპონენტი 1 სამი ქვეკომპონენტისგან შედგება:

- ქვეკომპონენტი 1.1: ეროვნული პოლიტიკა და ინსტიტუციური ჩარჩო;
- ქვეკომპონენტი 1.2: ეროვნული საინვესტიციო რეკომენდაციები, ცოდნის გაცვლა და რეგიონული დიალოგი;
- ქვეკომპონენტი 1.3: მდგრადი ბიზნესი და საინვესტიციო სტანდარტები და მარეგულირებელი პრინციპები.

(ii) კომპონენტი 2: მწვანე და ინოვაციური დაფინანსება

ეს კომპონენტი გაზრდის როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორის მზაობას პროექტის სამიზნე ოთხ ქვეყანაში და ხელმისაწვდომს გახდის მათთვის ფინანსურ ინვესტიციებს, ინოვაციებსა და ტექნოლოგიებს დაბინძურების შემცირებისა და მართვის მიზნით.

ეს კომპონენტი დააფინანსებს და ხელს შეუწყობს ინოვაციების განხორციელებას შავი ზღვის ეკტროფიკაციის პრობლემის გადასაჭრელად, რაც საშუალებას მისცემს სახელმწიფო ინსტიტუტებს, განვითარების საკითხებზე მომუშავე პარტნიორებს და პოტენციურ ინვესტორებს მოძებნონ და გადაამოწმონ ინოვაციური გადაწყვეტები და განახორციელონ შესაბამისი ინვესტიციები. ეკო-ინოვაციებთან დაკავშირებული გამოწვევა ორ ნაწილად არის დაყოფილი: 1. რეგიონული მასშტაბის გამოწვევა, რომლის მიზანია კონცეფციისა და იდეების შემუშავება ადრეულ ეტაპზე; 2. კონსოლიდირებული ეროვნული გამოწვევის სტადია გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის სამიზნე შავი ზღვის ქვეყნებში, რომელიც ხელს შეუწყობს დადასტურებული კონცეფციებისა და საპილოტე იდეების განხორციელებას გრანტების მეშვეობით. გამოწვევების საერთო თემა იქნება ეკო-ინოვაციის პოტენციალის გახსნა შავ ზღვაში ეკტროფიკაციის ზემოქმედების შესამცირებლად.

რაც შეეხება ეროვნულ დონეზე არსებულ ეკო-ინოვაციურ გამოწვევებს, სხვადასხვა ქვეყნებში ეკო-ინოვაციის ტიპები შეიძლება განსხვავდებოდეს ადგილობრივი კონტექსტიდან გამომდინარე. წყლის დაბინძურების შემცირებასა და აღმოფხვრაზე პირდაპირი ზეგავლენის მოხდენის მიზნით, პროექტი ინოვაციებს კონკრეტული ქვეყნის გამოწვევის შესაბამისად შეარჩევს. განაცხადების მიღების დაწყებამდე, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის სამიზნე ქვეყნებისათვის შავი ზღვის გალურჯების პროექტში დანიშნული ძირითადი საკონტაქტო პირები დაასახელებენ ინოვაციის პოტენციურ „მასპინძელს“, რომელიც ეკტროფიკაციის პრობლემის წინაშე დგას. „ინოვაციის მასპინძლები“ შეიძლება იყვნენ მუნიციპალიტეტები, სამრეწველო სუბიექტები, საზოგადოება/კოოპერატივი (ანუ სასოფლო-სამეურნეო/ფერმერული კოოპერატივები და სხვა), რომელთაც სურთ ეკო-ინოვაციის გამოცდა. შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია ინოვაციის პოტენციური მასპინძლებისთვის სწავლებას ჩაატარებს, რომ პროცესში გაარკვიოს ისინი და საკუთარი პრობლემის შესახებ განაცხადების მომზადებაში დაეხმაროს. ნოვატორები გამოწვევების შესაბამისად იქნებიან შერჩეულნი. მათი ძალისხმევა მიმართული იქნება „ლურჯი ეკონომიკის“ ჯანსაღი და მდგრადი

ინოვაციების პოპულარიზაციაზე და განსაკუთრებით წყლის დაბინძურების საკითხების გადაწყვეტაზე. შერჩეულმა ეკო-ბიზნესებმა შეიძლება მიიღონ ჯილდოები ან გრანტები, რაც ეკო-ინოვაციური გამოწვევის ტიპზე იქნება დამოკიდებული.

უფრო მეტიც, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ოთხი სამიზნე ქვეყნიდან ერთ-ერთში შერჩეული იქნება ერთი პოტენციური საინვესტიციო პროექტი, რომლის განხორციელებაც ყველაზე სასწრაფოა შავი ზღვის დაბინძურების სამართავად. გაწეული იქნება დახმარება ამ პროგრამისთვის უფრო კონკრეტული საპროექტო წინადადების მოსამზადებლად. ეს ითვალისწინებს პროექტის მომზადების სხვადასხვა საფეხურების შემუშავებას, როგორცაა წინასწარი მოკვლევა, ეკონომიკური და ფინანსური ანალიზი და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება.

კომპონენტი 2 ორ ქვეკომპონენტს შეიცავს:

- ქვეკომპონენტი 2.1: ეკო-ინოვაციური გამოწვევა
- ქვეკომპონენტი 2.2: ინვესტიციების მომზადება

(iii) კომპონენტი 3: პროექტის მართვა

ეს კომპონენტი მიზნად ისახავს უზრუნველყოს პროექტის ეფექტიანობა, რისთვისაც აუცილებელია ჩამოყალიბდეს მონიტორინგისა და შეფასების მართვის სათანადო სისტემა და პროექტში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობისა და მათთან კონსულტაციის მექანიზმები. ამდენად, ის დახმარებას გაუწევს შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციას პროექტის განხორციელებასა და მართვაში, სოციალური და ბუნებრივი გარემოს დაცვის, მონიტორინგის, ანგარიშგებისა და შეფასების, საჩივრების განხილვის მექანიზმების, ფინანსური აუდიტისა და შესყიდვების ასპექტებთან დაკავშირებით, პროექტით გათვალისწინებული აქტივობების წარმატებული განხორციელების უზრუნველსაყოფად.

განმახორციელებელი სააგენტო

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია, როგორც განმახორციელებელი სააგენტო, პასუხისმგებელია პროგრამის საერთო კოორდინაციაზე, რაც შავი ზღვის გალურჯების პროექტის განმახორციელებელი გუნდის მეშვეობით შესრულდება. პროექტის განმახორციელებელი გუნდი ექვემდებარება შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის მუდმივმოქმედ საერთაშორისო სამდივნოს. პროექტის განმახორციელებელ გუნდში შედიან: შავი ზღვის გალურჯების პროექტის მენეჯერი, პროექტის კოორდინატორი, ფინანსური სპეციალისტი, შესყიდვების სპეციალისტი, გარემოს დაცვის სპეციალისტი (შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ჩათვლით) და სოციალური საკითხების სპეციალისტი, მონიტორინგისა და შეფასების

ოფიცერი და შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის მუდმივმოქმედი საერთაშორისო სამდივნოს დამხმარე პერსონალი.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს ამოცანა და ფარგლები

გადაწყდა, რომ პროექტისთვის უპრიანი იქნება გარემოზე ზემოქმედების მართვისთვის ჩარჩო დოკუმენტის მომზადება. ეს იმით არის გამოწვეული, რომ პროექტი მოიცავს აქტივობების ფართო სპექტრს, რომელთა უმეტესობა არ იქნება გამოვლენილი პროექტის განხორციელების დაწყებამდე. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს მიზანია უზრუნველყოს, რომ იდენტიფიცირებული გრანტები/ქვეპროექტები სწორად შეფასდეს გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით, შეესაბამებოდეს მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვით და სოციალურ პრინციპებს, დააკმაყოფილოს მსოფლიო ბანკის მოქმედი სტანდარტებისა და ყველა მონაწილე ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნები და ადეკვატურად შეამციროს ნებისმიერი ნარჩენი და/ან გარდაუვალი ზემოქმედება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მე-2 კომპონენტით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების დროს. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოში მოცემულია პროექტის კომპონენტებისა და ქვეკომპონენტების აღწერილობა, ზოგადი ინფორმაცია ეროვნული და მსოფლიო ბანკის სტანდარტების შესახებ, შავ ზღვაზე არსებული ეკოლოგიური და სოციალური მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა, სკრინინგის, რისკებისა და ზემოქმედების შეფასებისა და მართვის მიმართ არსებული მიდგომა, აქტივობების განხორციელების მექანიზმები, საჯარო კონსულტაციებთან და ინფორმაციის გასაჯაროებასთან დაკავშირებული წესები და შესაძლებლობების გაზრდასთან დაკავშირებული ტექნიკური დახმარების საჭიროება.

იმ ქვეყნების სამართლებრივი, მარეგულირებელი და პოლიტიკური ჩარჩო, რომლებიც ქმედებებს ეროვნულ დონეზე განახორციელებენ

ეს პროექტი არის ერთ-ერთი იმ ინიციატივათაგან, რომლებიც ხელს უწყობენ საერთო საზღვაო დღის წესრიგის განხორციელებას და მის ხელმძღვრ შვიდ ქვეყანას. მიუხედავად იმისა, რომ ცოდნის გაცვლისა და სტანდარტების შემუშავების გზით პროგრამა სარგებელს მოუტანს შავი ზღვის ყველა ქვეყანას, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის გადაწყვეტილებით, ახლანდელ კონტექსტში, ეროვნულ დონეზე ქმედებები განხორციელდება მხოლოდ საქართველოში, მოლდოვას რესპუბლიკაში, თურქეთსა და უკრაინაში.

საქართველოს სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩო

საქართველოში გარემოს დაცვის კანონმდებლობა შემუშავებულია კონსტიტუციის საფუძველზე, რომელიც იძლევა გარემოს დაცვის სამართლებრივი ჩარჩოს არსებობის და გარემოსდაცვითი ინფორმაციის საჯარო ხელმისაწვდომობის გარანტიას. ბოლო ათწლეულების განმავლობაში, საქართველომ შექმნა გარემოს დაცვის მყარი სამართლებრივი და პოლიტიკური ჩარჩო, რომელშიც გაკეთდა საუკეთესო საერთაშორისო

პრაქტიკის დანერგვის მცდელობა და რომელიც ითვალისწინებს ფართო სამართლებრივი მექანიზმებისა და სტანდარტების გამოყენებას, მათ შორის გარემოზე ზემოქმედების შეფასებას (გზშ), ეკონომიკურ ინსტრუმენტებს, შემოწმებას/ მონიტორინგს და ნებართვებს.

მოლდოვას რესპუბლიკის სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩო

2014 წლის 27 ივნისს მოლდოვას რესპუბლიკამ ხელი მოაწერა ასოცირების ხელშეკრულებას ევროკავშირთან, ევროპის ატომური ენერგიის თანამეგობრობასთან და მათ წევრ სახელმწიფოებთან. ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, ქვეყანამ აიღო ვალდებულება დანერგოს ევროკავშირის შესაბამისი გარემოსდაცვითი კანონმდებლობა მის ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში, ეროვნული კანონმდებლობის, რეგულაციებისა და პროცედურების მიღების ან შეცვლის გზით, რაც ევროკავშირთან პოლიტიკურ ასოცირებას და ეკონომიკურ ინტეგრაციას ისახავს მიზნად. მოლდოვას რესპუბლიკის კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ფაზაშია და შესაბამისი კანონმდებლობის უმეტესობა უკვე მიღებულია.

თურქეთის სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩო

1983 წლის აგვისტოში რატიფიცირებული კანონი გარემოს დაცვის შესახებ თურქეთის ერთ-ერთი მთავარი კანონია თურქეთის ერთ-ერთი მთავარი კანონია გარემოსა და მისი დაცვის სფეროში. ამ კანონის შესაბამისად მიღებულია და მოქმედებს რამდენიმე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი. თურქეთი იმყოფებოდა ევროკავშირში გაწევრიანების პროცესში და ამ კონტექსტში თურქეთის კანონმდებლობაში ძირითადად მიღებულია ევროკავშირის ნორმები.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების მარეგულირებელ წესებში განსაზღვრულია გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროცესში შესასრულებელი ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პროცედურები და პრინციპები. როდესაც გარკვეული ქმედება (პროექტი) იგეგმება, პროექტის შემქმნელი პასუხისმგებელია მოამზადოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და მიიღოს პროექტის განხორციელებისთვის საჭირო სხვა მრავალი ნებართვა. თუმცა, ობიექტების მიერ გზშ ანგარიშის მომზადების ვალდებულება დამოკიდებულია ობიექტის ტიპზე, მის მოცულობაზე ან საქმიანობის ადგილმდებარეობაზე. ის საქმიანობები, რომლებზეც ვრცელდება გარემოზე ზემოქმედების შეფასების მარეგულირებელი წესების დებულებები, ჩამოთვლილია მარეგულირებელი წესების პირველ და მეორე დანართში. N1 დანართში შეტანილი საქმიანობებისათვის სავალდებულოა გზშ-ს სრული ანგარიშის მომზადება და ეს პროექტები გზშ-ს სრულ პროცესს გადიან. N2 დანართში შეტანილი საქმიანობებისათვის უნდა მომზადდეს პროექტის აღწერილობის ფაილი დებულებაში მოცემული შაბლონის მიხედვით და ჩატარდეს შესაბამისი პროცესი.

უკრაინის სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩო

უკრაინაში გარემოს, სოციალური, შრომის, შრომის ჰიგიენის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხების საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩო მოიცავს საერთაშორისო კონვენციებს, უკრაინის კანონებს, უკრაინის მინისტრთა კაბინეტის ბრძანებებსა და დადგენილებებს, სამინისტროების ბრძანებებს, სხვადასხვა ნორმებს, პროცედურებს, სტანდარტებსა და გზამკვლევებს. არსებობს მრავალი სამთავრობო ორგანოს (სამინისტროების, სახელმწიფო უწყებების, სახელმწიფო ინსპექციების, საჯარო სამსახურების და ცენტრალური ხელისუფლების სხვა ორგანოების) მიერ გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რომლებიც განსაზღვრავს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს უფლებამოსილებებს და პროცედურებს გარემოს დაცვის, სოციალური დაცვის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და სხვა საკითხებში.

კანონი გზმ-ს შესახებ 2017 წლის დეკემბერში ამოქმედდა. გარდა ამისა, 2017 წლის დეკემბერში ასევე ამოქმედდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების კანონის განსახორციელებლად საჭირო მეორადი კანონმდებლობა, მათ შორის: „დებულება დაგეგმილი საქმიანობის განსაზღვრის კრიტერიუმების, გაფართოების და ცვლილების შესახებ“, „დებულება გზმ-ს მომზადებისას საჯარო განხილვების ჩატარების პროცედურის შესახებ“, „დებულება გზმ-ს დასკვნის მოსამზადებლად საჭირო დოკუმენტაციის გადაცემის პროცედურის შესახებ“ და „დებულება გზმ-ს დაფინანსებისა და გზმ-ს ერთიანი რეესტრის წარმოების პროცედურის შესახებ“.

მსოფლიო ბანკის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო

ეროვნული კანონმდებლობის გარდა, ეს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო მომზადებულია მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური პრინციპების მოთხოვნების შესაბამისად. მსოფლიო ბანკის კლასიფიკაციის მიხედვით ყველა პროექტი იყოფა ოთხ კატეგორიად: *მაღალი რისკის, არსებითი რისკის, საშუალო რისკის ან დაბალი რისკის მქონე პროექტებად*. პროექტის რისკის კლასიფიკაცია განისაზღვრება ისეთი საკითხების გათვალისწინებით, როგორიცაა პროექტის ტიპი, ადგილმდებარეობა, სენსიტიურობა და მასშტაბი; პოტენციური ეკოლოგიური და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების ხასიათი და მასშტაბურობა; მიმღები გარემოს სენსიტიურობა, კონტექსტთან დაკავშირებული რისკები და მსესხებლის უნარი და ვალდებულება მართოს ეკოლოგიური და სოციალური რისკები და ზემოქმედება მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვით და სოციალურ პრინციპებში მოყვანილი 10 (ათი) გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტის შესაბამისად. წარმოდგენილი პროექტის მოცულობიდან გამომდინარე, მისთვის რელევანტური აღმოჩნდა მსოფლიო ბანკის 10 გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტიდან ექვსი. ესენია:

- სტანდარტი 1 – გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების შეფასება და მართვა;
- სტანდარტი 2 – შრომა და სამუშაო პირობები;

- სტანდარტი 3 – რესურსების ეფექტიანობა, დაბინძურების თავიდან არიდება და მართვა;
- სტანდარტი 4 – საზოგადოების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება;
- სტანდარტი 6 – ბიომრავალფეროვნების დაცვა და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა;
- სტანდარტი 10 – დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა და ინფორმაციის საჯაროობა.

სტანდარტი 5 – მიწის შესყიდვა, მიწათსარგებლობის შეზღუდვები და იძულებითი განსახლება ამ პროექტს არ ეხება, ვინაიდან პროექტი არ დააფინანსებს ისეთ საქმიანობას, რომლისთვისაც მიწის შესყიდვა, მიწის გამოყენების შეზღუდვა და იძულებითი განსახლება არის საჭირო.

სტანდარტი 7 – მკვიდრი მოსახლეობა / საჰარისქვემო აფრიკის ისტორიულად დაცული ტრადიციული ადგილობრივი თემები ამ პროექტს არ შეესაბამება, რადგან მოსალოდნელია, რომ ამ პროექტის ტერიტორიებზე არ გვყავს მკვიდრი მოსახლეობის ისეთი ჯგუფები, რომლებიც სტანდარტ 7-ში მოცემულ განსაზღვრებას აკმაყოფილებენ.

სტანდარტი 8 – კულტურული მემკვიდრეობა ამ პროექტს არ ეხება. პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი არც ერთი ქმედება ზეგავლენას არ იქონიებს კულტურულ მემკვიდრეობაზე და ასეთი სახის ქმედებებში ინვესტიციების გაკეთება გათვალისწინებული არ არის. კულტურულ მემკვიდრეობაზე მავნე ზემოქმედების მქონე ქმედებები გაიცხრილება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს საშუალებით. მიუხედავად ამისა, კონკრეტული ქვეპროექტების სპეციფიკური გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების დოკუმენტებში გათვალისწინებულია იმის აღბათობა გათვალისწინებულია პროცედურები ისეთი მინიმალური აღბათობისთვის, თუ გათვრების დროს ადგილი ექნება არქეოლოგიურ აღმოჩენებს.

სტანდარტი 9 – ფინანსური შუამავლები ამ პროექტს არ ეხება, რადგან მასში ფინანსური შუამავლები არ მონაწილეობენ.

მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებთან ერთად, ამ პროექტთან მიმართებაში აგრეთვე განხილულ იქნა თუ რამდენად ვრცელდება აღნიშნულ პროექტზე მსოფლიო ბანკის სხვადასხვა მოქმედი საოპერაციო პოლიტიკა, როგორცაა OP 7.50 (პროექტები საერთაშორისო წყალსატევებზე) და OP 7.60 (პროექტები სადავო ტერიტორიებზე). უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროექტი არ ითვალისწინებს რაიმე ისეთი ქმედების განხორციელებას, რომელზეც OP 7.50 ვრცელდება და არც ერთი ქმედება არ ჩატარდება სადავო ტერიტორიაზე.

გარდა ამისა, მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების შესაბამისად, პროექტის მიმართ გამოყენებული იქნება მსოფლიო ბანკის ჯგუფის გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სახელმძღვანელო მითითებები. ეს ზოგადი

სახელმძღვანელო მითითებები საცნობარო ხასიათის ტექნიკური დოკუმენტია, რომელშიც მოცემულია ზოგადად კარგი საერთაშორისო პრაქტიკის მაგალითები და სხვადასხვა დარგებისთვის სპეციფიკური კარგი საერთაშორისო პრაქტიკის მაგალითები. გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ზოგადი სახელმძღვანელო მითითებები შეიცავს ინფორმაციას გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების (შრომის უსაფრთხოებისა და თემის უსაფრთხოების) დაცვის საკითხებზე, რომელიც პოტენციურად შეიძლება ყველა სექტორზე გავრცელდეს. აღნიშნული ზოგადი სახელმძღვანელო მითითებები გამოყენებული უნდა იყოს გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დარგობრივ სახელმძღვანელო მითითებებთან ერთად, რომელიც შეიცავს კონკრეტული დარგებისთვის განკუთვნილ მითითებებს. ის თუ რომელი ამ დარგობრივი სახელმძღვანელო მითითებებთან გავრცელდება ამ პროექტზე, დამოკიდებული იქნება გრანტების / ქვეპროექტების ტიპებზე. ეს შეიძლება იყოს:

- სახელმძღვანელო მითითებები წყლისა და სანიტარიის სფეროში;
- სახელმძღვანელო მითითებები ტურიზმისა და მასპინძლობის განვითარების სფეროში;
- სახელმძღვანელო მითითებები ნარჩენების მართვის სფეროში;
- სახელმძღვანელო მითითებები გადაზიდვების სფეროში;
- სახელმძღვანელო მითითებები სატყეო ოპერაციების სფეროში;
- სახელმძღვანელო მითითებები მოსავლის წლიური წარმოების სფეროში;
- სახელმძღვანელო მითითებები სოფლის მეურნეობის სფეროში;
- სახელმძღვანელო მითითებები მრავალწლიანი კულტურული წარმოების სფეროში;
- სახელმძღვანელო მითითებები თევზის დამუშავების სფეროში.

არსებული მდგომარეობა

შავი ზღვა ევროპასა და აზიას შორის მდებარეობს. მისი აუზი ასიმეტრიულია და მასში ჩამდინარე მდინარეები მონაწილეობას იღებენ ორი კონტინენტის განსხვავებული ბუნებრივი პირობების ფორმირებაში. ზღვის მთლიანი ფართობია 423,000 კმ², ხოლო მის აუზს 2.5 მილიონი კმ² ფართობი უკავია. შავი ზღვის ქვეყნების სანაპირო ტერიტორია ძირითადად ზღვისპირა ხეობებისა და მთის ქედებისგან შედგება.

წყლის ხარისხი და ჩამდინარე წყლები

შავი ზღვა ხასიათდება სულფიდური ღრმა წყლებით. ეს ანოქსიური ზონა გამოყოფილია ოქსიური ზედა წყლებიდან სუბოქსიკური ზონით, სადაც ჟანგბადის და თავისუფალი სულფიდის კონცენტრაცია უფრო დაბალია, ვიდრე საიმედო მეთოდით გამოვლენის ლიმიტები. მიუხედავად ამ ბუნებრივი დეფიციტისა, შავი ზღვა კაცობრიობას კარგად ემსახურება საკვები რესურსების მიწოდებით, როგორც დასვენებისა და ტრანსპორტირების ბუნებრივი გარემო და თუნდაც როგორც ნარჩენების განთავსების ადგილი. მდინარეებიდან მიღებული ფოსფორისა და აზოტის დიდი ბუნებრივი მარაგი, რომელიც ზღვის

მცენარეებისა და წყალმცენარეებისათვის აუცილებელი ნუტრიენტებია, შავ ზღვას ყოველთვის ძალიან ნაყოფიერს ხდიდა. ყველაზე სერიოზულ პრობლემებს შორის არის ხმელეთზე არსებული წყაროებიდან მიღებული საკვები ნივთიერებების ევტროფიკაციის მაღალი დონე. მძიმე მეტალებით, ზეთით და სხვა მავნე ნივთიერებებით წარმოქმნილი დაბინძურება ბიოტაზე უშუალო ტოქსიკურ ზემოქმედებას ახდენს. მოტივტივე მყარი ნაწილაკები ამცირებენ მზის სხივების შეღწევას წყლის ფენაში და ამცირებენ ბენტოსური ბიოცენოზების, პელაგიური წყალმცენარეების და სხვა ორგანიზმების განვითარებას. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად ჩამდინარე მინერალური და ორგანული სასუქები ასტიმულირებენ მიკროფლორის ზრდას (ევტროფიკაციას).

მდინარეების ჩამონადენი, ნავთობისა და გაზის მოპოვების საქმიანობა, ატმოსფერული ნალექები, გემებიდან განზრახ და შემთხვევით ჩაშვებული ნარჩენები წყლის დაბინძურების მთავარი წყაროა. მდინარეების ნაკადები დაბინძურებულია აუზში მდებარე სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლებით და სატრანსპორტო და სხვა სექტორების საქმიანობის შედეგად. 300-ზე მეტი მდინარე, რომელიც შავ ზღვაში ჩაედინება, ევროპის ტერიტორიის თითქმის ნახევარზე და ევრაზიის ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე გადის. მთავარი მდინარეებია დუნაი, დნეპრი და დონი, რომლებიც ევროპის სიდიდით მეორე, მესამე და მეოთხე მდინარეებია.

მყარი ნარჩენები

მყარი ნარჩენების მართვა არის მთავარი ეკოლოგიური პრობლემა შავი ზღვის მიმდებარე სახელმწიფოებში. ეს ქვეყნები ძირითადად არიან განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც ცდილობენ გაზარდონ თავიანთი ეკონომიკა და, ამავე დროს, მართონ გარემოსდაცვითი საკითხები. მყარი ნარჩენების მართვის ძირითადი საშუალებები და ინფრასტრუქტურა არის ნაგავსაყრელი (სანიტარული ნაგავსაყრელები და არალეგალური ნაგავსაყრელები).

ამ კონტექსტში, საქართველოს სანაპირო ზონაში მყარი ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის მწვავე ნაკლებობა აქვს. ამჟამად საქართველოს სანაპირო ზონაში არ არსებობს სტანდარტული სანიტარული ნაგავსაყრელი. ბათუმის სამხრეთით მდებარე ნაგავსაყრელი (მდინარე ჭოროხის შესართავთან) ყველაზე საზიანოა სანაპირო ეკოლოგიისა და ეკონომიკისთვის. ეს ნაგავსაყრელი ათწლეულების განმავლობაში არასტანდარტულ პირობებში ფუნქციონირებდა და დაიხურება, როდესაც ახალი ნაგავსაყრელია მშენებლობა დასრულდება. მოლდოვას რესპუბლიკაში გარემოს დაბინძურების მნიშვნელოვანი წილი გამოწვეულია ნარჩენების განთავსების ადგილებით. მყარი ნარჩენების 2%-ზე ნაკლები გადამუშავდება, ხოლო დანარჩენი 98% ნაგავსაყრელებზე რჩება. ქვეყანაში 1500 ლეგალური ნაგავსაყრელია (რომელთა 30% ვერ აკმაყოფილებს გარემოსდაცვით სტანდარტებს) და დაახლოებით 3000 უკანონო ნაგავსაყრელი.

თურქეთში ადგილობრივი მყარი ნარჩენების უმეტესობა იყრება ველურ ნაგავსაყრელებზე, სოფლად. სანიტარული ნაგავსაყრელების შექმნა და ექსპლუატაცია ბოლო ათწლეულებში გაიზარდა. ძალაში შევიდა მკაცრი კანონმდებლობა და ინიციატივები, როგორიცაა

ნულოვანი ნარჩენების პოლიტიკა. თუმცა, ღია ნაგავსაყრელები 2000–ზე მეტ ადგილას არსებობს და ზედაპირულ წყლებში ნარჩენების ჩაშვება ჯერ კიდევ გრძელდება სხვადასხვა ადგილას, შავი ზღვის რეგიონის ჩათვლით. უკრაინაში ნარჩენების მართვა არის უკიდურესი პრობლემა, სადაც ნარჩენები 6,700 ნაგავსაყრელზე რჩება. უკრაინის მუნიციპალური მყარი ნარჩენების ნაგავსაყრელები ძირითადად სოფლების მახლობლად მდებარეობს, რაც ბუნებრივი წყლების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნიადაგის ეკოტოქსიკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებას იწვევს.

ეკოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების „ცხელი წერტილები“

შავ ზღვას აქვს თითქმის დახურული და ზონალურად წაგრძელებული აუზი, რომლის ზონალური განზომილებაც დაახლოებით 1200 კილომეტრია. მისი ზედაპირი ხმელთაშუა ზღვის ზედაპირის დაახლოებით მეხუთედს უდრის. შავ ზღვას შეზღუდული კავშირი აქვს ეგეოსის ზღვასთან, თურქეთის სრუტეების სისტემის საშუალებით. მისი მთავარი ბათიმეტრიული მახასიათებელია ვიწრო შეღვის არსებობა (როგორც წესი 20 კმ-ზე ნაკლები) და ციცაბო ტოპოგრაფიული ფერდობი (როგორც წესი 30 კმ -ზე ნაკლები) ღრმა შიდა აუზის გარშემო, რომლის მაქსიმალური სიღრმეა 2200 მ.

მტკნარი წყალი შავ ზღვაში აუზის ყველა მხრიდან ჩაედინება, ხოლო დუნაი, დნეპრი და დნესტრი ჩაედინება ჩრდილო-დასავლეთ სანაპირო წყლებში. მდინარე დუნაიმ, როგორც ევროპის ერთ-ერთმა უდიდესმა მდინარემ, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შავი ზღვის ეკოსისტემაზე. შავი ზღვის აუზში ბევრი რაიონი, რომელიც საერთაშორისო დონეზე არის აღიარებული როგორც ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით მაღალი ღირებულების მქონე („ცხელი წერტილები“). ეს „ცხელი წერტილები“ მოიცავს: ბიომრავალფეროვნების ძირითად ტერიტორიებს, ფრინველთათვის მნიშვნელოვან ტერიტორიებს და „ნულოვანი გადაშენების ალიანსის“ საიტებს. შავ ზღვასთან უშუალო კავშირში მყოფი „ბიომრავალფეროვნების ძირითადი ტერიტორიების“ და „ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ტერიტორიების“ რაოდენობა ქვეყნების მიხედვით შემდეგნაირად არის განაწილებული: 6 საქართველოში, 15 თურქეთში და 22 უკრაინაში. ყველა ეს საიტი არის ერთდროულად როგორც „ბიომრავალფეროვნების ძირითადი ტერიტორია“, ასევე „ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ტერიტორია“, გარდა უკრაინაში არსებული 1 ტერიტორიისა, საქართველოში არსებული 4 ტერიტორიისა და თურქეთში არსებული 1 ტერიტორიისა. „ნულოვანი გადაშენების ალიანსის“ საიტებიდან შავ ზღვასთან უშუალო კავშირში მყოფი არცერთი არ არის.

ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირის მონაცემებით, შავ ზღვაში არის გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი თევზის 12 სახეობა. გარდა ამისა, „შავი ზღვის დაბინძურებისგან დაცვის კონვენციის“ „შავი ზღვის ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტის დაცვის ოქმის“ #2 დანართში („შავი ზღვის მნიშვნელოვანი სახეობების წინასწარი სია“) ჩამოთვლილია 127 სახეობა.

პოტენციური ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედება და შემარბილებელი ღონისძიებები

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოში იდენტიფიცირებულია გარემოსდაცვითი რისკები და ზემოქმედების სახეები, რომლებიც დაკავშირებულია დასაფინანსებელი ქვეპროექტების/გრანტების ფარგლებში საქმიანობასთან. ძირითადი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები და ზემოქმედება დაკავშირებულია პროექტის 2.1 ქვეკომპონენტის (ეკო-ინოვაციური გამოწვევა) ფარგლებში დასაფინანსებელ საქმიანობასთან. ეს ქვეკომპონენტი მოიცავს გრანტებს ისეთი ინოვაციური ღონისძიებებისთვის, რომლებიც მიზნად ისახავენ ზღვის დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლას შემცირების ან/და ექსპლუატაციის გზით. ამ აქტივობებს შორისაა საკვები ნივთიერებების დამუშავება, ურბანული ჩამდინარე წყლების დამუშავება, წყლის გაუვნებელყოფა, წყლის გადამუშავება და ხელახალი გამოყენება. ეკოლოგიური და სოციალური რისკები და მავნე ზემოქმედება ძირითადად დაკავშირებული იქნება იმ ფიზიკური აქტივობებით გამოწვეულ შემფოთებასთან, რომლებიც განსახორციელებელია ქვეპროექტის ფარგლებში და მის დროს. ეს საქმიანობა შეიძლება კლასიფიცირდეს როგორც მცირე სამშენებლო (სამონტაჟო) სამუშაოები და მცირე გაუმჯობესება სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკაში (სარწყავი სისტემები, სასუქების გამოყენება, მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლა და სხვა) და დაბალი რისკით/ზემოქმედებით ხასიათდება.

გარემოსდაცვითი რისკები, ზემოქმედების სახეები და შემარბილებელი ღონისძიებები

სამშენებლო სამუშაოების დროს (მათ შორის სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის გაუმჯობესებაზე მიმართული ღონისძიებების ჩათვლით), რომლებიც შეძლება ქვეპროექტების ფარგლებში განხორციელდეს, ქვეპროექტების ტერიტორიებზე მანქანები /აღჭურვილობა იმოდრავებს. მძიმე ტექნიკის მუშაობა, გათხრები და მიწის ზედაპირის გასწორების სამუშაოები მტვერს, გამონაბოლქვ აირებს და ხმაურს გამოიწვევს. იმის გათვალისწინებით, რომ სამუშაოები იქნება ლოკალიზებული და განხორციელდება მხოლოდ სამშენებლო ეტაპზე, ამგვარ საქმიანობასთან დაკავშირებული ზემოქმედება დაბალი იქნება. ზემოქმედების შესამცირებლად ადგილზე გამოყენებული იქნება მტვრის ჩახშობის მეთოდები (მაგ. წყლის შესხურება); მანქანები, მასალების გადაზიდვისას რომლებიც გამოყენებული მანქანები იქნება დაფარული; მანქანებისა და აღჭურვილობის ტექნიკური მომსახურება რეგულარულად ჩატარდება; განხორციელდება გამონაბოლქვი აირების კონტროლი; დასახლებულ ადგილებში ან მათ მახლობლად სამშენებლო სამუშაოები ჩატარდება მხოლოდ დღისით.

იმ შემთხვევაში, თუ ქვეპროექტის განხორციელების ადგილი ახლოს იქნება ზედაპირულ წყლებთან და მიწისქვეშა წყლებთან, ქვეპროექტის საქმიანობამ შეიძლება შექმნას წყლის რესურსების დაბინძურების რისკი ზედაპირულ წყალში ჩადინების გამო (მაგ. წყლის დაბინძურება ნალექებით და სოფლის მეურნეობაში გამოყენებული ქიმიკატებით, სასუქებით, და პესტიციდებით) და ადგილზე წარმოქმნილი ნახშირი წყლების შედეგად.

მასშტაბისა და ტერიტორიის სიმცირის გამო, ზემოქმედება მცირე მნიშვნელობის იქნება. წყლის რესურსებზე ქვეპროექტის ზემოქმედების შემსუბუქების მიზნით, შემუშავდება ეროზიის და ნალექების კონტროლის შესაბამისი ღონისძიებები. ნებისმიერი საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები ჩაედინება არსებულ საკანალიზაციო სისტემაში, ან შეგროვდება წყალგაუმტარ სეპტიკურ ავზებში ან დამუშავდება ადგილზე.

ნებისმიერი გათხრების შემთხვევაში ან ქვეპროექტის ადგილის ფიზიკური მახასიათებლების გამო, გათხრილი ნიადაგი და ადგილი შეიძლება დაუცველი გახდეს წყლისა და ქარის ეროზიის მიმართ. ეს ზემოქმედება იქნება მცირე მნიშვნელობის რადგან მასშტაბი დიდი არ არის და შეზღუდული დროის მანძილზე ხორციელდება. ქვეპროექტის ადგილებზე შემუშავდება კონტროლის შესაბამისი ზომები.

იმის მიხედვით თუ როგორი იქნება ქვეპროექტის ადგილის მახასიათებლები, მის ტერიტორიაზე შეიძლება მოხდეს ხეების და სხვა მცენარეული საფარის დაკარგვა, როგორც მისადგომი გზების გაყვანისას, ისე ფაქტობრივი საპროექტო ტერიტორიისთვის. ამ საქმიანობის შედეგად შეიძლება დაიკარგოს ველური ბუნების ჰაბიტატები. ნებისმიერი აღიარებული ბუნებრივი ჰაბიტატი, ჭარბტენიანი ტერიტორია და დაცული ტერიტორია, რომელიც საქმიანობის უშუალო სიახლოვეს მდებარეობს არ დაზიანდება და არ იქნება გამოყენებული. ხეების მოსაჭრელად ჩატარდება გამოკითხვა და ინვენტარიზაცია და, კომპენსაციის მიზნით, ხეები სხვაგან დაირგვება.

მყარი ნარჩენები იქნება პოტენციური ეკოლოგიური რისკი, რომელიც წარმოიქმნება ქვეპროექტის ადგილზე ნაგვის/ნარჩენების (საყოფაცხოვრებო, სამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო და სახიფათო ნარჩენების) მიტოვების შედეგად. ნარჩენების მართვა მოხდება ნარჩენების მართვის იერარქიის შესაბამისად (პრევენცია, შემცირება, ხელახალი გამოყენება, გადამუშავება, ენერგიის რეგენერაცია, განკარგვა). ნარჩენების შეგროვებისა და განკარგვის გზები და ადგილები განისაზღვრება ყველა ძირითადი ტიპის ნარჩენებისათვის, რომელიც მოსალოდნელია წარმოიშვას თითოეული საქმიანობის შედეგად.

შრომის პირობები, შრომის უსაფრთხოება და ჯანმრთელობა

ვინაიდან გრანტების საშუალებით მოხდება მცირე ზომის სამოქალაქო/სამონტაჟო სამუშაოების დაფინანსება, საჭირო სამუშაო ძალა ასევე მცირერიცხოვანი იქნება და უფრო სავარაუდოა, რომ საჭირო ადამიანური რესურსები ადგილობრივი მოსახლეობისგან დაკომპლექტდება. პროექტი ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას და ადგილობრივ შესყიდვებს პროექტის საგრანტო საქმიანობის განსახორციელებლად. ამიტომ, მუშახელის შემოძინება მოსალოდნელი არ არის. იმის გათვალისწინებით, რომ პროექტში დასაქმებულთა რაოდენობა მცირე იქნება მუშახელის შემოძინება მოსალოდნელი არ არის, გენდერული ნიშნით ძალადობის და სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის რისკები დაბალი იქნება. ამ პროექტის ფარგლებში დასაფინანსებელი ნებისმიერი ტიპის ქვეპროექტში ჩატარდება გენდერული ძალადობის

შესახებ ცნობიერების ამაღლების სესია და შეიქმნება საჩივრის მექანიზმები რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება როგორც თემებისთვის, ასევე ქვეპროექტის მუშაკებისთვის.

ქვეპროექტის საქმიანობასთან დაკავშირებული შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის რისკების მართვის მიზნით გამოყოფილი იქნება მასალების დასაწყობებისა და ნარჩენების შესანახი სპეციალური ადგილები; გადაეცემა ადგილზე შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დასაცავად დაინიშნებიან შესაბამისი სერტიფიცირებისა და გამოცდილების მქონე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი; დასაქმებულებს დაურიგდებათ სათანადო პირადი დამცავი აღჭურვილობა და ჩაუტარდებათ ზოგადი და მათი სამუშაოსთვის სპეციფიკური ტრენინგები შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის საკითხებზე; ინციდენტების აღრიცხული და გამოძიებული იქნება; ინციდენტის ძირეული მიზეზის ანალიზის შემდეგ შემუშავდება მდგომარეობის გამოსასწორებელი / პროფილაქტიკური ზომები; ქვეპროექტების ტერიტორიებზე მიღებული იქნება COVID-19-ის გავრცელების პრევენციული ზომები ჯანდაცვის ეროვნული ორგანოებისა და ჯანმო-ს მითითებების დაცვით; COVID-19-თან დაკავშირებული რისკების შეფასება გაკეთდება ყველა განსახორციელებელი სამუშაოსთვის, და თითოეული ქვეპროექტის ტერიტორიისთვის მომზადდება და განხორციელდება საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სპეციფიკური გეგმები/პროცედურები.

სოციალური რისკები, ზემოქმედების სახეები და მათი შემარბილებელი ზომები

მმართველობის გაძლიერების გზით პროექტი პოზიტიურ სოციალურ ზემოქმედებას მოახდენს შავი ზღვის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე. პროექტის წარმატებით განხორციელების მიზნით, უზრუნველყოფილი იქნება თემებისა და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა სტრუქტურირებული გზით. შემუშავდება და განხორციელდება დაინტერესებული მხარეების ჩართულობის კონკრეტული გეგმები. ასეთი გეგმები აგრეთვე შემუშავდება კონკრეტულად ქვეპროექტების საგრანტო პროექტებისთვის. ამ გეგმებში მოცემული იქნება ინფორმაცია ადგილობრივი და ეროვნული დაინტერესებული მხარეების, მათი ჩართულობის მეთოდების და სიხშირის შესახებ.

გრანტის პროექტთან დაკავშირებით იდენტიფიცირებულია ორი პოტენციური რისკი:

- თემების აზრი, რომ გრანტებმა / ქვეპროექტებმა შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს მათ საარსებო წყაროზე.
- თემებმა შეიძლება უარი თქვან ისეთ საგრანტო პროექტებში მონაწილეობაზე, რომელიც მოითხოვს ახალი/ინოვაციური ტექნიკის გამოყენებას სოფლის მეურნეობაში, მეთევზეობაში, ტურიზმში და ა.შ.

ამ რისკების შესამცირებლად საგრანტო პროექტებისთვის შემუშავდება და განხორციელდება დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გამარტივებული გეგმები; მოხდება ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების (განსაკუთრებით კი პოტენციურად პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი თემების) ადრეული, დროული და აქტიური

ჩართვა, მათი პრობლემების მოსასმენად; დაინერგება საჩივრის მექანიზმი და მოხდება თემებისა და ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების ჩართვა მონიტორინგის ღონისძიებებში.

დაფინანსებულმა ქვეპროექტებმა შეიძლება ზემოქმედება მოახდინონ თემის ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე ისეთი რისკების გაზრდის გამო, როგორიცაა: ავტოსაგზაო შემთხვევებისა და ტრავმების რისკი; გადამდები დაავადებების (მაგ., COVID-19-ის) გავრცელების რისკი; არსებული ინფრასტრუქტურის პოტენციური დაზიანებისა და სერვისების შეფერხების რისკი; თემის კულტურისთვის და უსაფრთხოებისათვის შექმნილი რისკი, რომელიც დაკავშირებულია მათ ტერიტორიაზე მუშების და მეწარმეების ყოფნასთან და ყოველდღიური ცხოვრების წესის დარღვევასთან. თემის ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე ზემოქმედების შემსუბუქების მიზნით, ქვეპროექტების განხორციელების ადგილები სათანადოდ იქნება შემოღობილი; მოწესრიგდება ქვეპროექტთან დაკავშირებული ავტოტრანსპორტის მოძრაობა; მიღებული იქნება COVID-19-ის და მგავსი გადამდები დაავადებების გავრცელების პრევენციის ყველა ზომა და ყველა სამუშაო დაიწყება შესაბამისი ნებართვების /ლიცენზიების /თანხმობების მიღების შემდეგ.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს განხორციელება

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს განსახორციელებლად შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის პროექტის განმახორციელებელი გუნდი შემდეგ ნაბიჯებს გადადგამს:

- **სკრინინგი:** ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს განხორციელების პროცესი იწყება საგრანტო განაცხადების (ანუ ქვეპროექტების) გარემოსდაცვითი და სოციალური შემოწმებით. „გამორიცხვის სიის“ საფუძველზე სკრინინგის პროცესი განსაზღვრავს აკმაყოფილებს თუ არა საგრანტო განაცხადი (შემოთავაზებული ქვეპროექტი) დაფინანსებისათვის დადგენილ მოთხოვნებს (მსოფლიო ბანკის ჯგუფის „გამორიცხვის სია“ მოცემულია 1-ელ დანართში), და თუ ეს ასეა, საჭიროა თუ არა სპეციალურად ამ პროექტისთვის „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის“ შედგენა. მსოფლიო ბანკთან კონსულტაციების გზით, პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი გაცხრილავს საგრანტო განაცხადებს/ შემოთავაზებულ ქვეპროექტებს სკრინინგის საკონტროლო სიის მეშვეობით, რომელიც მოცემულია მე-2 დანართში. ამ გზით პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი შეაფასებს ქვეპროექტთან დაკავშირებული პოტენციური მავნე გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების რისკის დონეს. მსოფლიო ბანკი განიხილავს სულ მცირე პირველი სამი ქვეპროექტის სკრინინგს და „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმას“ და გამოთქვამს დასტურს. სკრინინგის შემდეგი პროცესები და „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმების“ მიმოხილვა გაკეთდება პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის მიერ. სკრინინგის პროცესის შედეგად მოხდება ქვეპროექტის კატეგორიის განსაზღვრა გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მიხედვით, მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების კლასიფიკაციის შესაბამისად (მსოფლიო ბანკის მიერ პროექტებისთვის დადგენილი კატეგორიები მოცემულია მე-3 დანართში). „ეკო-ინოვაციური გამოწვევის“ კატეგორიაში შეფასებასა და დაფინანსებას დაექვემდებარება საშუალო და დაბალი კატეგორიის რისკის მქონე საქმიანობები.

- გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასება:** საშუალო კატეგორიის რისკის მქონე ქვეპროექტებისთვის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის სპეციფიკური გეგმა შემუშავდება მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების შესაბამისად და მე-4 დანართში წარმოდგენილი საორიენტაციო სტრუქტურის მიხედვით. საშუალო კატეგორიის რისკის მქონე ქვეპროექტებისთვის დამატებითი გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება (სკრინინგის შემდეგ) საჭირო არ იქნება. ამ შემთხვევაში გამოყენებული იქნება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა რომელიც ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს მე-5 დანართშია მოცემული. ის ქვეპროექტები, რომლებისთვისაც გარემოზე ზემოქმედების შეფასება ეროვნულ დონეზე უნდა განხორციელდეს, დაფინანსებას ვერ მიიღებენ მანამ, სანამ გარემოზე ზემოქმედების შეფასება სრულად არ განხორციელდება ეროვნულ დონეზე.
- საჯარო კონსულტაციები და საჯაროობა:** დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის დოკუმენტები და ქვეპროექტისთვის სპეციფიკური ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმები საჯარო გახდება. საჯარო კონსულტაციები და ინფორმაციის გამჟღავნების ღონისძიებები ასევე აღწერილი იქნება კონკრეტული ქვეყნისთვის შედგენილ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმებში და მათ შესაბამისად ჩატარდება. გამჟღავნება და კონსულტაციის პროცესები ჩატარდება მსოფლიო ბანკისთვის მისაღები დროული და გამჭვირვალე ფორმით, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის შესაბამისად და COVID-19-ის პანდემიაზე სამთავრობო შეზღუდვების გათვალისწინებით. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის დოკუმენტების პროექტები გამჟღავნდება კონსულტაციების დაწყებამდე და დაინტერესებული მხარეების გამოხმაურების მიღების შემდეგ, ისინი დასრულდება და გამოქვეყნდება კონკრეტულ ქვეყანაში. ქვეპროექტის დამტკიცებამდე (მსოფლიო ბანკის მიერ), პროექტის შემსრულებელი გუნდი მსოფლიო ბანკს წარუდგენს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმების საბოლოო დოკუმენტების ინგლისურ ვერსიებს. პროექტის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში, დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის დრო და მეთოდები აღწერილია დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ჩარჩოში და კონკრეტული ქვეყნისთვის სპეციფიკური საჯარო კონსულტაციები განხორციელდება ამ ქვეყნისთვის შედგენილი დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის მიხედვით. გაკეთდება დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრებისა და კონსულტაციების ჩანაწერები.
- მონიტორინგი და ზედამხედველობა:** ადგილზე მომუშავე კონტრაქტორების მუდმივ მონიტორინგს გრანტის აწარმოებს ბენეფიციარი, როგორც პროექტის მიერ დაფინანსებული ქვეპროექტის მფლობელი (ქვეკომპონენტი 2.1 ეკო-ინოვაციური გამოწვევა). ამ გზით გრანტის ბენეფიციარი უზრუნველყოფს ადგილზე ბუნებრივ და სოციალური გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის ან მისი საკონტროლო სიის განხორციელებას. პროექტის განმახორციელებელი გუნდი განახორციელებს

გრანტების/ქვეპროექტების რეგულარულ ზედამხედველობას რომ უზრუნველყოს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმების, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმების და შრომითი ურთიერთობის მარეგულირებელი პროცედურების განხორციელება და საჩივრების მექანიზმების ხელმისაწვდომობა და ფუნქციონირება.

- **შრომითი ურთიერთობის მარეგულირებელი გეგმები / პროცედურები:** შრომითი ურთიერთობის მარეგულირებელი პროცედურა შემუშავებულია და გავრცელდება პროექტის ყველა თანამშრომლის მიმართ, გრანტის ბენეფიციარების /გრანტის მიმღებების ჩათვლით. შრომითი ურთიერთობის მარეგულირებელი პროცედურა აღწერს დასაქმებულ პირთა უფლებებს და მოიცავს (i) ინფორმაციას დასაქმების პირობებისა და ვადების შესახებ; (ii) ძირითადი პოტენციური შრომითი რისკების მიმოხილვას (ასეთის არსებობის შემთხვევაში); (iii) საქართველოს, მოლდოვას რესპუბლიკის, თურქეთისა და უკრაინის შრომის კანონმდებლობის მიმოხილვას; და iv) საჩივრების მექანიზმის მიმოხილვას, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა მუშაკისათვის

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ღონისძიებების განხორციელების ინსტიტუციური მოწყობა

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის მუდმივმოქმედი საერთაშორისო სამდივნო / შავი ზღვის გალურჯების პროექტის განმახორციელებელი გუნდი პასუხისმგებელი იქნება განხორციელონ პროექტის საერთო კოორდინაცია, მათ შორის ზედამხედველობა გაუწიონ წლიური საოპერაციო გეგმების მომზადებას და სამეთვალყურეო და სხვა ანგარიშების მოამზადებს, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდისა და მსოფლიო ბანკის მოთხოვნების შესაბამისად. თითოეული ქვეყნისთვის დაინიშნება გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის ეროვნული კოორდინატორი (მთავარი საკონტაქტო პირი), რომელიც კოორდინაციას გაუწევს პროექტის განმახორციელებელი გუნდის მუშაობას ქვეყნის დონეზე სამუშაოების განხორციელების პროცესში, საქართველოში, მოლდოვას რესპუბლიკაში, თურქეთსა და უკრაინაში. პროგრამაში მონაწილე ეროვნული სააგენტოებია:

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- მოლდოვას რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, რეგიონული განვითარებისა და გარემოს დაცვის სამინისტრო;
- თურქეთის გარემოს დაცვისა და ურბანიზაციის სამინისტრო და თურქეთის სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის სამინისტრო;
- უკრაინის ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის სამინისტრო.

ეროვნული სააგენტოები უზრუნველყოფენ პროექტის განხორციელების საერთო ტექნიკურ ხელმძღვანელობას და მხარდაჭერას აღმოუჩენენ პროექტის განმახორციელებელ გუნდს.

შავი ზღვის გალურჯების პროექტის განმახორციელებელი გუნდი

შავი ზღვის გალურჯების პროექტის განმახორციელებელ გუნდის შემადგენლობაში შევა გარემოს დაცვის (და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის) მინიმუმ ერთი სპეციალისტი და ერთი სოციალური საკითხების მინიმუმ ერთი სპეციალისტი, რომლებსაც ექნებათ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს განხორციელების კოორდინაციისათვის საჭირო შესაბამისი კვალიფიკაცია და უნარები.

გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის ეროვნული კოორდინატორები

შავი ზღვის გალურჯების პროექტის განმახორციელებელი გუნდი შეთანხმებას დადებს გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის ეროვნულ კოორდინატორთან, საქართველოში, მოლდოვას რესპუბლიკაში, თურქეთსა და უკრაინაში ქვეყნების დონეზე პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებით. პროგრამაში მონაწილე ეროვნული სააგენტოებია: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მოლდოვას რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, რეგიონული განვითარებისა და გარემოს დაცვის სამინისტრო, თურქეთის გარემოს დაცვისა და ურბანიზაციის სამინისტრო, თურქეთის სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის სამინისტრო და უკრაინის ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის სამინისტრო. ეს ეროვნული სააგენტოები უზრუნველყოფენ პროექტის განხორციელების საერთო ტექნიკურ ხელმძღვანელობას და მხარდაჭერას აღმოუჩენენ პროექტის განმახორციელებელ გუნდს. გარდა ამისა, ისინი დაასახელებენ ინოვაციის პოტენციურ „მასპინძელს“, რომელიც ევტროფიკაციის პრობლემის წინაშე დგას. ინოვაციის მასპინძელი შეიძლება იყოს მუნიციპალიტეტი, სამრეწველო ობიექტი, საზოგადოება/კოოპერატივი (ანუ სასოფლო-სამეურნეო/ფერმერული კოოპერატივი და სხვა), რომელსაც ეკო-ინოვაციის გამოცდა სურს. ინოვაციის „მასპინძლების“ და გრანტების ბენეფიციარების შესაძლებლობების განვითარების მიზნით მათ ჩაუტარდებათ შემდეგი სახის სწავლება: მენტორინგი ბიზნესის ექსპერტების მიერ, იდეების და უნარების გასაძლიერებლად, რომ მათ წარმატების მიღწევა შეძლონ მდგრადი ბიზნეს-ეკოსისტემის შექმნაში; მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური პრინციპები და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო და კარგი საერთაშორისო პრაქტიკა მსოფლიო ბანკის ჯგუფის გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად, მათ შორის მავნებლების მართვაში (იხ. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს მე-6 დანართი).

გრანტის მიმღები

გრანტის მიმღები პირები ვალდებული იქნებიან მიიღონ ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი ყველა თანხმობა და ნებართვა, რომელიც საჭიროა მათი ქვეპროექტების განსახორციელებლად. ბენეფიციარები მოამზადებენ და განახორციელებენ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმას (საშუალო კატეგორიის რისკის მქონე ქვეპროექტების შემთხვევაში) და კონკრეტული ქვეყნისთვის შემუშავებულ, გამარტივებულ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმას ან გამარტივებულ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმებს ან გამოიყენებენ

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოში მოცემულ საკონტროლო სიას, და დაიცავენ მსოფლიო ბანკის შესაბამის გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებს და ქვეყნის კანონმდებლობის მოთხოვნებს. „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმაში“ ან მის საკონტროლო სიაში განსაზღვრული შემარბილებელი ღონისძიებები და მონიტორინგის ღონისძიებები ნაკისრ ვალდებულებებს წარმოადგენენ და წარმატებით უნდა განხორციელდეს ადგილზე გრანტის ბენეფიციარების მიერ, რომლებიც ასევე უშუალოდ პასუხისმგებელნი არიან კონტრაქტორების და ქვეპროექტში ჩართული სხვა მესამე პირების მიერ ამ ვალდებულებების შესრულებაზე.

მონიტორინგი და ანგარიშგება

გარემოსდაცვითი და სოციალური მონიტორინგი იწყება ქვეპროექტების მშენებლობის ეტაპიდან და გრძელდება ოპერაციის ფაზაში. მონიტორინგი ადასტურებს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელებას და აფასებს მათ ეფექტურობას, რითაც საშუალებას აძლევს შავი ზღვის გალურჯების პროექტის განმახორციელებელ გუნდს და მსოფლიო ბანკს მიიღონ ზომები საჭიროების შემთხვევაში.

ამ კონტექსტში გრანტის მიმღები, როგორც ქვეპროექტის გამმღლი, რომელიც დაფინანსებულია „ეკო-ინოვაციური გამოწვევის“ საშუალებით, არის უპირველესი პასუხისმგებელი მხარე მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს ადგილზე შემარბილებელი / მართვის ღონისძიებების (და მათი ეფექტურობის) მონიტორინგისათვის. გრანტის ბენეფიციარები მონიტორინგს გაუწევენ ადგილზე გარემოსდაცვით და სოციალურ ზემოქმედებას და ქვეპროექტის ზემოქმედების შერბილების/მართვის ღონისძიებებს, უწყვეტ რეჟიმში, გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების ექსპერტების/ კონსულტანტების მეშვეობით და ყოველთვიურად ანგარიშს ჩააბარებენ პროექტის განმახორციელებელ გუნდს გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების მართვის ღონისძიებების განხორციელების შესახებ.

პროექტის განმახორციელებელ გუნდის გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების ექსპერტები ასევე მონიტორინგსა და ზედამხედველობას გაუწევენ ქვეპროექტებს, რომლებიც დაკავშირებულია ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედების მართვის ღონისძიებების განხორციელებასთან., პროექტის განმახორციელებელ გუნდი ყოველწლიურ ანგარიშს ჩააბარებს მსოფლიო ბანკს ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედების მართვის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და წელიწადში ორჯერ - მთლიანი ქვეპროექტის მიმდინარეობის შესახებ.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა, საჯარო კონსულტაციები და გამჟღავნება და გასაჩივრების მექანიზმი

ამ პროექტით პირდაპირ დაინტერესებული მხარეები არიან საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მოლდოვას რესპუბლიკის სოფლის

მეურნეობის, რეგიონული განვითარებისა და გარემოს დაცვის სამინისტრო, თურქეთის გარემოს დაცვისა და ურბანიზაციის სამინისტრო, თურქეთის სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის სამინისტრო და უკრაინის ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის სამინისტრო, ბენეფიციარ ქვეყნებში შავი ზღვის აუზში მდებარე ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, სოფლის მეურნეობის, აკვაკულტურის, ტურიზმსა და გადაზიდვების სფეროში მომუშავე ადგილობრივი ბიზნეს ასოციაციები, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები, რომლებიც უნდა ჩაერთონ გრანტით დაფინანსებულ ღონისძიებებში და ადგილობრივი თემები. პროექტის მონაწილე მხარეებს შორის იქნებიან თევზის მრეწველობაში მომუშავე რეგიონული ორგანიზაციები, ზღვის დაბინძურების საკითხებზე მომუშავე აკადემიური და კვლევითი ინსტიტუტები და ფინანსური / საინვესტიციო ორგანიზაციები. მომზადდა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ჩარჩო, რომელიც ასახავს მიდგომას ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე დაინტერესებული მხარეების ანალიზისა და იდენტიფიკაციის მიმართ და კონკრეტული ქვეყნების დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმების გასაჯაროებისა და კონსულტაციების ჩატარების სტრატეგიის მიმართ.

შემოთავაზებული პროექტის კონცეფცია წარმოდგენილი იყო ეროვნულ დონეზე გამართული საკონსულტაციო შეხვედრების დროს, რომელიც ვირტუალურად ჩატარდა. 2021 წლის თებერვლიდან მაისამდე პერიოდში ასეთი კონსულტაციები გაიმართა საქართველოში, მოლდოვას რესპუბლიკაში, თურქეთში, უკრაინაში, რუმინეთსა და ბულგარეთში. შეხვედრების შესახებ გამოცხადდა მსოფლიო ბანკის ქვეყნების ვებგვერდების ღონისძიებების ვებგვერდზე. გამოყენებული იყო Facebook-ისა და Zoom-ის პლატფორმები. შეხვედრები ითარგმნებოდა თითოეული ქვეყნის ოფიციალურ ენაზე. მათში მონაწილეობდა 130-ზე მეტი დაინტერესებული მხარე სხვადასხვა სამინისტროებიდან, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებიდან, სამეცნიერო წრეებიდან, კერძო სექტორიდან, არასამთავრობო ორგანიზაციებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან.

ინფორმაცია საჩივრების განხილვის მექანიზმის შესახებ მიეწოდება ყველა დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის გრანტის მიმღებ პირებს/ გრანტის ბენეფიციარებს, გრანტის ქვეპროექტების კონტრაქტორებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს. მისი მიზანია პრობლემებისა და შეშფოთების მიზეზების რაც შეიძლება ადრე გამოვლენა და მათი დროული და პროაქტიული გადაწყვეტა, რომ პროექტი უწყვეტ რეჟიმში უმჯობესდებოდეს და დაინტერესებულმა მხარეებმა მკაფიოდ დაინახონ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პროექტი მათ ჩართულობას და როგორი პატივისცემით ეკიდება მათ მოსაზრებებსა და წუხილს.

1. შესავალი

1.1. ზოგადი ინფორმაცია და კონტექსტი

შავ ზღვას აქვს თითქმის დახურული და ზონალურად წაგრძელებული აუზი, რომელსაც შეზღუდული კავშირი აქვს ეგეოსის ზღვასთან, თურქეთის სრუტეების სისტემის საშუალებით. შავი ზღვა ბულგარეთს, საქართველოს, რუმინეთს, რუსეთს, თურქეთს და უკრაინას ესაზღვრება. მასში ჩაედინება არაერთი დიდი მდინარე, როგორცაა დუნაი, დნეპრი, დონი, რიონი, კოდორი და ენგური, ჭოროხი, ყიზილირმაკი, ესილირმაკი, საკარია, სამხრეთ ბუგი და დნესტრი. ისინი ზოგიერთ ისეთ ქვეყნებზეც გადიან, რომლებსაც შავ ზღვაზე სანაპირო ზოლი არ აქვთ.

შავი ზღვის ეკოლოგიური მდგომარეობის ხარისხი საგრძნობლად უარესდება. კლიმატის ცვლილებამ შეიძლება შავი ზღვის ეროზია და წყალდიდობები გააძლიეროს და გარემოს ხარისხი გააუარესოს. ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესი, რომელიც შავი ზღვის დეგრადაციას იწვევს, არის მასიური ევტროფიკაცია, რომელსაც ძირითადად სასოფლო-სამეურნეო, საყოფაცხოვრებო და სამრეწველო წყაროებიდან მიღებული აზოტისა და ფოსფორის ნაერთები იწვევენ. ზღვაში ჩამდინარე კანალიზაცია და ნავთობით დაბინძურება ასევე საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას და ზოგიერთ შემთხვევაში აფერხებს მდგრადი ტურიზმისა და აკვაკულტურის განვითარებას.

COVID-19-ის შემდგომ პერიოდში შავი ზღვის დაბინძურებასთან დაკავშირებული გამოწვევა კვლავაც მთავარი გამოწვევა იქნება. წყლის დაბინძურების პრევენცია და შემცირება მნიშვნელოვანია ადამიანის ჯანმრთელობისთვის და ჯანსაღი ბუნებრივი ჰაბიტატებისათვის. ამ კონტექსტში, აღნიშნულ გამოწვევაზე რეაგირებისთვის, მსოფლიო ბანკმა და მისმა პარტნიორებმა რეგიონალური მიდგომა დაგეგმეს და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის დაფინანსებით შავი ზღვის გალურჯების რეგიონული პროექტი (ამიერიდან „შავი ზღვის გალურჯების პროექტი“ ან „პროექტი“) შეიმუშავეს.

შავი ზღვის გალურჯების პროექტი ერთ-ერთია იმ ინიციატივებს შორის, რომლებიც ხელს უწყობენ საერთო საზღვაო დღის წესრიგის განხორციელებას და მის ხელმძღვრ შვიდ ქვეყანას. ეს ქვეყნებია: ბულგარეთი, საქართველო, მოლდოვას რესპუბლიკა, რუმინეთი, რუსეთის ფედერაცია, თურქეთი და უკრაინა. შავი ზღვისა და საერთო საზღვაო დღის წესრიგი ხელმძღვრე ქვეყნების რუკა მოცემულია ქვემოთ, 1-ელ სურათზე. შავი ზღვის გალურჯების პროექტი აგრეთვე ითვალისწინებს საპილოტე ღონისძიებების განხორციელებას ეროვნულ დონეზე, საქართველოში, მოლდოვას რესპუბლიკაში, უკრაინასა და თურქეთში. პროექტს (რომელიც თანმიმდევრული რეგიონული პროგრამაა და მიზნად ისახავს სამუშაოების განხორციელებას როგორც რეგიონულ, ისე ქვეყნის დონეზე) კოორდინაციას გაუწევს შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის მუდმივმოქმედი საერთაშორისო სამდივნო.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული თითქმის ყველა ქმედება დადებით გარემოსდაცვით და სოციალურ ზემოქმედებას მოახდენს შავი ზღვის მდგომარეობაზე. ეს მიღწეული იქნება მმართველობის გაუმჯობესების, ეროვნული პოლიტიკისა და სამართლებრივი ჩარჩოების შეფასების, დაბინძურების შემცირებისა და მართვის ეროვნული საინვესტიციო რეკომენდაციების შემუშავების, ლურჯი ეკონომიკის გაძლიერების და რეგიონული დიალოგის გაძლიერების გზით. პოლიტიკისა და შესაძლებლობების განვითარების ღონისძიებები გამოიწვევს არაპირდაპირ პოზიტიურ ზემოქმედებას, როგორცაა წყალში მცხოვრები სახეობების დაცვა, წყლის გამოყენების გაუმჯობესება, ჩამდინარე წყლების ხარისხის გაუმჯობესება და ნიადაგის დაბინძურების შემცირება.



სურათი 1. შავი ზღვისა და საერთო საზღვაო დღის წესრიგის ხელმძღვრე ქვეყნების რუკა

პროექტის საინვესტიციო კომპონენტი ითვალისწინებს გრანტების გაცემას ეკო-ბიზნესის სფეროში ისეთი ინიციატივების დასაწერად, რომლებიც ზღვის დაბინძურების შემცირებას ან პრევენციას იწვევენ. ამ კომპონენტის ფარგლებში აგრეთვე განხორციელდება ინვესტიციების მოსამზადებელი სამუშაოები, მიზანშეწონილობის წინასწარი კვლევის გზით. პროექტის ამ კომპონენტმა შეიძლება გამოიწვიოს პოტენციური მავნე ზემოქმედება, როგორცაა ნარჩენების წარმოქმნა და მენეჯმენტთან დაკავშირებული პოტენციური რისკები, ენერგიის მოხმარება, ხმაური, მტვერი, გამონაბოლქვი და შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების რისკები. ეს რისკები იქნება დროებითი, შექცევადი და მცირემასშტაბიანი,

ისინი შემოიფარგლება მხოლოდ მცირე ტერიტორიით და მათი შემცირება ადვილად იქნება შესაძლებელი მართვის კარგი პრაქტიკის საშუალებით.

- პროექტი შეასრულებს მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვით და სოციალურ პრინციპებს და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მოთხოვნებს. ამ კონტექსტში, პროექტის ფარგლებში შესამუშავებელი ეროვნული საინვესტიციო გეგმებისათვის (კომპონენტი 1) სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების კვლევები განხორციელდება სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ტექნიკური დავალების შესაბამისად, ცალკე დოკუმენტის სახით. საინვესტიციო კომპონენტის ეკო-ინოვაციურ გრანტებთან დაკავშირებული, პოტენციური, კარგად ცნობილი და ადვილად მართვადი რისკებისა და ზემოქმედების მართვა განხორციელდება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად. რისკებისა და ზემოქმედებების შეფასება და მართვა განხორციელდება მსოფლიო ბანკის ჯგუფის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების, მსოფლიო ბანკის ჯგუფის გარემოს, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვის ზოგადი სახელმძღვანელო მითითებების და, საჭიროების შემთხვევაში, მსოფლიო ბანკის ჯგუფის გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის დარგობრივი სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად.

1.2. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს ამოცანა და ფარგლები

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს საერთო მიზანია თავიდან აიცილოს, მინიმუმზე დაიყვანოს ან შეარბილოს პოტენციური ნეგატიური ეკოლოგიური და მასთან დაკავშირებული სოციალური ზემოქმედება, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს შავი ზღვის გალურჯების პროექტის განხორციელებამ. ჩარჩოს მიდგომა იმიტომ იყო არჩეული, რომ პროექტი მოიცავს აქტივობების ფართო სპექტრს, რომელთა უმეტესობა არ იქნება გამოვლენილი პროექტის განხორციელების დაწყებამდე. „ჩარჩო“ უზრუნველყოფს, რომ გამოვლენილი გრანტები/ქვეპროექტები სწორად შეფასდება გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით, შეესაბამება მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვით და სოციალურ პრინციპებს, დააკმაყოფილებს მსოფლიო ბანკის მოქმედ სტანდარტებს და ყველა მონაწილე ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებს და ადეკვატურად შეამცირებს ნებისმიერი ნარჩენი და/ან გარდაუვალი ზემოქმედებას.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომელიც გამოიყენება იმისთვის, რომ: განხორციელდეს ქვეპროექტების / აქტივობების სკრინინგი ეკოლოგიური და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების თვალსაზრისით და შეირჩეს შეფასების შესაბამისი ინსტრუმენტები; მოხდეს ქვეპროექტების პოტენციური გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების და ზემოქმედების იდენტიფიცირება და შეფასება; შემუშავდეს სამუშაოების ადგილმდებარეობისათვის სპეციფიკური ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე

ზემოქმედების მართვის გეგმები, რომელშიც შეჯამებული იქნება იდენტიფიცირებული რისკების შესამცირებლად ან თავიდან ასაცილებლად აუცილებელი შემარბილებელი ღონისძიებები; და შემუშავდეს გარემოსდაცვითი და სოციალური მონიტორინგისა და ანგარიშგების გზამკვლევი.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო განსაზღვრავს ყოვლისმომცველი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების მართვის მიმართ მიდგომას, რომელიც გამოყენებული იქნება პროექტის პოტენციური გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრის მიზნით. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოში ძირითადად მოცემულია:

- რისკებისა და მავნე ზემოქმედების შემცირების, შემსუბუქების და/ან მართვის ზომები და გეგმები, აგრეთვე პოტენციური ეკოლოგიური და სოციალური რისკების თვალსაზრისით პროექტით გათვალისწინებული აქტივობების სკრინინგის ზომები და ქვეპროექტის ეტაპზე მათი სისტემატური გადაწყვეტის უზრუნველყოფის ზომები;
- საქმიანობის სკრინინგის, განხილვის, დამტკიცებისა და განხორციელების პროცედურები;
- ინსტიტუციური მოწყობა, პასუხისმგებლობები და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს დებულებების წარმატებით განსახორციელებლად საჭირო შესაძლებლობების განვითარების ღონისძიებები;
- საჯარო კონსულტაციების გამართვის და საპროექტო დოკუმენტების გამჟღავნების მექანიზმი, ასევე დაინტერესებული მხარეების ჩართულობისა და საჩივრის მექანიზმის შემაჯამებელი მიმოხილვა, რომლებიც დეტალურად არის აღწერილი დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ჩარჩოსა და შრომითი ურთიერთობის მარეგულირებელ პროცედურებში, პროექტის საქმიანობასთან დაკავშირებული შრომითი რისკებისათვის.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო გამოყენებული იქნება როგორც შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობითაც მოხდება იმ პოტენციური გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების და ზემოქმედების იდენტიფიცირება, შემსუბუქება და მართვა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას შავი ზღვის გალურჯების პროექტის მე-2 კომპონენტის (მწვანე და ინოვაციური დაფინანსება) გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების შედეგად. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო შესაბამისობაშია მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩოს მოთხოვნებთან, რომელშიც შედის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები; ის აგრეთვე აკმაყოფილებს მსოფლიო ბანკის ჯგუფის გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სახელმძღვანელო მითითებებს და სხვა შესაბამის სტანდარტებს.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო შეიცავს შავი ზღვის გალურჯების პროექტის კომპონენტების აღწერას; პროექტის სტანდარტებს (მათ შორის,

როგორც პარტნიორი ქვეყნების - საქართველოს, მოლდოვას რესპუბლიკის, თურქეთისა და უკრაინის შესაბამისი კანონმდებლობის ზოგადი მიმოხილვას, ასევე მსოფლიო ბანკის სტანდარტების ზოგად მიმოხილვას); შავ ზღვაზე არსებული (საწყისი) ეკოლოგიური და სოციალური მდგომარეობის მოკლე მიმოხილვას; მდგომის აღწერას სკრინინგის, რისკებისა და ზემოქმედების შეფასების და მართვის მიმართ; აქტივობების განხორციელების მექანიზმებს; საზოგადოებასთან კონსულტაციასა და ინფორმაციის გასაჯაროებასთან დაკავშირებულ წესებს და შესაძლებლობების გასაზრდელად გასაწევი ტექნიკური დახმარების საჭიროებას.

2. პროექტის აღწერილობა

შავი ზღვის რეგიონი შეიძლება აღვწეროთ, როგორც მრავალფეროვანი ქსელების რეგიონი. შავი ზღვის უფრო ფართო რეგიონში 332 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. შავი ზღვის რეგიონის ზღვისპირა სახელმწიფოებია: ბულგარეთი, საქართველო, რუმინეთი, რუსეთი, თურქეთი და უკრაინა, ხოლო მათი მომიჯნავე სახელმწიფოებია: სომხეთი, აზერბაიჯანი, საბერძნეთი და მოლდოვას რესპუბლიკა. შავი ზღვა ეგეოსისა და ხმელთაშუა ზღვებს უკავშირდება. შავ ზღვაში ჩაედინება მდინარე დუნაი - ევროპის უდიდესი და ყველაზე მნიშვნელოვანი მდინარე და კონტინენტის მესამე და მეოთხე უდიდესი მდინარეები - დნეპრი და დონი.

ქვეყნებმა გაერთიანებული ძალებით ცდილობენ შავი ზღვის მდგრადობის გამოსწორებას. 2019 წლის 21 მაისს, ბულგარეთის, საქართველოს, მოლდოვას რესპუბლიკის, რუმინეთის, რუსეთის ფედერაციის, თურქეთის და უკრაინის მინისტრები და მინისტრის მოადგილეები შეხვდნენ ბუქარესტში, რათა შავ ზღვასთან დაკავშირებით „საერთო საზღვაო დღის წესრიგი“ დაამტკიცონ. „საერთო საზღვაო დღის წესრიგის“ მხარდასაჭერად, შავი ზღვისთვის ლურჯი ეკონომიკის ინვესტიციების კაპიტალიზაციის მიზნით, მსოფლიო ბანკი „შავი ზღვის გალურჯების პროგრამას“ იწყებს. ამ პროგრამას აქვს საინვესტიციო კომპონენტი და ანალიტიკური კომპონენტი და მისი საწყისი შავ ზღვაში დაბინძურების შემცირებას ისახავს მიზნად. პროგრამის შემუშავებისათვის პირველი ნაბიჯების განსახორციელებლად ორი ინსტრუმენტი განიხილება: (i) „დაბინძურების ტალღის უკუქცევა“ არის რეგიონული ანალიტიკური ნაშრომი, რომელიც დაფინანსებულია მრავალდონორიანი ფონდის PROBLUE მიერ და ხორციელდება მსოფლიო ბანკის მიერ და (ii) შავი ზღვის გალურჯების პროექტი დაფინანსებულია გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის გრანტით საერთაშორისო წყლების ინიციატივის ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ შემოთავაზებული პროგრამა სარგებელს მოუტანს შავი ზღვის ყველა ქვეყანას ცოდნის გაცვლისა და სტანდარტების შემუშავების გზით, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის გადაწყვეტილებით ეროვნული დონის საქმიანობა განხორციელდება მხოლოდ 4 ქვეყანაში: საქართველოში, მოლდოვას რესპუბლიკაში, თურქეთსა და უკრაინაში.

დაბინძურების საკითხების მოგვარება არის მთავარი გამოწვევა შავი ზღვის მდგრადი განვითარებისათვის COVID-ის შემდგომ ეპოქაში. წყლის დაბინძურების პრევენცია და

შემცირება მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის და ჯანსაღი ბუნებრივი ჰაბიტატებისათვის. პროექტი გამოავლენს ინოვაციურ ფინანსურ და ბიზნეს მოდელებსა და პრაქტიკებს, რომლებიც სანაპირო და საზღვაო რესურსების დეგრადაციას ამცირებს და მოგვცემს ძლიერ მტკიცებულებებს საზღვაო რესურსების მართვის ისეთი გზების შესახებ, რომლებიც ხელს შეუწყობენ ეფექტიანი და მდგრადი ლურჯი ეკონომიკის განვითარებასა და საზღვაო ეკოსისტემის აღდგენასა და დაცვას.

2.1. პროექტის უმაღლესი მიზანი

პროექტის უმაღლესი მიზანია მონაწილე ქვეყნებში სახელმწიფო და კერძო სექტორების შესაძლებლობებისა და მზადყოფნის გაძლიერება შავ ზღვაში დაბინძურების შემცირების ზომების მისაღებად. ამ კონტექსტში, პროგრამის შემუშავების ამოცანის შესრულების ინდიკატორებია:

- პროგრამის შედეგად ორგანიზაციები ახორციელებენ შავი ზღვის დაბინძურების შემცირების ან თავიდან აცილების ღონისძიებებს (ეს შეიძლება იყვნენ რეგიონალური ან ცენტრალური ორგანიზაციები);
- მიღებულია დაბინძურების კონტროლისა და პრევენციის მდგრადი ბიზნეს სტანდარტები და სახელმძღვანელო მითითებები (ძირითად სექტორებში, რეგიონალური ან ცენტრალური ორგანიზაციების მიერ);
- „ეკო-ინოვაციების გამოწვევის“ მეშვეობით ხელი შეეწყო ინოვაციების დანერგვას, რეგიონალურ და ცენტრალურ დონეებზე.

ამ კონტექსტში, პროგრამის მოსალოდნელი შედეგებია:

- დონე 1
 - შესაბამისი ინსტიტუტების ცნობიერების ამაღლება უმოქმედობის შემთხვევაში წარმოშობილი ხარჯებისა და შედეგების შესახებ და შესაძლო მოქმედებების შესახებ;
 - შავ ზღვაში საკვები ნივთიერებების დაბინძურების შესამცირებლად ჰარმონიული სამართლებრივი და ინსტიტუციური გარემოს შექმნა;
 - მონაწილე ქვეყნების გაზრდილი მზადყოფნა განახორციელონ მაღალი ზემოქმედების მომხდენი ინვესტიციები საკვები ნივთიერებების დაბინძურების შესამცირებლად;
 - კერძო სექტორის გაუმჯობესებული და გაძლიერებული შესაძლებლობები შეცვალონ/მოარგონ თავიანთი საქმიანობა დაბინძურების შესამცირებლად;
 - შემუშავებულია ინოვაციები და შექმნილია იმპულსი დაბინძურების შემცირების ზომების მისაღებად.
- დონე 2
 - დარგობრივი პოლიტიკა მიღებულია და ხორციელდება;

- საინვესტიციო რეკომენდაციები დამტკიცებულია და ბიუჯეტი გამოყოფილია;
- ფერმერები, საწარმოები, მუნიციპალიტეტები და მცირე და საშუალო საწარმოები დაბინძურების შესამცირებლად თავიანთ საქმიანობას და პრაქტიკას ცვლიან;
- განხორციელდა დამატებითი ინვესტიციები დაბინძურების შესამცირებლად
- მოხდა ისეთი ქმედებების დემონსტრირება, რომელთა განხორციელებაც მოქალაქეებს შეუძლიათ დაბინძურების შესამცირებლად; აგრეთვე ამ ქმედებების ეფექტის დემონსტრირება.

მთლიანობაში, გრძელვადიანი შედეგი არის შავი ზღვის ეკოლოგიური სიჯანსაღის გაუმჯობესება და გაზრდილი სოციალური და ეკონომიკური სარგებელი რეგიონში მცხოვრები მოსახლეობისთვის.

2.2. პროგრამის კომპონენტი 1 – დაბინძურების თავიდან არიდებისა და შემცირების ღონისძიებებში ინვესტირების ეკონომიკური ასპექტები

ცენტრალურ და რეგიონულ დონეზე განხორციელებული კარგი პოლიტიკა და ინსტიტუციური ჩარჩო რეგიონში „ლურჯი“ ეკონომიკის შემდგომი განვითარების სრულიად აუცილებელი საფუძველია. არსებული პოლიტიკისა და მმართველობის მიუხედავად, შავი ზღვის რეგიონში ეკონომიკური აქტივობებისა და ენერგიაზე მოთხოვნის ზრდა კიდევ უფრო გააუარესებს შავი ზღვის წყლის ხარისხს. ამ კომპონენტის ფარგლებში გაკეთდება ეკონომიკური ანალიზი, რომელიც დაბინძურების პრევენციისა და შემცირების სფეროში არსებული ეკონომიკური ცოდნის ხარვეზებს შეავსებს. ამის შემდეგ, „დაბინძურების ტალღის უკუქცევის“ სათაურით განხორციელებული ანალიტიკური სამუშაოს საფუძველზე, ამ კომპონენტის ფარგლებში შემუშავდება საინვესტიციო რეკომენდაციები გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მიერ დაფინანსებული შავი ზღვის გალურჯების პროექტის სამიზნე ქვეყნების მთავრობებისთვის. ამ კონტექსტში, განხორციელდება დაბინძურების მართვის ჩარჩო-პოლიტიკის რეგიონალური ჰარმონიზაციის ძალისხმევა, რისთვისაც შემუშავდება დაბინძურების შემცირებისა და მართვის ეროვნული გეგმების პროექტები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება დაბინძურების მართვის რეგიონალურ ჩარჩო-პოლიტიკასთან.

2.2.1. ქვეკომპონენტი 1.1 - ეროვნული პოლიტიკა და ინსტიტუციური ჩარჩო

პროექტი დაეფუძნება მიმდინარე და დაგეგმილ ეროვნულ ინვესტიციებს რომლებიც მიზნად ისახავენ სოფლის განვითარებას და ჩამდინარე წყლების გაწმენდისა და მდინარეების აუზისა და სანაპირო ზონის მართვას; პროექტი ასევე დაეფუძნება მიმდინარე ინსტიტუციონალურ რეფორმებს, რომლებმაც შეიძლება შექმნან კოორდინაციის შემდგომი გაუმჯობესების შესაძლებლობები. ამ ქვეკომპონენტის ფარგლებში მოხდება მიმდინარე ეროვნული პოლიტიკისა და სამართლებრივი ჩარჩოს შეფასება და შესწავლილი იქნება მისი შესაბამისობა იმ რეგიონულ რეგულაციებთან და კონვენციებთან, რომლებიც წყლის რესურსების მენეჯმენტთან, სოფლის მეურნეობასთან, აკვაკულტურასთან, ტურიზმთან და

გადაზიდვებთან დაკავშირებულ დაბინძურებას ეხება. შემუშავდება რეკომენდაციები და მუნიციპალურ დონეებზე გასატარებელი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული რეფორმების შესახებ, რომელიც შესაბამისობაში იქნება სექტორულ უწყებებს შორის კოორდინაციის გასაუმჯობესებლად და დაბინძურების კონტროლის მიზნით განსახორციელებელ რეგიონულ ღონისძიებებთან. ეროვნული დონის ანალიზი ჩატარდება გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის „შავი ზღვის გალურჯების პროგრამის“ სამიზნე ქვეყნებში და რეგიონალური სინთეზი გაზიარდება „საერთო საზღვაო დღის წესრიგის“ შვიდივე ქვეყანაში.

2.2.2. ქვეკომპონენტი 1.2 - ეროვნული საინვესტიციო რეკომენდაციები, ცოდნის გაცვლა და რეგიონული დიალოგი

ეს ქვეკომპონენტი ითვალისწინებს საინვესტიციო რეკომენდაციების შემუშავებას პროექტის ოთხ ქვეყანაში დაბინძურების შემცირებისა და მართვისთვის, აღნიშნულ ქვეყნებთან და ძირითად რეგიონულ დაინტერესებულ მხარეებთან დიალოგის გზით, შესაბამისი რეგიონული ჩარჩოებისა და საერთაშორისო ინსტრუმენტების შესაბამისად. გეგმა ხელს შეუწყობს დაბინძურების ცხელ წერტილებში პოტენციური ინფრასტრუქტურული ინვესტიციების გეგმების იდენტიფიცირებას საინვესტიციო კონცეფციის შესაბამისად, საინვესტიციო გზამკვლევის საბაზისო მონაცემებისა და სამიზნეების საფუძველზე და მონიტორინგის მექანიზმის არსებობის პირობებში. ეს კომპონენტი აგრეთვე ხელს შეუწყობს დიალოგს და რეგიონალური თანამშრომლობის გაძლიერებას შავი ზღვის კომისიასთან, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციასთან, ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალური კომისიასთან და გააუმჯობესებს შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის მუშაობას (აქტივობების დაფინანსებისა და მონაწილეობის კუთხით). ეროვნული საინვესტიციო რეკომენდაციები განხორციელდება გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის „შავი ზღვის გალურჯების პროგრამის“ სამიზნე ქვეყნებში, ხოლო ცოდნის გაცვლა და რეგიონალური დიალოგი სარგებელს მოუტანს „საერთო საზღვაო დღის წესრიგის“ ხელმომწერ შვიდივე ქვეყანას.

2.2.3. ქვეკომპონენტი 1.3 - მდგრადი ბიზნესი და საინვესტიციო სტანდარტები და სახელმძღვანელო მითითებები

ძირითადი სექტორებისთვის, როგორცაა სოფლის მეურნეობა, აკვაკულტურა, ტურიზმი, გადაზიდვები და წყლის მენეჯმენტი, საუკეთესო საერთაშორისო და რეგიონალური პრაქტიკის საფუძველზე, შემუშავდება და დაინერგება მდგრადი ბიზნესისა და ინვესტიციის სტანდარტები. ინვესტიციების მდგრადობის უზრუნველსაყოფად, ევროკავშირის მდგრადი ფინანსების ტაქსონომიის რეგულაცია 2020 წელს ამოქმედდა. ტაქსონომიაში განსაზღვრულია გარემოსდაცვითი მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი მდგრადი დაფინანსების კრიტერიუმები, წყლისა და ზღვის რესურსების შენარჩუნებისა და დაბინძურების შემცირების ღონისძიებების მდგრადი

დაფინანსების კრიტერიუმების ჩათვლით. ტაქსონომია კარგი ორიენტირი იქნება შავი ზღვის წყლის დაბინძურების საინვესტიციო დაფინანსებისთვის.

პლაჟებისათვის ლურჯი დროშის მინიჭების კრიტერიუმები პოტენციური კანდიდატი სტანდარტია, რომელიც უკვე მიღებულია და დამოწმებულია თურქეთის ზოგიერთ პლაჟზე, რათა ხელი შეუწყოს სანაპიროების მოვლასა და ტურიზმისთვის მიმზიდველი სუფთა ადგილების შენარჩუნებას. რაც შეეხება წყლის გაწმენდას, რეგიონში წყლის დაბინძურების კონტროლის ჰარმონიზაციის მიზნით, შესაძლებელია გამოყენებული იყოს ჩამდინარე წყლების დამუშავების სტანდარტები ისეთი რეგიონიდან და ქვეყნებიდან, როგორცაა ევროკავშირი, ავსტრალია, აშშ, იაპონია. ეს სტანდარტები შეიძლება მორგებულ იქნეს შავი ზღვის რეგიონში არსებულ დაბინძურების მახასიათებლებზე და ტექნოლოგიებზე.

ასევე გამოყენებული იქნება ეკოლოგიურად სუფთა გადაწყვეტილებებში ინვესტირების მოდელები. შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი / და შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ბიზნეს საბჭო შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის შვილობილი ინსტიტუტებია და შავი ზღვის რეგიონში ინვესტიციების განვითარების მთავარ ინსტრუმენტებს წარმოადგენენ. ისინი ამ საქმიანობის ინსტრუმენტებად (ანუ ტრენერთა ტრენინგისთვის) იქნებიან გამოყენებული.

სტანდარტების გასავრცელებლად გადამწყვეტი იქნება დაინტერესებული მხარეებისათვის ცნობიერების ამაღლების კამპანიების ჩატარება და ასევე ტრენინგის ჩატარება შესაძლებლობების გაძლიერებისათვის. ტრენინგების სერიაში შევა ტრენერების ტრენინგი და მთელი რიგი სემინარები, რომელთა სამიზნე ჯგუფი რეგიონში მომუშავე მცირე და საშუალო ბიზნესი იქნება. მდგრადი ბიზნესის სტანდარტები და ტრენინგები ადაპტირებული იქნება ისე, რომ მოხდეს როგორც ინვესტიციის პოტენციური მხარდამჭერების (მაგ., მუნიციპალიტეტების თანამშრომლების) შესაძლებლობების განვითარება, ასევე ბანკის თანამშრომლების შესაძლებლობების განვითარება, რათა მომზადდეს ბანკებისთვის მისაღები პროექტები დაბინძურების შემცირებასა და პრევენციაში შესაბამისი ინვესტიციების ჩადების მიზნით.

ეს სწავლება განავითარებს ინვესტიციების პოტენციური მხარდამჭერების და ბანკის თანამშრომლების შესაძლებლობებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იყოს უზრუნველყოფილი და შეფასდეს დაბინძურების შემცირებისა და პრევენციის საინვესტიციო პროექტების ვარგისიანობა, მიზანშეწონილობა, რენტაბელობა და გავლენა. ამასთან ერთად, ტრენინგების დროს მოწოდებული იქნება ინფორმაცია წყლის დაბინძურებასთან დაკავშირებული საერთაშორისო პროექტების შესახებ და მათი წარმატების განმსაზღვრელი კრიტიკული ფაქტორების შესახებ.

2.3. პროგრამის კომპონენტი 2 - მწვანე და ინოვაციური დაფინანსება

ეს კომპონენტი გაზრდის როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორის მზადყოფნას ოთხ საპილოტე ქვეყანაში და უზრუნველყოფს მათ წვდომას ფინანსურ ინვესტიციებზე, ინოვაციებსა და ტექნოლოგიებზე დაბინძურების შემცირებისა და მართვისთვის. პროექტი ხელს შეუწყობს საერთაშორისოდ და რეგიონის მასშტაბით აღიარებული მდგრადი სტანდარტების მიღებას ძირითად სექტორებში ინვესტიციების მოზიდვის მიზნით (როგორცაა სოფლის მეურნეობა, აკვაკულტურა, ტურიზმი, გადაზიდვები და წყლის მენეჯმენტი) და შესაძლებლობების გაზრდის საშუალებას მისცემს ბიზნეს ოპერატორებს და შავი ზღვის ქვეყნების მთავრობის წარმომადგენლებს სემინარებისა და ვებინარების საშუალებით საინვესტიციო პროექტის მომზადების სფეროში.

2.3.1. ქვეკომპონენტი 2.1 - ეკო-ინოვაციური გამოწვევა

ეს კომპონენტი დააფინანსებს და ხელს შეუწყობს ინოვაციების განხორციელებას შავი ზღვის ეკტროფიკაციის პრობლემის გადასაჭრელად, რაც საშუალებას მისცემს სახელმწიფო ინსტიტუტებს, განვითარების საკითხებზე მომუშავე პარტნიორებს და პოტენციურ ინვესტორებს მოძებნონ და გადაამოწმონ ინოვაციური გადაწყვეტები და განახორციელონ შესაბამისი ინვესტიციები. ეკო-ინოვაციებთან დაკავშირებული გამოწვევა ორ ნაწილად არის დაყოფილი: 1. რეგიონალური მასშტაბის გამოწვევა, რომლის მიზანია კონცეფციისა და იდეების შემუშავება ადრეულ ეტაპზე; 2. კონსოლიდირებული ეროვნული გამოწვევის სტადია გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის სამიზნე შავი ზღვის ქვეყნებში, რომელიც ხელს შეუწყობს დადასტურებული კონცეფციებისა და საპილოტე იდეების განხორციელებას გრანტების მეშვეობით. გამოწვევების საერთო თემა იქნება ეკო-ინოვაციის პოტენციალის გახსნა შავ ზღვაში ეკტროფიკაციის ზემოქმედების შესამცირებლად.

რაც შეეხება ეროვნულ დონეზე არსებულ ეკო-ინოვაციურ გამოწვევებს, სხვადასხვა ქვეყნებში ეკო-ინოვაციის ტიპები შეიძლება განსხვავდებოდეს, ადგილობრივი კონტექსტიდან გამომდინარე. წყლის დაბინძურების შემცირებასა და აღმოფხვრაზე პირდაპირი ზეგავლენის მოხდენის მიზნით, პროგრამის ფარგლებში ინოვაციები კონკრეტული ქვეყნის გამოწვევის შესაბამისად იქნება შერჩეული. განაცხადების მიღების დაწყებამდე, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის სამიზნე ქვეყნებში შავი ზღვის გალურჯების პროექტის ძირითადი საკონტაქტო პირები დაასახელებენ ინოვაციის პოტენციურ „მასპინძელს“, რომელიც ეკტროფიკაციის პრობლემის წინაშე დგას. „ინოვაციის მასპინძლები“ შეიძლება იყვნენ მუნიციპალიტეტები, სამრეწველო სუბიექტები, საზოგადოება/კოოპერატივი (ანუ სასოფლო-სამეურნეო/ფერმერული კოოპერატივები და სხვა), რომელთაც სურთ ეკო-ინოვაციის გამოცდა. შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია ინოვაციის პოტენციური მასპინძლებისთვის ტრენინგს ჩაატარებს, რომ პროცესში გაარკვიოს ისინი და საკუთარი პრობლემის შესახებ განცხადების მომზადებაში დაეხმაროს. ნოვატორები გამოწვევების შესაბამისად იქნებიან შერჩეულნი. მათი ძალისხმევა მიმართული იქნება „ლურჯი ეკონომიკის“ ჯანსაღი და მდგრადი ინოვაციების პოპულარიზაციაზე და განსაკუთრებით წყლის დაბინძურების საკითხების

გადაწყვეტაზე. შერჩეულმა ეკო-ბიზნესებმა შეიძლება მიიღონ ჯილდოები ან გრანტები, რაც ეკო-ინოვაციური გამოწვევის ტიპზე იქნება დამოკიდებული.

რეგიონული გამოწვევის შემთხვევაში, ფინანსისტებს გადაეცემათ ფულადი ჯილდოები და ისინი მიიღებენ შესაძლებლობების გაზრდის შანსს. ეროვნული გამოწვევის შემთხვევაში, გრანტები იქნება გათვალისწინებული ინოვაციური ტექნოლოგიებისა და ბიზნეს მოდელების შემდგომი ადაპტაციისთვის და/ან ტესტირებისთვის, მათი მიზანშეწონილობის, გამოყენების და ეფექტურობის დასამტკიცებლად. საერთაშორისო, რეგიონულ და/ან ეროვნულ ბიზნეს დონეზე სტრატეგიული პარტნიორობის გზით, აღნიშნული ქვეკომპონენტი ასევე ხელს შეუწყობს ინვესტიციების შესატყვისობას და ტექნიკურ თანამშრომლობას მეწარმეებს შორის, ეკო-ბიზნესსა და ინოვაციების მასპინძელს შორის.

ეს ქვეკომპონენტი დააფინანსებს მინიმუმ ერთ-სამ ეკო-ბიზნესს არჩეული გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის პროგრამის მონაწილე ოთხი ქვეყნიდან. ყველა „ეკო-ინოვაციური გამოწვევის“ ძირითადი მოთხოვნები და სტრუქტურა მოიცავს:

- ეკო-ინოვაცია შეიძლება შეირჩეს რეგიონალური გამოწვევის გადაწყვეტისთვის თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: ეკო ინოვაცია შეიძლება იყოს ნებისმიერი იდეა, საწყისი კონცეფცია და ტექნოლოგია, რომელიც შემუშავებულია მეწარმეების, მეცნიერების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ახალგაზრდული ჯგუფის, ქალთა ჯგუფის და/ან ცალკეული პიროვნებების მიერ შავი ზღვის ქვეყნებიდან და რომელიც მიზნად ისახავდეს ევტროფიკაციის მოგვარების ახალი და ინოვაციური იდეების ინკუბაციას;
- ეკო-ინოვაცია შეიძლება შეირჩეს ეროვნული გამოწვევის გადაწყვეტისთვის თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: ეკო ინოვაცია არის პროტოტიპი, რომლის მასშტაბის გაზრდა შეიძლება; ეს უნდა იყოს დადასტურებული გადაწყვეტა, მათ შორის ტექნოლოგია და ბიზნეს მოდელი, რომელიც მიზნად ისახავს სხვაგან დადასტურებული გადაწყვეტების დანერგვის დაჩქარებას გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის პროგრამის მონაწილე შავი ზღვის ქვეყნებში და მისი ადაპტაციის შემოწმებას. ამ გამოწვევისთვის გადაწყვეტისთვის განცხადების შემოტანა ნოვატორებს შეუძლიათ მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან, მაგრამ მათ უნდა მოძებნონ ადგილობრივი პარტნიორები გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის პროგრამის მონაწილე შავი ზღვის ქვეყნებში სამუშაოდ. ნოვატორი უნდა იყოს რეგისტრირებული ბიზნესი, სამეცნიერო დაწესებულება ან არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც დაინტერესებულია ეკო-ინოვაციის მასშტაბის გაზრდით შავი ზღვის რეგიონში.
- შერჩევის პროცესი: ეკო-ინოვაციების შერჩევა მოხდება შერჩევის კომიტეტის მიერ, რომლის შემადგენლობაში შევა რამდენიმე არჩეული ექსპერტი. ისინი ინოვაციას შეაფასებენ წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე. შერჩევის პროცესი კოორდინირებული იქნება ძირითად ექსპერტებთან, განვითარების

პარტნიორებთან, ინვესტორებთან და ბიზნეს ინკუბატორებთან / აქსელერატორებთან ერთად. რეგიონალური გამოწვევის კონკურსის გამარჯვებულები შეირჩევიან კონცეფციის დოკუმენტისა და საბოლოო არგუმენტების საფუძველზე. გრანტები და ჯილდოები შეიძლება დაფინანსდეს ამ ქვეკომპონენტის მიერ და გადაეცემა იმ ეკო-ინოვაციებს, რომელთა წინადადებები შერჩეულია შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის მიერ წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე. რეგიონული ეკო-ინოვაციური გამოწვევისთვის შერჩეული ეკო-ბიზნესი შეიძლება დაჯილდოვდეს ფულადი ჯილდოთი, მოგზაურობით და შესაძლებლობების გაძლიერების შესაძლებლობით, ინოვაციების ბიზნეს-ექსპერტების მენტორობის ჩათვლით. ეროვნული ეკო-ინოვაციური გამოწვევის შემთხვევაში, გრანტის მიმღებებს შეუძლიათ შეიმუშაონ და განახორციელონ თავიანთი ინოვაციის საპილოტე პროექტი გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის პროგრამის მონაწილე იმ ქვეყანაში, რომელიც ინოვაციის მასპინძელ ქვეყანად იყო შერჩეული. რეგიონალური გამოწვევის შემთხვევაში მაქსიმალური ჯილდო იქნება 10,000 აშშ დოლარი თითო პრიზიორისთვის. ეროვნული გამოწვევის შემთხვევაში მაქსიმალური გრანტი იქნება 500,000 აშშ დოლარი გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის თითოეული ქვეყნისთვის და განაწილდება თითოეულ ქვეყანაში გრანტის მიმღებთა რაოდენობის მიხედვით. სპეციალური პრიზები შეიძლება გაიცეს იმ შემთხვევებში, თუ ამ გამოწვევებით პოტენციური სპონსორები დაინტერესდებიან. აქსელერაციის პროგრამა საშუალებას მისცემს როგორც რეგიონალური, ისე ეროვნული გამოწვევის გამარჯვებულებს მიიღონ მეტი ცოდნა ბიზნესის განვითარებისა და ლიდერობის საკითხებში და დაუკავშირდნენ პოტენციურ ინვესტორებს, მათ შორის განვითარების პარტნიორებს, ვენჩურულ კაპიტალს და რეგიონულ / ადგილობრივ ბანკებს.

- მსოფლიოს და რეგიონის ბევრი სხვადასხვა დაინტერესებული მხარისა და პარტნიორის ჩართულობა მნიშვნელოვანია ამ ეკო-ინოვაციური გამოწვევის მექანიზმის სხვაგან კოპირების შესაძლებლობის და მდგრადობის უზრუნველსაყოფად. ამის მიღწევა შესაძლებელია თუ გამოწვევის დაძლევის ღონისძიებების თანაორგანიზატორებად მოწვეულნი იქნებიან პოტენციური პარტნიორები. ამას აგრეთვე ხელს შეუწყობს „პროექტის ოპერაციული სახელმძღვანელოს“ განახლება და გაძლიერება. დამატებითი დეტალები „ინოვაციის მასპინძლის“, ნოვატორების და ინოვაციების შერჩევისა და დაშვების კრიტერიუმების შესახებ, აგრეთვე დეტალური ინფორმაცია შესყიდვების, ფინანსური მართვისა და ინსტიტუციონალური მოწყობის კრიტერიუმების შესახებ, აღწერილი იქნება „პროექტის ოპერაციულ სახელმძღვანელოში“.
- ეს ქვეკომპონენტი მოიცავს საკონსულტაციო მომსახურებას, არა-საკონსულტაციო მომსახურებას, საქონლის მიწოდებას, მცირე მასშტაბის სამუშაოებსა და კონსულტაციებს და კონცენტრირებული იქნება გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის “შავი ზღვის გალურჯების პროგრამის” პროექტის ოთხ სამიზნე ქვეყანაზე.

2.3.2. ქვეკომპონენტი 2.2 - ინვესტიციების მომზადება

პროექტებისთვის სიცოცხლისუნარიანი გადაწყვეტილებებისა და მიზანშეწონილი მდებარეობების იდენტიფიკაციისა და შერჩევის გზით ეს პროგრამა მხარს უჭერს ინვესტიციების მომზადებას გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის შავი ზღვის გალურჯების პროექტის მინიმუმ ერთ სამიზნე ქვეყანაში. ამ ქვეყნებში ორგანული ნივთიერებებით დაბინძურების ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო სასოფლო-სამეურნეო სექტორია. ამ დაბინძურების აღმოსაფხვრელად „მწვანე-ნაცრისფერი“ ინფრასტრუქტურის დაფინანსების ნაკლებობა ასევე დადასტურდა და აღიარებულია, როგორც სასწრაფოდ საჭირო ინვესტიციები. მხარდაჭერა მიზნად ისახავს ინვესტიციებს ორგანული ნივთიერებებით დაბინძურების წინააღმდეგ და ურბანული ჩამდინარე წყლების გასაწმენდად, წყლის დაბინძურების, გადამუშავებისა და ხელახალი გამოყენების მიზნით. გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის შავი ზღვის გალურჯების პროექტის ოთხი სამიზნე ქვეყნიდან ერთ-ერთში, პროგრამა შეარჩევს ერთ პოტენციურ საინვესტიციო პროექტს რომელიც ყველაზე აქტუალური და სასწრაფოდ აუცილებელია შავი ზღვის „გალურჯების“ თვალსაზრისით და მოამზადებს უფრო კონკრეტულ საპროექტო წინადადებას. საპროექტო წინადადების შერჩევის კრიტერიუმები უნდა ეფუძნებოდეს დაბინძურების შემცირებაზე ინვესტიციების რეგიონულ და ეროვნულ გავლენას, მთავრობის მზადყოფნას ინფრასტრუქტურულ ინვესტიციებზე, შავ ზღვაში წყლის დაბინძურების შემცირების ეფექტურობას, ოპერაციის მდგრადობას და ინვესტიციის შენარჩუნებას, განმეორებადობას და ინვესტიციის მასშტაბურობასა და სოციალურ ზემოქმედებას საზოგადოების გაძლიერებაზე, სამუშაო ადგილების შექმნაზე და გენდერულ თანასწორობაზე. საინვესტიციო პროექტის შერჩევის შესახებ გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან ეროვნული და რეგიონალური კონსულტაციების გზით. ეს ითვალისწინებს პროექტის მომზადების სხვადასხვა საფეხურების შემუშავებას, როგორიცაა წინასწარი მოკვლევა, ეკონომიკური და ფინანსური ანალიზი და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება.

2.4. კომპონენტი 3 - პროექტის მართვა

ეს კომპონენტი მიზნად ისახავს უზრუნველყოს პროგრამის ეფექტიანობა, რისთვისაც აუცილებელია ჩამოყალიბდეს მონიტორინგისა და შეფასების მართვის სათანადო სისტემა და პროექტში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობისა და მათთან კონსულტაციის მექანიზმები. ამდენად, ეს კომპონენტი დახმარებას გაუწევს პროექტის შემსრულებელს, რომელიც პასუხისმგებელია პროექტის საქმიანობის ტექნიკურ განხორციელებაზე, ფინანსურ მენეჯმენტსა და შესყიდვებზე, პროექტის შედეგების საერთო მონიტორინგზე, პროექტის მიმდინარეობის ანგარიშების წარმოებაზე და გარემოსდაცვით და სოციალურ პრინციპებთან შესაბამისობაზე, მათ შორის მისაღები ფორმით საჩივრების განხილვის მექანიზმების შექმნაზე.

ეს კომპონენტი დახმარებას გაუწევს შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციას პროექტის განხორციელებასა და საერთო მართვაში, სოციალური და ბუნებრივი გარემოს დაცვის, მონიტორინგის, ანგარიშგებისა და შეფასების, საჩივრების განხილვის მექანიზმების, ფინანსური აუდიტისა და შესყიდვების ასპექტებთან დაკავშირებით, პროექტით გათვალისწინებული აქტივობების წარმატებული განხორციელების უზრუნველსაყოფად. პროექტი დააფინანსებს შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში პროექტის განმახორციელებელი გუნდის ჩამოყალიბებას და მუშაობას. ის ზედამხედველობას გაუწევს და განახორციელებს პროექტის აქტივობებს. პროექტის განმახორციელებელ გუნდს უზემდღვანელებს პროექტის უაღრესად კომპეტენტური მენეჯერი შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციიდან. ამასთან ერთად, ეს კომპონენტი აგრეთვე დააფინანსებს კონსულტაციებს, რომლებიც საჭიროა კონკრეტული ღონისძიებების მომზადებისა და ზედამხედველობისათვის და ხელს შეუწყობს შესაძლებლობების განვითარებას პროექტის ყველა ფიდუციალურ ასპექტში (როგორცაა ფინანსური მენეჯმენტი, შესყიდვები მსოფლიო ბანკის მოთხოვნების შესაბამისად) და ისეთ საკითხებში როგორცაა ეკოლოგიური და სოციალური დაცვა, მონიტორინგი და შეფასება, ტრენინგები, ეკო-გრანტის პროექტების დაფინანსება, სადემონსტრაციო ვიზიტები, ცოდნის დასაგროვებლად საჭირო კვლევები და დამატებითი საოპერაციო ხარჯები. ამ კონტექსტში, პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი მოიცავს პროექტის მენეჯერს, რომელიც სრულ განაკვეთზე იმუშავებს პროექტის ყველა საქმიანობის ზედამხედველობაზე და ზედამხედველობაზე და პროექტის ყოველდღიურ მენეჯმენტზე. გარდა ამისა, სპეციალისტები/ექსპერტები ნდობის მენეჯმენტის, შესყიდვების, გარემოსდაცვითი და სოციალური დაცვის, ეკო-გრანტის კონკურსის სამდივნოსა და კომუნიკაციის საკითხებში დაიქირავენ, რათა განახორციელონ პროექტის საერთო მენეჯმენტი რეგიონულ დონეზე. ამ კონტექსტში, პროექტის განმახორციელებელ გუნდს ეყოლება პროექტის მენეჯერი, რომელიც სრულ განაკვეთზე იმუშავებს პროექტის ყველა საქმიანობის ზედამხედველობასა და პროექტის ყოველდღიურ მენეჯმენტზე. გარდა ამისა, რეგიონულ დონეზე პროექტის საერთო მენეჯმენტის განსახორციელებლად პროგრამა დაიქირავებს ფიდუციალური მენეჯმენტის, შესყიდვების, გარემოს დაცვისა და სოციალური დაცვის და კომუნიკაციის სპეციალისტებს/ექსპერტებს და ეკო-გრანტების კონკურსის სამდივნოს თანამშრომლებს.

2.5. პროექტით მოსარგებლენი

პროექტი სარგებელს მოუტანს შავი ზღვის რეგიონის ყველა ზღვისპირა ქვეყანას და მათ მომიჯნავე ქვეყნებს. გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მხარდაჭერით, საქართველო, უკრაინა, თურქეთი და მოლდოვას რესპუბლიკა პირდაპირ დახმარებას მიიღებენ პროგრამის 1-ელ და მე-2 კომპონენტებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების პროცესში. შავი ზღვის თითოეულ ზღვისპირა და მომიჯნავე ქვეყანას სარგებელს მოუტანს რეგიონული დიალოგები და შესაძლებლობების განვითარების ღონისძიებები, რომლებიც გათვალისწინებულია 1-ელ კომპონენტში. გარდა ამისა, თითოეულ ქვეყანაში ძირითად დაინტერესებულ მხარეებად იდენტიფიცირებულ შესაბამის სამინისტროებს სარგებელს

მოუტანს დიალოგის გაუმჯობესებული პლატფორმები, რომლებიც ამ პროგრამის ფარგლებში შეიქმნება (როგორც რეგიონალურ, ისე ეროვნულ დონეზე).

შავი ზღვის რეგიონის მასშტაბით პროგრამა სარგებელს მოუტანს ძალიან ბევრ ორგანიზაციას (სოციალურ მეწარმეებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს / სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მცირე და საშუალო ბიზნესის ორგანიზაციებს, ახალგაზრდულ ჯგუფებს, ბიზნეს-ინკუბატორებს და ბიზნეს-აქსელერატორებს, ბანკებს, დარგობრივ ასოციაციებს, უნივერსიტეტებს და ა.შ.). 1-ელ კომპონენტის ფარგლებში, პროგრამა მოიწვევს ყველა საკვანძო დაინტერესებულ მხარეს საკონსულტაციო შეხვედრებში, დიალოგებსა და შესაძლებლობების ამაღლების ტრენინგებში მონაწილეობის მისაღებად. მე-2 კომპონენტის ფარგლებში, „ეკო-ინოვაციური გამოწვევის“ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და ჯილდოების/გრანტების მისაღებად, სამიზნე ჯგუფები იქნებიან სოციალური მეწარმეები, სამეცნიერო წრეები, არასამთავრობო ორგანიზაციები / სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მცირე და საშუალო ბიზნესი, ახალგაზრდული ჯგუფები. კონსულტაციების სერიის წყალობით, პროგრამამ უკვე მიმართა სამეცნიერო წრეების, კერძო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოებებისა და საჯარო უწყებების 600-ზე მეტ წარმომადგენელს.

3. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და მართვის სამართლებრივი, მარეგულირებელი და პოლიტიკის ჩარჩო

3.1. ეროვნულ დონეზე განსაზღვრული აქტივობების მქონე ქვეყნების სამართლებრივი, ნორმატიული და პოლიტიკის ჩარჩო

შავი ზღვის გალურჯების პროექტი ერთ-ერთია იმ ინიციატივებს შორის, რომლებიც ხელს უწყობენ საერთო საზღვაო დღის წესრიგის განხორციელებას და მის ხელმძღვრე შვიდ ქვეყანას. ეს ქვეყნებია: ბულგარეთი, საქართველო, მოლდოვას რესპუბლიკა, რუმინეთი, რუსეთის ფედერაცია, თურქეთი და უკრაინა. მიუხედავად იმისა, რომ ცოდნის გაცვლისა და სტანდარტების შემუშავების გზით პროგრამა სარგებელს მოუტანს შავი ზღვის ყველა ქვეყანას, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის გადაწყვეტილებით, ახლანდელ კონტექსტში, ეროვნულ დონეზე სამუშაოები განხორციელდება მხოლოდ საქართველოში, მოლდოვას რესპუბლიკაში, თურქეთსა და უკრაინაში. ამ კონტექსტში, მომდევნო თავებში, მოკლედ არის აღწერილი ამ ოთხ ქვეყანაში შესაბამისი სფეროების (გარემოს დაცვის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების, სოციალური დაცვის და შრომის პირობების და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის) მარეგულირებელი კანონმდებლობა.

3.1.1. საქართველოს სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩო

საქართველოში გარემოს დაცვის კანონმდებლობა შემუშავებულია კონსტიტუციის საფუძველზე, რომელიც იძლევა გარემოს დაცვის სამართლებრივი ჩარჩოს არსებობის და

გარემოსდაცვითი ინფორმაციის საჯარო ხელმისაწვდომობის გარანტიას. ბოლო ათწლეულების განმავლობაში, საქართველომ შექმნა გარემოს დაცვის მყარი სამართლებრივი და პოლიტიკური ჩარჩო, რომლის მეშვეობითაც გაკეთდა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის მცდელობა და რომელიც ითვალისწინებს ფართო სამართლებრივი მექანიზმებისა და სტანდარტების გამოყენებას, მათ შორის გზშ, ეკონომიკურ ინსტრუმენტებს, შემოწმებას/ მონიტორინგს და ნებართვებს.

საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი ძალაში 2018 წლის იანვარში შევიდა. ის მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს ქვეყნის კანონმდებლობის დახვეწისა და გარემოსდაცვითი შეფასების კარგ საერთაშორისო პრაქტიკასთან უფრო მჭიდრო შესაბამისობის თვალსაზრისით. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიხედვით გარემოსდაცვითი ნებართვის მოპოვების პროცესი სამი საფეხურისგან შედგება: სკრინინგი, სკოპინგი და გარემოსდაცვითი შეფასება. კოდექსის მთელი სექცია სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას ეთმობა. საქართველოში, გარემოსდაცვითი შეფასების პოლიტიკის განმსაზღვრელი მთავარი უწყებია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. ის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნების განხორციელებას უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტების საშუალებით.

საქართველოს კანონმდებლობა მოიცავს კონსტიტუციას, გარემოსდაცვით კანონებს, საერთაშორისო ხელშეკრულებებს, კანონქვემდებარე აქტებს, ნორმატიულ აქტებს, პრეზიდენტის ბრძანებებს, სამთავრობო განკარგულებებს და მინისტრთა ბრძანებებს, მითითებებს და რეგულაციებს. ეროვნულ რეგულაციებთან ერთად, საქართველოს ხელი აქვს მოწერილი არაერთ საერთაშორისო კონვენციაზე, გარემოს დაცვასთან დაკავშირებული კონვენციების ჩათვლით. ამ კონტექსტში, შესაბამისი ძირითადი გარემოსდაცვითი და სოციალური კანონები და რეგულაციები მოცემულია ქვემოთ ცხრილ 1-ში.

ცხრილი 1. საქართველოს ძირითადი გარემოსდაცვითი და სოციალური კანონმდებლობა

კანონმდებლობა	აღწერილობა	პროექტთან კავშირი
კანონი საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესახებ	კოდექსი ადგენს სამართლებრივ საფუძველს ისეთ პროექტებთან და სტრატეგიულ გეგმებთან / დოკუმენტებთან დაკავშირებული საკითხებისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების რეგულირებისათვის, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე.	ეს კოდექსი ეხება ქვეპროექტების პოტენციური ზემოქმედების შეფასებას, რომელზეც შეიძლება გავრცელდეს ეს კოდექსი.

კანონმდებლობა	აღწერილობა	პროექტთან კავშირი
კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ	კანონი არეგულირებს კანონიერად ორგანიზებულ საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს / ჯანმრთელობას და ეხება კონკრეტულ სახელმწიფო / საზოგადოებრივ ინტერესებს, მათ შორის რესურსების გამოყენებას; ის არეგულირებს საქმიანობას, რომელიც მოითხოვს ლიცენზიებს / ნებართვებს, განსაზღვრავს საჭირო ლიცენზიების / ნებართვების ტიპებს და მათი გაცემის, გადასინჯვის და გაუქმების პროცედურებს.	ეს კანონი ვრცელდება ქვეპროექტებისთვის საჭირო ნებართვებსა და ლიცენზიებზე.
კანონი ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ	ექსპერტიზა ტარდება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ, ისეთი საქმიანობისათვის, რომელიც მოითხოვს გარემოზე ზემოქმედების ნებართვას. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა არის გარემოზე ზემოქმედების ან მშენებლობის ნებართვის განუყოფელი ნაწილი.	ეს კანონი ეხება ქვეპროექტების მიერ გარემოზე პოტენციურ ზემოქმედებას.
კანონი გარემოს დაცვის შესახებ	ეს კანონი არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობას სახელმწიფო ორგანოს ორგანოებსა და ფიზიკურ პირებს ან იურიდიულ პირებს შორის გარემოს დაცვის სფეროში და ბუნების გამოყენებაში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის მის ტერიტორიულ წყლებში, საჰაერო სივრცეში, კონტინენტურ შელფსა და სპეციალურ ეკონომიკურ ზონაში.	ეს კანონი ეხება ქვეპროექტების მიერ გარემოზე პოტენციურ ზემოქმედებას..
კანონი წიაღის შესახებ	ეს კანონი არეგულირებს ბუნებრივი რესურსების მდგომარეობას და მინერალური რესურსების შესწავლისა და გამოყენების პროცესებს.	ეს კანონი ეხება ქვეპროექტების პოტენციურ ზემოქმედებას მიწის წიაღზე.
კანონი საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის შესახებ	ეს კოდექსი ადგენს სამართლებრივ პირობებს იმ ზომების განსახორციელებლად, რომლებიც მიზნად ისახავს ნარჩენების წარმოქმნის პრევენციას და ხელმეორე გამოყენებას - ნარჩენების ეკოლოგიურად ჯანსაღ დამუშავებას.	ეს კოდი ეხება სახიფათო და არა-სახიფათო ნარჩენების მართვას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ქვეპროექტების ყველა ეტაპზე.
კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ	ეს კანონი არეგულირებს ატმოსფერული ჰაერის დაცვას ანთროპოგენული ზემოქმედებისაგან.	ეს კანონი ეხება ემისიების გამომწვევ საქმიანობას და ქვეპროექტებით გამოწვეულ ემისიებს.

კანონმდებლობა	აღწერილობა	პროექტთან კავშირი
კანონი წყლის შესახებ	ეს კანონი არეგულირებს წყლის გამოყენებას, განსაზღვრავს წყლის მომხმარებელთა უფლებებსა და მოვალეობებს, ადგენს წყლის გამოყენების ლიცენზიების ტიპებს, მათი გაცემის წესებსა და პირობებს, განიხილავს ლიცენზიის მოქმედების შეჩერების, მოხსნისა და ჩამორთმევის პირობებს და არეგულირებს წყლის ნაკადებს.	ეს კანონი ეხება ქვეპროექტების ყველა საქმიანობას, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე.
კანონი ველური ბუნების შესახებ	ეს კანონი არეგულირებს ველური ბუნების დაცვას და გამოყენებას ნადირობისა და თევზაობის ჩათვლით.	ეს კანონი ეხება ქვეპროექტების პოტენციურ ზემოქმედებას ველურ ბუნებაზე.
კანონი „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ	ეს კანონი იძლევა სამართლებრივ განმარტებებს და კლასიფიკაციებს. მასში მოცემულია შესაბამისი მეთოდოლოგიური საკითხები და რეკომენდაციები „წითელი ნუსხის“ სახეობების იდენტიფიცირებასა და კატეგორიების დადგენასთან დაკავშირებით და „საქართველოს წითელი წიგნის“ წარმოების შესახებ.	ეს კანონი ეხება ქვეპროექტების პოტენციურ ზემოქმედებას საფრთხის ქვეშ მყოფ სახეობებზე და მათ ჰაბიტატებზე.
კანონი საქართველოს ტყის კოდექსის შესახებ	ეს კოდექსი არეგულირებს ურთიერთობებსა და სახელმწიფო პოლიტიკას ტყის მართვის, გამოყენების და დაცვის სფეროში.	ეს კანონი ეხება ქვეპროექტების პოტენციურ ზემოქმედებას ტყის ტერიტორიებზე.
კანონი ნიადაგის დაცვის შესახებ	ეს კანონი ადგენს ნეგატიური ზემოქმედებისგან ნიადაგის რესურსების დაცვისა და შენარჩუნების მოთხოვნებსა და პრინციპებს.	ეს კანონი ეხება ქვეპროექტების პოტენციურ ზემოქმედებას ნიადაგზე.
კანონი ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ	ეს კანონი უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიაზე ნიადაგის კონსერვაციას და გაუმჯობესებას, განსაზღვრავს სამართლებრივ პრინციპებს, ზომებს, შეზღუდვებს და აკრძალვებს; ადგენს ნიადაგის კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენის გაუმჯობესების ღონისძიებებს.	ეს კანონი ეხება ქვეპროექტების პოტენციურ პირდაპირ ზემოქმედებას ნიადაგის ნაყოფიერებაზე.
კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ	ეს კანონი ქმნის სამართლებრივ საფუძველს დაცული ტერიტორიების დაგეგმვის, ჩამოყალიბების, მოვლისა და კატეგორიების მინიჭებისათვის და ადგენს თითოეული კატეგორიის დაცული ტერიტორიის დაფინანსებასთან დაკავშირებულ საკითხებს.	ეს კანონი ეხება ქვეპროექტების პოტენციურ ზემოქმედებას დაცულ ტერიტორიებზე.
კანონი საქართველოს ზღვისპირა და მდინარის ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ	ეს კანონი ადგენს გარემოს უარყოფითი ზემოქმედებისგან ზღვისპირა ზონებისა და მდინარეთა ნაპირების დაცვის ზოგად პრინციპებსა და მოთხოვნებს.	ეს კანონი ეხება ქვეპროექტების პოტენციურ ზემოქმედებას წყალსატევებზე, ზღვისპირა ზონებისა და მდინარეთა ნაპირების ჩათვლით.

კანონმდებლობა	აღწერილობა	პროექტთან კავშირი
კანონი საშიში ნივთიერებებით გამოწვეული ზიანის კომპენსაციის შესახებ	ეს კანონი ადგენს გარემოზე საშიში ნივთიერებების ჩაშვებით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედების კომპენსირების პრინციპებსა და პროცედურებს.	ეს კანონი ეხება საშიში ნივთიერებების გამოყენებას და მათ ზემოქმედებას.
კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ	ეს კანონი არეგულირებს სახელმწიფო ორგანოების, დამსაქმებლების, დასაქმებულთა, თანამშრომელთა წარმომადგენლების და სამუშაო ადგილზე მყოფი სხვა პირების უფლებებს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს, რომლებიც უკავშირდება უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნას.	ეს კანონი ეხება ქვეპროექტების ფარგლებში შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებულ ყველა საკითხს.
კანონი საქართველოს შრომის კოდექსის შესახებ	ეს კოდექსი არეგულირებს შრომით ურთიერთობებს, თუ ასეთი ურთიერთობები სხვაგვარად არ არის დარეგულირებული საქართველოს მიერ ხელმოწერილი საერთაშორისო ხელშეკრულებებით.	ეს კოდექსი ეხება ქვეპროექტების ფარგლებში შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებულ ყველა საკითხს.
კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ	ეს კანონი არეგულირებს ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად დაკავშირებულ საქმიანობას.	ეს კანონი ეხება ქვეპროექტების პოტენციურ ზემოქმედებას ადამიანის ჯანმრთელობაზე.
კანონი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ	ეს კანონი ადგენს კომპენსაციის თანხებს, რომლებიც გადახდილი უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების არასასოფლო სამეურნეო მიზნებისთვის გამოყოფის, გამოყენების ან გადაკეთების დროს.	ეს კანონი არ ეხება ქვეპროექტებს, რადგან ქვეპროექტებს, რომლებიც შეიძლება მოითხოვდეს მიწის შესყიდვას და გარდაქმნას დაფინანსების მიღების უფლება არ ექნებათ.
კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ	ეს კანონი ადგენს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროცედურებს და არქეოლოგიური კვლევებისთვის ნებართვების გაცემის პროცედურებს.	ეს კანონი არ ეხება ქვეპროექტებს, რადგან ქვეპროექტებს, რომლებსაც კულტურულ მემკვიდრეობაზე უარყოფითი გავლენის მოხდენა შეუძლიათ, დაფინანსების მიღების უფლება არ ექნებათ.

3.1.2. მოლდოვას რესპუბლიკის სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩო

2014 წლის 27 ივნისს მოლდოვას რესპუბლიკამ ხელი მოაწერა ასოცირების ხელშეკრულებას ევროკავშირთან, ევროპის ატომური ენერგიის თანამეგობრობასთან და მათ წევრ სახელმწიფოებთან. ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, ქვეყანამ აიღო ვალდებულება დანერგოს ევროკავშირის შესაბამისი გარემოსდაცვითი კანონმდებლობა მის ეროვნულ

სამართლებრივ სისტემაში, ეროვნული კანონმდებლობის, რეგულაციებისა და პროცედურების მიღების ან შეცვლის გზით, რაც ევროკავშირთან პოლიტიკურ ასოცირებას და ეკონომიკურ ინტეგრაციას ისახავს მიზნად. მოლდოვას რესპუბლიკაში გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემა და გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზშ), ეკოლოგიური შეფასება და ეკოლოგიური ექსპერტიზის პროცედურა რეგულირდება შემდეგი აქტებით:

- კანონი გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ (აკონკრეტებს გარემოსდაცვითი შეფასების აუცილებელ პროცედურებს და იგი ჰარმონიზებულია ევროკავშირის გზშ-ს დირექტივასთან);
- კანონი ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ
- სხვა რელევანტური ნორმატიული აქტები

კანონის თანახმად, ყველა პროექტი იყოფა სამ ძირითად კატეგორიად:

- პირველი კატეგორია - პროექტები, რომლებიც საჭიროებენ სრულ გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და შეიძლება შემუშავდეს (დეტალური დიზაინი) მხოლოდ სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტის მიერ გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დადებითი დასკვნის გაცემის შემდეგ;
- მეორე კატეგორია - პროექტები, რომლებიც საჭიროებენ პროექტის საქმიანობის ეკოლოგიურ დასაბუთებას. პროექტის საპროექტო დოკუმენტაციაში უნდა შევიდეს გარემოსდაცვითი საკითხებისადმი მიძღვნილი სპეციალური თავი და შესაბამისად მშენებლობის დაწყებამდე საჭიროა იყოს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტის დადებითი დასკვნა;
- მესამე კატეგორია - ყველა სხვა პროექტი, რომელსაც არ სჭირდება გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და იყოს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტის მიერ დასკვნის გაკეთების ოფიციალური პროცედურების გავლა;

მოლდოვას რესპუბლიკის კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ფაზაშია და რელევანტური კანონმდებლობის უმეტესობა უკვე მიღებულია. ამ კონტექსტში, მოლდოვას რესპუბლიკის ძირითადი გარემოსდაცვითი და სოციალური კანონები და რეგულაციები ჩამოთვლილია ქვემოთ მოყვანი ცხრილ 2-ში.

ცხრილი 2. მოლდოვას რესპუბლიკის ძირითადი გარემოსდაცვითი და სოციალური კანონმდებლობა

კანონმდებლობა	აღწერა	რელევანტურობა პროექტისთვის
კანონი გარემოს დაცვის შესახებ	ეს კანონი უზრუნველყოფს გარემოს დაცვის როგორც ეროვნული პრიორიტეტის დაცვის აღსრულებას მოქალაქეთა საკეთილდღეოდ, ეკონომიკური და საჯარო ინტერესების რეალიზაციას და ასევე მდგრად განვითარებას.	ეს კანონი ეხება ქვეპროექტების გარემოზე პოტენციურ ზემოქმედებას.

კანონმდებლობა	აღწერა	რელევანტურობა პროექტისთვის
კანონი სტრატეგიული ეკოლოგიური შეფასების შესახებ	ამ კანონის მიზანია სტრატეგიული ეკოლოგიური შეფასების სამართლებრივი საფუძვლის შექმნა გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად, ასევე ზოგიერთი გეგმის და პროგრამის უარყოფითი ზემოქმედების პრევენცია და მინიმუმამდე დაყვანა	ეს კანონი ეხება გეგმების და პროგრამის ეკოლოგიური ზემოქმედების პოტენციალს და არ არის რელევანტური ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოთი განსაზღვრული ქვეპროექტისთვის
კანონი გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ	ამ კანონის მიზანია სამართლებრივი საფუძვლის უზრუნველყოფა გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესისთვის რომელიც უნდა განხორციელდეს კანონით განსაზღვრული პროექტების ტიპებისთვის	ეს კანონი ეხება ქვეპროექტების პოტენციურ ზემოქმედებას და დაკავშირებულ ეროვნულ მოთხოვნებს დასამტკიცებლად
კანონი წყლის შესახებ	ეს კანონი ადგენს რეგულირების საფუძველს ზედაპირული და გრუნტის წყლების მონიტორინგის, შეფასების, მართვის, დაცვის და ეფექტური გამოყენებისთვის, წყლით სარგებლობის უფლებების განსაზღვრად და წყლის რესურსებზე ინვესტიციების მხარდასაჭერად, და განსაზღვრავს წყლის დაცვის მექანიზმებს.	ეს კანონი ეხება ქვეპროექტების ყველა საქმიანობას რამაც შეიძლება ზემოქმედება იქონიოს ზედაპირულ და გრუნტის წყლებზე
კანონი სასმელი წყლის ხარისხის შესახებ	ეს კანონი ადგენს სამართლებრივ საფუძველს სასმელი წყლის რესურსების ხარისხის დასაცავად და სამართავად	ეს კანონი ადგენს ქვეპროექტების ფარგლებში გამოსაყენებელ სასმელ წყალთან დაკავშირებულ სტანდარტებს
კანონი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ზედამხედველობის შესახებ	ეს კანონი არეგულირებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ზედამხედველობას, ადგენს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ზოგად მოთხოვნებს, ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებებს და ვალდებულებებს, და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სახელმწიფო ზედამხედველობის სისტემის ორგანიზების პროცედურას	ეს კანონი ეხება ქვეპროექტების პოტენციურ ზემოქმედებას ჯანმრთელობაზე
კანონი სახელმწიფოს მიერ დაცული ბუნებრივი ტერიტორიების ფონდის შესახებ	ეს კანონი ადგენს სამართლებრივ საფუძველს სახელმწიფოს მიერ დაცული ბუნებრივი ტერიტორიებისთვის დაფინანსების განაწილებას, დაცვის პრინციპებს, მექანიზმებს და პროცედურებს, და განსაზღვრავს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციების და მოქალაქეების პასუხისმგებლობებს.	ეს კანონი ეხება ბუნებრივ ტერიტორიებთან დაკავშირებული ქვეპროექტების პოტენციურ ზემოქმედებას
კანონი მშენებლობის პროცესში ხარისხის დაცვის შესახებ	ეს კანონი განსაზღვრავს სამართლებრივ, ტექნიკურ და ეკონომიკურ მოთხოვნებს სამშენებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველსაყოფად	ეს კანონი ადგენს სამშენებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ სტანდარტებს

კანონმდებლობა	აღწერა	რეგულატორული პროექტისთვის
კანონი არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის შესახებ	ეს კანონი არეგულირებს არქეოლოგიურ კვლევას და არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვას.	ეს კანონი არ არის რეგულატორული ქვეპროექტებისთვის, რამდენადაც ქვეპროექტები რომლებმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კულტურულ მემკვიდრეობაზე არ აკმაყოფილებს დაფინანსების მიღების მოთხოვნებს
კანონი წითელი წიგნის შესახებ	ეს კანონი იძლევა სამართლებრივ განსაზღვრებებს და კლასიფიკაციებს რეგულატორული მეთოდოლოგიური საკითხების და რეკომენდაციების ჩათვლით მოლდოვას წითელ წიგნში შესატანი სახეობების იდენტიფიკაციისთვის და კლასიფიკაციისთვის, ისევე როგორც აღნიშნული სახეობების დაცვის მოთხოვნების განსაზღვრისთვის და ადგენს შესაბამისი უწყებების პასუხისმგებლობებს.	ეს კანონი ეხება ქვეპროექტების ნებისმიერ პოტენციურ ზემოქმედებას წითელ წიგნში შეტანილ სახეობებზე და მათ ჰაბიტატებზე
კანონი ფიტოსანიტარიის და ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების საშუალებების შესახებ	ეს კანონი ჰარმონიზებულია 2009/128/EC დირექტივის 1-ლ და მე-3 მუხლებთან პესტიციდების გამოყენების სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრის შესახებ.	ეს კანონი ადგენს პესტიციდების გამოყენებასთან დაკავშირებულ სტანდარტებს
კანონი ნარჩენების შესახებ	ეს კანონი ადგენს მყარი ნარჩენების და ნარჩენების ბუნებრივ რესურსებზე ზემოქმედების მართვის საფუძველს.	ეს კანონი ეხება ქვეპროექტებთან დაკავშირებული ნარჩენების მართვას
კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ	ეს კანონი ეხება ჰაერის ხარისხის მართვას და ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე გამონაბოლქვის ძირითადი ზემოქმედების პრევენციას	ეს კანონი ეხება ქვეპროექტების განხორციელების დროს ჰაერში გამონაბოლქვს
კანონი ჯანდაცვის და შრომის უსაფრთხოების შესახებ	ეს კანონი არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს სამუშაო ადგილზე მშრომელთა უსაფრთხოების და ჯანმრთელობის უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებით.	ეს კანონი ეხება შრომის კანონმდებლობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საქმიანობას ქვეპროექტების განხორციელების განმავლობაში
შრომის კოდექსი	ეს კოდექსი არეგულირებს ინდივიდუალურ და კოლექტიურ შრომით ურთიერთობებს, შრომით იურისდიქციას და ასევე სხვა ურთიერთობებს რომლებიც უშუალოდ უკავშირდება შრომით რესურსებს	ეს კოდექსი ეხება ქვეპროექტების განხორციელების დროს არსებულ შრომით საქმიანობას
კანონი ქალსა და მამაკაცს შორის	ამ კანონის მიზანია ქალის და მამაკაცის თანასწორი უფლებების უზრუნველყოფა პოლიტიკურ,	ეს კანონი არეგულირებს ქვეპროექტების

კანონმდებლობა	აღწერა	რელევანტურობა პროექტისთვის
თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფის შესახებ	ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და სამუშაო გარემოში და დისკრიმინაციის ყველა ფორმის პრევენცია და აღმოფხვრა.	განხორციელებასთან დაკავშირებულ გენდერულ საკითხებს
კოდექსი მიწის წიაღს შესახებ	ეს კოდექსი განიხილავს მიწის წიაღის რაციონალური გამოყენების და დაცვის მნიშვნელობას სახელმწიფოს და მოქალაქეების ინტერესების დაცვის მიზნით	ეს კოდექსი ეხება ქვეპროექტების ზემოქმედებას მიწის წიაღზე
კოდექსი ტყის შესახებ	სატყეო კანონმდებლობა გამიზნულია ტყის მართვის მდგრადი პრინციპების დასადგენად, ტყეების აღსადგენად და დასაცავად, შესანარჩუნებლად და ბიომრავალფეროვნების გასაუმჯობესებლად	ეს კოდექსი ეხება ტყეებზე ქვეპროექტების პოტენციურ ზემოქმედებას
კანონი წყალმომარაგების და წყალარინების საჯარო მომსახურების შესახებ	ამ კანონის მიზანია სტანდარტების დადგენა წყალმომარაგების და წყალარინების სერვისებისთვის. ეს კანონი მოიცავს საჯარო და კერძო ინსტიტუტების მართვის და მონიტორინგის ღონისძიებებს/ მოთხოვნებს, ისევე როგორც ხარისხის სტანდარტებს და როლებს.	ეს კანონი ეხება წყალმომარაგებასთან და წყალარინებასთან დაკავშირებულ პოტენციურ ქვეპროექტებს და მათ ზემოქმედებას

3.1.3. თურქეთის სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩო

1983 წლის აგვისტოში რატიფიცირებული კანონი გარემოს დაცვის შესახებ თურქეთის ერთ-ერთი მთავარი კანონია გარემოსა და მისი დაცვის სფეროში. ამ კანონის შესაბამისად მიღებულია და მოქმედებს რამდენიმე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების მარეგულირებელი დებულება ადგენს ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პროცედურებს და პრინციპებს, რომელთა დაცვა სავალდებულოა გზშ-ს განხორციელების პროცესში. აქტივობის (პროექტის) დაგეგმვისას, პროექტის შემმუშავებელი პირი პასუხისმგებელია მოამზადოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, პროექტის განხორციელებისთვის საჭირო სხვა მრავალ ნებართვასთან ერთად. თუმცა, ობიექტებისთვის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადების ვალდებულება დამოკიდებულია ობიექტის ტიპზე, მის სიმძლავრეზე ან საქმიანობის ადგილმდებარეობაზე. საქმიანობები, რომლებზეც „გარემოზე ზემოქმედების შეფასების რეგულაცია ვრცელდება, ჩამოთვლილია დებულების პირველ და მეორე დანართებში. დანართ 1-ში მოყვანილი საქმიანობებისათვის საჭიროა გზშ-ს სრული ანგარიში და ეს პროექტები გადის გარემოზე ზემოქმედების შეფასების სრულ პროცესს. დანართ 2-ში ჩამოთვლილი საქმიანობებისთვის, საკმარისია პროექტის აღწერილობის დოკუმენტის მზადდება, დებულებაში მოცემული შაბლონის მიხედვით, და შესაბამისი პროცესის ჩატარება.

თურქეთი იმყოფებოდა ევროკავშირში გაწევრიანების პროცესში და თურქეთის კანონმდებლობაში ძირითადად ასახულია ევროკავშირის ნორმები. ამ კონტექსტში, თურქეთის ძირითადი გარემოსდაცვითი და სოციალური კანონები და ნორმატიული აქტები ჩამოთვლილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

ცხრილი.3. თურქეთის ძირითადი გარემოსდაცვითი და სოციალური კანონმდებლობა

კანონმდებლობა	აღწერა	რელევანტურობა პროექტისთვის
კანონი გარემოს დაცვის შესახებ	ამ კანონის მიზანია გარემოს როგორც საერთო აქტივის დაცვა მდგრადი გარემოს და განვითარების პრინციპების შესაბამისად.	ეს კანონი ეხება ნებართვებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს ქვეპროექტებისთვის
კანონი ტყის შესახებ	ამ კანონის მიზანია პროცედურების და პრინციპების განსაზღვრა ტყეების და ტყის მასივების დაცვასთან დაკავშირებით	ეს კანონი ეხება ქვეპროექტების პოტენციურ ზემოქმედებას ტყეებთან დაკავშირებით
კანონი მიწისქვეშა წყლების შესახებ	გრუნტის წყლები სახელმწიფოს მიერ რეგულირებად სახელმწიფო წყლის რესურსებს შორისაა. აღნიშნული წყლების ყველა სახის კვლევა, გამოყენება, დაცვა და რეგისტრაცია ამ კანონის დებულებებს ექვემდებარება.	ეს კანონი ეხება საქმიანობას, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მიწისქვეშა წყლებზე
კანონი შრომითი რესურსების შესახებ	ამ კანონის მიზანია დასაქმების ხელშეწყობის საფუძველზე ყველა თანამშრომლის უფლებების და პასუხისმგებლობების რეგულირება სამუშაო პირობებთან და სამუშაო გარემოსთან დაკავშირებით.	ეს კანონი ეხება ყველა ქვეპროექტის ფარგლებში შრომასთან დაკავშირებულ ყველა საქმიანობას
კანონი ეროვნული პარკების შესახებ	ამ კანონის მიზანია ადგილობრივი და საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ეროვნულ პარკებთან, ბუნებრივ პარკებთან, ბუნების ძეგლებთან და დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებთან დაკავშირებული პრინციპების და მათი დაცვის, განვითარების და მართვის რეგულირება მათი მახასიათებლების გაუარესების გარეშე.	ეს კანონი ეხება ყველა ქვეპროექტის პოტენციურ ზემოქმედებას ეროვნულ პარკებზე
კანონი შრომის უსაფრთხოების და ჯანდაცვის შესახებ	ამ კანონის მიზანია დამსაქმებელთა და დასაქმებულების მოვალეობების, ძალაუფლების, პასუხისმგებლობების, უფლებების და ვალდებულებების რეგულირება სამუშაო ადგილზე შრომის ჰიგიენის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით და არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.	ეს კანონი ეხება ქვეპროექტების ფარგლებში ყველა საქმიანობას
კანონი საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესახებ	ამ კანონის მიზნებია ქვეყნის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება და ბრძოლა ყველა დაავადების ან დაავადების გამომწვევის წინააღმდეგ რომელიც ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას; მომავალი თაობებისთვის ჯანსაღი საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა; და მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი სამედიცინო და სოციალური დახმარების მიწოდება.	ეს კანონი ეხება ქვეპროექტების პოტენციურ ზემოქმედებას ჯანმრთელობაზე

კანონმდებლობა	აღწერა	რელევანტურობა პროექტისთვის
კანონი ნიადაგის დაცვის და მიწათსარგებლობის შესახებ	ამ კანონის მიზანია პროცედურების და პრინციპების განსაზღვრა რომლებიც უზრუნველყოფს ნიადაგის კონსერვაციას და განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო მიწის კლასიფიკაციას, სასოფლო-სამეურნეო მიწის დაგეგმილ გამოყენებას და აღნიშნული მიწიდან საკმარისი შემოსავლის მიღებას გარემოსდაცვითი პრიორიტეტების მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად.	ეს კანონი ეხება ქვეპროექტების პოტენციურ ზემოქმედებას ნიადაგზე
კანონი სანაპირო ზოლის შესახებ	ამ კანონის მიზანია პრინციპების განსაზღვრა ზღვის, ბუნებრივი და ხელოვნური ტბების და მდინარის ნაპირების და სანაპირო ბუფერული ზონების დასაცავად, ყურადღების გამახვილებით მათ ბუნებრივ და კულტურულ მახასიათებლებზე და მათ გამოყენებაზე საჯარო ინტერესებში და წვდომაზე საზოგადოების სასარგებლოდ.	ეს კანონი ეხება სანაპირო ზოლზე ყველა სახის ზემოქმედებას
კანონი წყლის პროდუქტების შესახებ	ეს კანონი მოიცავს თევზჭერის პროდუქტების დაცვასთან, წარმოებასთან და კონტროლთან დაკავშირებულ საკითხებს.	ეს კანონი ეხება ყველა სახის ზემოქმედებას თევზჭერის მეურნეობებზე
წესი ნარჩენების მართვის შესახებ	ამ წესის მიზნებია: ნარჩენების მართვა მათი წარმოქმნის მომენტიდან განკარგვამდე გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების გარეშე, ნარჩენების ფორმირების შემცირება, ნარჩენების ხელახალი გამოყენება, რეციკლირება, ნარჩენების აღდგენა, ამ წესით განსაზღვრული პროდუქტების წარმოებასთან და საბაზრო ზედამხედველობასთან და შემოწმებასთან დაკავშირებული ზოგადი პრინციპების და პროცედურების განსაზღვრა, რომლებსაც აქვს კონკრეტული კრიტერიუმები, ძირითადი პირობები და მახასიათებლები გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით.	ეს წესი ეხება უსაფრთხო და საფრთხის შემცველი მყარი ნარჩენების მართვას.
წესი ნარჩენების ნაგავსაყრელის შესახებ	ეს წესი განსაზღვრავს ნარჩენების ნაგავსაყრელზე განთავსების პრინციპებს, ნაგავსაყრელების დაგეგმვის და დაპროექტების, მშენებლობის და ოპერირების და ნარჩენების ნაგავსაყრელზე განთავსების პოტენციური ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანის ჩათვლით.	ეს წესი ეხება ნარჩენების ნაგავსაყრელებზე განთავსებას

კანონმდებლობა	აღწერა	რეგულაციური პროექტისთვის
წყლის წყლის დაბინძურების კონტროლის შესახებ	ამ წესის მიზანია სამართლებრივი და ტექნიკური პრინციპების განსაზღვრა წყლის დაბინძურების პრევენციისთვის მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად, თურქეთის მიწისქვეშა და ზედაპირული წყლის რესურსების დასაცავად და საუკეთესო გამოყენების უზრუნველსაყოფად.	ეს წესი ეხება ყველა საქმიანობას რომელის გავლენას ახდენს ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე
წყლის ადამიანის მიერ მოხმარებისთვის განკუთვნილი წყლის შესახებ	ამ წესის მიზანია ადამიანის მოხმარებისთვის განკუთვნილი წყლის ტექნიკურ და ჰიგიენურ პირობებთან შესაბამისობის პროცედურების და პრინციპების რეგულირება სტანდარტების შესაბამისი წყლის მისაწოდებლად, წყაროს და სასმელი წყლის საწარმოებლად, შესაფუთად, ეტიკეტირებისთვის, გაყიდვისა და შემოწმებისთვის.	ეს წესი ადგენს ქვეპროექტებისთვის მიწოდებულ სასმელ წყალთან დაკავშირებულ სტანდარტებზე.
წყლის წყალში და მის გარშემო საფრთხის შემცველი ნივთიერებებით გამოწვეული დაბინძურების კონტროლის შესახებ	ამ წესის მიზანია საფრთხის შემცველი ნაერთებით გამოწვეული დაბინძურების გამოვლენა, პრევენცია და ეტაპობრივი შემცირება წყალში და მის გარშემო.	ეს წესი ეხება საფრთხის შემცველი ნაერთების გამოყენებას და მათ ზემოქმედებას წყალსატევებზე ქვეპროექტების ყველა ეტაპზე
წყლის მიწისქვეშა წყლების დაბინძურებისგან და დეგრადაციისგან დაცვის შესახებ	ამ წესის მიზანია მიწისქვეშა წყლების არსებული მდგომარეობის შესანარჩუნებლად აუცილებელი პრინციპების განსაზღვრა მიწისქვეშა წყლების დაბინძურების და დეგრადაციის პრევენციის მიზნით.	ეს წესი ეხება ყველა საქმიანობას, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს მიწისქვეშა წყლებზე .
წყლის ზედაპირული წყლების ხარისხის შესახებ	ამ წესის მიზანია: ზედაპირული, სანაპირო და შუალედური წყლების ბიოლოგიური, ფიზიკურ-ქიმიური და ჰიდრომორფოლოგიური თვისებების განსაზღვრა და კლასიფიკაცია, წყლის ხარისხის და რაოდენობის მონიტორინგი, სასმელი წყლის სტატუსის შესანარჩუნებლად, დასაცავად და მისაღწევად ღონისძიებების განხორციელების პროცედურების განსაზღვრა დაცვის და სარგებლობის ბალანსის გათვალისწინებით.	ეს წესი ეხება ყველა საქმიანობას, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს ზედაპირულ წყლებზე.

კანონმდებლობა	აღწერა	რეგულაციური პროექტისთვის
წესი ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის მიმდინარე სტატუსის განსაზღვრა	ამ წესის მიზანია ყველა ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის მიმდინარე სტატუსის განსაზღვრა რაოდენობის, ხარისხის და ჰიდრომორფოლოგიური ელემენტების თვალსაზრისით, წყლის მონიტორინგი ეკოსისტემის მთლიანობაზე დამყარებული მიდგომით, პროცედურების და პრინციპების განსაზღვრა მონიტორინგის სტანდარტიზაციისთვის და კოორდინაციის უზრუნველსაყოფად მონიტორინგის ინსტიტუტებს და ორგანიზაციებს შორის.	ეს წესი ეხება ყველა საქმიანობას, რომელიც გავლენას ახდენს ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე.
წესი ურბანული ჩამდინარე წყლების დამუშავების შესახებ	ამ წესის მიზანია გარემოს დაცვა ურბანული ჩამდინარე წყლების შეგროვების, დამუშავების და გამოყოფის მავნე ზემოქმედებისგან გარკვეული სამრეწველო სექტორების ჩათვლით.	ეს წესი ეხება ჩამდინარე წყლების დამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა ქვეპროექტს და მათ პოტენციურ ზემოქმედებას.
წესი ჰაერის ხარისხის შეფასების და მართვის შესახებ	ამ წესის მიზანია ჰაერის ხარისხის სამიზნე მაჩვენებლების განსაზღვრა და დადგენა გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე ჰაერის დაბინძურების მავნე ზემოქმედების პრევენციის და შემცირების მიზნით, ჰაერის ხარისხის შეფასება განსაზღვრული მეთოდების და კრიტერიუმების საფუძველზე, არსებული მდგომარეობის დაცვა იქ სადაც ჰაერის ხარისხი კარგია და მისი გაუმჯობესება სხვა შემთხვევებში, საკმარისი ინფორმაციის მოპოვება და საზოგადოების ინფორმირება გამაფრთხილებელი ლიმიტების საშუალებით.	ეს წესი ეხება საქმიანობას რომელიც იწვევს გამონაბოლქვის გამოყოფას
წესი სუნის გამომწვევი გამონაბოლქვის კონტროლის შესახებ	ამ წესის მიზანია სუნის გამომწვევი გამონაბოლქვის კონტროლის და შემცირების ადმინისტრაციული და ტექნიკური პროცედურების და პრინციპების რეგულირება	ეს წესი ეხება ყველა გამონაბოლქვის გამომწვევ საქმიანობას რომელიც სუნს წარმოქმნის .
წესი სათბური გაზის გამოფრქვევის მონიტორინგის შესახებ	ამ წესის მიზანია პროცედურების და პრინციპების რეგულირება სათბური გაზის გამონაბოლქვის მონიტორინგთან, ანგარიშგებასთან და ვერიფიკაციასთან დაკავშირებით რომელიც გამოწვეულია წესის დანართში ჩამოთვლილი საქმიანობებიდან.	ეს წესი ეხება ყველა საქმიანობას რომელიც სათბურის გაზს გამოყოფს .

კანონმდებლობა	აღწერა	რელევანტურობა პროექტისთვის
წესი გარემო ხმაურის შეფასების და მართვის შესახებ	ამ წესის მიზანია აუცილებელი ღონისძიებების გატარების უზრუნველყოფა რომლებიც განაპირობებს ადამიანების სიმშვიდეს გარე ხმაურის პირობებში და მათი ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობის დაცვას; გარემო ხმაურის დონეების განსაზღვრა შეფასების მეთოდების გამოყენებით, ხმაურის რუკების მომზადებით, აკუსტიკური ანგარიშის და გარემო ხმაურის დონის შეფასების ანგარიშის შედგენით, რომელიც საზოგადოებას აწვდის ინფორმაციას გარემო ხმაურის და მისი ზემოქმედების შესახებ, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში როცა გარემო ხმაურის დონე შეიძლება დამაზიანებელ გავლენას ახდენდეს ადამიანის ჯანმრთელობაზე; სამოქმედო გეგმების მომზადება ხმაურის პრევენციისა და შემცირებისთვის და აღნიშნული გეგმების განხორციელების პრინციპების და პროცედურების განსაზღვრა.	ეს წესი ეხება ხმაურის გამომწვევ ყველა საქმიანობას
წესი წერტილოვანი წყაროებით ნიადაგის და მიწის დაბინძურების კონტროლის შესახებ	ამ წესის მიზანია: ნიადაგის დაბინძურების პრევენცია, სფეროების და სექტორების განსაზღვრა სადაც დაბინძურებას აქვს ადგილი ან სავარაუდოა, დაბინძურებული ნიადაგის და ველების დასუფთავების და მონიტორინგის პრინციპების განსაზღვრა მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად.	ეს წესი ეხება ნიადაგთან დაკავშირებით ქვეპროექტების ყველა ზემოქმედებას
წესი გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ	ამ წესის მიზანია ადმინისტრაციული და ტექნიკური პროცედურების და პრინციპების რეგულირება, რომლებიც უნდა შესრულდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში	ეს წესი ეხება ქვეპროექტების პოტენციურ ზემოქმედებას რომელიც შესწავლილ უნდა იქნეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების სახელმწიფო პროცესის საშუალებით.
წესი სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ	ამ წესის მიზანია გარემოს დაცვის მიზნით მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად სტრატეგიული გარემოსდაცვითი პროცესის განმავლობაში შესასრულებელი ადმინისტრაციული და ტექნიკური პროცედურების და პრინციპების რეგულირება, რომლებიც გამოიყენება გარემოსდაცვითი ელემენტების ინტეგრირებისთვის გეგმების/ პროგრამების მომზადების და დამტკიცების პროცესში რომლებიც სავარაუდოდ მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ გარემოზე	ეს წესი ეხება ბუნებრივ გეგმებს და პროგრამებს რომლებიც უნდა შემუშავდეს და არ არის რელევანტური ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოთი გათვალისწინებული ქვეპროექტებისთვის

კანონმდებლობა	აღწერა	რეგულაციური პროექტისთვის
წესი გარემოს აუდიტის შესახებ	ამ წესის მიზანია გარემოსდაცვითი აუდიტის პრინციპების და პროცედურების განსაზღვრა ობიექტის ფუნქციონირების ან საქმიანობის დაწყებიდან მის შეწყვეტამდე; ასევე აუდიტის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციების და ვალდებულებების რეგულირება	ეს წესი ეხება პოტენციურ ქვეპროექტებს რომლებსაც შესაძლოა სჭირდებოდეს გარემოსდაცვითი ნებართვა
წესი გარემოსდაცვითი ნებართვების და ლიცენზიების შესახებ	ამ წესის მიზანია გარემოსდაცვითი ნებართვის და ლიცენზირების პროცესში შესასრულებელი პროცედურების და პრინციპების რეგულირება.	ეს წესი ეხება საჭირო ნებართვებს და ლიცენზიებს და ნებართვების გაცემის პროცესს პოტენციური ქვეპროექტებისთვის რომლებსაც შესაძლოა სჭირდებოდეთ ასეთი ნებართვების მიღება
წესი ჩამდინარე წყლების შეგროვების და განკარგვის სისტემების შესახებ	ამ წესის მიზანია დაგეგმვასთან, დაპროექტებასთან, მშენებლობასთან და ჩამდინარე წყლების კოლექტორთან და გამწმენდ სისტემებთან დაკავშირებული პროცედურების და პრინციპების რეგულირება	ეს წესი ეხება პოტენციურ ქვეპროექტებს, რომლებიც უკავშირდება ჩამდინარე წყლების დამუშავებას
წესი სასოფლო-სამეურნეო მიწის დაცვის, სარგებლობის და დაგეგმვის შესახებ	ამ წესის მიზანია სასოფლო-სამეურნეო მიწის კლასიფიკაცია და განვითარება, რომელიც იძლევა აუცილებლობის შემთხვევაში არამიზნობრივი სარგებლობის საშუალებას, განსაზღვრავს და იცავს სასოფლო-სამეურნეო შესაძლებლობების მქონე ნიადაგს და დიდ ველებს, ამზადებს და წერს ნიადაგის კონსერვაციის გეგმებს და პროექტებს და განსაზღვრავს ეროზიისადმი მგრძნობიარე ტერიტორიებს.	ეს წესი ეხება ქვეპროექტების პოტენციურ ზემოქმედებას ნიადაგთან დაკავშირებით
კანონი კულტურული და ბუნებრივი აქტივების კონსერვაციის შესახებ	ამ კანონის მიზანია მოძრავი და უძრავი კულტურული და ბუნებრივი ქონების განმარტების განსაზღვრა, რომლებიც საჭიროებს დაცვას, განსაზღვრავს ოპერაციების და საქმიანობის რეგულირებას, ორგანიზაციის მოვალეობების დადგენა რომელიც განსაზღვრავს აუცილებელ პრინციპებს და გადაწყვეტილებებს ამ მიმართულებით.	ეს კანონი არ ეხება არცერთ ქვეპროექტს, რამდენადაც ის ქვეპროექტები რომლებიც უარყოფით გავლენას იქონიებენ კულტურულ მემკვიდრეობაზე არ აკმაყოფილებს დაფინანსების მიღების მოთხოვნებს. თუმცა ის გამოყენებული იქნება თუ ქვეპროექტი გულისხმობს რაიმე სახის სამშენებლო სამუშაოს განხორციელებას

კანონმდებლობა	აღწერა	რეგულატურობა პროექტისთვის
კანონი ექსპროპრიაციის შესახებ	ეს კანონი არეგულირებს ვალდებულებებს, პროცედურებს და მეთოდებს რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნეს კერძო და რეალური პირების უძრავი ქონების ექსპროპრიაციის დროს სახელმწიფოს და სახელმწიფო უწყებების მიერ; ექსპროპრიირებული ღირებულების განსაზღვრას; უძრავი ქონების და ადმინისტრაციის სახელზე სერვიტუტის უფლების რეგისტრაციას; გამოუყენებელი უძრავი ქონების უკან დაბრუნებას; და ადმინისტრაციებს შორის უძრავი ქონების გადაცემას	ეს კანონი არ ეხება არცერთ ქვეპროექტს, რამდენადაც ქვეპროექტები რომლებიც მოითხოვს მიწის შეძენას არ აკმაყოფილებს დაფინანსების მიღების მოთხოვნებს.
კანონი განსახლების შესახებ	ამ კანონის მიზანია განსახლების ღონისძიებების რეგულირება იმიგრანტებისთვის, უსახლკარო პირებისთვის, იმ პირებისთვის რომელთა საცხოვრებლის ექსპროპრიაცია მოხდა, ასევე იმ პირობების და ღონისძიებების რეგულირება, რომლებიც უნდა განხორციელდეს ფიზიკური განსახლების ორგანიზებისთვის სოფლებში, განსახლებული ადამიანების უფლებების და ვალდებულებების რეგულირების ჩათვლით.	ეს კანონი არ ეხება არცერთ ქვეპროექტს, რამდენადაც ქვეპროექტები, რომლებიც მოითხოვს მიწის შეძენას არ აკმაყოფილებს დაფინანსების მიღების მოთხოვნებს.

3.1.4. უკრაინის სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩო

უკრაინაში გარემოს, სოციალური, შრომის ჰიგიენის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხების საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩო მოიცავს საერთაშორისო კონვენციებს, უკრაინის კანონებს, უკრაინის მინისტრთა კაბინეტის ბრძანებებსა და დადგენილებებს, სამინისტროების ბრძანებებს, სხვადასხვა ნორმებს, პროცედურებს, სტანდარტებსა და გზამკვლევებს. არსებობს მრავალი სამთავრობო ორგანოს (სამინისტროების, სახელმწიფო უწყებების, სახელმწიფო ინსპექციების, საჯარო სამსახურების და ცენტრალური ხელისუფლების სხვა ორგანოების) მიერ გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რომლებიც განსაზღვრავს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს უფლებამოსილებებს და პროცედურებს გარემოს დაცვის, სოციალური დაცვის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და სხვა საკითხებში.

კანონი გზშ-ს შესახებ 2017 წლის დეკემბერში ამოქმედდა. გარდა ამისა, 2017 წლის დეკემბერში ასევე ამოქმედდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების კანონის განსახორციელებლად საჭირო მეორადი კანონმდებლობა, მათ შორის: დებულება დაგეგმილი საქმიანობის განსაზღვრის კრიტერიუმების, გაფართოების და ცვლილების შესახებ, დებულება გზშ-ს მომზადებისას საჯარო განხილვების ჩატარების პროცედურის შესახებ, დებულება გზშ-ს დასკვნის მოსამზადებლად საჭირო დოკუმენტაციის გადაცემის

პროცედურის შესახებ და დებულება გზშ-ს დაფინანსებისა და გზშ-ს ერთიანი რეესტრის წარმოების პროცედურის შესახებ.

კანონი გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ განსაზღვრავს გარემოზე ზემოქმედების შეფასების სამართლებრივ და ორგანიზაციულ პოლიტიკას, რომლის მიზანია უზრუნველყოს გარემოს დაზიანების თავიდან აცილება და პრევენცია, ეკოლოგიური უსაფრთხოება, გარემოს დაცვა, რაციონალური გამოყენება და ბუნებრივი რესურსების აღდგენა ისეთი ეკონომიკური საქმიანობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში (სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო ინტერესების გათვალისწინებით), რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს გარემოზე. გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში, გარემოსდაცვითი ორგანოებმა (უკრაინის ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის სამინისტრომ ან მიმა რეგიონალურმა ოფისებმა) უნდა მიიღონ გარემოზე ზემოქმედების შეფასება და ანგარიში ექვემდებარება საჯარო განხილვას. ამის საფუძველზე, გარემოსდაცვითი ორგანოები აფიქსირებენ თავიანთ აზრს შეფასების შესახებ და შესაბამისად გასცემენ დაგეგმილი საქმიანობის ნებართვას.

ძირითადი გარემოსდაცვითი და სოციალური კანონები და ნორმატიული აქტები მოცემულია ქვემოთ, ცხრილ 4-ში.

ცხრილი 4. უკრაინის ძირითადი გარემოსდაცვითი და სოციალური კანონმდებლობა

კანონმდებლობა	აღწერა	რელევანტურობა პროექტისთვის
კანონი შრომის დაცვის შესახებ	ეს კანონი განსაზღვრავს ძირითად დებულებებს მშრომელთა კონსტიტუციური უფლების რეალიზაციით შრომითი საქმიანობის დროს მათი სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვასთან, სათანადო, უსაფრთხო და ჰიგიენურ სამუშაო პირობებთან დაკავშირებით, არეგულირებს ურთიერთობებს დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის სამუშაო ადგილზე და წარმოების ჯაჭვში უსაფრთხოებასთან და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებით	ეს კანონი ეხება ქვეპროექტების ფარგლებში განხორციელებულ ყველა შრომით საქმიანობას
კანონი მოსახლეობის სანიტარული და ეპიდემიოლოგიური კეთილდღეობის უზრუნველყოფის შესახებ	ეს კანონი არეგულირებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებს და განსაზღვრავს სახელმწიფო ორგანოების, კომპანიების, ორგანიზაციების და მოქალაქეების უფლებებს და ვალდებულებებს, განსაზღვრავს სახელმწიფო სანიტარული და ეპიდემიოლოგიური სერვისის ორგანიზების პროცედურებს და სანიტარული და ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის განხორციელებას.	ეს კანონი ეხება ქვეპროექტების პოტენციურ ზემოქმედებას ჯანმრთელობასთან დაკავშირებით

კანონმდებლობა	აღწერა	რელევანტურობა პროექტისთვის
კანონი ნარჩენების შესახებ	ეს კანონი განსაზღვრავს სამართლებრივ, ორგანიზაციულ და ეკონომიკურ საფუძველს ნარჩენების ფორმირების პრევენციასთან ან შემცირებასთან, მათ შერგოვებასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან, დახარისხებასთან, გადამუშავებასთან, უტილიზაციასთან და განკარგვასთან, და ასევე ნარჩენების გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების პრევენციასთან დაკავშირებით.	ეს წესი ეხება ნარჩენების მართვას
კანონი გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ	ეს კანონი ადგენს სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძველს გარემოზე ზემოქმედების შეფასებისთვის რომელიც მიმართულია გარემოს ნებისმიერი დაზიანების პრევენციისკენ, ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფისკენ, გარემოს დაცვისკენ, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და რეპროდუქციისკენ.	ეს კანონი ეხება მასში მითითებული ქვეპროექტების პოტენციურ ზემოქმედებას
კანონი გარემოს დაცვის შესახებ	ეს კანონი განსაზღვრავს სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ საფუძველზე გარემოს დასაცავად ახლანდელი და მომავალი თაობების სასარგებლოდ	ეს კანონი ეხება ქვეპროექტების პოტენციურ ზემოქმედებას გარემოზე
კანონი წითელი წიგნის შესახებ	ეს კანონი იძლევა სამართლებრივ განსაზღვრებებს და კლასიფიკაციებს, რელევანტური მეთოდოლოგიური საკითხების და რეკომენდაციების ჩათვლით უკრაინის წითელ წიგნში შეტანილი სახეობების იდენტიფიცირების და კატეგორიების განსაზღვრის შესახებ, ისევე როგორც დაცვის მოთხოვნებს აღნიშნული სახეობებისთვის და შესაბამისი უწყებების პასუხისმგებლობებს	ეს კანონი ეხება ქვეპროექტების ნებისმიერ პოტენციურ ზემოქმედებას წითელ წიგნში შეტანილ სახეობებზე და მათ ჰაბიტატებზე
კანონი ფაუნის შესახებ	კანონი არეგულირებს ურთიერთობებს ფაუნის ობიექტების დაცვის, გამოყენების და რეპროდუქციის სფეროში, იცავს და აუმჯობესებს გარეული ცხოველების ჰაბიტატს, იცავს და უზრუნველყოფს ცხოველთა კონკრეტული სახეობების და მრავალფეროვანი პოპულაციების დაცვის პირობებს.	ეს კანონი ეხება ქვეპროექტების ნებისმიერ პოტენციურ ზემოქმედებას ფაუნის სახეობებზე და ჰაბიტატებზე
კანონი ფლორის შესახებ	ის არეგულირებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს ველური და სხვა არასასოფლო-სამეურნეო მცენარეების, ხავსისნაირების, წყალმცენარეების, ლიქენების და ასევე სოკოების, მათი ჯგუფების და გავრცელების ადგილების დაცვის, გამოყენების და რეპროდუქციის სფეროში	ეს კანონი ეხება ქვეპროექტების ნებისმიერ პოტენციურ ზემოქმედებას ფლორაზე

კანონმდებლობა	აღწერა	რეგულატორობა პროექტისთვის
კანონი სტრატეგიული ეკოლოგიური შეფასების შესახებ	ამ კანონის მიზანია სამართლებრივი საფუძვლის განსაზღვრა სტრატეგიული 'ეკოლოგიური შეფასების განსახორციელებლად გარემოს დაცვის უზრუნველყოფის და ზოგიერთი გეგმის და პროგრამის პოტენციური უარყოფითი გავლენის პრევენციის და მინიმუმამდე დაყვანის მიზნით	ეს კანონი ეხება გეგმების და პროგრამის პოტენციურ ეკოლოგიურ ზემოქმედებას და არ ვრცელდება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ამ ჩარჩოთი გათვალისწინებულ ქვეპროექტზე
კანონი ჰაერის ხარისხის დაცვის შესახებ	ეს კანონი მოიცავს ჰაერის ხარისხის მართვას და ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე გამონაბოლქვის ძირითადი ზემოქმედების პრევენციას	ეს კანონი ეხება ქვეპროექტების განხორციელებისას ჰაერში გამოყოფილ გამონაბოლქვს
კანონი საზღვაო სპორტის სახეობების შესახებ	ეს კანონი განსაზღვრავს საზღვაო პორტების საქმიანობის სამართლებრივ, ეკონომიკურ და ორგანიზაციულ საფუძველს	ეს კანონი ეხება საზღვაო პორტების პოტენციურ ზემოქმედებას
კანონი 2021 წლისთვის მდინარე დნეპრის წყლის ეკონომიკის და ეკოლოგიური გაუმჯობესების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების შესახებ	პროგრამის მიზანია სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა წყლის ეკონომიკაში ადამიანის და დარგების საჭიროებებისთვის, წყლის რესურსების დასაცავად და რეკონსტრუქციისთვის, წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის განხორციელებისთვის, რეკულტივირებული მიწების როლის განახლებისთვის სურსათის და რესურსების მიწოდებაში, წყლის მოხმარების ოპტიმიზაციაში, წყალზე ზემოქმედების პრევენციაში და შერბილებაში.	ეს კანონი ეხება სასმელ და ჩამდინარე წყლებთან დაკავშირებულ საქმიანობებს
წყლის კოდექსი	წყლის კოდექსი ხელს უწყობს წყლის და ეკოლოგიის კანონის ფორმირებას და მოსახლეობის ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ასევე წყლის გაცილებით ეფექტურ, მტკიცებულებებზე დამყარებულ გამოყენებას და მის დაცვას დაბინძურებისგან და ამოწურვისგან.	ეს კოდექსი ეხება სასმელ და ჩამდინარე წყლებთან დაკავშირებულ საქმიანობებს
მიწის კოდექსი	წიაღის, ტყეების, წყლების და მცენარეების, გამოყენებიდან გამომდინარე შედეგები მიწასთან დაკავშირებით რეგულირდება ამ კოდექსით.	ეს კოდექსი ეხება ქვეპროექტების პოტენციურ ზემოქმედებას მიწასთან დაკავშირებით
ტყის კოდექსი	ამ კოდექსის მიზანია ტყის რესურსების დაცვა, რეპროდუქცია და მდგრადი გამოყენება საზოგადოების ეკოლოგიური, ეკონომიკური, სოციალური და სხვა ინტერესების გათვალისწინებით	ეს კოდექსი ეხება ქვეპროექტების პოტენციურ ზემოქმედებას ტყესთან დაკავშირებით
შრომის კოდექსი	ეს კოდექსი არეგულირებს დასაქმებულს დაკავშირებულ ინდივიდუალურ და კოლექტიურ ურთიერთობებს, შრომის იურისდიქციას და ასევე ურთიერთობებს რომლებიც უშუალოდ უკავშირდება შრომით რესურსებს.	ეს კოდექსი ეხება შრომით რესურსებთან დაკავშირებულ საქმიანობებს ქვეპროექტების განხორციელების პროცესში

კანონმდებლობა	აღწერა	რელევანტურობა პროექტისთვის
მიწის წიაღის კოდექსი	ეს კოდექსი განიხილავს მიწის წიაღის რაციონალური გამოყენების და დაცვის მნიშვნელობას სახელმწიფოს და მოქალაქეების ინტერესების დაცვის მიზნით.	ეს კოდექსი ეხება ქვეპროექტების პოტენციურ ზემოქმედებას წიაღთან დაკავშირებით
კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ	ეს კანონი არეგულირებს სამართლებრივ, ორგანიზაციულ, სოციალურ და ეკონომიკურ ურთიერთობებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში	ეს კანონი არ ეხება არცერთ ქვეპროექტს, რადგან ის ქვეპროექტები რომლებიც განაპირობებს უარყოფით ზემოქმედებას კულტურულ მემკვიდრეობაზე არ დაფინანსდება.

3.2. მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩო

მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩო ამოქმედდა 2018 წლის ოქტომბერში. ჩარჩო ადგენს მსოფლიო ბანკის მტკიცე გადაწყვეტილებას ხელი შეუწყოს მდგრად განვითარებას, ბანკის პოლიტიკისა და გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების მეშვეობით, რომლებიც შექმნილია მსესხებლების იმ პროექტების მხარდასაჭერად, რომლებიც ხელს უწყობენ უკიდურესი სიღარიბის დასრულებას და საერთო კეთილდღეობას.

მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები ადგენენ მოთხოვნებს, რომლებიც უნდა დააკმაყოფილოს მსესხებლებმა ბანკის მიერ საინვესტიციო პროექტების დაფინანსების ინსტრუმენტის მეშვეობით მხარდაჭერილი ქვეპროექტების სოციალური და გარემოსდაცვითი რისკებისა და ზემოქმედების იდენტიფიკაციის, შეფასებისა და შემსუბუქების მიმართ. მსოფლიო ბანკის 10 „გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტიდან“ ექვსი ვრცელდება ამ პროგრამის სამუშაოებზე. ესენია

- სტანდარტი – გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების შეფასება და მართვა;
- სტანდარტი 2 – შრომა და სამუშაო პირობები;
- სტანდარტი 3 – რესურსების ეფექტიანობა და დაბინძურების თავიდან არიდება და მართვა
- სტანდარტი 4 – საზოგადოების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება;
- სტანდარტი 6 – ბიომრავალფეროვნების დაცვა და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა;
- სტანდარტი 10 – დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა და ინფორმაციის საჯაროობა.

სტანდარტი 5 – მიწის შესყიდვა, მიწათსარგებლობის შეზღუდვები და იძულებითი განსახლება ამ პროექტს არ ეხება, ვინაიდან პროექტი არ დააფინანსებს ისეთ საქმიანობას, რომლისთვისაც მიწის შესყიდვა, მიწის გამოყენების შეზღუდვა და იძულებითი განსახლება არის საჭირო.

სტანდარტი 7 – მკვიდრი მოსახლეობა / საჰარისქვემო აფრიკის ისტორიულად დაცული ტრადიციული ადგილობრივი თემები ამ პროექტს არ შეესაბამება, რადგან მოსალოდნელია, რომ ამ პროექტის ტერიტორიებზე არ გვყავს მკვიდრი მოსახლეობის ისეთი ჯგუფები, რომლებიც სტანდარტ 7-ში მოცემულ განსაზღვრებას აკმაყოფილებენ.

სტანდარტი 8 – კულტურული მემკვიდრეობა ამ პროექტს არ ეხება. პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი არცერთი აქტივობა არ იმოქმედებს კულტურულ მემკვიდრეობაზე და ასეთი სახის აქტივობებში ინვესტიციების დაფინანსების უფლება გათვალისწინებული არ არის. კულტურულ მემკვიდრეობაზე მავნე ზემოქმედების მქონე პროექტების გაიცხრილება „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს“ საშუალებით. მიუხედავად ამისა, კონკრეტული ქვეპროექტების სპეციფიკური გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების დოკუმენტებში გათვალისწინებულია პროცედურები ისეთი მინიმალური ალბათობისთვის, თუ გათხრების დროს ადგილი ექნება არქეოლოგიურ აღმოჩენებს.

სტანდარტი 9 – ფინანსური შუამავლები, ამ პროექტს არ ეხება, რადგან მასში ფინანსური შუამავლები არ მონაწილეობენ.

მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტიდან ერთად, ამ პროექტთან მიმართებაში აგრეთვე განხილულ იქნა თუ რამდენად ვრცელდება აღნიშნულ პროექტზე მსოფლიო ბანკის სხვადასხვა მოქმედი საოპერაციო პოლიტიკა, როგორიცაა OP 7.50 (პროექტები საერთაშორისო წყალსატევებზე) და OP 7.60 (პროექტები სადავო ტერიტორიებზე). უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროექტი არ ითვალისწინებს რაიმე ისეთი აქტივობების განხორციელებას, რომელზეც OP 7.50 ვრცელდება და არცერთი აქტივობა არ ჩატარდება სადავო ტერიტორიებზე.

გარდა ამისა, მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების შესაბამისად, პროექტის მიმართ გამოყენებული იქნება მსოფლიო ბანკის ჯგუფის გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სახელმძღვანელო მითითებები. ეს ზოგადი სახელმძღვანელო მითითებები საცნობარო ხასიათის ტექნიკური დოკუმენტია, რომელშიც მოცემულია კარგი საერთაშორისო პრაქტიკის ზოგადი მაგალითები და სხვადასხვა დარგებისთვის სპეციფიკური კარგი საერთაშორისო პრაქტიკის მაგალითები. „გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ზოგადი სახელმძღვანელო მითითებები“ შეიცავენ ინფორმაციას გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის საკითხებზე, რომელიც პოტენციურად შეიძლება ყველა სექტორზე გავრცელდეს, შემდეგის ჩათვლით:

- გარემოს დაცვა
- შრომის უსაფრთხოება და ჯანმრთელობა
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და უსაფრთხოება
- მშენებლობა და ექსპლუატაციიდან გამოყვანა.

ზოგად სახელმძღვანელო მითითებებთან ერთად გამოყენებული უნდა იყოს გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დარგობრივი სახელმძღვანელო მითითებები, რომელიც შეიცავს კონკრეტული დარგებისთვის განკუთვნილ მითითებებს. მათში განსაზღვრულია ეფექტიანობის დონე და ზომები, რომლებიც ზოგადად ითვლება რომ მიღწევადია ახალი ობიექტების მიერ, არსებული ტექნოლოგიის გამოყენებით და გონივრულ ფასად. იმ შემთხვევებში, როდესაც ქვეყნების ეროვნული მოთხოვნები განსხვავდება „გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სახელმძღვანელო მითითებებში“ წარმოდგენილი დონეებისა და ღონისძიებებისაგან, პროექტის სპეციფიკაციებში გამოყენებული იქნება ის, რომელიც უფრო მკაცრია.

- სახელმძღვანელო მითითებები წყლისა და სანიტარიის სფეროში;
- სახელმძღვანელო მითითებები ტურიზმისა და მასპინძლობის განვითარების სფეროში;
- სახელმძღვანელო მითითებები ნარჩენების მართვის სფეროში;
- სახელმძღვანელო მითითებები გადაზიდვების სფეროში;
- სახელმძღვანელო მითითებები სატყეო ოპერაციების სფეროში;
- სახელმძღვანელო მითითებები მოსავლის წლიური წარმოების სფეროში;
- სახელმძღვანელო მითითებები სოფლის მეურნეობის სფეროში;
- სახელმძღვანელო მითითებები მრავალწლიანი კულტურული წარმოების სფეროში;
- სახელმძღვანელო მითითებები თევზის დამუშავების სფეროში.

3.2.1. სტანდარტი 1 – გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების შეფასება და მართვა

მსოფლიო ბანკი მოითხოვს მსოფლიო ბანკის მიერ მხარდაჭერილი პროექტების გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების რისკების შეფასებას, მართვას და მონიტორინგს, რათა უზრუნველყოს პროექტების ეკოლოგიურად და სოციალურად ჯანსაღი და მდგრადი განვითარება. გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი 1-ის მიზნებია:

- პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების და ზემოქმედების იდენტიფიცირება, შეფასება და მართვა გარემოსდაცვით და სოციალური სტანდარტებთან შესაბამისობაში;
- შემარბილებელი იერარქიული მიდგომის მიიღება რისკების და ზემოქმედების პროგნოზირებისა და თავიდან აცილების მიზნით, ხოლო თუ მათი თავიდან აცილება შეუძლებელია, რისკების და ზემოქმედების მისაღებ დონემდე შემცირება

ან შერბილება; თუ მას შემდეგ რაც რისკების და ზემოქმედება მინიმუმამდე იქნება შემცირებული ან შერბილებული კიდევ რჩება მნიშვნელოვანი ნარჩენი ზემოქმედება, ის კომპენსირებული უნდა იყოს რამდენადაც ეს ტექნიკურად და ფინანსურად შესაძლებელია;

- დიფერენცირებული ზომების მიღება ისე, რომ უარყოფითი ზემოქმედება არაპროპორციულად არ მოხვდეს სოციალურად დაუცველ და დაუცველ პირებზე და ხელი არ შეუშალოს მათ მიერ პროექტის შედეგად მიღებული სარგებელისა და შესაძლებლობების მიღებას;
- უზრუნველყოს ეროვნული გარემოსდაცვითი და სოციალური ინსტიტუტები, სისტემები, კანონები, რეგულაციები და პროცედურები გამოიყენება პროექტების შეფასებისას, შემუშავებისა და განხორციელებისას, როდესაც ისინი არსებითად შეესაბამება გარემოსდაცვით და სოციალური სტანდარტების მოთხოვნებს;
- ხელი შეუწყოს გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის გაუმჯობესებას იმ გზით, რომელიც აღიარებს და აძლიერებს მსესხებლის შესაძლებლობებს.

სტანდარტი 1 ადგენს განმახორციელებელი ორგანიზაციის პასუხისმგებლობას მსოფლიო ბანკის მიერ მხარდაჭერილი პროექტის თითოეულ ეტაპზე გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების და ზემოქმედების შეფასებაში, მართვისა და მონიტორინგში, რათა მიღწეულ იქნას გარემოსდაცვითი და სოციალური შედეგები „გარემოსდაცვით და სოციალური სტანდარტებთან“ შესაბამისად.

სტანდარტი 1-ის მოთხოვნების შესაბამისად, მსესხებელი ვალდებულია: (i) განახორციელოს შემოთავაზებული ქვეპროექტების გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების და ზემოქმედების შეფასება; (ii) მოამზადოს ქვეპროექტისთვის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება ან ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა; (iii) უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და გაამჟღავნოს შესაბამისი ინფორმაცია სტანდარტი 10-ის შესაბამისად; (iv) შეიმუშაოს გარემოსდაცვით და სოციალურ ვალდებულებათა გეგმა, და განახორციელოს იურიდიული შეთანხმებით გათვალისწინებული ყველა ზომა და ქმედება, გარემოსდაცვით და სოციალურ ვალდებულებათა გეგმის ჩათვლით; და (v) განახორციელოს პროექტის ყველა გარემოსდაცვითი და სოციალური სამუშაოების შედეგების მონიტორინგი და ანგარიშგება და შეადაროს ეს მაჩვენებლები გარემოსდაცვით და სოციალური სტანდარტების მოთხოვნებს.

შავი ზღვის ეკოლოგიური მდგომარეობის მართვის გაუმჯობესების გზით პროექტის ფარგლებში განხორციელებული თითქმის ყველა აქტივობა პოზიტიურ გარემოსდაცვით და სოციალურ ზემოქმედებას მოახდენს. პოლიტიკისა და შესაძლებლობების განვითარების ღონისძიებები გამოიწვევს არაპირდაპირ პოზიტიურ ზემოქმედებას, როგორიცაა წყალში მცხოვრები სახეობების დაცვა, წყლის გამოყენების გაუმჯობესება, ჩამდინარე წყლების ხარისხის გაუმჯობესება და ნიადაგის დაბინძურების შემცირება. ამავდროს, პროექტის საინვესტიციო კომპონენტმა შეიძლება გამოიწვიოს პოტენციური მავნე ზემოქმედება, როგორიცაა ნარჩენების წარმოქმნა და მენეჯმენტთან დაკავშირებული

პოტენციური რისკები, ენერგიის მოხმარება, ხმაური, მტვერი, გამონაბოლქვი და შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების რისკები. ეს რისკები იქნება დროებითი, შექცევადი და მცირემასშტაბიანი, ისინი შემოიფარგლება მხოლოდ მცირე ტეროტორიით და მათი შემცირება ადვილად იქნება შესაძლებელი მართვის კარგი პრაქტიკის საშუალებით.

3.2.2. სტანდარტი 2 - შრომა და სამუშაო პირობები

გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი 2-ის ამოცანებია: (i) ხელი შეუწყოს სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებას და ჯანმრთელობის დაცვას; (ii) ხელი შეუწყოს პროექტის მუშაკთა მიმართ სამართლიან მოპყრობას, დისკრიმინაციისგან დაცვას და თანაბარ შესაძლებლობებს; (iii) დაიცვას მუშაკები, მათ შორის დაუცველი მუშაკები, როგორცაა ქალები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ბავშვები (შრომისუნარიან ასაკში, სტანდარტი 2-ის შესაბამისად) და მიგრანტი მუშაკები, ხელშეკრულებით დასაქმებულები, საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე პირები და ადგილობრივი თემის წარმომადგენელი მუშაკები, საჭიროებისამებრ; (iv) თავიდან აიცილოს იძულებითი შრომისა და ბავშვთა შრომის ყველა ფორმის გამოყენება; (v) მხარი დაუჭიროს გაერთიანების თავისუფლებისა და პროექტის მუშაკთა მიერ კოლექტიური შეთანხმებების დადების პრინციპებს, ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად; და (vi) უზრუნველყოს პროექტის მუშები გასაჩივრების ხელმისაწვდომი მექანიზმით. სტანდარტი 2-ის გამოყენების საჭიროება და გამოყენების სფერო დგინდება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დროს, რომელიც სტანდარტი 1-შია აღწერილი.

სტანდარტი 2 მოითხოვს, რომ ყველა სამუშაო უნდა ჩატარდეს მშენებლობის უსაფრთხოების ზომების დაცვით, რაც ითვალისწინებს: სავალდებულო პერსონალური დამცავი აღჭურვილობის ტარებას და უსაფრთხო გამოყენებას, სახიფათო ნივთიერებების (მაგალითად, საღებავების, გამხსნელების, წებოების, ნავთობპროდუქტების, სადეზინფექციო საშუალებების, ტყვიის შემცველი მასალები და სხვა) უსაფრთხო დამუშავებას, შენახვას და ტრანსპორტირებას. იგივე ეხება ყველა ახლად დამონტაჟებული აღჭურვილობის ექსპლუატაციას. შრომის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული მოთხოვნების გარდა, ეს სტანდარტი ასევე მოითხოვს საჩივრების მექანიზმის არსებობას, რომლის გამოყენებაც პროექტზე მომუშავე თანამშრომლებს შეეძლებათ.

პროექტი არ დააფინანსებს დიდ სამშენებლო სამუშაოებს. შესაბამისად, ზემოქმედება იქნება დროებითი, შექცევადი და ადვილად მართვადი შემარბილებელი ღონისძიებების საშუალებით, რომლებიც მოცემულია ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოში და ქვეპროექტების ეკოლოგიური და სოციალური ექსპერტიზის დოკუმენტებში. გრანტებით დაფინანსებულ საქმიანობის შედეგად მუშახელის შემოღინება მოსალოდნელი არ არის და გენდერული ნიშნით ძალადობის და სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის რისკები დაბალია. მოსალოდნელია, რომ პროექტში იმუშავენ შტატში და ხელშეკრულებით დასაქმებული თანამშრომლები. არ არის მოსალოდნელი, რომ პროექტში ჩაერთონ საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე პირები.

შტატიან თანამშრომლებში შედიან: ა) შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის თანამშრომლები, რომლებიც დაინიშნებიან ამ პროექტზე სამუშაოდ, და ბ) ტექნიკური კონსულტანტები შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციიდან. შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში ბევრი სხვადასხვა მხარე მონაწილეობს და მისი ადამიანური რესურსების პირობები რეგულირდება შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის მუდმივმოქმედი საერთაშორისო სამდივნოს პერსონალის დებულებით, რომელიც გამოქვეყნებულია შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ვებგვერდზე. ეს რეგულაციები, რომლებიც სტანდარტი 2-ის მოთხოვნებს შეესაბამება, კვლავაც გავრცელდება შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის თანამშრომლებზე. პროექტის ფარგლებში დაფინანსებული ტექნიკური კონსულტანტები დაქირავებულნი იქნებიან მსოფლიო ბანკის შესყიდვების პროცედურების შესაბამისად.

კონტრაქტის საფუძველზე დაქირავებულ მუშაკებს შორის შეიძლება იყვნენ: იმ ფორმების თანამშრომლები, რომლებიც დაქირავებულნი იქნებიან ტექნიკური კვლევებისა და დარგობრივი პოლიტიკის კვლევების ჩასატარებლად და ტრენინგისა და შესაძლებლობების ამაღლების ღონისძიებებისთვის, აგრეთვე იმ ფორმებისა და ორგანიზაციების მუშაკები, რომლებიც ჩართულნი იქნებიან გრანტით დაფინანსებული საქმიანობის განხორციელებაში. მომზადდება შრომის მართვის პროცედურები, რათა შეფასდეს პროექტში შრომასთან დაკავშირებული საერთო რისკები, მათ შორის ქვეყნისთვის სპეციფიკური შრომის რისკები და ქვეპროექტების მართვის პროცედურები. თითოეულ ქვეყანაში საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, „შრომითი ურთიერთობების მართვის პროცედურები“ მომზადდება როგორც „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის“ ნაწილი.

მოსალოდნელია, რომ შრომითი რისკები ძირითადად დაკავშირებული იქნება მცირე გრანტების ბენეფიციართა შრომის და ჯანმრთელობის უსაფრთხოების საკითხებთან. ეს რისკები და ზემოქმედებები რელევანტურად არის მიჩნეული ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოში და კონკრეტული პროექტებისთვის სპეციფიკურ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმებში. მსოფლიო ბანკის ჯგუფის გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სახელმძღვანელო მითითებები შეტანილია ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოში შესრულებულ პროექტის განხორციელების პროცესში.

ბავშვთა შრომის და იძულებითი შრომის რისკები არ არის მოსალოდნელი და ეს აქტივობები შევა პროექტის დაფინანსებისთვის აკრძალულ ქმედებათა სიაში. შრომითი ურთიერთობების მართვის პროცედურებში შემოთავაზებულია ქცევის კოდექსი, სექსუალური შევიწროვების/სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის რისკების აღმოსაფხვრელად. ბიზნეს-სტანდარტები და სახელმძღვანელო მითითებები, რომლებიც შემუშავდება პროექტის პირველი კომპონენტის ფარგლებში, სტანდარტი 2-ის პრინციპებს მოიცავს.

3.2.3. სტანდარტი 3 - რესურსების ეფექტიანობა, დაბინძურების თავიდან არიდება და მართვა

გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი 3-ის ამოცანებია: (i) ხელი შეუწყოს რესურსების, მათ შორის ენერგიის, წყლისა და ნედლეულის მდგრად გამოყენებას; (ii) თავიდან აიცილოს ან მინიმუმამდე დაიყვანოს პროექტის საქმიანობით გამოწვეული მავნე ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე და გარემოზე; (iii) თავიდან აიცილოს ან მინიმუმამდე დაიყვანოს პროექტის შედეგად გარემოს ხანმოკლე და ხანგრძლივი დამაბინძურებლების ემისიები; (iv) თავიდან აიცილოს ან მინიმუმამდე დაიყვანოს სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა; და (v) შეამციროს და მართოს პესტიციდების გამოყენებასთან დაკავშირებული რისკები და ზემოქმედება. სტანდარტი 3-ის გამოყენების საჭიროება და გამოყენების სფერო დგინდება „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების“ დროს, რომელიც სტანდარტ 1-შია აღწერილი.

სტანდარტ 3-ში მოცემულია პროექტის მთელი ციკლის მანძილზე რესურსების ეფექტიან გამოყენებასთან და დაბინძურების პრევენციასა და მართვასთან დაკავშირებული მოთხოვნები, კარგი დარგობრივი საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად. ამ გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტის გამოყენების საჭიროება დგინდება „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების“ დროს, „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებაზე“, რომელიც სტანდარტ 1-შია აღწერილი.

სტანდარტი 3 აგრეთვე ხელს უწყობს დაბინძურების შემცირების ინოვაციებისთვის განკუთვნილი გრანტების მიზნების მიღწევას. საშუალო კატეგორიის რისკის მქონე საქმიანობის გრანტების შემთხვევაში, რისკებისა და ზემოქმედების შესაფასებლად შემუშავდება სპეციფიკური ბუნების და სოციალური გარემოს ზემოქმედების მართვის გეგმები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, რაც ასევე გულისხმობს რესურსების (მაგ., ენერგიის და წყლის) ეფექტურ გამოყენებას

პროექტით დაფინანსებული საქმიანობით გამოწვეული პოტენციური გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედება ზოგადად პოზიტიური იქნება, ვინაიდან პროექტის მომზადებისას გათვალისწინებული იქნება ჩამდინარე წყლების გაწმენდა, გაუვნებელოება ან წყლის ხელმეორე გამოყენების მოწყობილობის მონტაჟი. 2.2 ქვეკომპონენტის ფარგლებში შეიძლება განხორციელდეს პროექტის მომზადების სხვადასხვა საფეხურები, როგორიცაა მიზანშეწონილობის წინასწარი კვლევები, ეკონომიკური და ფინანსური ანალიზი და ეკოლოგიური და სოციალურ ზემოქმედების შეფასება. ამ კომპონენტის ფარგლებში ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დაფინანსების შემთხვევაში, შეფასდება გარემოზე ზემოქმედების პოტენციური გარემოსდაცვითი რისკები (როგორიცაა ხმაური, მტვერი და ნარჩენების წარმოქმნა მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს), შემუშავდება ტექნიკური დავალება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესასრულებლად. აგრეთვე მომზადდება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ცალკე გეგმა, რომელიც შეიცავს

„გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების მოთხოვნებს. შეფასება განხორციელდება მსოფლიო ბანკის გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ზოგადი სახელმძღვანელო მითითებები და გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დარგობრივი სახელმძღვანელო მითითებები, პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე.

3.2.4. გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი 4 - საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

სტანდარტი 4 ყურადღებას ამახვილებს პროექტების მიერ თემების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ზემოქმედების რისკებზე. სტანდარტი 4 აღიარებს, რომ პროექტის საქმიანობამ, აღჭურვილობამ და ინფრასტრუქტურამ შეიძლება გაზარდოს თემების რისკები და ზემოქმედება და ითვალისწინებს მსესხებლების შესაბამის პასუხისმგებლობას, ამ რისკებისა და ზემოქმედების თავიდან აცილებაზე ან მინიმუმამდე დაყვანაზე, განსაკუთრებით კი დაუცველი ადამიანების მიმართ. სტანდარტი 4-ის ამოცანებია: (i) პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემების ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე მავნე ზემოქმედების პროგნოზირება და თავიდან აცილება, პროექტის მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში, როგორც სტანდარტულ, ისე არასტანდარტულ გარემოებებში; (ii) ხელი შეუწყოს ხარისხსა და უსაფრთხოებას და გაითვალისწინოს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გარემოებები, ინფრასტრუქტურის დიზაინისა და მშენებლობის დროს; (iii) თავიდან აიცილოს ან მინიმუმამდე დაიყვანოს პროექტებთან დაკავშირებული საგზაო უსაფრთხოების რისკები, დაავადებების რისკები და სახიფათო მასალების გამოყენებით გამოწვეული რისკები; (iv) უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების აღმოფხვრისთვის საჭირო ქმედითი ზომების არსებობა; და (v) უზრუნველყოს პერსონალისა და ქონების დაცვა ისე, რომ თავიდან აიცილოს ან მინიმუმამდე დაიყვანოს პროექტის წინაშე არსებული რისკები.

ამ კომპონენტის მცირე გრანტების ფარგლებში დაფინანსებული აქტივობების განხორციელებამ შეიძლება ადგილობრივ თემებზე დროებითი ზემოქმედება მოახდინოს. სტანდარტების მოთხოვნები გათვალისწინებულია ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოში, ხოლო ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს სამუშაოების წარმოების კონკრეტული ადგილისთვის დამახასიათებელი რისკები და ზემოქმედება, როგორცაა საავტომობილო მოძრაობის დროებითი შეფერხება. აღნიშნული გეგმა უნდა შეიცავდეს შესაბამის შემარბილებელ ღონისძიებებს, რათა სამუშაოების წარმოების კონკრეტულ ადგილას რისკებისა და ზემოქმედებების თავიდან აცილება ან შემცირება მოხდეს მსოფლიო ბანკის ჯგუფის გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად.

მცირე მასშტაბის სამშენებლო ან სამონტაჟო სამუშაოების დროს, საჭიროების შემთხვევაში, ჩატარდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხებისადმი მიძღვნილი სესიები, რომლის დროსაც განხილული იქნება კონკრეტული პროექტის “ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმების” მოთხოვნები.

მუშახელის შემოღება არ არის მოსალოდნელი. გრანტებით გათვალისწინებული აქტივობების დროს დასაქმებულ პირთა ქცევა დარეგულირდება ქვეყნის კოდექსით.

3.2.5. გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი 6 - ბიომრავალფეროვნების დაცვა და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა

სტანდარტი 56 აღიარებს, რომ ბიომრავალფეროვნების დაცვა და შენარჩუნება და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა მდგრადი განვითარების ფუნდამენტურია. ბიომრავალფეროვნება განისაზღვრება, როგორც ყველა სახის ეკოსისტემების და ეკოლოგიური კომპლექსების (მათ შორის, ხმელეთის, ზღვის და სხვა წყლის ეკოსისტემების) ცოცხალი ორგანიზმების მრავალფეროვნება; ეს მოიცავს როგორც სახეობებისა და ეკოსისტემების მრავალფეროვნებას, ასევე მრავალფეროვნებას სახეობების შიგნით. ბიომრავალფეროვნება ხშირად ადამიანის მიერ დაფასებული ეკოსისტემური მომსახურების ხერხემალია. ამის გამო, ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედება ხშირად შეიძლება უარყოფითად აისახოს ეკოსისტემის მიერ ადამიანისთვის მომსახურების მიწოდებაზე.

სტანდარტი 6-ის მოთხოვნებია: (i) ზოგადი მოთხოვნები, როგორცაა რისკების და ზემოქმედების შეფასება, ბიომრავალფეროვნების და ჰაბიტატების (მოდულიზირებული, ბუნებრივი და კრიტიკული ჰაბიტატების) კონსერვაცია, კანონით დაცული და საერთაშორისოდ აღიარებული მაღალი ბიომრავალფეროვნების მქონე ტერიტორიების დაცვა, ინვაზიური უცხო სახეობების და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა და (ii) პირველადი მომწოდებლები.

სტანდარტი 6 აღიარებს ჰაბიტატების, მათ შორის ტყეების, ძირითადი ეკოლოგიური ფუნქციების და მათი ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების მნიშვნელობას. ჰაბიტატი განისაზღვრება, როგორც ხმელეთის, მტკნარი წყლის ან ზღვის გეოგრაფიული ერთეული ან საპაერო გზები, რომელიც ხელს უწყობს ცოცხალი ორგანიზმების შეკრებას და მათ ურთიერთქმედებას არაცოცხალ გარემოსთან. ყველა ჰაბიტატი ხელს უწყობს ცოცხალი ორგანიზმების კომპლექსებს და განსხვავდება სახეობების მრავალფეროვნებით, სიმრავლით და მნიშვნელობით.

შემოთავაზებული აქტივობების ხასიათიდან გამომდინარე პროექტი მნიშვნელოვან გარემოსდაცვით სარგებელს მოიტანს. შავი ზღვის რეგიონი მდიდარია ბიომრავალფეროვნებით. ყველა ზღვისპირა ქვეყანას ბევრი მნიშვნელოვანი დაცული ტერიტორია აქვს. „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოში“ მოცემულია შავი ზღვის აუზის ბიომრავალფეროვნების ამჟამინდელი მდგომარეობის შეფასება და იდენტიფიცირებულია პროექტის განხორციელების რეგიონში არსებული ზოგადად სენსიტიური / დაცული ტერიტორიები და ჰაბიტატები.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოში გაანალიზდება სტანდარტი 6-ით გათვალისწინებულ დებულებები და აქტივობები, რომლებიც

სავარაუდოდ უარყოფით გავლენას იქონიებენ კრიტიკულ ჰაბიტატებზე. გრანტისთვის მომზადებული კონკრეტული პროექტის სპეციფიკურ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმებში ასევე გათვალისწინებული იქნება შესაბამისი ზომები ბიომრავალფეროვნებაზე პოტენციური ზემოქმედების თავიდან აცილების/შემცირების მიზნით. მდგრადი ბიზნეს-სტანდარტების დამკვიდრების მიზნით განახორციელდება შესაძლებლობების განვითარების ღონისძიებები. ამ ღონისძიებებისთვის და პოტენციური ინვესტიციის მიზანშეწონილობის წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური მოკვლევისთვის შემუშავებულ ტექნიკურ დავალებებში შეტანილი იქნება დაცული ტერიტორიების კონსერვაციის და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის ასპექტები.

3.2.6. გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი 10 - დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა და ინფორმაციის საჯაროობა

სტანდარტ 10-ის საშუალებით მსოფლიო ბანკი აღიარებს განმხორციელებელ პირსა და პროექტის დაინტერესებულ მხარეებს შორის ღია და გამჭვირვალე ჩართულობის მნიშვნელობას, როგორც კარგი საერთაშორისო პრაქტიკის არსებით ელემენტს. დაინტერესებული მხარეების ეფექტურ ჩართულობას შეუძლია გააუმჯობესოს პროექტების გარემოსდაცვითი და სოციალური მდგრადობა, გაზარდოს საზოგადოების მიერ პროექტის მიღების დონე და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს წარმატებული პროექტის შემუშავებასა და განხორციელებაში.

სტანდარტ 10-ის ამოცანებია: (i) დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მიმართ სისტემური მიდგომის დამკვიდრება, რომელიც დაეხმარება მსესხებლებს დაადგინონ დაინტერესებული მხარეები და დაამყარონ და შეინარჩუნონ კონსტრუქციული ურთიერთობა მათთან, განსაკუთრებით პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ მხარეებთან; (ii) პროექტის დაინტერესებული მხარეების დაინტერესებისა და მხარდაჭერის ღონის შეფასება და დაინტერესებული მხარეების შეხედულებების გათვალისწინება პროექტის დიზაინსა და გარემოსდაცვით და სოციალურ საქმიანობაში; (iii) ხელი შეუწყოს და უზრუნველყოს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მხარეების ეფექტურ და ყოვლისმომცველ ჩართულობას პროექტის მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში, იმ საკითხების ირგვლივ, რომლებმაც შეიძლება მათზე ზემოქმედება მოახდინონ; (iv) უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის მიწოდება გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების შესახებ, დროულად, გასაგები ენით და ხელმისაწვდომი ფორმით; და (v) მისცეს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ მხარეებს საკითხების დაყენების და საჩივრების შემოტანის ხელმისაწვდომი და ინკლუზიური საშუალებები, ხოლო მსესხებლებს - ასეთ საჩივრებზე პასუხის გაცემის და მათი მართვის საშუალება.

პროექტის ქმედებები ჩატარდება თურქეთში, საქართველოში, უკრაინასა და მოლდოვას რესპუბლიკაში. შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციას ექნება საერთო პასუხისმგებლობა პროექტის განხორციელებაზე, თითოეულ ქვეყანაში ეროვნულ სააგენტოებთან სამუშაოების კოორდინაციის ჩათვლით. ამან შეიძლება გამოიწვიოს

დაინტერესებული მხარეების კოორდინაციის სირთულის რისკი, რომელიც გათვალისწინებული იქნება პროექტის დიზაინში, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის რეგიონულ გეგმებში და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ეროვნულ გეგმებში. ინოვაციებისთვის განკუთვნილს გრანტებს თითოეული მიმღები ქვეყანა განახორციელებს. აღნიშნული გრანტებით დასაფინანსებელ საქმიანობათა ზუსტი მდებარეობა ამ ეტაპზე უცნობია. რეგიონული დონის დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ჩარჩოში ასახული იქნება მიდგომა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობის, ასევე სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მიმართ. მასში აგრეთვე მოცემული იქნება დაინტერესებული მხარეების გამოვლენის ზოგადი პრინციპები და სტრატეგია და დაიგეგმება დაინტერესებული მხარეების ჩართულობის პროცესი სტანდარტ 10-ის შესაბამისად.

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია და მონაწილე ქვეყნების ეროვნული სააგენტოები შეთანხმდებიან ქვეყნის დონეზე დაინტერესებული მხარეების ჩართულობის განხორციელების ღონისძიებებზე, რაც აგრეთვე გულისხმობს ქვეპროექტებისთვის (გრანტით მხარდაჭერილი აქტივობებისათვის) დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გაერთიანებული გეგმების მომზადებას ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით. თითოეული ქვეყნისთვის სპეციფიკური დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმები მომზადდება, გამოქვეყნდება და კონსულტაციების საგანი გახდება ნებისმიერი საქმიანობის დაწყებამდე.

საწყისი შეფასების დროს დადგინდა, რომ პროექტით პირდაპირ დაინტერესებული მხარეები არიან საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მოლდოვას რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, რეგიონული განვითარებისა და გარემოს დაცვის სამინისტრო, თურქეთის გარემოს დაცვისა და ურბანიზაციის სამინისტრო, თურქეთის სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის სამინისტრო და უკრაინის ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის სამინისტრო, ბენეფიციარ ქვეყნებში შავი ზღვის აუზში მდებარე ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, სოფლის მეურნეობის და აკვაკულტურის, ტურიზმისა და გადაზიდვების სფეროში მომუშავე ადგილობრივი ბიზნეს ასოციაციები, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები, რომლებიც უნდა ჩაერთონ გრანტით დაფინანსებულ ღონისძიებებში. დაინტერესებული მხარეების სხვა ჯგუფები გამოვლინდებიან პროექტის მომზადების პროცესში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა დაუცველი ჯგუფების იდენტიფიცირებას დაინტერესებულ მხარეებს შორის. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმების მომზადების პროცესი გამოავლენს დამატებით პირდაპირ და არაპირდაპირ დაინტერესებულ მხარეებს, განსაკუთრებით ადგილობრივ დონეზე.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმაში მოცემული იქნება ჩართულობის მეთოდები, რომლებიც მორგებულია თითოეული დაინტერესებული ჯგუფის საჭიროებებსა და მახასიათებლებზე. განმახორციელებელი ორგანიზაციები უზრუნველყოფენ, რომ ყველა კონსულტაცია იყოს ინკლუზიური და ხელმისაწვდომი (როგორც ფორმატის, ასევე ადგილმდებარეობის მიხედვით) და განხორციელდეს

ადგილობრივი კონტექსტისთვის შესაფერისი არხების საშუალებით. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის რეგიონალურ გეგმები და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ეროვნული გეგმები საჯარო გახდება, მაგრამ მათი განახლება გაგრძელდება პროექტის განხორციელების მთელი ეტაპის განმავლობაში.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის რეგიონულ გეგმაში მოცემული იქნება საჩივრების მექანიზმის პრინციპი და სახელმძღვანელო მითითებები, რაც მოიცავს პროექტთან დაკავშირებულ ყველა სახის საჩივარს (როგორც გარემოსდაცვითს, ასევე სოციალურს), ხოლო ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით შემუშავებული „დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმები“ შეიცავს დეტალურ, ქვეყანაზე მორგებულ და კულტურულად სენსიტიურ გასაჩივრების მექანიზმს.

3.2.7. მსოფლიო ბანკის საოპერაციო პოლიტიკა OP 7.50 - პროექტების განხორციელება საერთაშორისო წყალსატევებზე

ეს პოლიტიკა ვრცელდება შემდეგი სახის საერთაშორისო წყალსატევებზე:

- ნებისმიერი მდინარე, არხი, ტბა ან მსგავსი წყალსატევი, რომელიც ქმნის ზღვარს ორ ან მეტ სახელმწიფოს შორის, ან ზედაპირული წყლის ნებისმიერი მდინარე ან წყალსატევი, რომელიც გადის ორ ან მეტ სახელმწიფოზე, სულერთია არიან თუ არა ეს სახელმწიფოები მსოფლიო ბანკის წევრები.
- ნებისმიერი შენაკადი ან ზედაპირული წყალი, რომელიც არის ზემოთ ჩამოთვლილი ნებისმიერი წყლისთვისავე გზის კომპონენტი.
- ნებისმიერი ყურე, უბე, სრუტე, ან არხი, რომელიც შემოსაზღვრულია ორი ან მეტი სახელმწიფოთი, ან, ერთი სახელმწიფოს ფარგლებში ყოფნის შემთხვევაში, აღიარებულია, როგორც ღია ზღვა და სხვა სახელმწიფოებს შორის კომუნიკაციის აუცილებელი არხი; აგრეთვე ნებისმიერი მდინარე, რომელიც ჩაედინება ასეთ წყლებში.

ეს პოლიტიკა ვრცელდება შემდეგი ტიპის პროექტებზე:

- ჰიდროენერგეტიკული, სარწყავი, წყალდიდობის მაკონტროლებელი, სანავიგაციო, სანიაღვრე, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის, სამრეწველო და სხვა მსგავს ნაგებობებთან დაკავშირებული პროექტები, რომლებიც გულისხმობს საერთაშორისო წყლისთვისავე გზების გამოყენებას ან მათ პოტენციურ დაბინძურებას, როგორც ეს ზემოთაა აღწერილი.
- პროექტების დეტალური დიზაინის შემუშავება და საინჟინრო კვლევების ჩატარება ზემოაღნიშნულის შესაბამისად, მათ შორის მსოფლიო ბანკის, როგორც შემსრულებელი უწყების მიერ, ან მსოფლიო ბანკის მიერ სხვა ფორმით მონაწილეობის შემთხვევაში.

იმ შემთხვევაში, თუ შემოთავაზებულ პროექტზე ეს საოპერაციო პოლიტიკა ვრცელდება (მსოფლიო ბანკის შეფასების საფუძველზე), მსოფლიო ბანკი ბენეფიციარ სახელმწიფოსგან მოითხოვს ოფიციალურად შეატყობინოს სხვა ზღვისპირა ქვეყნებს შემოთავაზებული პროექტისა და მისი დეტალების შესახებ (თუ მას ეს ჯერ არ გაუკეთებია). თუ მომავალი მსესხებელი მიუთითებს მსოფლიო ბანკს, რომ მას არ სურს შეტყობინების გაცემა, როგორც წესი ამას თავად მსოფლიო ბანკი გააკეთებს. შეტყობინების საჭიროებასთან დაკავშირებით შეიძლება არსებობდეს გამოწვევის შემთხვევები, მაგრამ არსებობს მოლოდინი, რომ პროექტის პოტენციური ზემოქმედება სხვა ზღვისპირა სახელმწიფოებზე უნდა შეფასდეს.

ამ პროექტის ფარგლებში დასაფინანსებლ გრანტები / ქვეპროექტები არ განხორციელებენ რაიმე ისეთ აქტივობას, რომელზეც გავრცელდება საოპერაციო პოლიტიკა OP 7.50.

3.2.8. მსოფლიო ბანკის საოპერაციო პოლიტიკა OP 7.60 - პროექტების განხორციელება სადავო ტერიტორიებზე

სადავო ტერიტორიებზე განხორციელებულმა პროექტებმა შეიძლება გამოიწვიოს არაერთი დელიკატური პრობლემა, რომელიც გავლენას მოახდენს ურთიერთობებზე არა მხოლოდ მსოფლიო ბანკისა და მის წევრ ქვეყნებს შორის, არამედ აგრეთვე პროექტის განმახორციელებელ ქვეყანასა და ერთ ან რამდენიმე მეზობელ ქვეყანას შორის. მსოფლიო ბანკმა შეიძლება მხარი დაუჭიროს სადავო ტერიტორიაზე პროექტის განხორციელებას, თუ შესაბამისი მთავრობები შეთანხმდებიან, რომ დავის გადაწყვეტამდე, A ქვეყნისთვის შემოთავაზებული პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს B ქვეყნის პრეტენზიებზე.

სადავო ტერიტორიაზე განსახორციელებლად გათვალისწინებული ყველა პროექტისთვის, მსოფლიო ბანკი მხედველობაში იღებს დავის ხასიათს და შეიძლება მხარი დაუჭიროს ასეთ პროექტს შემდეგ შემთხვევებში:

- სადავო ტერიტორიაზე პრეტენზიების მქონე სხვა მხარეები არ აპროტესტებენ პროექტს;
- პროექტი საზიანო არ არის სადავო ტერიტორიაზე პრეტენზიების მქონე სხვა მხარეებისათვის;
- კონფლიქტურმა პრეტენზიამ არ მოიპოვა საერთაშორისო აღიარება ან აქტიურად არ განიხილებოდა.

ამ პროექტის ფარგლებში დასაფინანსებლ გრანტები / ქვეპროექტები არ განხორციელებენ რაიმე ისეთ აქტივობას, რომელზეც საოპერაციო პოლიტიკა 7.60 გავრცელდება, ვინაიდან იმ ოთხ ქვეყანას, სადაც გრანტების დაფინანსება იგეგმება, არ აქვს მსოფლიო ბანკის მიერ აღიარებული სადავო ტერიტორიები (იხ. მსოფლიო ბანკის მონაცემთა კატალოგი მსოფლიო სადავო ტერიტორიების შესახებ, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია მისამართზე - <https://datacatalog.worldbank.org/dataset/world-bank-official-boundaries>).

3.3. ქვეყნების მარეგულირებელ ჩარჩოებსა და მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტებს შორის არსებული განსხვავებების ანალიზი

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოში გაანალიზებულია ძირითადი განსხვავებები თითოეული ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობისა და მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების მოთხოვნებს შორის, რომელიც დაკავშირებულია პროგრამის და გრანტების/ქვეპროექტების განხორციელებასთან. ამ განსხვავებების ანალიზი ძირითადად ემყარება წინა კვლევების საჯაროდ ხელმისაწვდომ შედეგებს და არ წარმოადგენს ეროვნული კანონმდებლობის სრულყოფილ შეფასებას.

ამ კონტექსტში, ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილებში მოცემულია ეროვნულ კანონმდებლობასა და მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების მოთხოვნებს შორის გამოვლენილი განსხვავებები და დანაკლისების შესავსებად შემოთავაზებული საშუალებები.

საქართველოს კანონმდებლობასა და მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებს შორის გამოვლენილი განსხვავებები მოცემულია ქვემოთ მოტანილ ცხრილ 5-ში.

ცხრილი 5. ძირითადი განსხვავებები საქართველოს კანონმდებლობასა და მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებს შორის.

მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები	განსხვავება	განსხვავებას დაძლევის გზები
სტანდარტი 1: გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების შეფასება და მართვა	ძირითადი განსხვავებები გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეროვნულ კანონმდებლობასა და სტანდარტ 1-ს შორის შემდეგია: მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური პრინციპებისგან განსხვავებით, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეროვნული კოდექსი არ მოითხოვს ისეთი აქტივობების ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედების შეფასებას, რომლებისთვისაც სრული გზმ-ს მომზადება სავალდებულო არ არის. არ არის გათვალისწინებული საჯარო კონსულტაციების სათანადო მექანიზმი ისეთი აქტივობების ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედების ასპექტებზე, რომლებისთვისაც სრული გზმ-ს მომზადება სავალდებულო არ არის.	პოტენციური საშუალო რისკების და ზემოქმედების მქონე ქვეპროექტების ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმები უნდა მომზადდეს სტანდარტ 1-სა და ამ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს შესაბამისად.

მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები	განსხვავება	განსხვავებას დაძლევის გზები
	სოციალური ზემოქმედების შეფასება სრულად არ არის ინტეგრირებული ეროვნულ კანონმდებლობასთან, რის გამოც არ არის საწყისი საყრდენი სოციალური მონაცემები. ეს ხელს უშლის გზშ-ებში მოწყვლად და დაუცველ მოსახლეობაზე ზემოქმედების და გენდერული პრობლემების შეფასებას. კუმულაციური ზემოქმედება განიხილება სრულ გზშ-ში, მაგრამ იგნორირებულია სხვა შემთხვევებში. გაურკვეველია, თუ როგორ უნდა იქნას გამოყენებული მონიტორინგის შედეგები მიმდინარე პროექტების ადაპტირებული მართვისათვის.	
სტანდარტი 2: შრომა და სამუშაო პირობები	საქართველოს შრომის კოდექსი ითვალისწინებს სტანდარტ 2-ის ძირითად სფეროებს. მიუხედავად იმისა, რომ შრომის კოდექსი ითვალისწინებს დავის გადაწყვეტის მექანიზმს, არ არსებობს კონკრეტული მოთხოვნა დამსაქმებლების მიმართ, რომ მათ მუშაკებისთვის საჩივრის მექანიზმი შექმნან.	შრომითი ურთიერთობების მართვის პროცედურა იძლევა მითითებებს შესაბამისი მენეჯმენტის ზომების შესახებ (როგორცაა მუშაკთა საჩივრის მექანიზმი, ქცევის კოდექსი და ა.შ.), რომელიც გათვალისწინებულია სტანდარტ 2-ით და უნდა იქნას გამოყენებული ქვეპროექტებისთვის.
სტანდარტი 3: რესურსების ეფექტიანობა და დაბინძურების პრევენცია და მართვა	შესაბამისი კანონების და რეგულაციების უმეტესობა შეესაბამება ევროკავშირის დირექტივებს. სტანდარტ 3-ისა და ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებს შორის რაიმე არსებითი განსხვავება არ არის.	
სტანდარტი 4: საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	გარემოს დაცვის კანონი ადგენს საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და უსაფრთხოების დაცვის ძირითად პრინციპებს. რიგი ტექნიკური რეგლამენტები ეხება სტანდარტ 4-ის სხვა ასპექტებს. მიუხედავად ამისა, არსებობს გარკვეული დანაკლისები, როგორცაა უსაფრთხო მანძილი დასახლებულ ადგილებსა და გარკვეული ტიპის ხაზოვან ინფრასტრუქტურას შორის. ეროვნულ კანონმდებლობაში მკაფიოდ არ არის გათვალისწინებული მუშახელის შემოღინებასთან და გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებული რისკები.	პოტენციური საშუალო რისკების და ზემოქმედების მქონე ქვეპროექტების ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმები უნდა მომზადდეს სტანდარტ 4-ის და სტანდარტ 1-ის, ასევე ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს შესაბამისად.

მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები	განსხვავება	განსხვავებას დაძლევის გზები
სტანდარტ 6: ბიომრავალფეროვნების დაცვა და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა	საქართველოს აქვს ბიომრავალფეროვნების დაცვის, შენარჩუნებისა და აღდგენის ძლიერი მარეგულირებელი ჩარჩო. პოლიტიკის თვალსაზრისით დიდი ხარვეზი არ არსებობს. თუმცა, ნაკლები ყურადღება ექცევა ჰაბიტატების შენარჩუნებას. არ არსებობს დიფერენცირებული მიდგომა ტრანსფორმირებული, ბუნებრივი და კრიტიკული ჰაბიტატებისათვის. ოფიციალური დაცული ტერიტორიების გარეთ ბიომრავალფეროვნების მართვა რთულია სამართლებრივი ხარვეზების გამო, ასევე ტექნიკური და მეთოდოლოგიური მითითებების არარსებობის გამო. ეკოსისტემური მომსახურება და ბიომრავალფეროვნების კომპენსირება არ არის ეროვნული კანონმდებლობის ნაწილი.	პოტენციური საშუალო რისკების და ზემოქმედების მქონე ქვეპროექტების “ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმები” უნდა მომზადდეს სტანდარტ 6-ის შესაბამისად, საჭიროებისამებრ, ქვეპროექტების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით.
სტანდარტი 10: დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა და ინფორმაციის გამჟღავნება	ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში და გარემოზე ზემოქმედების შეფასების კოდექსში განსაზღვრულია განვითარების პროექტებში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობისა და ინფორმაციის გამჟღავნების ძირითადი პრინციპები. პრაქტიკაში სტანდარტ 10-თან დაკავშირებით არსებობს ხარვეზები შემდეგ სფეროებში: დაინტერესებული მხარეების ინფორმირება პროექტების დეტალებზე, მათი უკუკავშირის მისაღებად; დაუცველი ჯგუფების მონაწილეობის უზრუნველყოფა და საჩივრების განხილვის ფუნქციონალური სისტემები არსებობა.	ამ საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმაში მოცემულია შესაბამისი საშუალებები და ისინი უნდა იქნას მიღებული / გამოყენებული ქვეპროექტების განხორციელებისას.

მოლდოვას რესპუბლიკის კანონმდებლობასა და მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებს შორის გამოვლენილი განსხვავებები მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში 6-ში.

ცხრილი 6. ძირითადი განსხვავებები მოლდოვას რესპუბლიკის კანონმდებლობასა და მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებს შორის.

მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები	განსხვავება	განსხვავებას დაძლევის გზები
სტანდარტი 1: გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების შეფასება და მართვა	ძირითადი განსხვავებები გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეროვნულ კანონმდებლობასა და სტანდარტ 1-ს შორის შემდეგია: არ არის გათვალისწინებული საჯარო კონსულტაციების სათანადო მექანიზმი ისეთი აქტივობების ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედების ასპექტებზე, რომლებისთვისაც სრული გზშ-ს მომზადება სავალდებულო არ არის. სოციალური ზემოქმედების შეფასება სრულად არ არის ინტეგრირებული ეროვნულ კანონმდებლობასთან, რის გამოც არ არის სათანადო საწყისი საბაზისო სოციალური მონაცემები. ეს ხელს უშლის გზშ-ებში მოწყვლად და დაუცველ მოსახლეობაზე ზემოქმედების და გენდერული პრობლემების შეფასებას. კუმულაციური ზემოქმედება განიხილება სრულ გზშ-ში, მაგრამ იგნორირებულია სხვა შემთხვევებში. პოტენციური ზემოქმედების მქონე პროექტებს მოეთხოვებათ შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარება, მაგრამ “ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმების” შედგენის მოთხოვნა არ არსებობს. მონიტორინგის წარმოების მოთხოვნა არ არის.	პოტენციური საშუალო რისკების და ზემოქმედების მქონე ქვეპროექტების ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმები უნდა მომზადდეს ტანდარტ 1-ის და ამ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს შესაბამისად.
სტანდარტი 2: შრომა და სამუშაო პირობები	ეროვნული კანონმდებლობა მოიცავს სტანდარტ 2-ის ძირითად სფეროებს, მაგრამ არ გააჩნია დებულებები საჩივრის მექანიზმის შექმნის შესახებ.	შრომითი ურთიერთობების მართვის პროცედურა იძლევა მითითებებს შესაბამისი მენეჯმენტის ზომების შესახებ (როგორიცაა მუშაკთა საჩივრის მექანიზმი, ქცევის კოდექსი და ა.შ.), რომელიც გათვალისწინებულია სტანდარტ 2-ით და უნდა იქნას გამოყენებული ქვეპროექტებისთვის.
სტანდარტი 3: რესურსების ეფექტიანობა და დაბინძურების თავიდან არიდება და მართვა	შესაბამისი კანონები და რეგულაციები ზოგადად შეესაბამება ევროკავშირის დირექტივებს და შესაბამისი კანონმდებლობის მიღება გრძელდება. სტანდარტ 3-ისა და ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებს შორის რაიმე არსებითი განსხვავება არ არის.	

მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები	განსხვავება	განსხვავებას დაძლევის გზები
სტანდარტი 4: საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ზოგადი პრინციპები განიხილება სხვადასხვა კანონმდებლობის შესაბამისად. ზოგადად, პოლიტიკაში რაიმე მნიშვნელოვანი ხარვეზი არ არის. თუმცა, მუშახელის შემოღინებასთან და გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებული რისკები მკაფიოდ არ არის დაფარული ეროვნულ კანონმდებლობაში.	პოტენციური საშუალო რისკების და ზემოქმედების მქონე ქვეპროექტების ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმები უნდა მომზადდეს სტანდარტი 4-ს და სტანდარტი 1-ის, ასევე ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს შესაბამისად.
სტანდარტი 6: ბიომრავალფეროვნების დაცვა და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა	ოფიციალური დაცული ტერიტორიების გარეთ ბიომრავალფეროვნების მართვა რთულია სამართლებრივი ხარვეზების გამო, ასევე ტექნიკური და მეთოდოლოგიური მითითებების არარსებობის გამო. ეკოსისტემური მომსახურება და ბიომრავალფეროვნების კომპენსირება არ არის ეროვნული კანონმდებლობის ნაწილი.	პოტენციური საშუალო რისკების და ზემოქმედების მქონე ქვეპროექტების “ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმები” უნდა მომზადდეს სტანდარტი 6-ის შესაბამისად, საჭიროებისამებრ, ქვეპროექტების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით.
სტანდარტი 10: დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა და ინფორმაციის საჯაროობა	სტანდარტი 10-თან დაკავშირებით არსებობს ხარვეზები შემდეგ სფეროებში: დაინტერესებული მხარეების ინფორმირება პროექტების დეტალებზე, მათი უკუკავშირის მისაღებად; ეროვნულ კანონმდებლობაში არ არის დებულება, რომელიც მოითხოვს კონკრეტული პროექტებისთვის დაინტერესებული მხარეების ჩართულობის სპეციფიკური გეგმების შემუშავებას საჯარო კონსულტაციების დასაგეგმად. ეროვნულ კანონმდებლობას აქვს დებულებები, რომლებიც მოქალაქეებს საჩივრების შეტანის საშუალებას აძლევს, მაგრამ ეს დებულებები ანონიმურობას არ იცავენ. ანონიმურად წარდგენილი საჩივრები ან საჩივრები რომელზეც გამომგზავნის საფოსტო მისამართი მითითებული არ არის, არ განიხილება. კანონმდებლობაში არ არის სპეციალური დებულებები კონსულტაციების დროს	ამ საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმაში მოცემულია შესაბამისი საშუალებები და ისინი უნდა იქნას მიღებული / გამოყენებული ქვეპროექტების განხორციელებისას..

მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები	განსხვავება	განსხვავებას დაძლევის გზები
	დაუცველი ჯგუფების პრობლემების გადასაჭრელად.	

თურქეთის კანონმდებლობასა და მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებს შორის გამოვლენილი განსხვავებები მოცემულია ქვემოთ მოტანილ ცხრილ 7-ში.

ცხრილი 7. ძირითადი განსხვავებები თურქეთის კანონმდებლობასა და მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებს შორის.

მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები	განსხვავება	განსხვავებას დაძლევის გზები
სტანდარტი 1: გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების შეფასება და მართვა	ძირითადი განსხვავებები გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეროვნულ კანონმდებლობასა და სტანდარტ 1-ს შორის შემდეგია: სოციალური ზემოქმედების შეფასება სრულად არ არის ინტეგრირებული ეროვნულ კანონმდებლობასთან, რის გამოც არ არის სათანადო საწყისი საბაზისო სოციალური მონაცემები. ეს ხელს უშლის გზშ-ებში მოწყვლად და დაუცველ მოსახლეობაზე ზემოქმედების და გენდერული პრობლემების შეფასებას. თურქეთის გზშ-ს ანალიტიკურ რეზიუმეში ინფორმაციის ნაკლებობა სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს შესახებ (გზშ-ს ანგარიშების არატექნიკურ რეზიუმეში ინფორმაციის დონე შეიძლება არ აკმაყოფილებდეს მსოფლიო ბანკის მოთხოვნებს); შეზღუდული მოთხოვნა სხვა პროექტებით კუმულაციური ზემოქმედების დასაფარავად; შეზღუდული აქცენტი თანმხლებ ობიექტებზე; პროექტებს მოეთხოვებათ მავნე ზემოქმედების შემარბილებელი და მონიტორინგის ღონისძიებების გატარება, მაგრამ “ზუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმების” შედგენის მოთხოვნა არ არსებობს.	პოტენციური საშუალო რისკების და ზემოქმედების მქონე ქვეპროექტების “ზუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმები” უნდა მომზადდეს სტანდარტ 1-ისა და ზუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს შესაბამისად.

მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები	განსხვავება	განსხვავებას დაძლევის გზები
სტანდარტი 2: შრომა და სამუშაო პირობები	ზოგადად, შრომისა და სამუშაო პირობების მარეგულირებელი ეროვნული კანონები და რეგულაციები შეესაბამება სტანდარტ 2-ის მოთხოვნებს. მთავარი ხარვეზი არის მუშაკებისთვის საჩივრების მექანიზმი. შრომისა და სამუშაო პირობების მარეგულირებელ ეროვნულ კანონმდებლობაში არ არის კონკრეტული მოთხოვნა საჩივრის მექანიზმის შესახებ, რომელიც საშუალებას მისცემდა მუშაკებს გაუგზავნონ თავიანთი საჩივრები დამსაქმებელს.	შრომითი ურთიერთობების მართვის პროცედურა იძლევა მითითებებს შესაბამისი მენეჯმენტის ზომების შესახებ (როგორიცაა მუშაკთა საჩივრის მექანიზმი, ქვეყნის კოდექსი და ა.შ.), რომელიც გათვალისწინებულია სტანდარტ 2-ით და უნდა იქნას გამოყენებული ქვეპროექტებისთვის.
სტანდარტი 3: რესურსების ეფექტიანობა და დაბინძურების თავიდან არიდება და მართვა	შესაბამისი კანონების და რეგულაციების უმეტესობა შეესაბამება ევროკავშირის დირექტივებს. სტანდარტ 3-ისა და ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებს შორის რაიმე არსებითი განსხვავება არ არის. გარდა ამისა, რესურსების გამოყენებასთან და დაბინძურების პრევენციასთან დაკავშირებული კონკრეტული კვლევები, როგორიცაა სათბურის გაზების გამონაბოლქვის შეფასება, კონკრეტულად არ არის ჩართული გზშ-ის ადგილობრივ პროცესში.	პოტენციური საშუალო რისკების და ზემოქმედების მქონე ქვეპროექტების ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმები უნდა მომზადდეს სტანდარტ 1-ისა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს შესაბამისად.
სტანდარტი 4: საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ზოგადი პრინციპები განიხილება სხვადასხვა კანონმდებლობის შესაბამისად. ზოგადად, პოლიტიკაში რაიმე ხარვეზი არ არის. თუმცა, მუშახელის შემოღინებასთან და გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებული რისკები მკაფიოდ არ არის დაფარული ეროვნულ კანონმდებლობაში.	პოტენციური საშუალო რისკების და ზემოქმედების მქონე ქვეპროექტების “ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმები” უნდა მომზადდეს სტანდარტ 4-ს და სტანდარტ 1-ის, ასევე ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს შესაბამისად.
სტანდარტი 6: ბიომრავალფეროვნებ ის დაცვა და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა	პოლიტიკის თვალსაზრისით არანაირი ხარვეზი არ არსებობს. ზოგიერთ შემთხვევაში, იმ სენსიტიურ ეკოლოგიურ ტერიტორიებზე, რომლებიც ოფიციალურად კანონით დაცული არ არის (როგორიცაა ბიომრავალფეროვნების ძირითადი ზონები), სათანადოდ არ არიან ასახულნი ადგილობრივ გზშ-ში, რაც არ აკმაყოფილებენ სტანდარტ 6-ის მოთხოვნებს. გარდა ამისა, პოტენციური ზემოქმედების, შემარბილებელი ღონისძიებების და ნარჩენი ზემოქმედების მართვა და მონიტორინგი ზოგადად არ არის დეტალური.	პოტენციური საშუალო რისკების და ზემოქმედების მქონე ქვეპროექტების ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმები უნდა მომზადდეს სტანდარტ 6-ის შესაბამისად, საჭიროებისამებრ, ქვეპროექტების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით.

მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები	განსხვავება	განსხვავებას დაძლევის გზები
სტანდარტი 10: დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა და ინფორმაციის საჯაროობა	სტანდარტ 10-თან მიმართებაში მთავარი ხარვეზი არის დაინტერესებულ მხარეების ეფექტიანი და გამჭვირვალე ჩართვის ნაკლებობა. ეროვნულ კანონმდებლობაში არ არის დებულება, რომელიც მოითხოვს საჯარო კონსულტაციების გამართვას კონკრეტული პროექტებისთვის დაინტერესებული მხარეების ჩართულობის სპეციფიკური გეგმების შესამუშავებლად. დაინტერესებულ მხარეთა ჩართვა სავალდებულოა მხოლოდ გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში, ხოლო პროექტის შემდგომ ეტაპებზე, როგორცაა მშენებლობა ან ექსპლუატაცია, ასეთი მოთხოვნა აღარ არის. კანონმდებლობაში არ არის სპეციალური დებულებები კონსულტაციების დროს დაუცველი ჯგუფების პრობლემების გადასაჭრელად. ეროვნულ კანონმდებლობაში არის დებულებები, რომლებიც მოქალაქეებს უფლებას აძლევს საჩივრები გამოთქვან, მაგრამ კონკრეტულ პროექტებში საჩივრების მექანიზმის არსებობის მოთხოვნილი არ არის.	ამ საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმაში მოცემულია შესაბამისი საშუალებები და ისინი უნდა იქნას მიღებული / გამოყენებული ქვეპროექტების განხორციელებისას.

უკრაინის კანონმდებლობასა და მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებს შორის გამოვლენილი განსხვავებები მოცემულია ქვემოთ მოტანილ ცხრილ 8-ში.

ცხრილი 8. ძირითადი განსხვავებები უკრაინის კანონმდებლობასა და მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებს შორის.

მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები	განსხვავება	განსხვავებას დამლევს გზები
სტანდარტი 1: გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების შეფასება და მართვა	ძირითადი განსხვავებები გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეროვნულ კანონმდებლობასა და სტანდარტ 1-ს შორის შემდეგია: არ არის გათვალისწინებული საჯარო კონსულტაციების სათანადო მექანიზმი ისეთი აქტივობების ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედების ასპექტებზე, რომლებისთვისაც სრული გზმ-ს მომზადება სავალდებულო არ არის. სოციალური ზემოქმედების შეფასება სრულად არ არის ინტეგრირებული ეროვნულ კანონმდებლობასთან, რის გამოც არ არის საწყისი საყრდენი სოციალური მონაცემები. ეს ხელს უშლის გზმ-ებში მოწყვლად და დაუცველ მოსახლეობაზე ზემოქმედების და გენდერული პრობლემების შეფასებას. კუმულაციური ზემოქმედება განიხილება ძალიან შეზღუდულ გარგლებში. პოტენციური ზემოქმედების მქონე პროექტებს მოეთხოვებათ შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარება, მაგრამ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმების შედგენის მოთხოვნა არ არსებობს.	პოტენციური საშუალო რისკების და ზემოქმედების მქონე ქვეპროექტების ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმები უნდა მომზადდეს სტანდარტ 1-ისა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს შესაბამისად.
სტანდარტი 2: შრომა და სამუშაო პირობები	უკრაინის შრომის დაცვისა და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის კანონმდებლობა მოწინავეა და ასახავს სტანდარტ 2-ის ყველა ძირითად მოთხოვნას. თუმცა, საწარმოთა დონეზე შრომის დაცვისა და შრომის დაცვისა და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დებულებების აღსრულება გასაუმჯობესებელია. გარდა ამისა, თანამშრომლების ინფორმირებულობა მათი შრომისა და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის უფლებების შესახებ დაბალი რჩება.	შრომითი ურთიერთობების მართვის პროცედურა იძლევა მითითებებს შესაბამისი მენეჯმენტის ზომების შესახებ (როგორცაა მუშაკთა საჩივრის მექანიზმი, ქცევის კოდექსი და ა.შ.), რომელიც გათვალისწინებულია სტანდარტ 2-ით და უნდა იქნას გამოყენებული ქვეპროექტებისთვის..

მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები	განსხვავება	განსხვავებას დამლევს გზები
სტანდარტი 3: რესურსების ეფექტიანობა და დაბინძურების პრევენცია და მართვა	შესაბამისი კანონმდებლობა ძირითადად ადგენს სტანდარტებს, რომლებიც ძირითადად ეფუძნება მაქსიმალური დასაშვები კონცენტრაციების გამოყენებას. დაიწყო კვლევები ევროკავშირის კანონმდებლობის მისაღებად. პროექტის სპეციფიკური შეფასებისთვის არსებობს სხვადასხვა ხარვეზი რესურსების გამოყენებასთან და დაბინძურების პრევენციასთან დაკავშირებით.	პოტენციური საშუალო რისკების და ზემოქმედების მქონე ქვეპროექტების “ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმები” უნდა მომზადდეს სტანდარტი 1-ისა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს შესაბამისად.
სტანდარტი 4: საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ზოგადი პრინციპები განიხილება სხვადასხვა კანონმდებლობის შესაბამისად. თუმცა, მუშახელის შემოღინებასთან და გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებული რისკები მკაფიოდ არ არის დაფარული ეროვნულ კანონმდებლობაში.	პოტენციური საშუალო რისკების და ზემოქმედების მქონე ქვეპროექტების ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმები უნდა მომზადდეს სტანდარტი 4-ის და სტანდარტი 1-ის, ისევე როგორც ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს შესაბამისად.
სტანდარტი 6: ბიომრავალფეროვნების დაცვა და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა	ოფიციალური დაცული ტერიტორიების გარეთ ბიომრავალფეროვნების მართვა რთულია სამართლებრივი ხარვეზების გამო, ასევე ტექნიკური და მეთოდოლოგიური მითითებების არარსებობის გამო. ევროსტემური მომსახურება და ბიომრავალფეროვნების კომპენსირება არ არის ეროვნული კანონმდებლობის ნაწილი.	პოტენციური საშუალო რისკების და ზემოქმედების მქონე ქვეპროექტების ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმები უნდა მომზადდეს სტანდარტი 6-ის შესაბამისად, საჭიროებისამებრ, ქვეპროექტების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით.
სტანდარტი 10: დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა და ინფორმაციის გამჟღავნება	სტანდარტი 10-თან დაკავშირებით არსებობს ხარვეზები შემდეგ სფეროებში: დაინტერესებული მხარეების ინფორმირება პროექტების დეტალებზე, მათი უკუკავშირის მისაღებად; ეროვნულ კანონმდებლობაში არ არის დებულება, რომელიც მოითხოვს კონკრეტული პროექტებისთვის დაინტერესებული მხარეების ჩართულობის სპეციფიკური გეგმების შემუშავებას საჯარო კონსულტაციების დასაგეგმად. დაინტერესებული მხარეების ჩართულობა მოითხოვება მხოლოდ გზშ-ს პროცესის დროს და არ არსებობს შემდგომი	ამ საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმაში მოცემულია შესაბამისი საშუალებები და ისინი უნდა იქნას მიღებული / გამოყენებული ქვეპროექტების განხორციელებისას.

მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები	განსხვავება	განსხვავებას დამლევს გზები
	მოთხოვნა პროექტების მშენებლობის ან ექსპლუატაციის ფაზებზე. კანონმდებლობაში არ არის სპეციალური დებულებები კონსულტაციების დროს დაუცველი ჯგუფების პრობლემების გადასაჭრელად. ეროვნულ კანონმდებლობაში არის დებულებები, რომლებიც მოქალაქეებს უფლებას აძლევს საჩივრები გამოთქვან, მაგრამ კონკრეტულ პროექტებში საჩივრების მექანიზმის არსებობის მოთხოვნა არ არის.	

4. არსებული პირობების მიმოხილვა

4.1. ფიზიკური გარემო

4.1.1. შავი ზღვის სანაპიროს მდგომარეობა

შავი ზღვა ევროპასა და აზიას შორის მდებარეობს. მისი აუზი ასიმეტრიულია და მასში ჩამდინარე მდინარეები მონაწილეობას იღებენ ორი კონტინენტის განსხვავებული ბუნებრივი პირობების ფორმირებაში. ზღვის მთლიანი ფართობია 423,000 კმ², ხოლო მის აუზს 2.5 მილიონი კმ² ფართობი უკავია. შავი ზღვის ქვეყნების სანაპირო ტერიტორია ძირითადად ზღვისპირა ხეობებისა და მთის ქედებისგან შედგება. მთიანი რელიეფი ტიპურია საქართველოსათვის, თურქეთისა და რუსეთისთვის და ნაწილობრივ ბულგარეთის, რუმინეთისა და უკრაინისთვის. ქვემოთ მოცემულ ზოგად რუკაზე (სურათი 2) ნაჩვენებია შავი ზღვა უფრო დიდ რეგიონში და შავი ზღვის რეგიონის /აუზის ქვეყნები.



სურათი 2. შავი ზღვა და მიმდებარე ქვეყნები

სანაპირო ზონის ფართობის განსაზღვრის მიდგომები განსხვავდება ქვეყნიდან ქვეყანაში, ხოლო და სანაპირო ზონის საზღვრების დასაზუსტებლად რეგულაციები საერთოდ არ არსებობს. ამრიგად, ქვეყნებმა მათი სანაპირო ზონების ტერიტორია და საზღვრები ძირითადად ანგარიშგების მიზნებისთვის განსაზღვრეს. არსებობს სამი მიდგომა, რომლებსაც შავი ზღვის ქვეყნები სანაპირო ზონის იდენტიფიკაციისთვის იყენებენ. მიდგომები შემდეგ პრინციპებს ემყარება:

- ადმინისტრაციული დაყოფა (თურქეთი).
- ზღვის ნაპირის ორივე მხარეს განსაზღვრული ტერიტორიები, ზღვაში ჩამავალი მდინარეების ჩათვლით (საქართველო);
- ტრადიციების, კონკრეტული ეკონომიკური რეჟიმისა და მოთხოვნების ერთობლიობა (უკრაინა).

საქართველო

პროექტით მოსარგებლე სამი ქვეყნის გემების 87%-ზე მეტი გამოიყენება მცირე ზომის თევზჭერისათვის, როგორც ეს მოცემულია ცხრილ 13-ში ქვემოთ.

⁷⁰ <https://reliefweb.int/sites/reliefweb.int/files/resources/CB2429EN.pdf>

⁷¹ The State of Mediterranean and Black Sea Fisheries 2018, GFCM, FAO

ცხრილი 13. პროექტით მოსარგებლე ქვეყნების თევჭერის გემები ფლოტის სეგმენტების მიხედვით

ქვეყანა	ფლოტის ჯგუფი					სულ
	მცირე ზომის გემები	ტრალერები და ბიმ-ტრალერები	სეინერები და პელაგიური ტრალერები	ფლოტის სხვა სეგმენტები	მიუკუთვნებელი	სულ
საქართველო					49	49
თურქეთი	8,157	792	219	158	-	9,326
უკრაინა	716	4	0	4	-	724
სულ	8,873	796	219	162	49	10,099

2008-2014 წლებში თევზჭერის სექტორი მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა თევზის მარაგის შემცირების გამო. შავი ზღვის მეთევზეობის სტატუსი 1970 წლიდან რეგულარულად ფასდება სხვადასხვა ინდიკატორების გამოყენებით, როგორცაა მთლიანი სადესანტო და რეგისტრირებული მარაგების რაოდენობა. შეფასებებმა დაადასტურა, რომ შავი ზღვის თევზჭერის რესურსები რისკის ქვეშ არის გადაჭარბებული ექსპლუატაციისა და დაბინძურების ზემოქმედების გამო⁷². თუმცა, პირველად ათწლეულების განმავლობაში, ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალური კომისია მის 2020 წლის ხმელთაშუა და შავი ზღვების სტატისტიკურ ანგარიშში მიაწვდის პოზიტიურ ტენდენციებზე თევზის მარაგში შავი ზღვის ტურბოტისთვის, რაც სიტუაციის გამოსწორების ნიშანს იძლევა.

სანაპირო და საზღვაო ტურიზმი

ტურიზმი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკაში და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს შავი ზღვის ქვეყნების მშპ-ში. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ტურისტების რაოდენობა შავი ზღვის რეგიონში გაიზარდა უფრო სწრაფად, ვიდრე მსოფლიო საშუალო მაჩვენებელია, 143 მილიონი საერთაშორისო ტურისტული ვიზიტი განხორციელდა 2018 წელს და 75 მილიარდი აშშ დოლარის საერთაშორისო ტურიზმის შემოსავლები დაფიქსირდა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში⁷³.

უკრაინასა და საქართველოში რეკრეაციული ინფრასტრუქტურა და ზღვისპირა კურორტები ძალიან აქტიურია, მაგრამ ნაკლებად არის განვითარებული თურქეთის შავი ზღვის სანაპიროზე, სადაც ტურიზმი ძირითადად ორიენტირებულია ეგეოსსა და ხმელთაშუა ზღვაზე. შავი ზღვის აუზის ტურიზმის პოტენციალი მდიდარია და მრავალფეროვანია, მათ შორისაა სპა და სამედიცინო ტურიზმი, კულტურა, ბუნება, ეკო და აგროტურიზმი, სათავგადასავლო, გამოქვაბული და მთის ტურიზმი და ასევე ტურიზმი,

⁷² <http://www.blacksea-commission.org/The%20Black%20Sea/Socio-Economy/>

⁷³ World Bank Group Georgia Towards Green and Resilient Growth November, 2020

რომელიც დაკავშირებულია სამზარეულოსთან, მდინარეებთან, ნადირობასთან და ყვინთვასთან და ზამთრის ტურიზმი დაკავშირებული თხილამურებთან.⁷⁴

სანაპირო ტურიზმი შეადგენდა მნიშვნელოვან ეკონომიკურ სექტორს ვიზიტორთა რაოდენობისა და შემოსავლის თვალსაზრისით. მაშინ როცა თურქეთსა და საქართველოში ტურიზმის სექტორის წვლილი იზრდება, უკრაინისა და მოლდოვას რესპუბლიკის მთლიანი შიდა პროდუქტში ტურიზმის წილი კვლავ მცირეა მსოფლიოსა და ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით. ტურიზმის სექტორის წილი ქვეყნების ეკონომიკაში შეჯამებულია ქვემოთ მოცემულ ცხრილ 14-ში.

ცხრილი 14. ტურიზმის სექტორის წილი მშპ-ში და დასაქმება

ქვეყანა	წილი მშპ-ში (მთელი მშპ-ს %) 2019*	მთლიანი დასაქმების პროცენტი 2019*
საქართველო	26.3	27.7
რესპუბლიკა მოლდოვა	7.3	7.6
თურქეთი	11.3	9.4
უკრაინა	5.9	6.2
ევროპის საშუალო	9.5	10.1
მსოფლიო საშუალო	10.3	10.0

*ამოღებულია მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს 2019 წლის ანგარიშიდან

დაბინძურება და ტურიზმი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია - ტურიზმი იწვევს დაბინძურებას და დაბინძურება კი თავის მხრივ უარყოფით გავლენას ახდენს ტურიზმის სექტორის განვითარებაზე. კვლევებმა აჩვენა, რომ ტურიზმი არის ერთ-ერთი სექტორი, რომელმაც გააუარესა ზღვის წყლის ხარისხი და დაბინძურებით გავლენა მოახდინა შავი ზღვის ეკოსისტემაზე და შეამცირა ტურისტული შესაძლებლობები. განსაკუთრებით პლასტმასის და სხვა ნარჩენების ჩაშვება ზღვაში იწვევს ზღვის დაბინძურებას. გარდა ამისა, ბუნებრივი ჰაბიტატის დაკარგვა თან ახლავს ტურიზმთან დაკავშირებულ მშენებლობასა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას.

ბენეფიციარ ქვეყნებში ტურიზმის ანალიზი გაკეთდა ეკონომიკურ და დასაქმების სფეროების ფოკუსირების გზით, რომლებიც დრამატულად დაზარალდა Covid-19 გამო ბოლო ორი წლის განმავლობაში.

2015-2019 წლებში საქართველოში ტურიზმის სექტორი მნიშვნელოვნად გაიზარდა და მისი საშუალო წლიური ზრდის ტემპი იყო 10%. ტურიზმის სექტორში დასაქმდა 193,000

⁷⁴ <http://www.blacksea-commission.org/The%20Black%20Sea/Socio-Economy/>

ადამიანი 2019 წელს, რაც 13% -ით მეტია 2015 წელთან შედარებით⁷⁵. ამასთან, ტურიზმი არის ეკონომიკის ყველაზე დაზარალებული სექტორი COVID-19-ის გამო. 2020 წლის პირველი კვარტლიდან საერთაშორისო ვიზიტორების მიმართულებით შემოსავლები 26 %-ით შემცირდა⁷⁶.

საქართველოში ტურისტული აქტივობა ძირითადად საგრძნობია ზღვისპირა რაიონებში - განსაკუთრებით კი ზაფხულში. აქედან გამომდინარე, საქართველოს სანაპირო ზონა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკაში შეტანილი წვლილის გამო, განსაკუთრებით ბოლო წლების მნიშვნელოვანი ზრდის გათვალისწინებით. თუმცა, სანაპირო ზონაში მიმდინარე აქტივობა დამანგრეველად მოქმედებს გარემოზე⁷⁷.

მოლდოვას რესპუბლიკაში ტურიზმის უმნიშვნელო ზრდის ტენდენციაა 2012 წლის დასაწყისიდან. მთლიანი შიდა პროდუქტში ტურიზმის საერთო წილი 2012-2018 წლებში გაიზარდა 3.2%-დან 4.3% -მდე⁷⁸. COVID-19-ის გამო, მოლდოვას რესპუბლიკაში ჩამოსული ტურისტების რაოდენობა თითქმის განახევრდა (-45.4%) და თითქმის ერთი მესამედით შემცირდა მოლდოველი ტურისტების რაოდენობა, რომლებიც საზღვარგარეთ მოგზაურობენ (-29.4%); შიდა ტურიზმი შემცირდა დაახლოებით 22.4%-ით (2019 წლის 1 კვარტალთან შედარებით)⁷⁹.

ტურიზმი თურქეთის ეკონომიკის ერთ -ერთი ყველაზე დინამიური სფეროა. 2019 წელს ჩამოსული საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა იყო 45 მილიონი. მკვეთრი ვარდნა მოხდა 2020 წელს COVID-19-ის გამო. თურქეთში ტურისტული სეზონის პერიოდში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა 2019 წელთან შედარებით დაახლოებით 75% -ით შემცირდა⁸⁰. საერთაშორისო ტურისტული ბაზრის ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, მისი გეოგრაფიული და სტრატეგიული მდებარეობის გამო, შავი ზღვის რეგიონი თურქეთში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტურიზმში. რეგიონი ძალიან მდიდარია ბუნებრივი, ისტორიული და კულტურული ღირებულებებით. მას აქვს საკმაოდ განსხვავებული სტრუქტურა თურქეთის სხვა რეგიონებთან შედარებით - გეოგრაფიული სტრუქტურის, ბიოლოგიური მრავალფეროვნებისა და ბუნებრივი რესურსების თვალსაზრისით.

⁷⁵ Geostat. 2020c

⁷⁶ Voluntary National Review 2020, UN Moldova

⁷⁷ The Cost of Coastal Zone Degradation in Georgia, A Tool for the Coastal Zone Adaptation and the Nationally Determined Contributions, February 2021 WB Report

⁷⁸ https://www.theglobaleconomy.com/Moldova/international_tourism_revenue_to_GDP/

⁷⁹ Impact Assessment of the COVID-19 Pandemic on Vulnerable Groups and Economic Sectors in the Republic of Moldova, November 2020, UNDP Moldova

⁸⁰ <https://www.statista.com/statistics/707699/foreign-tourist-arrivals-in-turkey/>

ტურიზმი მნიშვნელოვანი ფაქტორია უკრაინის ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის⁸¹. ოდესა, სევასტაპოლი და იალტა - შავი ზღვის სანაპიროზე ყველაზე მონახულებული ქალაქებია. COVID-19-ის დაწყებამდე, უკრაინაში ტურიზმში გაუმჯობესების ტენდენცია შეიმჩნეოდა 2014 წლის მოვლენების გამო მისი მნიშვნელოვანი შემცირების შემდეგ; კიევი, ოდესა და ლვოვი ყველაზე განვითარებული ტურისტული ადგილებია ტურისტული ღირებულებების თვალსაზრისით და მათზე მოდის საერთაშორისო ტურისტების დიდ წილი⁸². ოდესის, სოჭისა და ბათუმის მიმდებარე ტერიტორიები ასევე კარგად მოწყობილი ტურისტული ადგილებია. თუმცა, შავი ზღვის ტურისტული პოტენციალი ჯერ კიდევ არ არის სრულად ათვისებული, პირველ რიგში შეზღუდული ინვესტიციების, არასაკმარისი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, არაადეკვატური ტურისტული ობიექტების და მომსახურების შედარებით დაბალი ხარისხის, ასევე უკრაინისა და რუსეთის ფედერაციის კონფლიქტის გამო⁸³.

ნავთობისა და გაზის მოპოვება და გადამუშავება

ნავთობისა და გაზის სექტორი მოიცავს ოფშორულ ნახშირწყალბადების ინდუსტრიას და მილსადენებს, რომლებიც მდებარეობს როგორც მიმდებარე ხმელეთზე, ასევე შავ ზღვაზე. დასავლეთ შავი ზღვის აუზი განიხილება, როგორც ტერიტორია, სადაც სავარაუდოდ ყველაზე მეტი გაზის და ნავთობის მარაგებია. იგი წარმოადგენს ფიქალს, რომლის სიღრმეა დაახლოებით 100 მ. ტერიტორია მოიცავს დაახლოებით 50 ათას კვ.კმ-ს და მოიცავს ოდესის ყურეს მიმდებარე ტერიტორიებთან ერთად. ტერიტორია მოიცავს ერთ მოქმედ საბადოსა და ექსპლუატაციის მოსამზადებელ ეტაპზე მყოფ ექვს საბადოს. ამ რეგიონში გაზის საერთო რესურსი არის 1.5 ტრილიონი მ³.

წინასწარი შეფასებით, შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის საბადოებში უნდა იყოს 495,7 მილიარდი მ³ ბუნებრივი აირი და 50,4 მილიონი ტონა ნავთობი. პრიკერჩენსკის ზონაში 321.2 მილიარდი მ³ ბუნებრივი აირი და 126.8 მილიონი ტონა ნავთობი. კონტინენტურ ფერდობებზე - 766,6 მილიარდი მ³ ბუნებრივი აირი და 232,6 მილიონი ტონა ნავთობი. ეს მიუთითებს ენერგიის წარმოების მნიშვნელოვან პოტენციალზე.

ოფშორული ნავთობისა და ძირითადად გაზის საბადოების ძებნა და ექსპლუატაცია შავ ზღვაში მიმდინარეობს სხვადასხვა ლოკაციებში (აიაზლი თურქეთის სანაპიროსთან, გალატა და კალიაკრა ბულგარეთის სანაპიროზე, ანა, დოინა, დელტა, პესკარუსი და რუმინეთის სხვა საბადოები, ოდესის ყურე უკრაინაში; რუსეთის ფედერაცია აწარმოებს ტუაფსეს ნავთობის საბადოების კვლევას და გეგმავს მის ექსპლუატაციას). შავი ზღვის რუმინეთის კონტინენტურ შელფზე ახალი გაზის საბადოების აღმოჩენამ შეიძლება

⁸¹ Formation of the National Tourism System of Ukraine, Problems, Perspectives in Management, Volume 16, Issue 1, 2018

⁸² COVID-19 Pandemic and its Effects on Ukrainian Tourism Sector, UPDATE OF "THE ROAD MAP FOR A COMPETITIVE DEVELOPMENT OF UKRAINIAN TRAVEL & TOURISM INDUSTRY" EBRD, EU4Business

⁸³ <http://www.blacksea-commission.org/The%20Black%20Sea/Socio-Economy/>

გაადლიეროს ამ სექტორის როლი. უფრო მეტიც, თურქეთმა აღმოაჩინა 405 მილიარდი მ³ ბუნებრივი აირის საბადო შავ ზღვაში. პროექტის პირველ ეტაპზე თურქეთი ყოველდღიურად ამუშავებს 10 მილიონ მ³ -ს, ხოლო მეორე ფაზაში ვარაუდობს, რომ ყოველდღიურად მიაღწევს 40 მილიონ მ³-ს.

შავი ზღვის ტერიტორია მნიშვნელოვანი ხდება ენერგიის წარმოებისთვის, ტრანსპორტირებისა და განაწილებისთვის. შავი ზღვის რეგიონი არის ნავთობისა და გაზის ძირითადი ექსპორტის სატრანზიტო გზა, ამიტომ ამ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები, როგორიცაა ნავთობის დაღვრა ან შემთხვევითი დაბინძურება, შესაძლოა გაიზარდოს⁸⁴.

სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობა ბენეფიციარ ქვეყნებში სოფლის მოსახლეობის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს. მეტყვევობით და თევზჭერით წარმოდგენილი სოფლის მეურნეობის ამ სექტორის წილი მშპ-ში 6%-დან 10%-მდეა და მისი პროცენტული წილი მთლიან დასაქმებულთა რაოდენობაში მნიშვნელოვანია. ყველა ამ ქვეყანაში სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში აღემატება მსოფლიო და ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს. სოფლის მეურნეობის სექტორის წვლილი ქვეყნების ეკონომიკაში შეჯამებულია ქვემოთ მოცემულ ცხრილ 15-ში.

ცხრილი 15. სოფლის მეურნეობის სექტორის წვლილი მშპ-ში და დასაქმებაში

ქვეყანა	სოფლის მეურნეობა, თევზჭერა, მეტყვევობა (მშპ %)	დასაქმება სოფლის მეურნეობაში (მთელ დასაქმებულთა %)
საქართველო	6.5	38
რესპუბლიკა მოლდოვა	10.0	21
თურქეთი	6.4	18
უკრაინა	9.0	14
ევროპის საშუალო	3.3	27
მსოფლიო საშუალო	1.6	4

საქართველოში სანაპირო ზონაში მცხოვრები მოსახლეობის ნახევარი გარკვეულ შემოსავალს იღებს სოფლის მეურნეობიდან⁸⁵. რვა მუნიციპალიტეტს შორის სოფლის მეურნეობა ძირითადი შემოსავლის მომტანია ზუგდიდის, ხელვაჩურის და ქობულეთის

⁸⁴ <https://www.eea.europa.eu/soer/2015/countries/black-sea>

⁸⁵ Impacts of Climate Change on Georgia's Coastal Zone, Vulnerability Assessment and Adaptation Options, World Bank, 2020

მუნიციპალიტეტებში, სადაც მათი წილი ეკონომიკურ საქმიანობაში შესაბამისად არის 25%, 21% და 18%. სანაპირო ზონაში, სასოფლო-სამეურნეო წარმოება ძირითადად ადგილობრივი მოხმარებისთვის გამოიყენება მცირე ზომის საოჯახო მეურნეობის მიერ, რაც მთლიანი წარმოების 90%-ს შეადგენს. გარდა ამისა, მაღალი ღირებულების კულტურები, როგორცაა ციტრუსი, კენკრა, კივი, ხურმა და დაფნის ფოთოლი არის სანაპირო ზონის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, რომელიც ექსპორტირებულია მეზობელ ქვეყნებში.

მოლდოვას რესპუბლიკაში, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათწლეულში მშპ-ში სოფლის მეურნეობის წილი შემცირდა, სოფლის მეურნეობის სექტორში მაინც დასაქმებულია მთლიანი სამუშაო ძალის 20%-ზე მეტი. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ცენტრს წარმოადგენს მდინარე დუნაის აუზი, რომლის 80% ათვისებულია. მინერალური სასუქების საშუალო გამოყენების მაჩვენებელი არის 10კგ/ჰა აზოტი და 1 კგ/ჰა ფოსფორი.⁸⁶ მოლდოვაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას უმეტესად იყენებენ ხორბლის, ქერის, სამრეწველო კულტურების (შაქრის ჭარხალი, მზესუმზირა და ზეთის თესლი), კარტოფილის და მინდვრის ბოსტნეულის მოსაყვანად, ბაღებისა და ვენახებისათვის⁸⁷.

თურქეთში სასოფლო-სამეურნეო მიწას უკავია მთლიანი ფართობის დაახლოებით 50%. ქვეყანაში წარმოებული პირველადი კულტურებია: ხორბალი, შაქრის ჭარხალი, პომიდორი, ქერი და სიმინდი. შავი ზღვის სანაპირო ზონაში ჩაი, თხილი, თამბაქო, სიმინდი, კივი და ბრინჯი არის ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი. სეზონური მუშაკები არიან მთავარი სამუშაო ძალა თურქეთის შავი ზღვის სანაპირო ზოლში თხილის, ჩაის, ბოსტნეულის და ხილის მოსავლის აღების პერიოდში. ამ ჯგუფში შედიან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები თურქეთიდან და საქართველოდან.

უკრაინაში მიწის 50%-ზე მეტი სახნავია და სოფლის მეურნეობა არის საექსპორტო შემოსავლების მთავარი წყარო. უკრაინის ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას წარმოადგენს მარცვლეული, შაქრის ჭარხალი, მზესუმზირა, ბოსტნეული, ძროხის ხორცი და რძე⁸⁸.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით სამ ბენეფიციარ ქვეყანაში - საქართველოში, მოლდოვას რესპუბლიკასა და უკრაინაში, სასუქების მოხმარება სოფლის მეურნეობაში იზრდება. მოლდოვას რესპუბლიკაში, თურქეთსა და უკრაინაში სასუქების მოხმარება ევროკავშირის საშუალო დონეზე დაბალია, თუმცა ის უტოლდება ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს საქართველოში. სასუქების გამოყენება ამ ქვეყნებში 2017 და 2018 წლებში მოცემულია ცხრილ-ში 16 ქვემოთ.

⁸⁶ <https://www.icpdr.org/main/danube-basin/moldova>

⁸⁷ Moldova Water Security Diagnostic and Future Outlook, World Bank

⁸⁸ Ukraine Country Environmental Analysis, World Bank, 2016

ცხრილი 16. სასუქების მოხმარება პროექტით მოსარგებლე ოთხ ქვეყანაში

ქვეყანა	სასუქების გამოყენება (კგ ჰექტარზე 2017	სასუქების გამოყენება (კგ ჰექტარზე 2018
საქართველო	143	154
რესპუბლიკა მოლდოვა	48	59
თურქეთი	132	109
უკრაინა	61	65
ევროპის საშუალო	138	138
მსოფლიო საშუალო	155	154

5. პოტენციური გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედება და საერთო შემარბილებელი ღონისძიებები

ეს ნაწილი განსაზღვრავს პოტენციურ გარემოსდაცვით და სოციალურ ზემოქმედებას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას დასაფინანსებელი ქვეპროექტების/გრანტების საქმიანობიდან. ძირითადი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები და ზემოქმედება დაკავშირებულია პროექტის ქვეკომპონენტის 2.1 (ეკო-ინოვაციური გამოწვევა) ფარგლებში დასაფინანსებელი საქმიანობით. ეს ქვეკომპონენტი მოიცავს ინოვაციურ გრანტებს ზღვის დაბინძურების შემცირების ან/და დაბინძურების პრევენციის მიმართულებით. ეს გრანტები მიზნად ისახავს ინოვაციური პროექტების იდეების, ტექნოლოგიებისა და ბიზნეს მოდელების გამოცდის ხელშეწყობას, რათა დადასტურდეს მათი მიზანშეწონილობა, გამოყენებადობა და ეფექტურობა სამი არჩეული ეკო-ბიზნესიდან ერთში მაინც, ოთხივე ბენეფიციარი ქვეყნის შემთხვევაში. ეს ეკო-ბიზნესი შეიძლება იყოს მეწარმეები, არასამთავრობო ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, უნივერსიტეტები, ახალგაზრდული ჯგუფები და ქალთა ჯგუფები. ქვეკომპონენტი 2.2 (ინვესტიციების მომზადება) შეიძლება მოიცავდეს პროექტის მომზადების სხვადასხვა საფეხურის შემუშავებას, როგორცაა წინასწარი კვლევები, ეკონომიკური და ფინანსური ანალიზი, გარემოსა და საზოგადოებაზე ზემოქმედების შეფასება. თუ გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასების კვლევები დაფინანსდება ამ კომპონენტის ფარგლებში, მომზადდება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ტექნიკური დავალება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება გარემოსდაცვითი და სოციალური პრინციპები.

პროექტის საერთო მიზანია შავ ზღვაში დაბინძურების პრევენცია და შემცირება. ამ თვალსაზრისით, შავი ზღვის დეგრადაციის გამომწვევი ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესი იყო მასიური დაბინძურება აზოტისა და ფოსფორის ნაერთებით, რომელიც უმეტესწილად მოდის სასოფლო-სამეურნეო, საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ჩამდინარე წყლების წყაროებიდან. ამრიგად, ქვეკომპონენტი 2.1-ის ფარგლებში განსახორციელებელი ეკო-

ინოვაციური გამოწვევა ძირითადად მიზნად ისახავს ჯანსაღ და მდგრად ინოვაციებს სოფლის მეურნეობაში და ლურჯ ეკონომიკაში. გრანტები/ქვეპროექტები შეირჩევა კონკურენტული მექანიზმის საფუძველზე, ამიტომ მათი შინაარსის დაზუსტება ამაჟამად შეუძლებელია.

ქვეპროექტები, რომლებიც უნდა განხორციელდეს აღნიშნული ეკო-ინოვაციური გამოწვევის შედეგად, მოახდენს სასარგებლო ზეგავლენას როგორც ეკოლოგიური, ასევე სოციალური კუთხით. გარემოსდაცვით და სოციალური მავნე ზემოქმედებას განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს ქვეპროექტების ფარგლებში განსახორციელებელ ფიზიკურ აქტივობებთან მიმართებაში. ეს საქმიანოებები შეიძლება მოიცავდეს მცირე ზომის სამოქალაქო (სამშენებლო/სამონტაჟო) სამუშაოებს სასოფლო - სამეურნეო პრაქტიკაში (სარწყავი არხები, სასუქის და მავნებლების საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენება და ა.შ.) მცირე გაუმჯობესებების მისაღწევად, რაც დაფუძნებული იქნება ბიუჯეტიდან და გრანტებიდან მიღებულ თანხებზე, რაც ყველაზე დაბალი რისკების შემცველია.

ქვემოთ წარმოდგენილი პოტენციური უარყოფითი ზემოქმედება არის ზემოქმედება, რომელიც შეიძლება მოსალოდნელი იყოს ყველა გრანტის/ქვეპროექტისთვის. ეს ზემოქმედება იქნება შეზღუდული (დროით და კონკრეტული ადგილისთვის), იქნება მცირე სიდიდის და შექცევადი, ასევე შემსუბუქებული იქნება მენეჯმენტის სტანდარტული ზომების მიღებით, როგორც ეს მოცემულია ქვემოთ. საჭიროების შემთხვევაში განხორციელდება გარემოსდაცვითი და სოციალური პოტენციური ზემოქმედების უფრო კონკრეტული შეფასება.

5.1. გარემოზე ზემოქმედება, რისკები და შემარბილებელი ღონისძიებები

ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება (მტვერი და გამონაბოლქვი აირები)

სამშენებლო სამუშაოების დროს ადგილი აქვს ტექნიკის/აღჭურვილობის გადაადგილებას პროექტის ადგილზე. გათხრებმა, ზედაპირის მოსწორებამ და მიწის გატანამ შეიძლება გამოიწვიოს მტვრის და გამონაბოლქვი აირების გაჩენა, რაც ჰაერის დაბინძურებას გამოიწვევს. ეს გავლენა ჩაითვლება მცირე მასშტაბის, ხანგრძლივობის და ადგილობრივ ზეგავლენად, რადგან ის ლოკალიზებულია და ხდება მხოლოდ მშენებლობის ფაზაში. ექსპლუატაციის დროს, ადგილი ექნება მსგავსს დაბინძურებას გამოწვეულს ავტომობილებით და დანადგარებით და ასევე სხვადასხვა სახის საწვავის გამოყენებით (მაგ. გათბობა, დიზელის გენერატორების გამოყენება); ეს შეიძლება იყოს NO_x და SO₂ გამონაბოლქვი. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებისას ძირითადი დაბინძურება განპირობებული იქნება მანქანების/აღჭურვილობის გამონაბოლქვით და მტვრის წარმოქმნით.

წარმოქმნილი მტვრის ზემოქმედების შემსუბუქების მიზნით გამოყენებული იქნება ისეთი მეთოდები, როგორიცაა წყლის შესხურება და მასალების გადაზიდვისას გამოყენებული

ავტომობილები გადაფარებული იქნება მტვრისგან დაცვის მიზნით. რაც შეეხება გამონაბოლქვი აირების კონტროლს, სატრანსპორტო საშუალებები და აღჭურვილობა რეგულარულად შეკეთდება, მოხდება გამონაბოლქვი აირების კონტროლი და ადგილებზე არ იქნება უსაქმოდ მდგომი, ზედმეტი მანქანები. გენერატორის ან მსგავსი ემისიის წყაროს არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი ფილტრები იქნება გამოყენებული.

ხმაური

ხმაური წარმოიქმნება ობიექტების მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დროს, ავტომანქანებისა და მანქანა-დანადგარების, სამშენებლო ტექნიკის, ტუმბოების, გენერატორების გამოყენებისას.

მშენებლობის დროს ხმაური შემოიფარგლება შეზღუდული დროით. ამ კონტექსტში, სამშენებლო სამუშაოები საცხოვრებელ ადგილებში ან მის მახლობლად განხორციელდება მხოლოდ დღის განმავლობაში. დაიხურება გენერატორების, ჰაერის კომპრესორებისა და სხვა მექანიკური აღჭურვილობის ძრავის სახურავები და აღჭურვილობა განთავსდება საცხოვრებელი ადგილებიდან რაც შეიძლება შორს. სატრანსპორტო საშუალებები და აღჭურვილობა რეგულარულად გარემონტდება და იმ შემთხვევაში, თუ ხმაურის დონე შემაწუხებელი იქნა, ერთზე მეტი მანქანა/მოწყობილობა არ იმუშავებს ერთდროულად.

წყლის ხარისხზე ზემოქმედება

იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განხორციელების ადგილი ახლოს არის ზედაპირულ წყლებთან და მიწისქვეშა წყლებთან, სამუშაოები შეიძლება ქმნიდეს ზედაპირული წყლის დაბინძურების რისკს (ნალექები წყლის რესურსამდე და ქიმიკატები-სასუქი, პესტიციდები - შეიძლება დაბინძურდეს როგორც ზედაპირული, ასევე მიწისქვეშა წყლები სასოფლო-სამეურნეო მიწებიდან); სამუშაოს ჩატარებიდან წარმოქმნილმა ნარჩენმა წყლებმა შეიძლება ზეგავლენა იქონიოს ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ხარისხზე. ეს გავლენა მცირე სიდიდისაა სივრცული მასშტაბის თვალსაზრისით.

წყლის გამწმენდი სისტემებიდან (გამწმენდი სისტემებიდან), ქიმიური და ნარჩენების შესანახი ადგილებიდან ნებისმიერი გაჟონვა არის მიწისქვეშა წყლების დაბინძურების პოტენციური წყარო. ამასთან დაკავშირებული ქვეპროექტების არასათანადო მართვამ შეიძლება გამოიწვიოს მიწისქვეშა წყლების და ზედაპირული წყლების დაბინძურება.

საჭიროების შემთხვევაში მიღებული იქნება ეროზიისა და ნალექების კონტროლის ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა თივის ბალიშების და/ან სილის ღობეების გამოყენება, რათა თავიდან იქნას აცილებული ნალექის მოცემული ადგილიდან გადაადგილება და ახლომდებარე ზედაპირული წყლების გადაჭარბებული დაბინძურების გამოწვევა. ნებისმიერი საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების ჩადინება მოხდება არსებულ საკანალიზაციო სისტემაში ან შეგროვდება წყალგაუმტარ სეპტიკურ ავზებში (რომელთაც წაიღებს ადგილობრივი ხელისუფლების/მუნიციპალიტეტის ვაკუუმური სატვირთო

მანქანები სათანადოდ დასამუშავებლად), ან დამუშავდება ადგილზე. მანქანები და ტექნიკა გარეცხილი იქნება მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში, სადაც ჩამონადენი არ აბინძურებს ბუნებრივ ზედაპირულ წყლის ობიექტებს.

ნიადაგის ეროზია და დაბინძურება

მიწის ნებისმიერი გათხრის დროს, პროექტის ადგილის ფიზიკური მახასიათებლების გამო, გათხრილი ნიადაგი და ადგილი შესაძლოა წყლისა და ქარის ეროზიას დაექვემდებაროს. ეს გავლენა იქნება მცირე მნიშვნელობის და ადგილი ექნება შეზღუდული დროის განმავლობაში. ეროზია იქნება მინიმალური და ლოკალიზებული იმ ადგილებში, სადაც გათხრები ჩატარდება.

წყლის გამწმენდი სისტემებიდან ან ქიმიური და ნარჩენების შესანახი ადგილებიდან ნებისმიერი გაჟონვა არის ნიადაგის დაბინძურების პოტენციური წყარო. გარდა ამისა, პესტიციდების ნარჩენებმა, რომლებიც გამოიყენება სოფლის მეურნეობაში, შეიძლება დააბინძუროს ნიადაგი. შესაბამისი ქვეპროექტების არასათანადო მართვამ შეიძლება გამოიწვიოს ნიადაგის დაბინძურება.

გატარებული იქნება სათანადო კონტროლის ღონისძიებები, როგორიცაა საფეხურებრივი წარმონაქმნების გაკეთება, თივის ბალიშები და/ან ტალახის ღობეები. ქიმიური ნარჩენების შესანახი ადგილები უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი მყარი გაუმტარი იატაკით, რათა თავიდან იქნას აცილებული ნიადაგში ნებისმიერი გაჟონვა. ყველა საშიში ან ტოქსიკური ნივთიერების ადგილზე დროებით შენახვა მოხდება უსაფრთხო კონტეინერებში, რომელთაც გაუკეთდებათ ეტიკეტები შემადგენლობის, თვისებებისა და დამუშავების შესახებ ინფორმაციის დეტალებით. სახიფათო ნივთიერებების კონტეინერები მოთავსებული უნდა იყოს გაჟონვისაგან დაცულ კონტეინერში, რათა თავიდან იქნას აცილებული დაღვრა და გაჟონვა.

ზემოქმედება მცენარეებსა და ბიომრავალფეროვნებაზე

პროექტის განხორციელების ადგილის მახასიათებლების გათვალისწინებით, თითოეული ქვეპროექტის შემთხვევაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ხეების და სხვა მცენარეული საფარის მოსპობას, გამოწვეულს როგორც გზების გაყვანით, ისე ფაქტიური საპროექტო ტერიტორიის მოწყობით. მცენარეული საფარისგან გასუფთავების სამუშაოები შეიძლება ისე წარიმართოს, რომ მხოლოდ სამშენებლო სამუშაოებისათვის გამოყოფილი ტერიტორია გასუფთავდეს მცენარეებისაგან. ეს შეიძლება მოიცავდეს ბუჩქების გაწმენდას, ნიადაგის ზედაპირის მოხსნას, მიწის გათხრას და მის გატანას. ამ საქმიანობამ ასევე შეიძლება გამოიწვიოს ველური ბუნების ჰაბიტატების დაკარგვა.

პესტიციდების გამოყენება ემსახურება არასასურველი მწერების და სარვევლების განადგურებას, მაგრამ პესტიციდები შეიძლება იყოს ტოქსიკური სხვა ორგანიზმებისთვის,

მათ შორის ფრინველებისთვის, თევზებისთვის, სასარგებლო მწერებისთვის და არა მარტო სამიზნე მცენარეებისთვის, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს სხვა ორგანიზმების პოპულაციაზე. ინსექტიციდების პირდაპირი ეფექტები (ძირითადად) უკავშირდება ხმელეთზე მცხოვრები მწერების და წყლის ანთროპოიდების რაოდენობის შემცირებას. ასევე დადგინდა, რომ ინსექტიციდები უარყოფითად მოქმედებენ დამტვრევაზე და მავნებლების ბუნებრივ კონტროლზე, რაც ორივე მნიშვნელოვანი ეკოსისტემური მომსახურებაა.

საქმიანობის უშუალო სიახლოვეს განლაგებული ნებისმიერი რეგისტრირებული ბუნებრივი ჰაბიტატი, ჰარბტენიანი ტერიტორია და დაცული ტერიტორიები არ დაზიანდება და არ იქნება ექსპლუატირებული. ყველა თანამშრომელს მკაცრად ეკრძალება ნადირობა, საკვების მოპოვება, ჭრა ან სხვა საზიანო საქმიანობა. ჩატარდება მოკვლევა და მოსაჭრელი ხეების ინვენტარიზაცია და კომპენსაციის მიზნით მოხდება ხეების სხვაგან დარგვა. გარემოსდაცვით ზემოქმედების შემამსუბუქებელი სხვა მიღებული ზომები ასევე ემსახურება მცენარეულობასა და ჰაბიტატებზე ზემოქმედების თავიდან აცილებას და მინიმუმამდე შემცირებას.

ნარჩენები

მყარი ნარჩენები არის პოტენციური ეკოლოგიური რისკი, რომელიც წარმოიქმნება ნაგვის/ნარჩენების ადგილზე მიტოვების შედეგად. მყარი ნარჩენები მოიცავს შიდა, სამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო და სახიფათო ნარჩენებს. სახიფათო ნარჩენები ძირითადად გამოწვეულია საწვავის ჰიდრაულიკური სითხეებით ან საპოხი მასალებით, რომლებიც გამოიყენება ან ინახება სატრანსპორტო საშუალებებისა და დანადგარებისათვის. ამ ნარჩენების გარდა, ისეთი გამოყენებული მასალები, როგორიცაა ბატარეები და აკუმულატორები, ასევე ქიმიკატები წარმოადგენენ საშიშ ნარჩენებს.

ნარჩენების მართვა მოხდება ნარჩენების მართვის იერარქიის შესაბამისად (აღკვეთა, შემცირება, ხელახალი გამოყენება, გადამუშავება, ენერგიის აღდგენა, განკარგვა). ყველა ძირითადი ტიპის ნარჩენებისათვის, რომლებიც მოსალოდნელია მოჰყვეს გაწეულ საქმიანობას, განსაზღვრული იქნება ნარჩენების შეგროვების და განკარგვის გზები და ადგილები.

საყოფაცხოვრებო ნარჩენებისათვის ადგილებზე განთავსებული იქნება ნაგვის ურნები სხვადასხვა ნარჩენების (პლასტმასის, მინის, ქაღალდის) ცალ-ცალკე დასახარისხებლად; მათ მოემსახურება მუნიციპალიტეტების სამსახურები. შეძლებისდაგვარად, კონტრაქტორი ხელახლა გამოიყენებს და გადაამუშავებს გამოსაყენებლად ვარგის მასალებს. მინერალური ნარჩენები ადგილზე სორტირების გზით გამოიყოფა სხვა ორგანული, თხევადი და ქიმიური ნარჩენებისგან, და ინახება შესაბამის დახურულ კონტეინერებში. მოეწყობა ნარჩენების დროებითი შესანახი ადგილი განკუთვნილი სამშენებლო ნარჩენებისთვის და სამშენებლო ნარჩენები არ უნდა იყოს შერეული მოთხრილ ნიადაგთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ყველა სახიფათო ნარჩენი (ნავთობპროდუქტების ნარჩენების ჩათვლით,

ბატარეები და აკუმულატორები, საბურავები) შეგროვდება და სწორად განიკარგება ლიცენზირებული შემგროვებლების მიერ. გაკეთდება ნარჩენების გატანის ჩანაწერები, როგორც ნარჩენების სწორი მენეჯმენტის მტკიცებულება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

5.2. სამუშაო პირობები, შრომის ჰიგიენა და უსაფრთხოება

შავი ზღვის ეკონომიკური პარტნიორობის ორგანიზაციის მუდმივმოქმედი საერთაშორისო სამდივნო შექმნის პროექტის იმპლემენტაციის ერთეულს, რომელშიც შევა ერთი პროექტის მენეჯერი შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციიდან და 9 თანამშრომელი, რომელთა დაქირავება მოხდება სპეციალურად ამ პროექტისათვის. პროექტი დაასაქმებს ამ 9 თანამშრომელს სტამბოლში, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ოფისში, და კონტრაქტით აიყვანს თანამშრომლებს, რომლებიც იქნებიან კონსულტანტები, ტრენერები და საგრანტო პროექტებით მომუშავენი. ვინაიდან გრანტები მოიცავს მცირე ზომის სამოქალაქო/სამონტაჟო სამუშაოებს, საჭირო სამუშაო ძალა იქნება ასევე მცირე და უფრო სავარაუდოა, რომ შეირჩეს ადგილობრივად. პროექტი ხელს შეუწყობს ადგილობრივ დასაქმებას და შესყიდვებს პროექტის საგრანტო საქმიანობასთან დაკავშირებით. ამიტომ, სამუშაო ძალის შემოღინება მოსალოდნელი არ არის. იმის გათვალისწინებით, რომ პროექტში ცოტა თანამშრომელი იქნება დასაქმებული და ადგილი არ ექნება გარეშე მუშახელის შემოღინებას, გენდერული ნიშნით ძალადობა და სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის რისკები დაბალი იქნება. პროექტი მიიღებს შემდეგ ზომებს პრევენციის მიზნით:

- პროექტის მუშაკთათვის გენდერული ძალადობის (GBV) შესახებ ცოდნის ამაღლების მიზნით სესიის ჩატარება.
- საჩივრების მექანიზმის შემუშავება და დანერგვა როგორც თემისთვის, ასევე პროექტის მუშაკთათვის.
- საჩივრების მექანიზმის დანერგვა პროექტის მუშაკებსა და თემებში, რომელიც მოიცავს სექსუალურ შევიწროებასა და სექსუალურ ექსპლუატაციასა და ძალადობასთან დაკავშირებულ საჩივრებს.

ნებისმიერი სახის სამუშაოსათვის უნდა შეიქმნას შესაბამისი სამუშაო პირობები და უფლებები მუშათა კეთილდღეობისა და სამუშაოების წარმატებით შესრულებისათვის. ეს პირობები ასევე გულისხმობს უსაფრთხო სამუშაო გარემოს და სხვადასხვა რისკის ფაქტორების გათვალისწინებას სხვადასხვა სახის სამუშაოებში.

ზოგადად, ნებისმიერი სამუშაო გარემოსთვის გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი სამუშაო პირობები:

- სამუშაო ადგილის სტრუქტურების მთლიანობა
- სამუშაო ადგილი, უსაფრთხო წვდომა და გასასვლელები

- ხანძარსაწინააღმდეგო ზომები
- საპირფარეშოები და საშხაპეები
- სასმელი წყლით მომარაგება
- სუფთა კვების ადგილები
- განათება
- ჰაერის მიწოდება

სამოქალაქო სამუშაოებისა და სოფლის მეურნეობის სექტორში ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პოტენციური რისკები შეიძლება იყოს:

- ზედმეტი დატვირთვა
- მოსრილება და დაცემა
- სიმაღლეზე მუშაობა
- მოძრავი საგნები და ტექნიკა
- მტვრის და ხმაურის ზემოქმედება
- მასალების დამუშავება
- უნებლიე კოლაფსი
- აზბესტი
- ელექტროობა
- ტრანსპორტთან დაკავშირებული რისკები გაზრდილი მოძრაობის გამო
- პროფესიული უბედური შემთხვევების, დაზიანებებისა და დაავადებების ასოცირებული რისკი.
- ცეცხლი
- ქიმიკატები (როგორიცაა პესტიციდები, რომლებიც გამოიყენება სოფლის მეურნეობაში).

ძირითადი ქიმიკატები, რომლებიც გამოიყენება სასოფლო -სამეურნეო საქმიანობაში, არის პესტიციდები, რომლებიც უარყოფით მწვავე და გრძელვადიან გავლენას ახდენენ ადამიანის ჯანმრთელობაზე. პესტიციდების პროფესიულმა ან პირად მოხმარებაში გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ჯანმრთელობაზე სხვადასხვა სახის ზემოქმედება, მათ შორის მწვავე ტოქსიკურობა (ექსპოზიციის საფუძველზე) მოკლევადიან პერიოდში და კიბო, ნევროლოგიური, იმუნოლოგიური და რეპროდუქციული ეფექტი - გრძელვადიან პერსპექტივაში. მაღალი რისკის ჯგუფები, რომლებიც შესაძლოა დაზიანდნენ პესტიციდების გამო, მოიცავს წარმოების მუშაკებს, შემსხურებლებს, მიქსერებს, მტვிரთავეებს და სასოფლო -სამეურნეო მეურნეობის მუშაკებს.

შრომის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პოტენციური რისკების შემსუბუქებისა და მართვის მიზნით და აუცილებელი სამუშაო პირობების შესაქმნელად შეიძლება მიღებულ იქნას შემდეგი ზომები:

- მუშაკებისთვის ძირითადი საშუალებების უზრუნველყოფა (როგორიცაა ტუალეტი, დასვენების ადგილი, სასადილო და ტანსაცმლის გამოცვლის ადგილი და ა.შ.).

- მასალებისა და ნარჩენების შესანახი ადგილების განსაზღვრა.
- შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის საკითხებში შესაბამისი სერტიფიცირებისა და გამოცდილების მქონე პირის (პირების) დანიშვნა ადგილზე.
- ფიზიკური პირობები და აღჭურვილობა შესაბამისობაში იქნება ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებთან.
- სამუშაოები განხორციელდება უსაფრთხოდ და დისციპლინირებულად და ისე იქნება დაპროექტებული, რომ მინიმუმამდე დაიყვანოს რისკები მეზობელ მოსახლეობასა და გარემოზე.
- უზრუნველყოფილი იქნება მშრომელთა უსაფრთხო სამუშაო გარემო.
- შესაბამისი პირადი დამცავი აღჭურვილობით უზრუნველყოფა; პირადი დამცავი აღჭურვილობა უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას და ეროვნულ კანონმდებლობას (შლემები, საჭირო შემთხვევებში ნიღბები და უსაფრთხოების სათვალე, აღკაზმულობა და უსაფრთხოების ჩექმები).
- საყოფაცხოვრებო ზომები იქნება მიღებული ყველა სამუშაო ადგილზე.
- შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის შესახებ საკმარისი რაოდენობის ნიშნები განთავსდება სამუშაო ადგილზე და თანამშრომლები ინფორმირებულნი იქნებიან ძირითადი წესებისა და რეგულაციების შესახებ.
- თანამშრომლებს ჩაუტარდებათ ტრენინგები შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე და ინსტრუმენტთან მუშაობის ინსტრუქტაჟი, ქცევის კოდექსის ჩათვლით, რომელიც მიუთითებს შესაძლო რისკებს დაკავშირებულს სამუშაო ადგილთან და შესასრულებელ სამუშაოებთან.
- წერილობით დაფიქსირდება როგორც ტრენინგების ჩატარება, ასევე ინციდენტები (ფატალური შემთხვევები, დაკარგული დროის ინციდენტები, ნებისმიერი მნიშვნელოვანი მოვლენა, მათ შორის დაღვრა, ხანძარი, პანდემიის ან გადამდები დაავადებების გაჩენა, სოციალური არეულობა და სხვა).
- შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის დოკუმენტაცია და სასწავლო მასალები ხელმისაწვდომი იქნება ადგილზე.
- განხორციელდება რისკების შეფასების შესწავლა ყველა შესასრულებელ სამუშაოსათვის.
- მომზადდება საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების კონკრეტული გეგმა/პროცედურები, რომელიც მოიცავს ისეთ საგანგებო სიტუაციებს, როგორიცაა ხანძარი, უბედური შემთხვევები, სტიქიური უბედურებები (მიწისძვრა, მძიმე მეტეოროლოგიური მოვლენები და სხვა) და ამის შესახებ მოხდება თანამშრომელთა ინფორმირება.
- რისკების შეფასება და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა/პროცედურები გაითვალისწინებს COVID-19 რისკებს და სხვა გადამდები დაავადებების რისკებს.
- განისაზღვრება მონიტორინგთან და აუდიტთან დაკავშირებული აქტივობა, რომელიც ჩატარდება რეგულარულად.

5.3. სოციალური რისკები და ზემოქმედება და შემარბილებელი ღონისძიებები

პროექტი გამოიწვევს პოზიტიურ სოციალურ ზემოქმედებას შავი ზღვის გარემოსდაცვითი სტატუსის გასაუმჯობესებელი მმართველობის გაძლიერების მხრივ. ამის მისაღწევად, პროექტი მიზნად ისახავს მდგრადი ბიზნეს სტანდარტების დანერგვას პროექტთან დაკავშირებულ სექტორებში და საგრანტო პროექტების დაფინანსებას, რაც ბიძგს მისცემს ინოვაციურ გადაწყვეტილებებს დაბინძურების შესამცირებლად და/ან თავიდან ასაცილებლად. ეს კონტექსტი განაპირობებს საზოგადოების და დაინტერესებული მხარეების მიერ შემოთავაზებულ ჩარევაზე თანხმობას, რაც საჭიროა პროექტის წარმატებისათვის. სოციალური/საზოგადოებრივი ცნობადობის მიზნით საგრანტო პროექტებისთვის შემუშავდება და დაინერგება ქვეყნისათვის სპეციფიკური „დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმები“ და ასევე მისი გამარტივებული ვარიანტი, რაც აღწერს ადგილობრივი და ეროვნული დაინტერესებული მხარეების მასში ჩართულობის მეთოდებს.

რისკის თვალსაზრისით, პროექტის რეგიონალურობამ, ასევე ქვეყნის რესურსების დონემ და შესაძლებლობებმა შეიძლება გამოიწვიოს 2-ე კომპონენტით დაგეგმილ ღონისძიებებში ისეთი ადგილობრივი მოთამაშეების სუსტი მონაწილეობა, როგორიცაა ადგილობრივი ბანკები, მუნიციპალიტეტები, მცირე და საშუალო ბიზნესები, მეწარმე ქალები და ადგილობრივი თემები. პროექტი უზრუნველყოფს ეროვნული უწყებების აქტიურ ჩართულობას პროექტის კოორდინაციაში. ქვეყნის სპეციფიკური „დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმები“ შემუშავდება და განხორციელდება. საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდება ადგილობრივ ენებზე დაინტერესებული მხარეებისათვის მოსახერხებელი მეთოდით, რაც უზრუნველყოფს მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობას.

ამ ეტაპზე გამოვლენილია ორი პოტენციური რისკი საგრანტო პროექტებთან დაკავშირებით:

- იმ თემების განსაზღვრა, რომლებზეც გრანტებმა/ქვეპროექტებმა შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს მათ საარსებო წყაროზე.
- თემების წინააღმდეგობა იმ საგრანტო პროექტებში მონაწილეობაზე, რომელიც მოითხოვს ახალი/ინოვაციური ტექნიკის გამოყენებას სოფლის მეურნეობაში, თევზჭერაში, ტურიზმში და ა.შ.

შემდეგი ზომები მიიღება ამ რისკების შესამცირებლად:

- საგრანტო პროექტებისთვის გამარტივებული „დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმების“ შემუშავება და განხორციელება.
- ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების, განსაკუთრებით კი პოტენციურად დაზარალებული თემების ადრეული, დროული და აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა მათი პრობლემების მოსასმენად და გასათვალისწინებლად.
- საჩივრის მექანიზმის დანერგვა

- თემების და ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების მონიტორინგში ჩართვა.

საზოგადოების ჯანმრთელობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შესაძლო ძირითადი საკითხები, რომლებიც უნდა იქნას გათვალისწინებული ქვეპროექტებში:

- გაზრდილი სატრანსპორტო მოძრაობა და საგზაო შემთხვევებისა და დაზიანებების რისკი.
- გადამდები დაავადებების გავრცელების რისკი, მათ შორის Covid-19.
- არსებული საზოგადოებრივი კომუნალური კაბელების და მილების დაზიანების და სერვისების შეფერხების რისკი.
- ხმაური და ვიბრაცია.
- საზოგადოების კულტურასთან, უსაფრთხოებასთან და უშიშროებასთან დაკავშირებული საფრთხეები, რომელიც დაკავშირებულია მუშათა და ბიზნეს ოპორტუნისტა არსებობასთან.
- საზოგადოების წევრებისათვის მათ ქონებაზე წვდომის შესაძლო შეზღუდვა ან ყოველდღიური ცხოვრების წესის დარღვევა.

საზოგადოების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პოტენციური რისკების შემსუბუქებისა და მართვის მიზნით შესაძლებელია შემდეგი ზომების მიღება:

- პროექტის ადგილი იქნება სათანადოდ დაცული (შემოღობილი), აკრძალული იქნება უკონტროლო შესვლა.
- პროექტთან დაკავშირებული სატრანსპორტო მოძრაობა დაექვემდებარება რეგულაციებს; საგზაო ნიშნების დადგმა, გამაფრთხილებელი ნიშნები, ბარიერები და ტრანსპორტის მოძრაობის მიმართულების შესაძლო ცვლილება, პერსონალის სწავლება, ფეხით მოსიარულეთათვის უსაფრთხო გადასასვლელებისა და გასასვლელების უზრუნველყოფა იქ სადაც მოძრაობს ტრანსპორტი, სამუშაო საათების მორგება ადგილობრივი ტრანსპორტის გრაფიკზე (მაგ. პიკის საათებში ან პირუტყვის მოძრაობის დროს ძირითადი სატრანსპორტო საქმიანობის შეზღუდვა), ტრანსპორტის მოძრაობის აქტიური მართვა ადგილზე მომზადებული პერსონალის მიერ, თუკი ეს აუცილებელია საზოგადოების წევრების უსაფრთხო და მოსახერხებელი გადაადგილებისათვის.
- ნებისმიერი სპეციალური მასალის ტრანსპორტირება მოხდება ხელისუფლებასთან შეთანხმებული მარშრუტების საშუალებით.
- ყველა დამცავი ღონისძიების გატარება რაც მოითხოვება ეროვნული ხელისუფლებისა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ COVID-19- ის და ამგვარი გადამდები დაავადებების მიმართ.
- ყველა აქტივობა დაიწყება შესაბამისი ნებართვების მიღების და ადგილობრივი ხელისუფლების ინფორმირების შემდეგ.

6. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს განხორციელების პროცესი

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია, პასუხისმგებელია განახორციელოს პროექტი „შავი ზღვის გალურჯების პროგრამის“ პროექტის განმახორციელებელი გუნდის მეშვეობით. პროექტის განმახორციელებელ გუნდი პასუხისმგებელი იქნება პროექტის ყოველდღიურ მართვასა და მხარდაჭერაზე. მან უნდა უზრუნველყოს პროექტის განხორციელება მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური პრინციპების, მსოფლიო ბანკის ჯგუფის „გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სახელმძღვანელო მითითებების“, COVID-19-თან დაკავშირებით მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო მითითებების და „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს“ შესაბამისად. პროექტის განმახორციელებელი გუნდი სათანადოდ დაკომპლექტდება პროექტის მართვისა და „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს“ განხორციელებისთვის.

ქვემოთ აღწერილია პროექტის განმახორციელებელი გუნდის მიერ „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს“ ეტაპები.

6.1. სკრინინგი

„ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს“ განხორციელების პროცესი იწყება საგრანტო განაცხადების (ქვეპროექტების) გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგით. ასეთი სკრინინგის მიზანია უზრუნველყვით, რომ ქვეპროექტების შერჩევისა და შემდეგ მათი დაგეგმვის ეტაპებზე შერჩეული იყოს ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ყველაზე მეტად უწყობენ ხელს არსებული გარემოსდაცვითი პრობლემების დაძლევის. მსოფლიო ბანკის ჯგუფის „გამომრიცხავი სია“ საფუძველზე, სკრინინგის შედეგად დადგინდება აქვს თუ არა საგრანტო განაცხადს (ქვეპროექტს) დაფინანსების მიღების უფლება (სრული სია მოცემულია #1 დანართში და შეჯამებულია ქვემოთ) და თუ აქვს, საჭიროა თუ არა პროექტისთვის „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის“ სპეციფიკური გეგმის შემუშავება.

ქვემოთ მოცემულია მსოფლიო ბანკის ჯგუფის „გამომრიცხავი სია“, რომელიც მოიცავს პროექტის ფარგლებში დაფინანსებისათვის შეუსაბამო საქმიანობას/საგრანტო განაცხადებს/ქვეპროექტებს:

- მაღალი და არსებითი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების ქვეპროექტები მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური პრინციპების რისკების კატეგორიების შესაბამისად;
- ქვეპროექტები, რომლებმაც არ დაასრულეს აუცილებელი ეროვნული გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესი;

- ქვეპროექტები, რომლებიც უარყოფით გავლენას მოახდენს ცნობილ და დაცულ კულტურულ მემკვიდრეობაზე;
- ქვეპროექტები, რომლებიც უარყოფით გავლენას მოახდენს კრიტიკულ და ბუნებრივ ჰაბიტატებზე და/ან მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს გარემოზე ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით.
- ქვეპროექტები, რომლებიც საჭიროებენ მიწის შესყიდვას, მიწის გამოყენების შეზღუდვას და/ან იძულებით განსახლებას;
- ქვეპროექტები, რომლებიც არ შეესაბამება მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკას OP/BP 7.50 პროექტები საერთაშორისო წყალსატევებზე.
- ქვეპროექტები, რომლებიც არ შეესაბამება მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკას OP/BP 7.60 პროექტები სადავო ტერიტორიებზე.
- ქვეპროექტები/აქტივობები, რომლებიც გულისხმობს ბავშვთა შრომას და იძულებით შრომას.

არსებული ინფორმაციის საფუძველზე, სკრინინგი მოიცავდა შემოთავაზებული ქვეპროექტების პოტენციური გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების წინასწარ შეფასებას. პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი შეამოწმებს საგრანტო განაცხადებს/შემოთავაზებულ ქვეპროექტებს (მსოფლიო ბანკთან კონსულტაციით) დანართი 2-ში მოცემული სკრინინგის სიის გამოყენებით, ქვეპროექტების პოტენციური მავნე ზემოქმედებისა და გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების დონის დასადგენად. მსოფლიო ბანკი განიხილავს სულ მცირე პირველი სამი ქვეპროექტის სკრინინგს, განიხილავს ბუნებრივ და სოციალური გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმას და არ იქნება წინააღმდეგი. შემდეგი სკრინინგის პროცესები და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის განხილვები გაკეთდება პროექტის განმახორციელებელი გუნდის მიერ. ბანკს შეუძლია ჩაატაროს დანარჩენი ჩატარებული სკრინინგებისა და ადგილისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ინსტრუმენტების შედეგების შემდგომი მიმოხილვა. მსოფლიო ბანკისათვის ამ მიზნით წარდგენილი ინფორმაცია მოიცავს შემოთავაზებული სკრინინგის კატეგორიას და ძირითად გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებს, რომლებიც გაანალიზდება შერჩეული კატეგორიის ინფორმაციასთან ერთად.

მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური პრინციპების თანახმად, პროექტები კლასიფიცირდება ოთხ შემდეგ კატეგორიად: მაღალი რისკის, არსებითი რისკის, ზომიერი რისკის ან დაბალი რისკის; ამ დროს მხედველობაში მიიღება ისეთი არსებითი პოტენციური რისკები და ზემოქმედებები, როგორცაა პროექტის ტიპი, ადგილმდებარეობა, სენსიტიურობა და პროექტის მასშტაბი; პოტენციური გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების და ზემოქმედების ბუნება და სიდიდე; მსესხებლის შესაძლებლობები და ვალდებულება; და რისკების სხვა სფეროები, რომლებიც შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი

შემარბილებელი ღონისძიებების განსახორციელებლად და შედეგის მისაღწევად. მსოფლიო ბანკის პროექტის კატეგორიების განსაზღვრის დეტალები მოცემულია დანართში 3.

სკრინინგის პროცესის შედეგია ქვეპროექტის კატეგორიის განსაზღვრა მისი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მიხედვით, მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების კლასიფიკაციის შესაბამისად. ამ კონტექსტში, რისკების მიხედვით, ქვეპროექტები შეიძლება დაიყოს ოთხ ღონედ (მაღალი, არსებითი, ზომიერი და დაბალი). ამ ოთხი ღონიდან არ იქნება შემდგომი შეფასებული მაღალი და არსებითი რისკის მქონე აქტივობები, ვინაიდან ისინი პროექტიდან გამოსარიცხი საკითხების სიაშია. ეკო-ინოვაციის გამოწვევაში შეფასებისა და დაფინანსების უფლება ექნება ზომიერი რისკის და დაბალი რისკის მქონე საქმიანობებს.

6.2. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება

სკრინინგის პროცედურის შესაბამისად, მაღალი რისკისა და არსებითი რისკის კატეგორიის ქვეპროექტები ამოვარდება პროექტის ფარგლებიდან. ზომიერი რისკის კატეგორიის ქვეპროექტებისთვის, ადგილის სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა შემუშავდეს „ბუნების და სოციალური გარემოს ზემოქმედების მართვის გეგმა“ მსოფლიო ბანკის „გარემოსდაცვითი და სოციალური პრინციპების შესაბამისად და დანართ 4-ში მითითებული სტრუქტურის შესაბამისად. დაბალი რისკის კატეგორიის ქვეპროექტებისთვის არ იქნება საჭირო შემდგომი გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ჩატარება (სკრინინგის შემდგომ) და ამ ქვეპროექტებისთვის გამოყენებული იქნება დანართ 5-ში მოცემული „ბუნების და სოციალური გარემოს ზემოქმედების მართვის გეგმის“ ჩამონათვალი. საშუალო და დაბალი რისკის კატეგორიის (სკრინინგის პროცესში გამოვლენილი) ქვეპროექტების პროცედურები მოცემულია ცხრილში 17.

ცხრილი 17. თითოეული კატეგორიისათვის განსახორციელებელი პროცედურები

ქვეპროექტის ფაზა	პროცედურები		პასუხისმგებელი მხარე
	საშუალო რისკის ქვეპროექტები	დაბალი რისკის ქვეპროექტები	
პროექტის იდენტიფიცირება /წინასწარი შესწავლა	გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი (დანართი 2-ის მიხედვით)	გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი (დანართი 2-ის მიხედვით)	პროექტის განმახორციელებელი გუნდი და მსოფლიო ბანკი (ეთანხმება)

ქვეპროექტის ფაზა	პროცედურები		პასუხისმგებელი მხარე
	საშუალო რისკის ქვეპროექტები	დაბალი რისკის ქვეპროექტები	
მიზანშეწონილობა/დიზაინი	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის მომზადება (დანართი 4-ის მიხედვით)	ადგილობრივი მოთხოვნები და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის მარტივი ვარიანტი (დანართი 5-ის მიხედვით)	გრანტის მიმღები
	საჯარო კონსულტაციები (ქვეყნის დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის ან ქვეპროექტის დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გამარტივებული გეგმის მიხედვით)	ადგილობრივი მოთხოვნები და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის მარტივი ვარიანტი (დანართი 5-ის მიხედვით)	პროექტის განმახორციელებელი გუნდი და გრანტის მიმღები
დეტალური დიზაინი	დარწმუნება რომ დიზაინი შეიცავს შემარბილებელ ღონისძიებებს	ადგილობრივი მოთხოვნები და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის მარტივი ვარიანტი (დანართი 5-ის მიხედვით)	გრანტის ბენეფიციარი და პროექტის განმახორციელებელი გუნდი
	დარწმუნება, რომ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა და შრომითი უერთიერთებების მართვის პროცედურები შეტანილია დიზაინის შესყიდვების საკონკურსო დოკუმენტებში	ადგილობრივი მოთხოვნები და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის მარტივი ვარიანტი (დანართი 5-ის მიხედვით)	პროექტის განმახორციელებელი გუნდი და გრანტის მიმღები
მშენებლობა	დაინერგოს და მონიტორინგი გაეწიოს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმას, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმას და შრომითი უერთიერთებების მართვის პროცედურებს	ადგილობრივი მოთხოვნები და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის მარტივი ვარიანტი (დანართი 5-ის მიხედვით)	გრანტის მიღები და პროექტის განმახორციელებელი გუნდი

ქვეპროექტის ფაზა	პროცედურები		პასუხისმგებელი მხარე
	საშუალო რისკის ქვეპროექტები	დაბალი რისკის ქვეპროექტები	
	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის განახლება საჭიროების შემთხვევაში	ადგილობრივი მოთხოვნები და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის განახლებული მარტივი ვარიანტი (დანართი 5-ის მიხედვით) საჭიროებისამებრ	გრანტის მიმღები
მშენებლობის შემდეგ	მონიტორინგის ჩატარება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმაში განსაზღვრული მონიტორინგის ჩატარება	ადგილობრივი მოთხოვნები და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის გამარტივებული ვარიანტი (დანართი 5-ის მიხედვით)	გრანტის მიმღები და პროექტის განმახორციელებელი გუნდი

ქვეპროექტები, რომლებმაც უნდა გაიარონ ეროვნული გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესი, არ იქნება დაფინანსებული ამ პროცესის დასრულებამდე. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეროვნული პროცესის შედეგები გამოყენებული იქნება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის მომზადებისთვის (საშუალო რისკის კატეგორიისთვის) ქვეპროექტის ზემოქმედების მნიშვნელობის დასადგენად და ქვეპროექტის არეალის მგრძნობელობის დონის დასადგენად. ასეთ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეროვნული დოკუმენტი აკმაყოფილებს მსოფლიო ბანკის მოთხოვნებს, პროექტის განმახორციელებელმა გუნდმა და მსოფლიო ბანკმა შეიძლება გადაწყვიტონ რომ არ მოითხოვონ დამატებითი ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის მომზადება.

6.2.1 საშუალო რისკის ქვეპროექტები

ზომიერი რისკის კატეგორიის ქვეპროექტებისთვის, საჭირო იქნება ადგილის სპეციფიკური ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის შემუშავება, რათა უზრუნველყოს ისეთი გაუმჯობესებები, როგორიცაა გამწვანების ღონისძიებები. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული რომ იგი მოიცავდეს: ქვეპროექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ფაზების დროს მისაღებ ზომებს, რათა თავიდან აიცილონ უარყოფითი გავლენა გარემოზე და სოციალური ზემოქმედება, ან შემცირდეს ისინი მისაღებ დონემდე; ამ ღონისძიებათა განსახორციელებლად საჭირო ქმედებებს და მონიტორინგის გეგმას, რათა მიღწეულ იქნას

გამოყენებული შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურობა. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის ძირითადი კომპონენტებია:

- პროექტის მახასიათებლების აღწერა
- მარეგულირებელი ჩარჩო
- საბაზისო პირობების აღწერა
- გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების იდენტიფიცირება და შეფასება
- შემარბილებელი და გაძლიერების ღონისძიებები
- მონიტორინგის გეგმა
- დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები და ინფორმაციის გამჟღავნება
- “ბუნებისა და სოციალური გარემოს ზემოქმედების მართვის გეგმის” ბიუჯეტი

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის დეტალური სტრუქტურა და კონსულტანტებისთვის საჭირო კვალიფიკაცია მის მოსამზადებლად მოცემულია დანართ 4-ში.

6.2.2 დაბალი რისკის ქვეპროექტები

პროექტი კლასიფიცირდება როგორც დაბალი რისკის პროექტი, თუ მისი პოტენციური მავნე ზემოქმედება ადამიანთა პოპულაციაზე და/ან გარემოზე სავარაუდოდ იქნება მინიმალური ან უმნიშვნელო. ამრიგად, დაბალი რისკის კატეგორიის ქვეპროექტები, მათი მცირე რისკის მქონე გვერდითი ეფექტებითა და საკითხებით, არ საჭიროებს შემდგომ გარემოსდაცვით და სოციალურ შეფასებას პირველადი სკრინინგის შემდეგ. ამ ქვეპროექტებისათვის დანართი 5-ში მოცემული ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის ჩამონათვალის განხილვა დამატებით მოხდება რათა შესაბამისობაში იყოს ეროვნულ მოთხოვნებთან.

შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება ეკისრება გრანტის ბენეფიციარებს, ხოლო პროექტის განმახორციელებელი გუნდი (ეროვნულ ცენტრებთან ერთად) პასუხისმგებელი იქნება იმის უზრუნველყოფაზე, რომ ქვეპროექტებმა დააკმაყოფილონ მსოფლიო ბანკის მოთხოვნები.

6.3. საჯარო კონსულტაციები და ინფორმაციის გასაჯაროება

საჭიროების შემთხვევაში, დაინტერესებული მხარეების ჩართულობის რეგიონალური ჩარჩოს შესაბამისად შემუშავდება ქვეყნის დაინტერესებული მხარეების ჩართულობის

გეგმები და ასევე მისი გამარტივებული ვერსიები საგრანტო პროექტებისათვის. ეს დოკუმენტები და ქვეპროექტის სპეციფიკური ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა გამოქვეყნდება საზოგადოებისთვის. საჯარო კონსულტაციები და ინფორმაციის გამჟღავნების ღონისძიებები ასევე აღწერილი იქნება ქვეყნების „დაინტერესებულ მხარეებთან ჩართულობის სპეციფიკურ გეგმებში“ და ჩატარდება მის შესაბამისად. პროექტის ფარგლებში გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე მომზადებული დოკუმენტები და ქვეპროექტები/გრანტები გამოქვეყნდება და დროულ და გამჭირვალე კონსულტაციებს გაივლის მსოფლიო ბანკისა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის რეგიონალური გეგმების მოთხოვნების შესაბამისად; გათვალისწინებული იქნება ნებისმიერი სამთავრობო შეზღუდვა COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებით.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის დოკუმენტების პროექტი გამოქვეყნდება კონსულტაციებამდე და დაინტერესებული მხარეების გამოხმაურების მიღების შემდეგ, ისინი დასრულდება და გამოქვეყნდება ქვეყანაში. ქვეპროექტის დამტკიცებამდე (მსოფლიო ბანკის მიერ), პროექტის განმახორციელებელი გუნდი წარუდგენს მსოფლიო ბანკს საბოლოო დოკუმენტების ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის ინგლისურ ვერსიებს.

პროექტის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის დრო და მეთოდები აღწერილია დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმებში და ქვეყნის სპეციფიკური საჯარო კონსულტაციები განხორციელდება თითოეული ქვეყნის სპეციფიკური დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმების მიხედვით. ყველა საკონსულტაციო საქმიანობა განიხილავს დამატებით ზომებს, რომლებიც უნდა იქნას მიღებული პანდემიის პირობებში არსებული სამთავრობო შეზღუდვების შესაბამისად.

გაკეთდება და შენახული იქნება დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრებისა და კონსულტაციების ჩანაწერები. ქვეყნის სპეციფიკური დაინტერესებული პარტნიორების ჩართვის გეგმების მომზადება და განხორციელება არის ქვეყნის კოორდინატორის პასუხისმგებლობა. ისინი დაფინანსდება პროექტის ბიუჯეტიდან (როგორც მითითებულია დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის რეგიონალურ გეგმებში). როდესაც საგრანტო პროექტებისთვის საჭიროა დაინტერესებული მხარეების ჩართვის გეგმების გამარტივებული ვარიანტი, მათ შემუშავებაზე პასუხისმგებელი იქნებიან გრანტის ბენეფიციარები. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმების განხილვისას პროექტის განმახორციელებელი გუნდი დაადასტურებს, რომ ის არის გასაგები, მიზანშეწონილი და მისაღები და უზრუნველყოფს, რომ დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის გეგმა და საჯარო კონსულტაციების აქტივობები აკმაყოფილებდეს მსოფლიო ბანკის მოთხოვნებს.

6.4. მსოფლიო ბანკის თანხმობა

სკრინინგის კრიტერიუმების მიხედვით, გრანტები/ქვეპროექტები, რომლებმაც გაიარეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეროვნული პროცედურა (საჭიროების შემთხვევაში), წარმატებით გაიარეს სკრინინგი და მოამზადეს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოში განსაზღვრული დებულებების საფუძველზე, მიიღებენ დაფინანსების უფლებას. მსოფლიო ბანკი განიხილავს სულ მცირე სამი ქვეპროექტის სკრინინგს და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმას და დაეთანხმება მას. შემდეგი სკრინინგის პროცესები და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმების მიმოხილვები გაკეთდება პროექტის განმახორციელებელი გუნდის მიერ. ბანკს შეუძლია ჩაატაროს დანარჩენი სკრინინგებისა და ადგილის სპეციფიკური ინსტრუმენტების შედეგების შემდგომი მიმოხილვა. განხორციელების დროს, მსოფლიო ბანკი და პროექტის განმახორციელებელი გუნდი შესაძლოა შეთანხმდნენ, რომ ეს გუნდი განხორციელებს დაბალი და საშუალო რისკის ქვეპროექტების გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხებისადმი მიძღვნილი დოკუმენტების წინასწარ განხილვას და მსოფლიო ბანკი ჩაატარებს პოსტ მიმოხილვას.

6.5. გრანტებისა და სამუშაოების ხელშეკრულებებში გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნების ჩართვა

საგრანტო ხელშეკრულებები უნდა შეიცავდეს მოთხოვნას, რომ ადგილის სპეციფიკიდან გამომდინარე მომზადდეს ბუნებრივ და სოციალური გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა ყოველი საშუალო რისკის ქვეპროექტისთვის. ეს შეთანხმებები ასევე უნდა მოიცავდეს შესაბამის ელემენტებს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს, ბუნების და სოციალური გარემოს ზემოქმედების მართვის რეგიონალური გეგმის და შრომითი ურთიერთობების მართვის პროცედურების შესაბამისად. ყველა ქვეპროექტისთვის, სპეციფიკური ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმები, და ქვეყნის სპეციფიკური ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტები, ან მისი გამარტივებული ვარიანტები საგრანტო პროექტების შემთხვევაში, დაერთვება შესყიდვის დოკუმენტებს და იქნება იმ კონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულების ნაწილი, რომელიც შერჩეული იქნება ქვეპროექტის სამუშაოების შესასრულებლად. ეს თავები მოიცავს პოტენციურ ზემოქმედებას, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს სამუშაოების შესრულების დროს და ზომებს, რომლებიც კონტრაქტორმა უნდა მიიღოს მათ შესამსუბუქებლად. კონტრაქტორებს მოეთხოვებათ სრულად განახორციელონ ადგილისთვის სპეციფიკური შემამსუბუქებელი

ლონისძიებები და პასუხისმგებელი იქნებიან განხორციელების მონიტორინგზე. კონტრაქტორებს ექნებათ საკმარისი ძალაუფლება, რათა უზრუნველყონ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის წარმატებული განხორციელება ადგილზე.

6.6. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმების განხორციელება ზომიერი რისკის კატეგორიის ქვეპროექტებისთვის

გრანტის ბენეფიციარი და მისი კონტრაქტორი განხორციელებს ქვეპროექტისთვის მომზადებულ სპეციალურ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმას, შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის ღონისძიებების ჩათვლით. კონტრაქტორს უნდა:

- ჰქონდეს საკმარისი შესაძლებლობები ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის განხორციელებისათვის (საკმარისი კვალიფიკაციით და უნარებით);
- გადახედოს ადგილისთვის სპეციფიკურ “ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმას” და ითვალისწინებდეს ამ გეგმის მოთხოვნებს თავის მეთოდის განაცხადში,
- განხორციელოს შემარბილებელი ღონისძიებები, განსაზღვრული “ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის” შესაბამისი სამუშაოებისთვის,
- გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების კონტროლი და მისი მინიმუმამდე შემცირება,
- უზრუნველყოს, რომ ყველა თანამშრომელმა და დასაქმებულმა გაიგოს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის პროცედურა და ამოცანები
- გარემოს ჰიგიენის უზრუნველყოფა,
- გრანტის ბენეფიციარისთვის ყოველთვიური ანგარიშის წარდგენა უსაფრთხოების საკითხებზე, შემარბილებელ ზომებსა და შედეგებზე მშენებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში,
- დაუყოვნებლივ შეატყობინოს გრანტის ბენეფიციარს ნებისმიერი უბედური შემთხვევა და ინციდენტი და შეინახოს ინციდენტების რეგისტრაცია სამშენებლო მოედანზე, და
- იყოს პასუხისმგებელი პერსონალის და მუშაკების სწავლებაზე გარემოსდაცვით, სოციალურ და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებით.

6.7. მონიტორინგი და ზედამხედველობა

ადგილზე მომუშავე კონტრაქტორების მუდმივი მონიტორინგი განხორციელდება გრანტის ბენეფიციარის მიერ. ამით, გრანტის ბენეფიციარი დარწმუნდება, რომ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა ან ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის საკონტროლო სია ხორციელდება. ამ კონტექსტში გრანტის ბენეფიციარმა უნდა:

- საჭიროებისამებრ დაიქირაოს/დანიშნოს შესაბამისი კვალიფიკაციისა და უნარების მქონე შესაბამისი გარემოსდაცვითი და სოციალური ექსპერტები
- უზრუნველყოს, რომ ადგილზე სპეციფიკური გარემოსდაცვითი და სოციალური შემარბილებელი ღონისძიებები სათანადოდ განხორციელდეს კონტრაქტორის მიერ
- კონტრაქტორის საქმიანობის მონიტორინგი და ზედამხედველობა მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური პრინციპების მოთხოვნების შესაბამისად.
- თვალყური ადევნოს კონტრაქტორის ყოველდღიურ საქმიანობას
- შეაგროვოს ინფორმაცია გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების შესახებ ყოველთვიური პროგრესის ანგარიშებისათვის, რომლებიც უნდა წარედგინოს პროექტის განმახორციელებელ გუნდს და საბოლოოდ მსოფლიო ბანკს და დარწმუნდეს, რომ ეს ყველაფერი შეესაბამება მსოფლიო ბანკის მოთხოვნებს.

პროექტის განმახორციელებელი გუნდი განახორციელებს გრანტების/ქვეპროექტების რეგულარულ ზედამხედველობას იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა და შრომითი ურთიერთობების მართვის პროცედურები ხორციელდებოდეს და საჩივრების მექანიზმები ხელმისაწვდომი იყო და ფუნქციონირებდეს. როდესაც პროექტის განმახორციელებელი გუნდი შენიშნავს რაიმე პრობლემას ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის განხორციელებაში, იგი აცნობებს გრანტის ბენეფიციარს და შეთანხმდება მასთან ამ პრობლემების გამოსწორების ნაბიჯებზე. კერძოდ, ნებისმიერი მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი ან სოციალური ინციდენტის დროს (მაგ. ფატალური შემთხვევები, დაკარგული დროის შემთხვევები, გარემოს დაბინძურება და ა. შ.), გრანტის ბენეფიციარები 48 საათის განმავლობაში აცნობებენ პროექტის განმახორციელებელ გუნდს, ხოლო პროექტის განმახორციელებელი გუნდი აცნობებს მსოფლიო ბანკს ამ ინციდენტის შესახებ, მაშინვე, როგორც კი ინფორმაციას მიიღებს. ინციდენტის ანგარიში, რომელიც მოიცავს ძირეული მიზეზის ანალიზს, სიფრთხილის ზომებს და განხორციელებულ შემარბილებელ ზომებს, წარედგინება პროექტის განმახორციელებელ გუნდს 30 სამუშაო დღეში და პროექტის განმახორციელებელი გუნდი ინციდენტის ანგარიშს გადასცემს მსოფლიო ბანკს. პროექტის განმახორციელებელი გუნდი

ასევე გამოაქვეყნებს თავის გამოკვლევის შედეგებს მსოფლიო ბანკის თავისი ნახევარწლიური პროექტის პროგრესის ანგარიშში, ან საჭიროების შემთხვევაში - უფრო ხშირად, რათა მიიპყროს მსოფლიო ბანკის ყურადღება. პროექტზე მომუშავე მსოფლიო ბანკის სამუშაო ჯგუფი, ხანდახან და საჭიროების შემთხვევაში, ეწვევა პროექტის ადგილებს პროექტის ზედამხედველობის ფარგლებში.

6.8. შრომის მართვის პროცედურა

შრომის მართვის პროცედურა მომზადებულია და გამოყენებული იქნება პროექტის ყველა თანამშრომლის მიმართ, მათ შორის გრანტის ბენეფიციარებზე/გრანტის მიმღებზე. შრომის მართვის პროცედურა მოიცავს მუშაკთა უფლებებს და აღწერს (i) დასაქმების პირობებს; (ii) შრომის ძირითადი პოტენციური რისკების მიმოხილვას (ასეთის არსებობის შემთხვევაში); (iii) საქართველოს, მოლდოვას რესპუბლიკის, თურქეთისა და უკრაინის შრომითი კანონმდებლობის მიმოხილვას; და iv) საჩივრების მექანიზმის ხელმისაწვდომობას ყველა მუშაკისათვის. შრომის მართვის პროცედურა განახლდება პროექტის განხორციელების დროს, როდესაც საგრანტო პროექტების შესახებ მეტი ინფორმაცია იქნება ცნობილი.

შრომის მართვის პროცედურაში იდენტიფიცირებულია ქვემოთ მოყვანილი პროექტთან დაკავშირებული შრომის რისკები:

- მოსალოდნელია, რომ შრომის რისკები ძირითადად ასოცირდებოდეს შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის საკითხებთან, რომლებიც დაკავშირებულია მცირე გრანტებთან, როგორიცაა მცირე ზომის სამოქალაქო/სამონტაჟო სამუშაოები. ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკები შეიძლება შეიცავდეს ისეთ ზემოქმედებას, როგორიცაა მტვერი, ხმაური და მოძრაობის დროებითი შეფერხება.
- COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებული შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის რისკები, შეიძლება მოიცავდეს სამოქალაქო საზოგადოებასთან და დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების ორგანიზებასთან დაკავშირებულ რისკებს.

6.9. COVID-19- ის პანდემიაზე რეაგირება

მიმდინარე გლობალური პანდემია გავლენას მოახდენს პროექტის ოპერირებასა და საქმიანობაზე 2021 წლის განმავლობაში და სავარაუდოდ 2022 წელს. პანდემიამ შეიძლება გააგრძელოს მნიშვნელოვანი გავლენა ქვეყნების ეკონომიკაზე, მათ შორის პირდაპირ და არაპირდაპირ შემოსავლებზე ტურიზმიდან, ასევე გადაადგილების თავისუფლებაზე და სოფლის მომსახურების ტიპებსა და მიწოდების დონეზე. ის ასევე გააგრძელებს მთავრობის

შესაძლებლობების და სხვა რესურსების მიმართვას სამოქალაქო საზოგადოებიდან და სოფლის თემებიდან პანდემიის პრევენციისა და შედეგებისკენ.

გარდა ამისა, პანდემიას შესაძლოა ჰქონდეს ჯანმრთელობის, ეკონომიკური და სოციალური გავლენა პერსონალის, თემებისა და სამთავრობო პარტნიორების ცხოვრებაზე და შესაძლოა შეცვალოს დონორთა სია მოკლევადიან და საშუალოვადიან პერსპექტივაში. მიუხედავად იმისა, რომ პანდემია რისკად რჩება, პროექტმა უნდა უზრუნველყოს მზადყოფნა, მათ შორის მუშაობის დროს დაავადების გადაცემის რისკების და პანდემიის პოტენციური უშუალო ზემოქმედების შეფასების ჩათვლით და შეიცავდეს COVID-19 ღონისძიებებს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის განხორციელების პროცესში, ეროვნული მოთხოვნების, მსოფლიო ბანკისა და ჯანმო-ს მითითებების შესაბამისად.

სანამ რისკები მაღალი რჩება, ღონისძიებები შეიძლება შეიცავდეს ექსპოზიციისა და გადაცემის შემცირებას მგზავრობის შემცირებით, უსაფრთხოების პროტოკოლების დაცვით, დისტანციური სამუშაო პრაქტიკის გაზრდით და საზოგადოებაში პროექტების პირდაპირი ჩარევის შეზღუდვით.

გარდა ამისა, პროექტი უნდა:

- საჭიროებისამებრ შეესაბამოს და კოორდინირება გაუწიოს მთავრობას და სამოქალაქო საზოგადოების ქმედებებს, რომლებიც დაკავშირებულია COVID-19 პანდემიასთან,
- დაეხმაროს პანდემიის შესახებ ოფიციალური ინფორმაციის გავრცელებაში თემებსა და პარტნიორებში,
- დარწმუნდეს რომ: პერსონალი მომზადებულია პროექტის ოფისში (სამსახურებში) სამუშაოების უსაფრთხოდ განსახორციელებლად და ასევე პარტნიორებთან და საზოგადოებებთან ურთიერთობის წარმართვისათვის; უზრუნველყოფილია აღჭურვილობის მიწოდება, სადაც ამით შეიძლება შემცირდეს რისკები, საჭიროებისამებრ გაზრდილია დისტანციური მუშაობის შესაძლებლობები და უზრუნველყოფილია რომ დაცული იყოს ეროვნული საკარანტინო და იზოლაციის რეკომენდაციები.
- დაარწმუნოს საზოგადოება რომ ყველამ უნდა დაიცვას მინიმალური პროტოკოლი, რათა შეამციროს ინფექციის რისკი თემებსა და მათ შორის, და
- რეგულარულად აკვირდებოდეს პროექტის მიერ განხორციელებული ღონისძიებების განხორციელებასა და ეფექტურობას.

პანდემიის ირგვლივ არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, რისკები და რეკომენდაციები შეფასდება და დაწვრილებითი იქნება მოცემული “ზუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმაში” და განხილული იქნება პროექტის განმახორციელებელი გუნდის მიერ ყოველთვიურად, პანდემიის დროს.

7. ინსტიტუციური მოწყობა და პასუხისმგებლობები

ამ პროექტში ყურადღება გამახვილდება ძლიერი შემსრულებელი ერთეულის შექმნაზე, რომელსაც ექნება კარგი ინსტიტუციური შესაძლებლობები და შეხვედრების გამართვის კარგი შესაძლებლობები. ამ კონტექსტში, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია ცნობილია, როგორც მრავალი მხარის თანამშრომლობაზე დამყარებული ორგანიზაცია, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს მისი წევრი სახელმწიფოების პარტნიორობასა და ეკონომიკურ თანამშრომლობას შავი ზღვის რეგიონში. პროექტის განმახორციელებელი გუნდი შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის მუდმივმოქმედი საერთაშორისო სამდივნოში შევა. შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის მუდმივმოქმედი საერთაშორისო სამდივნოს ოფისი მდებარეობს სტამბულში, თურქეთში. ის შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის სამდივნოს ფუნქციებს ასრულებს.

შავი ზღვის რეგიონის ყველა ქვეყანასთან მუშაობის გამოცდილებისა და კონსენსუსის მიღწევის უნარის საფუძველზე, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის მუდმივმოქმედმა საერთაშორისო სამდივნომ აქტიური როლი შეასრულა ბოლოდროინდელი რეგიონალური ინიციატივის მოლაპარაკებებში - 2019 წელს მიღწეულ იქნა შეთანხმება საერთო საზღვაო დღის წესრიგის შესახებ და მისი სამეცნიერო საყრდენის - შავი ზღვის სტრატეგიული კვლევისა და ინოვაციების დღის წესრიგის შესახებ. საერთო საზღვაო დღის წესრიგი ხაზს უსვამს ზღვაში გარემოს შენარჩუნების აუცილებლობას, რაც ემთხვევა გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის შავი ზღვის გალურჯების პროექტის მიერ დაფინანსებული რეგიონალური პროექტის მიზნებს.


ინსტიტუციური სტრუქტურის მეშვეობით პროექტი გააძლიერებს შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის მიერ პროექტის შესაბამისი საქმიანობების განხორციელების შესაძლებლობებს. ეს ინსტიტუციური სტრუქტურებია: რეგიონალური მმართველი კომიტეტი, საკონსულტაციო კომიტეტი და პროექტის განმახორციელებელი ერთეული. რეგიონალურ მმართველ კომიტეტში შეიქმნება საკონსულტაციო ორგანო / კომიტეტი ტექნიკური ხელმძღვანელობისა და პროექტების იდენტიფიკაციისათვის. სამუშაოების განხორციელებაში ასევე ჩართულნი იქნებიან სამეცნიერო სექტორი, ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები. შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის მუდმივმოქმედი საერთაშორისო სამდივნო / შავი ზღვის გალურჯების პროექტის

განმახორციელებელი გუნდი პასუხისმგებელი იქნება განახორციელონ პროექტის საერთო კოორდინაცია, მათ შორის ზედამხედველობა გაუწიონ წლიური საოპერაციო გეგმების მომზადებას და სამეთვალყურეო და სხვა ანგარიშების მოამზადებს, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდისა და მსოფლიო ბანკის მოთხოვნების შესაბამისად. პროექტის განხორციელების ინსტიტუციური სქემა მოცემულია ქვემოთ მოცემულ სურათ 8-ზე.

7.1. ძირითადი ორგანიზაციების როლები და პასუხისმგებლობები

რეგიონალური მმართველი კომიტეტი უზრუნველყოფს ხელმძღვანელობას პოლიტიკის და სტრატეგიის დონეზე. სხვა საკითხებთან ერთად ის უზრუნველყოფს კავშირს დარგობრივ პოლიტიკასა და პროგრამებს შორის, ხელს შეუწყობს ნებისმიერი სახის კონფლიქტების გადაწყვეტას და განიხილავს და შესთავაზებს პროექტის სტრატეგიისა და ოპერაციების გაუმჯობესების შესაძლებლობებს. რეგიონული მმართველი კომიტეტი დაამტკიცებს პროგრამის მიმდინარეობის ანგარიშს და წლიურ სამუშაო პროგრამას. რეგიონული მმართველი კომიტეტში შევლენ საერთო საზღვაო დღის წესრიგის მიერ მისი მონაწილე შვიდი ქვეყნებისთვის დანიშნული კოორდინატორები და შავი ზღვის გალურჯების პროგრამის გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის სამიზნე ქვეყნების ოთხი მთავრობის მიერ დანიშნული კოორდინატორები, აგრეთვე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი, კერძო სექტორის წარმომადგენელი და სამეცნიერო წრეების წარმომადგენელი, რომლებსაც დაასახელებენ შავი ზღვის გალურჯების პროექტის კოორდინატორები და შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის მუდმივმოქმედი საერთაშორისო სამდივნოს გენერალური მდივნი. რეგიონალური მმართველი კომიტეტი მინიუმ წელიწადში ერთხელ შეიკრიბება. რესურსების უფრო ეფექტური გამოყენების მიზნით, რეგიონალური მმართველი კომიტეტის შეხვედრა გაიმართება საერთო საზღვაო დღის წესრიგის სხვა შესაბამისი შეხვედრის დაწყების წინ ან დასრულებისას (უშუალოდ) ან მის პარალელურად.

საკონსულტაციო კომიტეტში შევა: შავი ზღვის კომისია, შავი ზღვის კომისიას პერიფერიული საზღვაო რეგიონის კონფერენცია, ევროკომისია/DG MARE და სხვა შესაბამისი რეგიონული პარტნიორები/ორგანიზაციები (მაგალითად გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია, ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალური კომისია, გაეროს განვითარების პროგრამა, პერიფერიული საზღვაო რეგიონის კონფერენცია და შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის შესაბამისი ორგანოები, როგორცაა შავი ზღვის კვლევის საერთაშორისო ცენტრი და შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი), ასევე ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი და ევროპის საინვესტიციო ბანკი შეიძლება მოწვეულნი იყვნენ როგორც კონსულტაციების, ასევე კონკრეტული ტექნიკური მითითებების მიღების მიზნით. საკონსულტაციო კომიტეტის შეხვედრები ჩატარდება წელიწადში ერთხელ, რათა განიხილონ შედეგები. შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის მიერ დანიშნული შავი ზღვის გალურჯების პროექტის სპეციალური წარმომადგენელი იქნება შეხვედრების მოდერატორი /თავმჯდომარე და გასცემს მითითებებს საერთო დარგობრივი პოლიტიკის საკითხებზე.



სურათი 8. პროექტის განხორციელების ინსტიტუციური სქემა

შავი ზღვის გალურჯების პროექტის განმახორციელებელი გუნდს უხელმძღვანელებს შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის მუდმივმოქმედი საერთაშორისო სამდივნო. პროექტის განმახორციელებელი გუნდი შეიქმნება შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის შიგნით. მის შემადგენლობაში შევლენ დარგის სპეციალისტები, ადმინისტრაციული პერსონალი და დამხმარე პერსონალი:

- „შავი ზღვის გალურჯების პროგრამის“ აღმასრულებელი /პროექტის მენეჯერი
- ოპერაციული საკითხების სპეციალისტი / პროგრამის ოფიცერი
- ინოვაციების სპეციალისტი
- კომუნიკაციის საკითხების ექსპერტი
- მონიტორინგისა და შეფასების ორი სპეციალისტი
- საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტი
- შესყიდვების სპეციალისტი
- ფინანსური საკითხების სპეციალისტი
- გარემოს დაცვის (და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის) სპეციალისტი
- სოციალური საკითხების სპეციალისტი
- ზოგადი საკითხების (უნივერსალური) თანამშრომელი

პროექტის შემსრულებელი ორგანიზაცია პასუხისმგებელი იქნება პროექტის განხორციელების კოორდინაციაზე, სოციალური და გარემოსდაცვითი ასპექტების ზედამხედველობასა და მონიტორინგზე, ანგარიშგებასა და შეფასებაზე, საჩივრების განხილვის მექანიზმებზე, ასევე შესყიდვებზე და ფინანსურ მენეჯმენტისა და მონიტორინგზე, თანხების განაწილების დამტკიცებისა და მონიტორინგის ჩათვლით.

შეიქმნება ქსელები/სინერგიები სამეცნიერო სექტორთან, სამოქალაქო საზოგადოების ადგილობრივ ორგანიზაციებთან და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან. შავი ზღვის გალურჯების პროექტის მენეჯერი პასუხისმგებელი იქნება რეგულარულად უმასპინძლოს შეხვედრებს ზემოხსენებულ პარტნიორებთან. შეხვედრების თავმჯდომარე იქნება შავი ზღვის გალურჯების პროექტის სპეციალური წარმომადგენელი.

შავი ზღვის გალურჯების პროექტის განმახორციელებელი გუნდი შეთანხმებას დადებს გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის ეროვნულ კოორდინატორთან, საქართველოში, მოლდოვას რესპუბლიკაში, თურქეთსა და უკრაინაში ქვეყნების დონეზე პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებით. პროგრამაში მონაწილე ეროვნული სააგენტოებია:

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- მოლდოვას რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, რეგიონული განვითარებისა და გარემოს დაცვის სამინისტრო

- თურქეთის გარემოს დაცვისა და ურბანიზაციის სამინისტრო და თურქეთის სოფლის მეურნეობისა და სატყეო სამინისტრო
- უკრაინის ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის სამინისტრო.

ეროვნული სააგენტოები უზრუნველყოფენ პროექტის განხორციელების საერთო ტექნიკურ ხელმძღვანელობას და მხარდაჭერას აღმოუჩენენ პროექტის განმახორციელებელ გუნდს.

7.2. შედეგების მონიტორინგისა და შეფასების პროცესები

პროექტის შეფასებისა და მონიტორინგის პროცესი შექმნილია ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობის, კომუნიკაციის, სწავლისა და პროექტის მენეჯმენტის მხარდაჭერისათვის. შეფასებებისა და მონიტორინგის პროცესი თვალს ადევნებს პროექტის მიმდინარეობას, აგროვებს ინფორმაციას პროექტის მიმდინარეობის შესახებ, აანალიზებს და აერთიანებს მონაცემებს რეგიონულ და ეროვნულ დონეზე, და ადგენს დოკუმენტებს პროექტის საქმიანობიდან მიღებული ძირითად გაკვეთილების შესახებ და ავრცელებს მათ დაინტერესებულ მხარეებს შორის მონაწილე ქვეყნებში და რეგიონის გარეთ.

პროექტის მონიტორინგი ყოველწლიურად განხორციელდება. მასზე პასუხისმგებელია შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის მუდმივმოქმედი საერთაშორისო სამდივნო / შავი ზღვის გალურჯების პროექტის განმახორციელებელი გუნდი, როგორც პროექტის შემსრულებელი ერთეული. მონიტორინგი მოჰყვება პროექტის შედეგების ჩარჩოს, შუალედურ ინდიკატორებს (პროექტის შემუშავების მიზნებს) და პროექტის კომპონენტების უშუალო მაჩვენებლებს. შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის მუდმივმოქმედი საერთაშორისო სამდივნო საერთო მონიტორინგს გაუწევს მონაცემების შეგროვებას პროექტის აქტივობების მიმდინარეობის შესახებ და მათ მიერ გარემოსდაცვითი და სოციალური პრინციპებისა და ფიდუციალური რეგულაციების დაცვას. შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის მუდმივმოქმედი საერთაშორისო სამდივნო პასუხისმგებელი იქნება შეფასებისა და მონიტორინგის ამოცანების შესრულებაზე, შეფასებისა და მონიტორინგის გეგმისა და სახელმძღვანელოს მომზადებაზე და მათ განხორციელებაზე.

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის მუდმივმოქმედი საერთაშორისო სამდივნოს / შავი ზღვის გალურჯების პროექტის განმახორციელებელი გუნდი დაიქირავებენ შეფასებისა და მონიტორინგის მინიმუმ ორ სპეციალისტს, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან შეფასებისა და მონიტორინგის ფუნქციაზე, შეფასებისა და მონიტორინგის გეგმის განხორციელებაზე და შეფასებისა და მონიტორინგის სახელმძღვანელოს შემუშავებაზე. ეს სპეციალისტები ერთობლივად დაგეგმავენ და განახორციელებენ შეფასებისა და მონიტორინგის საქმიანობას, გაანაწილებენ ქვეყნებში ინფორმაციის შეგროვების ზედამხედველობის ვალდებულებებს. ისინი პირდაპირ ანგარიშვალდებულნი იქნებიან პროექტის მენეჯერის წინაშე. მომზადდება პროექტის მიმდინარეობის ყოველთვიური, კვარტალური, ნახევარწლიანი და წლიური ანგარიშები. შეფასებისა და მონიტორინგის სპეციალისტების მიერ შეგროვებული მონაცემები და

ინფორმაცია გაზიარდება მსოფლიო ბანკთან სადამკვირვებლო მისიის შეხვედრებზე და ასევე დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების დროს, რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე. პროექტის მართვის მიზნების გარდა, შეფასებისა და მონიტორინგის ინფორმაცია ასევე გამოყენებული იქნება პოლიტიკის შემუშავებისა და გადაწყვეტილების მისაღებად.

შუალედური მიმოხილვის მომზადების პროცესში, შეფასებები განხორციელდება იმისთვის, რომ შეგროვდეს ინფორმაცია მიღებული გამოცდილების შესახებ, დასახული ინდიკატორების მიღწევის პროგრესი და პროექტის მიზნების პოტენციური ცვლილებების, მიზნებისა და ინდიკატორების შესაფასებლად. დასრულების შემდეგ მოხდება ბენეფიციართა შეფასება და მომზადდება საბოლოო ანგარიში, ანუ განხორციელების დასრულებისა და შედეგების ანგარიში.

7.3. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს პროცესების მიმდინარეობა პროექტის დონეზე

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო მოთხოვნების შესრულების ეტაპები ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ სქემაზე:



7.4. ინსტიტუციური მოწყობა და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობები

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის მუდმივმოქმედი საერთაშორისო სამდივნო / შავი ზღვის გალურჯების პროექტის განმახორციელებელი გუნდი პასუხისმგებელი იქნებიან განახორციელონ პროექტის საერთო კოორდინაცია, მათ შორის ზედამხედველობა გაუწიონ წლიური საოპერაციო გეგმების მომზადებას და სამეთვალყურეო და სხვა ანგარიშების მოამზადებს, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდისა და მსოფლიო ბანკის მოთხოვნების შესაბამისად. პროექტის განმახორციელებელი გუნდი კოორდინირებულად იმუშავებს გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის ეროვნულ კოორდინატორებთან, საქართველოში, მოლდოვას რესპუბლიკაში, თურქეთსა და

უკრაინაში ქვეყნების დონეზე პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებით. პროგრამაში მონაწილე ეროვნული სააგენტოებია:

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
- მოლდოვას რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, რეგიონული განვითარებისა და გარემოს დაცვის სამინისტრო
- თურქეთის გარემოს დაცვისა და ურბანიზაციის სამინისტრო და თურქეთის სოფლის მეურნეობისა და სატყეო სამინისტრო
- უკრაინის ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის სამინისტრო.

ეროვნული სააგენტოები უზრუნველყოფენ პროექტის განხორციელების საერთო ტექნიკურ ხელმძღვანელობას და მხარდაჭერას აღმოუჩენენ პროექტის განმახორციელებელ გუნდს.

პროექტში ჩართული ეროვნული დაწესებულებების / უწყებების როლები და მოვალეობები შეჯამებულია ქვემოთ მოცემულ ცხრილ 18-ში.

ცხრილი 18. პროექტში ჩართული ეროვნული დაწესებულებების როლები და პასუხისმგებლობები

დაწესებულება	გრანტის ბენეფიციარი	გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის ეროვნული კოორდინატორები	შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია / BSEC PERMIS/შავი ზღვის გალურჯების პროექტის განმახორციელებელი გუნდი	მსოფლიო ბანკი
როლები პროექტში	ბენეფიციარი	ბენეფიციარი ქვეყანა	მსესხებელი / განმახორციელებელი სააგენტო	დამფინანსებელი ინსტიტუტი
გრანტზე განაცხადი და შერჩევის პროცესი	განაცხადი ეკო-გრანტის მიღებაზე	პროექტის განხორციელების საერთო ტექნიკური ხელმძღვანელობა და პროექტის განმახორციელებელი გუნდის მხარდაჭერა.	გრანტის განაცხადის შემოწმება სკრინინგის კრიტერიუმებისა და ეკოლოგიური და სოციალური რისკების თვალსაზრისით, მსოფლიო ბანკისათვის ინფორმაციის მიწოდებისთვის, თანხების განაწილების დამტკიცებისა და მონიტორინგისთვის.	პროექტის განმახორციელებელი გუნდის მხარდაჭერა, სკრინინგის შედეგების განხილვა და დადასტურება.

ქვეპროექტის მომზადების პროცესი	ქვეყნის დონეზე ნებართვების და დასტურების მიღება ქვეპროექტის განსახორციელებლად ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის მომზადება (საშუალო რისკის ქვეპროექტებისთვის) და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გამართივებული გეგმების მომზადება, საჭიროების შემთხვევაში, ან ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის საკონტროლო სიის გამოყენება შესაბამისი გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების მომზადებისა და გამოყენების მიზნით.	ქვეპროექტების განხილვა ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე და ნებართვის გასაცემად. საშუალო რისკის ქვეპროექტების ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმების განხილვა. ქვეყნისთვის სპეციფიკური დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმების მომზადება. ქვეპროექტების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება და კონსულტაციების ჩატარება ეროვნულ დონეზე.	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმების პროექტის განხილვა. ქვეყნისთვის სპეციფიკური დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმების განხილვა და დამტკიცება. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმების გასაჯაროება და კონსულტაციების ჩატარება. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმების დამტკიცება	პროექტის განმახორციელებელი გუნდისთვის ტექნიკური მითითებების მიცემა და დახმარების გაწევა მონიტორინგის სისტემის შემუშავებაში. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმების და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ეროვნული გეგმების განხილვა და დამტკიცება
---------------------------------------	---	--	---	--

ქვეპროექტის განხორციელების პროცესი	ქვეპროექტის დონეზე გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნების განხორციელება ("ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმების და ამ ჩარჩოს შესაბამისად, რომელიც მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებს ასახავს) და საჩივრების მექანიზმის შექმნა. გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნების ჩასმა სამუშაოების განხორციელების კონტრაქტებში. მონიტორინგს უწევს კონტრაქტორთა მიერ გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების შესრულებას ადგილზე, საიტის სპეციფიკური გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნების შესაბამისად.	გრანტის ბენეფიციარისთვის ტექნიკური მითითებების მიცემა და პროექტის განმახორციელებელი გუნდის მხარდაჭერა. ქვეპროექტების მონიტორინგი და აუდიტი ეროვნული კანონმდებლობისა და მოთხოვნების მიხედვით.	გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნების ჩასმა გრანტის კონტრაქტებში. კონტრაქტების განხილვა და დამტკიცება. გრანტის შერჩეული ბენეფიციარების კოორდინაცია ეროვნულ კოორდინატორებთან ერთად, პროექტის განმავლობაში ყველა შესაბამისი წესისა და რეგულაციის დამტკიცების უზრუნველსაყოფად. მონიტორინგი და ზედამხედველობა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს, გარემოსდაცვით და სოციალურ ვალდებულებათა გეგმის, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმების, შრომითი ურთიერთობების მართვის პროცედურის, ქვეყნის სპეციფიკური დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმების და საჩივრების პროცესის განხორციელების უზრუნველსაყოფად;	გრანტებისა და სამუშაოების კონტრაქტების განხილვა და დამტკიცება. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს და გეგმის შესრულების ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმების, შრომითი ურთიერთობების მართვის პროცედურის, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ეროვნული გეგმების და საჩივრების პროცესის განხილვა და შეფასება მხარდამჭერი მისიების საშუალებით.
---	--	--	--	--

ანგარიშგება	პროექტის განმახორციელებელი გუნდისთვის ყოველთვიური ანგარიშის ჩაბარება გარემოსდაცვითი და სოციალური ზომების განხორციელების შესახებ	-	წელიწადში ორჯერ პროექტის განმახორციელებელი გუნდი მსოფლიო ბანკისთვის ამზადებს ანგარიშს გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილების შესახებ, ყველა მიმდინარე ქვეპროექტთან დაკავშირებით. წელიწადში ორჯერ პროექტის განმახორციელებელი გუნდი ადგენს ანგარიშებს პროექტის მიმდინარეობის შესახებ. მასში უნდა შევიდეს გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხებისადმი მიძღვნილი თავი ინფორმაციით იმის შესახებ თუ როგორ სრულდება გარემოსდაცვით და სოციალურ ვალდებულებათა გეგმა და ჩარჩო-დოკუმენტები, ყველა ქვეპროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმები, შრომითი ურთიერთობების მართვის პროცედურები და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ეროვნული გეგმები.	შესაბამისი ანგარიშების განხილვა და დამტკიცება
-------------	---	---	---	---

7.4.1. შავი ზღვის გალურჯების პროექტის განმახორციელებელი გუნდი

შავი ზღვის გალურჯების პროექტის განმახორციელებელი გუნდის შემადგენლობაში შევა გარემოს დაცვის (და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის) მინიმუმ ერთი სპეციალისტი და ერთი სოციალური საკითხების მინიმუმ ერთი სპეციალისტი, რომლებსაც ექნებათ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს

განხორციელების კოორდინაციისათვის საჭირო შესაბამისი კვალიფიკაცია და უნარები. გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების სპეციალისტების და პროექტის განმახორციელებელი გუნდის პასუხისმგებლობებია:

- ქვეპროექტების სკრინინგი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების კატეგორიის თვალსაზრისით, მსოფლიო ბანკის მოთხოვნების და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს შესაბამისად.
- გრანტის ბენეფიციარებისთვის და ეროვნული კოორდინატორებისთვის მითითებების მიცემა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმების მომზადების შესახებ საშუალო კატეგორიის რისკის მქონე ქვეპროექტებისთვის და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის საკონტროლო სის გამოყენება დაბალი კატეგორიის რისკის მქონე ქვეპროექტებისთვის.
- გრანტის ბენეფიციარებისთვის და ეროვნული კოორდინატორებისთვის მითითებების მიცემა ქვეპროექტებთან დაკავშირებული კონსულტაციებისა და ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების შესახებ.
- ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმების განხილვა და წერილობითი კომენტარების მიწოდება გრანტის ბენეფიციარებისთვის და ეროვნული კოორდინატორებისთვის; ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმების განხილვის კოორდინაცია მსოფლიო ბანკის ექსპერტებთან; საბოლოოდ უზრუნველყოს გარემოსდაცვითი და სოციალური დოკუმენტაციისა და პროცედურების ოფიციალური დამტკიცება მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.
- უზრუნველყოს, რომ ეკო-ინოვაციების გამოწვევის დოკუმენტაცია მოიცავს შეთანხმებებს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის, სპეციფიკური დოკუმენტების და გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების და დაცვის მექანიზმების განხორციელების შესახებ.
- ზედამხედველობა გაუწიოს გრანტის ბენეფიციარების მიერ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს, გარემოსდაცვით და სოციალურ ვალდებულებათა გეგმის, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმების და სხვა გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების და დაცვის მექანიზმების განხორციელებას; შეადგინოს დოკუმენტაცია გრანტის ბენეფიციარების მუშაობის შესახებ, გასცეს რეკომენდაციები და განახორციელოს სხვა ქმედებები, რომლებიც აუცილებელია პროექტის ზედამხედველობისთვის და მსოფლიო ბანკისთვის ანგარიშის წარსადგენად.
- საჯარო ინფორმაციის გამჟღავნება და კონსულტაციების კოორდინაცია და მონიტორინგი; პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი ჯგუფებისა და ადგილობრივი გარემოსდაცვითი ორგანოების მიერ ქვეპროექტის განხორციელების

გარემოსდაცვით და სოციალურ ასპექტებთან დაკავშირებით გამოთქმული საჩივრების მიღება და გაანალიზება.

- მსოფლიო ბანკის საზედამხედველო მისიებთან კოორდინაცია და თანამშრომლობა ქვეპროექტების გარემოსდაცვით და სოციალურ ასპექტებზე.
- გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების (მათ შორის შრომის უსაფრთხოება და ჯანმრთელობის საკითხების) მონიტორინგი და აუდიტი პროექტის განხორციელების ადგილებზე, გრანტის ბენეფიციარებისაგან, ეროვნული კოორდინატორებისგან და ადგილზე ვიზიტების დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, საჭიროების მიხედვით.
- რეგულარული
- რეგულარული ანგარიშგება პროექტის მიერ გარემოსდაცვითი და სოციალური პრინციპების ინსტრუმენტების განხორციელების შესახებ, მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვით და სოციალურ ვალდებულებათა გეგმის ჩათვლით.

7.4.2. გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის ეროვნული კოორდინატორები

შავი ზღვის გალურჯების პროექტის განმახორციელებელი გუნდი შეთანხმებას დადებს გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის ეროვნულ კოორდინატორთან, საქართველოში, მოლდოვას რესპუბლიკაში, თურქეთსა და უკრაინაში ქვეყნების დონეზე პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებით. პროგრამაში მონაწილე ეროვნული სააგენტოებია: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მოლდოვას რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, რეგიონული განვითარებისა და გარემოს დაცვის სამინისტრო, თურქეთის გარემოს დაცვისა და ურბანიზაციის სამინისტრო და თურქეთის სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის სამინისტრო და უკრაინის ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის სამინისტრო. ეროვნული სააგენტოები უზრუნველყოფენ პროექტის განხორციელების საერთო ტექნიკურ ხელმძღვანელობას და მხარდაჭერას აღმოუჩენენ პროექტის განმახორციელებელ გუნდს. სამიზნე ქვეყნებისათვის შავი ზღვის გალურჯების პროექტში დანიშნული ძირითადი საკონტაქტო პირები დაასახელებენ ინოვაციის პოტენციურ „მასპინძელს“, რომელიც ევტროფიკაციის პრობლემის წინაშე დგას. ითვლება, რომ ყველა ამ უწყებას აქვს საკმარისი შიდა შესაძლებლობები იმისთვის, რომ თავისი წვლილი შეიტანოს პროექტში შემდეგ პასუხისმგებლობებთან დაკავშირებით:

- პროექტის განმახორციელებელი გუნდისთვის ტექნიკური მითითებების მიცემა და დახმარების გაწევა პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით;
- ქვეპროექტების განხილვა შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობისა და ნებართვების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად;
- ქვეყნისთვის სპეციფიკური „დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის“ დოკუმენტების მომზადება.

- ქვეპროექტების ინფორმაციის გასაჯაროება და კონსულტაციების პროცესის განხორციელება ეროვნულ დონეზე, პროექტის განმახორციელებელ გუნდთან კოორდინაციით;
- გრანტის ბენეფიციარებისთვის ტექნიკური ხასიათის მითითებების მიცემა;
- ქვეპროექტების მონიტორინგი და აუდიტი ეროვნული კანონმდებლობისა და მოთხოვნების მიხედვით.

7.4.3. გრანტის მიმღებნი და ინოვაციების „მასპინძლები“

პროექტის ეკო-ინოვაციური გამოწვევის საგრანტო მექანიზმი მიზნად ისახავს ინოვაციური პროექტის იდეების, ტექნოლოგიებისა და ბიზნეს მოდელების ტესტირებას, რათა დადასტურდეს მათი მიზანშეწონილობა, გამოყენებადობა და ეფექტურობა. ის რომელიც მხარს უჭერს სულ მცირე ერთიდან ან სამ შერჩეულ ეკო-ბიზნესს შავი ზღვის ოთხივე ქვეყნიდან. ინოვაციები განისაზღვრება, როგორც ახალი მიდგომები, არსებული ან/და დადასტურებული მიდგომების გადატანა ან ადაპტაცია ახალ კონტექსტებსა და/ან გეოგრაფიულ ადგილას, ახალი პოლიტიკა, ეროვნული და რეგიონალური სტრატეგიები და ინვესტიციები.

ამ კონტექსტში, კონკურენტული გრანტების მინიჭებისთვის, ეკო-ინოვაციური გამოწვევის სამიზნე ჯგუფები არიან სოციალური მეწარმეები, არასამთავრობო ორგანიზაციები / სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მცირე და საშუალო ბიზნესი, ახალგაზრდული ჯგუფები, ქალთა ჯგუფები. გრანტის ბენეფიციარები იქნებიან ეკო-ბიზნესები, რომელთა წინადადებები მიიღებენ ყველაზე მაღალ ქულას შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის მიერ წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით. ეს ეკო-ბიზნესი შეიძლება იყოს მეწარმეები, იურიდიულად დაფუძნებული ბიზნესი, მეცნიერები, სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციები, ან კოოპერატივები/ასოციაციები.

ეკო-ინოვაციებთან დაკავშირებული გამოწვევა ორ განსხვავებულ ნაწილად არის გაყოფილი: 1. რეგიონალური მასშტაბის გამოწვევა, რომლის მიზანია კონცეფციისა და იდეების შემუშავება ადრეულ ეტაპზე; 2. კონსოლიდირებული ეროვნული გამოწვევის სტადია „გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის“ სამიზნე შავი ზღვის ქვეყნებში, რომელიც ხელს შეუწყობს დადასტურებული კონცეფციებისა და საპილოტე იდეების განხორციელებას გრანტების მეშვეობით.

რაც შეეხება ეროვნულ დონეზე არსებულ ეკო-ინოვაციურ გამოწვევებს, სხვადასხვა ქვეყნებში ეკო-ინოვაციის ტიპები შეიძლება განსხვავდებოდეს, ადგილობრივი კონტექსტიდან გამომდინარე. წყლის დაბინძურების შემცირებასა და აღმოფხვრაზე პირდაპირი ზეგავლენის მოხდენის მიზნით, პროექტი ინოვაციებს კონკრეტული ქვეყნის გამოწვევის შესაბამისად შეარჩევს. განაცხადების მიღების დაწყებამდე, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის სამიზნე ქვეყნებში შავი ზღვის გალურჯების პროექტის

ძირითადი საკონტაქტო პირები დაასახელებენ ინოვაციის პოტენციურ „მასპინძელს“, რომელიც ევტროფიკაციის პრობლემის წინაშე დგას. „ინოვაციის მასპინძლები“ შეიძლება იყვნენ მუნიციპალიტეტები, სამრეწველო სუბიექტები, საზოგადოება/კოოპერატივი (ანუ სასოფლო-სამეურნეო/ფერმერული კოოპერატივები და სხვა), რომელთაც სურთ ეკო-ინოვაციის გამოცდა. ეროვნული დონის ეკო-ინოვაციური გამოწვევის დასაძლევად გრანტის მიმღებს შეუძლია შეიმუშაოს და განახორციელოს თავისი ინოვაციური საპილოტე პროექტი შავი ზღვის გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის ქვეყნებში შერჩეულ „ინოვაციის მასპინძელთან“.

ეკო-ინოვაციური გამოწვევა ძირითადად მიმართული იქნება სოფლის მეურნეობის, ურბანული და სამრეწველო წარმოშობის დაბინძურების პრევენციასა და კონტროლზე შავ ზღვაში ევტროფიკაციის ზემოქმედების შემცირების მიზნით და შერჩეული იქნება რეგიონალური/ეროვნული კონკურსის საფუძველზე. ინოვაციების „მასპინძლებს“ და გრანტის მიმღებს პირებს (გრანტის ბენეფიციარებს) ჩაუტარდებათ კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგი, მათ შორის ბიზნეს-ექსპერტების მიერ, იმისთვის რომ მოხდეს იდეების დახვეწა, განვითარდეს ღონისძიებების მასშტაბების გაზრდის შესაძლებლობები და ხელი შეეწყოს შავი ზღვის რეგიონში მდგრადი ბიზნეს-ეკოსისტემის წარმატებას. გარდა ამისა, შესაძლებლობების ამაღლების პროგრამები განავითარებს ამ ბენეფიციართა (ინოვაციების „მასპინძელთა“ და გრანტის მიმღებთა) შესაძლებლობებს საერთაშორისო პრაქტიკაში, მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვით და სოციალური სტანდარტების, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს, გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სახელმძღვანელო მითითებების და მავნებლების მართვის კარგ პრაქტიკის ჩათვლით. მსოფლიო ბანკის სტანდარტ 3-ის, გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სახელმძღვანელო მითითებების და მავნებლების მართვის კარგი პრაქტიკის მოთხოვნები მოცემულია ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს დანართ 6-ში.

ინოვაციების „მასპინძელთა“ და გრანტის მიმღებთა პასუხისმგებლობებია:

- მიიღოს და გამოიყენოს ქვეყნის კანონმდებლობით მოთხოვნილი ყველა თანხმობა და ნებართვა, რომელიც საჭიროა მისი ქვეპროექტების განსახორციელებლად, მათ შორის გარემოსდაცვითი და სოციალური ნებართვები /ლიცენზიები.
- მოამზადოს და განახორციელოს „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა“ (საშუალო კატეგორიის რისკის მქონე ქვეპროექტების შემთხვევაში), ქვეყნისთვის სპეციფიკური „დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა“ ან გამარტივებული „დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა“ ან გამოიყენოს „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს“ საკონტროლო სია, რომ მოამზადოს და გამოიყენოს გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები (მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები) და ქვეყნის კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.
- დანერგოს საჩივრების მექანიზმი ქვეპროექტის დონეზე.

- შეიტანოს გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნები სამუშაოების შემსრულებელი კონტრაქტების ხელშეკრულებებში.
- აწარმოოს ადგილზე კონტრაქტორების მიერ გარემოსდაცვითი და სოციალური შესრულებას სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში, პროექტის განხორციელების ადგილისთვის სპეციფიკურად განსაზღვრული გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნების შესაბამისად.
- მიაწოდოს ყოველთვიური გარემოსდაცვითი და სოციალური მონიტორინგის ანგარიშები პროექტის განმახორციელებელ გუნდს, თვის განმავლობაში დასრულებული სამშენებლო სამუშაოების შესახებ და მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად განხორციელებული ღონისძიებების შესახებ და თვალყური ადევნოს ნებისმიერი პრობლემის გადაწყვეტას რომელიც შეიძლება წარმოიშვას სამუშაოების პროცესში.

ზემოაღნიშნული პასუხისმგებლობების/ვალდებულებების შესასრულებლად გრანტის მიმღებებს უნდა ჰქონდეთ გარკვეული ინსტიტუციონალური შესაძლებლობები (ჰყავდეთ გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხებს ექსპერტები/სპეციალისტი). ამ მიზნით მათ შეიძლება დასჭირდეთ გარემოს დაცვის ან სოციალური საკითხების სპეციალისტების დაქირავება ან შესაბამისი კონსულტანტებთან მუშაობა. თუ ბენეფიციარებს თავად არ ჰყავთ ასეთი სპეციალისტები, უფრო ეფექტური იქნება კონსულტანტების დაქირავება, რომ შესაბამისი გეგმები (როგორიცაა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმები) მომზადდეს და განხორციელდეს იდენტიფიცირებული რისკების დონის შესაბამისად.

7.5. მონიტორინგი და ანგარიშგება

7.5.1. მონიტორინგი

გარემოსდაცვითი და სოციალური მონიტორინგი იწყება ქვეპროექტების მშენებლობის ეტაპიდან და გრძელდება ოპერაციის ფაზაში. მონიტორინგი ადასტურებს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელებას და აფასებს მათ ეფექტურობას, რითაც საშუალებას აძლევს შავი ზღვის გალურჯების პროექტის განმახორციელებელ გუნდს და მსოფლიო ბანკს მიიღონ ზომები საჭიროების შემთხვევაში. მონიტორინგის სისტემის არსებობა ხელს შეუწყობს კონკრეტულ ღონისძიებებთან დაკავშირებული პრობლემების ადრეულ გამოვლენას და რისკების შემარბილებელი ღონისძიებების შედეგების მონიტორინგს და პროექტის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიღებას.

ამ კონტექსტში, გრანტის ბენეფიციარები (როგორც ქვეპროექტების მფლობელები, რომლებიც ფინანსდებიან ქვეკომპონენტით 2.1 „ეკო-ინოვაციური გამოწვევა“) გარემოსდაცვითი და სოციალური ექსპერტების / კონსულტანტების მეშვეობით სამუშაოების მიმდინარეობის ადგილზე მუდმივ მონიტორინგს გაუწევენ ქვეპროექტის საქმიანობის გარემოსდაცვით და სოციალურ ზემოქმედებას და ყოველთვიურად ანგარიშს

ჩააბარებენ პროექტის განმახორციელებელ გუნდს გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების მართვის ღონისძიებების განხორციელების შესახებ. პროექტის განმახორციელებელ გუნდის გარემოსდაცვითი და სოციალური სპეციალისტები ასევე მონიტორინგს და ზედამხედველობას გაუწევენ ქვეპროექტებს, რომლებსაც გარემოსდაცვითი და სოციალური ღონისძიებების განხორციელების ვალდებულება აქვთ.

მონიტორინგი ითვალისწინებს შემდეგი საკითხების მონიტორინგს:

- მონიტორინგის გაწევა ვალდებულებების შესრულებაზე ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმასთან, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმასთან და შრომითი ურთიერთობების მართვის პროცედურასთან დაკავშირებით, ამ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს, გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების და ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;
- სამუშაო ადგილებზე ეროვნული კანონმდებლობისა და მსოფლიო ბანკის მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგი;
- სამუშაო ადგილზე შრომის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის სტანდარტების შესრულების მონიტორინგი, ქვეყნის კანონმდებლობისა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, აგრეთვე COVID-19-ის პრევენციასთან დაკავშირებით მსოფლიო ბანკისა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მითითებების შესაბამისად;
- ხელშეკრულების საფუძველზე თანამშრომელთა დასაქმების პროცესის მონიტორინგი იმის უზრუნველსაყოფად, რომ იგი ხორციელდება შრომითი ურთიერთობების მართვის პროცედურის და შრომით ურთიერთობების მარეგულირებელი ეროვნული კანონის შესაბამისად;
- დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გამარტივებული გეგმის შესრულების მონიტორინგი;
- საჩივრების მექანიზმის განხორციელების მონიტორინგი (როგორც მუშაკებისთვის, ასევე პროექტთან მიმართებაში);
- თანამშრომელთა ეთიკის კოდექსის დაცვის მონიტორინგი.

როდესაც პროექტის განმახორციელებელი გუნდი შეამჩნევს რაიმე პრობლემას ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის, შრომითი ურთიერთობების მართვის პროცედურის ან გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების განხორციელებასთან დაკავშირებით, ის ამის შესახებ აცნობებს შესაბამის გრანტის ბენეფიციარს და შეათანხმებს მასთან ამ პრობლემების გამოსწორების ნაბიჯებს. კერძოდ, გრანტის ბენეფიციარი ვალდებულია დაუყოვნებლივ (არაუმეტეს 48 საათში) შეატყობინოს პროექტის განმახორციელებელ გუნდს ქვეპროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი ინციდენტის ან უბედური შემთხვევის შესახებ, რომელსაც აქვს ან სავარაუდოდ ექნება მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა გარემოზე, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებზე, საზოგადოებაზე და მუშაკებზე (მაგ., შრომის უსაფრთხოებისა და

ჯანმრთელობის პრობლემები ან საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისთვის შექმნილი საფრთხე). პროექტის განმახორციელებელ გუნდი ამის შესახებ მსოფლიო ბანკს აცნობებს. ასეთ შემთხვევებში, გრანტის ბენეფიციარებმა უნდა წარმოადგენდნენ საკმარისად დეტალური ინფორმაცია ინციდენტის ან უბედური შემთხვევის შესახებ, ძირეული მიზეზის ანალიზის დასკვნებთან ერთად და მიუთითონ დაუყოვნებლივ მიღებული ან დაგეგმილი ზომები, ინფორმაცია გადახდილი კომპენსაციის შესახებ და კონტრაქტორისა და ზედამხედველი პირის/კონსულტანტის მიერ მოწოდებული ნებისმიერი ინფორმაცია (საჭიროებისამებრ). გრანტის ბენეფიციარები ვალდებული არიან 30 სამუშაო დღის განმავლობაში წარუდგინონ პროექტის განმახორციელებელ გუნდს ინციდენტის შესახებ ანგარიში (მათ შორის ძირეული მიზეზის ანალიზი და ინფორმაცია სიფრთხილის ზომებისა და კომპენსაციების შესახებ), ხოლო პროექტის განმახორციელებელ გუნდს ინციდენტის შესახებ ანგარიშის მიღებისთანავე მას მსოფლიო ბანკს მიაწოდებს.

გარემოს დაცვის, შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის და სოციალური ექსპერტები, რომლებსაც გრანტის ბენეფიციარები დანიშნავენ, სამუშაოების მიმდინარეობის ადგილებზე იქნებიან დროის ისეთი ინტერვალებით (ანუ ყოველდღიურად) რომელიც განსაზღვრულია ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმაში საშუალო კატეგორიის რისკის ქვეპროექტებისთვის და შეამოწმოს სამუშაოების შესაბამისობა ყველა შესაბამის შემარბილებელ ზომებთან. პროექტის განმახორციელებელი გუნდის ექსპერტები გარემოს დაცვის / შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის და სოციალურ საკითხებში მშენებლობის დროს ადგილზე მონიტორინგს გაუწევენ სამუშაოების მიმდინარეობას კვარტალურად /ნახევარწლიურად, ქვეპროექტის მოცულობიდან გამომდინარე. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება ჩატარდეს უფრო ხშირი მონიტორინგი შემამსუბუქებელ ზომებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად და ნებისმიერი წარმოშობილი საკითხის გადაწყვეტისათვის.

7.5.2. ანგარიშგება

გრანტის ბენეფიციართა მიერ განხორციელებული ყოველთვიური მონიტორინგის ღონისძიებების შედეგები ეცნობება პროექტის განმახორციელებელ გუნდს. პროექტის განმახორციელებელი გუნდი ზედამხედველობას გაუწევს თითოეული ქვეპროექტის მონიტორინგის საქმიანობას და წელიწადში ორჯერ ანგარიშს ჩააბარებს მსოფლიო ბანკს გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნების შესრულების შესახებ და ექვსი მთლიანი ქვეპროექტის პროგრესისთვის.

პროექტის გუნდი ზედამხედველობას გაუწევს თითოეული ქვეპროექტის ფარგლებში მიმდინარე სამუშაოებს და წელიწადში ორჯერ ანგარიშს წარუდგენს მსოფლიო ბანკს ქვეპროექტების მიერ გარემოსდაცვითი და სოციალური ღონისძიებების განხორციელების შესახებ.

გრანტის ბენეფიციარები ყოველთვიურად წარუდგინონ პროექტის განმახორციელებელ გუნდს გარემოსდაცვით და სოციალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის ანგარიშებს და ინფორმაციას ნებისმიერი პრობლემის გადაწყვეტას რომელიც შეიძლება წარმოიშვას სამუშაოების პროცესში. ამ ანგარიშებში შეტანილი უნდა იყოს საანგარიშო პერიოდის ინფორმაცია დასრულებული სამშენებლო სამუშაოების შესახებ, დარჩენილი სამშენებლო სამუშაოების შესრულების გრაფიკი, ინფორმაცია გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებული ყველა ინციდენტის შესახებ და წარსულში მომხდარ, მაგრამ ჯერ გადაუწყვეტელ ინციდენტებთან დაკავშირებით მიმდინარე სამუშაოების შესახებ. ანგარიში აგრეთვე უნდა შეიცავდეს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების ამსახველ ფოტომასალას. COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებული სიტუაციით გამოწვეული რისკები შეფასდება და შესაბამისი დეტალური რეკომენდაციები შეტანილი იქნება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმაში. პანდემიის პერიოდში, ინფორმაცია მათი განხორციელების შესახებ აგრეთვე უნდა შევიდეს ყოველთვიურ ანგარიშებში და შესწავლილი იყოს პროექტის განმახორციელებელი გუნდის მიერ.

წელიწადში ორჯერ პროექტის განმახორციელებელი გუნდი შეიმუშავებს და მსოფლიო ბანკს წარუდგენს ანგარიშებს თითოეული ქვეპროექტის მიერ გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნების შესრულების შესახებ. ეს ანგარიშები დაეყრდნობა გრანტის ბენეფიციარების ყოველთვიურ ანგარიშებს და პროექტის განმახორციელებელი გუნდის ექსპერტების მიერ ადგილზე ვიზიტის დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გაკეთებულ შეფასებებს. ეს ანგარიშებში უნდა შეიცავდნენ შემდეგ ინფორმაციას:

- შემაჯამებელი ინფორმაცია ზედამხედველობის აქტივობების შესახებ, როგორიცაა მაგალითად პროექტის განმახორციელებელი გუნდის სპეციალისტების ვიზიტი ობიექტზე;
- შემაჯამებელი ინფორმაცია ქვეპროექტების განხორციელების ადგილებზე არსებული ძირითადი პრობლემების და მათ გადასაჭრელად მიმდინარე საპასუხო მოქმედებების შესახებ;
- ინფორმაცია დასრულებული სამშენებლო სამუშაოების და დარჩენილი სამშენებლო სამუშაოების შესრულების გრაფიკის შესახებ;
- ინფორმაცია „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის“ შესრულების მიმდინარეობის შესახებ, ძირითადი საკითხის ჩათვლით, როგორიცაა ნარჩენების მართვა, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის პრაქტიკა, მტვრით დაბინძურების მართვა, წყლის ხარისხი, სხვა გარემოსდაცვითი ინციდენტები და უბედური შემთხვევები, ცნობიერების ამაღლება და ტრენინგი გარემოს დაცვის საკითხებში და ა.შ.;
- გარემოსთან, ჯანმრთელობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ყველა ინციდენტის განახლებული სია რომელსაც თანდართული უნდა ჰქონდეს შეუსაბამოების შესახებ გაცემული შეტყობინებები;

- ინფორმაცია ზომების შესახებ, რომლებიც ხორციელდება ადრე მომხდარი, მაგრამ ჯერ გადაუწყვეტელი პრობლემების შესახებ;
- დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ღონისძიებები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- ინფორმაცია მიღებული და გადაწყვეტილი საჩივრების შესახებ.

წელიწადში ორჯერ პროექტის განმახორციელებელმა გუნდმა უნდა წარადგინოს ანგარიში პროექტის მიმდინარეობის შესახებ ამ ანგარიშებში უნდა შევიდეს გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხებისადმი მიძღვნილი ცალკე თავი. მასში შეჯამებული უნდა იყოს ინფორმაცია იმის შესახებ თუ როგორ სრულდება გარემოსდაცვით და სოციალურ ვალდებულებათა გეგმები, გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩო-დოკუმენტები, თითოეული პროექტისთვის სპეციფიკური ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმები, შრომითი ურთიერთობების მართვის გეგმები და ქვეყნისთვის სპეციფიკური დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმები.

ამ ანგარიშებში შეტანილი იქნება ინფორმაცია შესაბამისი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებული საჩივრების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) (მათ შორის საჩივრების რაოდენობა, მიღების თარიღები, განხორციელებული ქმედებები და გადაუწყვეტელი/დია საჩივრები). ამ ანგარიშებში ასევე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ნებისმიერ პრობლემას, რომელიც წარმოიშობა გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნების შეუსრულებლობიდან დაკავშირებით და აღწერილი იქნება მისი დაძლევისთვის მიღებული ზომები.

7.6. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს ბიუჯეტი

პროექტის განმახორციელებელი გუნდი არის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს განხორციელებაზე პასუხისმგებელი მთავარი მხარე. მან უნდა უზრუნველყოს, რომ ქვეპროექტებისა და გრანტების ფარგლებში შესრულებული სამუშაოები აკმაყოფილებდნენ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოსა და მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების მოთხოვნებს. ამის გათვალისწინებით, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს მოთხოვნების შესრულების მიზნით, ბიუჯეტში გათვალისწინებულია პროექტის განმახორციელებელი გუნდის მიერ გარემოსდაცვითი და სოციალური ექსპერტების დაქირავების ხარჯები, ობიექტებზე მათი ვიზიტების ხარჯები და საშუალო რისკის მქონე ქვეპროექტებისთვის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმების მომზადების ხარჯები. შეფასების მიხედვით დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის აქტივობების განხორციელების მთლიანი ხარჯები მოცემულია რეგიონულ დონეზე დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმაში, რომელიც ამ პროექტისთვის მომზადდა.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს შეფასებითი ბიუჯეტის პუნქტობრივი დაყოფა და მთლიანი ბიუჯეტი ნაჩვენებია ცხრილ 19-ში, ქვემოთ.

ცხრილი 19. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს განხორციელების სავარაუდო ბიუჯეტი

ხარჯები	ერთეული	ერთეულების რაოდენობა	საცალო ფასი (აშშ \$)	მთლიანი ფასი (აშშ \$)
პროექტის განმახორციელებელი გუნდისთვის¹				
გარემოს დაცვის (შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის) ექსპერტი	თვეში	36 ²	2,000	72,000
ექსპერტი სოციალურ სფეროში	თვეში	36 ²	2,000	72,000
ვიზიტები გრანტების / ქვეპროექტის მონიტორინგის მიზნით	ვიზიტში	16 ³	3,000	48,000
სხვადასხვა ხარჯები (ტრენინგები, მასალების მომზადება, როგორიცაა ბროშურები და თვალსაჩინოებები და სხვა.)	მთლიანი თანხა	1	8,000	8,000
სულ				200,000
გრანტის ბენეფიციარებისთვის⁴				
„ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის“ მომზადება	ერთ ანგარიშში	4 ⁵	20,000	80,000

1. პროექტის განმახორციელებელ გუნდის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი ხარჯების კომპონენტები.
2. ნავარაუდევია, რომ ეს კომპონენტები განხორციელდება სამი წლის მანძილზე.
3. ნავარაუდევია, რომ 4 ობიექტზე ვიზიტები განხორციელდება 4-ჯერ ან 8 ობიექტზე ვიზიტი - 2-ჯერ;
4. გრანტების ბიუჯეტით (გრანტის ბენეფიციარის ბიუჯეტიდან) დასაფინანსებელი ხარჯები, რომელშიც არ შედის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმით გათვალისწინებული საქმიანობები რადგან ნავარაუდევია, რომ ისინი დაიფარება ქვეპროექტების სამშენებლო სამუშაოების ბიუჯეტიდან.
5. ნავარაუდევია, რომ დასაფინანსებელი გრანტებიდან 4 იქნება საშუალო რისკის და სჭირო იქნება სპეციფიკური ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის მომზადება.

8. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა, საჯარო კონსულტაციები და ინფორმაციის საჯაროობა

8.1. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა

პროგრამით პირდაპირ დაინტერესებული მხარეები არიან საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მოლდოვას რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის,

რეგიონული განვითარებისა და გარემოს დაცვის სამინისტრო, თურქეთის გარემოს დაცვისა და ურბანიზაციის სამინისტრო, თურქეთის სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის სამინისტრო და უკრაინის ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის სამინისტრო, ბენეფიციარ ქვეყნებში შავი ზღვის აუზში მდებარე ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, სოფლის მეურნეობის, აკვაკულტურის, ტურიზმისა და გადაზიდვების სფეროში მომუშავე ადგილობრივი ბიზნეს ასოციაციები, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები, რომლებიც უნდა ჩაერთონ გრანტით დაფინანსებულ ღონისძიებებში და ადგილობრივი თემები. პროექტის დაინტერესებულ მხარეებს შორის იქნებიან თევზის მრეწველობაში მომუშავე რეგიონული ორგანიზაციები, ზღვის დაბინძურების საკითხებზე მომუშავე აკადემიური და კვლევითი ინსტიტუტები და ფინანსური / საინვესტიციო ორგანიზაციები. მომზადდა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ჩარჩო, რომელიც ასახავს მიდგომას ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე დაინტერესებული მხარეების ანალიზისა და იდენტიფიკაციის მიმართ და კონკრეტული ქვეყნების დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმების გამოქვეყნებისა და კონსულტაციების ჩატარების სტრატეგიის მიმართ.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ჩარჩოს და სტანდარტ 10-ის შესაბამისად ქვეყნების სპეციფიკური დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმები შემუშავდება როგორც შეფასების დოკუმენტების განუყოფელი ნაწილი. თითოეულ ასეთ გეგმაში მოცემული იქნება ბენეფიციარ ქვეყანაში განსახორციელებელი კონკრეტული ქვეპროექტების ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნები. ინფორმაციის გამჟღავნების პროცესებში გათვალისწინებული იქნება COVID-19-ის პანდემიის გამო მთავრობის მიერ დაწესებული შეზღუდვები, თუ პანდემია კვლავ გაგრძელდება ამ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს განხორციელების პერიოდში. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის აქტივობები და მეთოდები განსაზღვრულია დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ჩარჩოში და კიდევ უფრო დაზუსტდება ქვეყნებისთვის სპეციალურად შემუშავებულ „დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმებში. კონსულტაციისა და ჩართულობის ყველა ღონისძიების შედეგები გათვალისწინებული იქნება გარემოსდაცვითი და სოციალური დაცვის ღონისძიებების განხორციელებისას და შემარბილებელი ღონისძიებებისა და მონიტორინგის მიმართ დადგენილი მოთხოვნების განხილვის დროს.

8.2. საჯარო კონსულტაციები და ინფორმაციის საჯაროობა

შემოთავაზებული პროგრამის კონცეფცია წარმოდგენილი იყო ეროვნულ დონეზე გამართული საკონსულტაციო შეხვედრების დროს, რომელიც ვირტუალურად ჩატარდა. 2021 წლის თებერვლიდან მაისამდე პერიოდში ასეთი კონსულტაციები გაიმართა საქართველოში, მოლდოვას რესპუბლიკაში, თურქეთში, უკრაინაში, რუმინეთსა და ბულგარეთში. შეხვედრების შესახებ გამოცხადდა მსოფლიო ბანკის ქვეყნების ვებგვერდების ღონისძიებების ვებგვერდზე. გამოყენებული იყო Facebook-ისა და Zoom-ის პლატფორმები. შეხვედრები ითარგმნებოდა თითოეული ქვეყნის ოფიციალურ ენაზე. მათში მონაწილეობდა 130-ზე მეტი დაინტერესებული მხარე სხვადასხვა

სამინისტროებიდან, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებიდან, სამეცნიერო წრეებიდან, კერძო სექტორიდან, არასამთავრობო ორგანიზაციებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან.

პროექტში გამოყენებული იქნება სხვადასხვა მეთოდი, როგორცაა ონლაინ შეხვედრები, ვირტუალური დონისძიებები, პირისპირ ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფების შეხვედრები, ელექტრონული მიმოწერა და ა.შ. რაც დამოკიდებული იქნება (i) ჩართულობის მიზანზე და (ii) დაინტერესებული მხარეების საჭიროებებზე. შესაბამისი მოთხოვნები დეტალურად არის აღწერილი დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ჩარჩოში. პროექტი უზრუნველყოფს, რომ დაინტერესებული მხარეების ჯგუფებისთვის მომზადდეს და მიეწოდოს შესაბამისი ინფორმაცია, შესაბამის ენაზე. კონსულტაციის ჩატარების საშუალებები უნდა განისაზღვროს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოს უახლესი მითითებების შესაბამისად, რათა კონსულტაციების ფორმატი შეირჩეს პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინებით.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს პროექტის ინგლისური ვერსია და ბენეფიციარი ქვეყნების ოფიციალურ ენებზე ნათარგმნი ვერსიები გამოქვეყნდება შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის „ვირტუალური ცოდნის“ ვებგვერდზე:

<http://www.bsec-bsvkc.org/Forms/BlueingTheBlackSeaProject>.

ამ გზით, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო ხელმისაწვდომი იქნება მთავარი დაინტერესებული მხარეებისთვის, განვითარების საკითხებზე მომუშავე პარტნიორებისთვის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, კერძო სექტორს და ზოგადად მთელ საზოგადოებას. გარემოსა და სოციალური დაცვის დოკუმენტების გამჟღავნებისა და კონსულტაციების ჩატარების მიზნით შეხვედრები გაიმართება ეროვნულ დონეზე.

პროექტის აქტივობებში დაუცველი ჯგუფების ჩართვის მიზნით გამოყენებული იქნება პროაქტიული მიდგომა. პროცესი დაიწყება ადგილობრივი დონის დაინტერესებული მხარეების საგულდაგულო შესწავლით. პროექტის განმახორციელებელი გუნდი უზრუნველყოფს, რომ ადგილობრივი ბიზნეს ასოციაციები და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები შეეყვანილნი იყვნენ დაინტერესებული მხარეების ჩართულობის სპეციფიკურ გეგმებში, ხოლო იმ ფიზიკური პირების შემთხვევაში, რომლებიც არ არიან წარმოდგენილი ამ ორგანიზაციების საშუალებით (მაგ., ქალები და ახალგაზრდები) გამოყენებული იყოს დამატებითი ინსტრუმენტები, როგორცაა ფოკუს ჯგუფების შეხვედრები და პირისპირ ინტერვიუები.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმების ირგვლივ ჩატარებული კონსულტაციები უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების მონაწილეობას ქვეპროექტების აქტივობების შემუშავებაში. პროექტის განმახორციელებელი გუნდის დახმარებით, ქვეპროექტები: (i) შეიმუშავებენ

დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გამარტივებულ გეგმას, რომელიც შედგება დაინტერესებული მხარეების ანალიზისა და რუკებისგან; (ii) უზრუნველყოფენ სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობას გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების იდენტიფიკაციაში; (iii) აუხსნიან ადგილობრივ თემებს ქვეპროექტის საქმიანობას; (iv) ხელს შეუწყობენ ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობას (მათ მიერ მოსაზრებების, წინადადებებისა და მოლოდინების გამოთქმას და პრობლემების დაყენებას); (v) შეაგროვებენ ადგილობრივი თემებიდან ქვეპროექტის საქმიანობასთან დაკავშირებულ სოციალურ-ეკონომიკური მონაცემებს და ინფორმაციას; (vi) მოამზადებენ ქვეპროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების განხორციელების საფუძველს.

8.3. საჩივრების განხილვის მექანიზმი

ინფორმაცია საჩივრების მექანიზმის შესახებ მიეწოდება ყველა დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის გრანტის მიმღებ პირებს/გრანტის ბენეფიციარებს, კონტრაქტორებს და საგრანტო ქვეპროექტების სხვა დაინტერესებულ მხარეებს. ამის მიზანია რაც შეიძლება ადრე გამოვლინდეს უკმაყოფილობა და პრობლემები, რომ შესაძლებელი იყოს მათი დროულად და პროაქტიულად დაძლევა, პროექტის შედეგების მუდმივი გაუმჯობესება და პროექტის მიერ დაინტერესებული მხარეების ჩართვის მტკიცე ნების დემონსტრირება და დაინტერესებული მხარეების მიერ გამოთქმული მოსაზრებებისა და კრიტიკის პატივისცემა.

საჩივრების განხილვის მექანიზმი შემუშავდა შემდეგი პრინციპების საფუძველზე:

- ნებისმიერ პირს ან ორგანიზაციას შეუძლია გამოთქვას შეშფოთება, პრეტენზია და კრიტიკა ნებისმიერ დროს, ისე რომ არ ჰქონდეს სამაგიეროს გადახდისა და ანგარიშსწორების შიში.
- ყველა საჩივარი სამართლიანად და პატივისცემით განიხილება.
- საჩივრის მიღებისას, დაინტერესებულ მხარეს დაადასტურებენ მის მიღებას ხუთი (5) სამუშაო დღის განმავლობაში. ამ დროს, დაინტერესებულ მხარეს მიეწოდება ინფორმაცია რეაგირების ვადის, შემდგომი ნაბიჯების და გუნდში საკონტაქტო პირის შესახებ. საჩივრის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იქნება 30 კალენდარული დღის განმავლობაში.
- საჩივრის პროცესი (მიღება, გამოძიება და გადაწყვეტა) იქნება თანმიმდევრული და გამჭვირვალე.
- ინფორმაცია საჩივრის შესახებ (და მასთან დაკავშირებული გამოძიებები და გადაწყვეტილებები) იქნება დოკუმენტირებული.
- დაზარალებული მხარეების შესახებ პირადი ინფორმაცია ჩაითვლება კონფიდენციალურად. ნებადართულია ანონიმური საჩივრების წარდგენა. საჩივრის მექანიზმი ასევე ითვალისწინებს საჩივრების მიღებას სექსუალურ შევიწროების, სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის შესახებ.
- საჩივრები, რომელიც დაკავშირებული იქნება პროექტის სამუშაოებთან და მართვასთან, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის

/პროექტის განმახორციელებელი გუნდის ან გრანტის ბენეფიციარებისა და კონტრაქტორების საქმიანობასთან შეიძლება მიწოდებული იყოს საჩივრების მექანიზმის მეშვეობით.

- პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს აირჩიონ მსოფლიო ბანკის საჩივრების განხილვის მექანიზმი და / ან გარეშე საშუალებები.

საჩივრების ფორმები ინტერნეტში გამოქვეყნდება ცალკე და, საჭიროების შემთხვევაში, აგრეთვე დაიბეჭდება და დარიგდება ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებს შორის. ფორმები შედგენილი იქნება 6 ენაზე: ინგლისურად, ქართულად, მოლდავურად, თურქულად, უკრაინულად და რუსულად.

საჩივრების მართვა მოხდება ხუთ ეტაპად:

ეტაპი 1 - უკუკავშირი მიღებულია: დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ ბევრი სხვადასხვა გზით გამოხატონ თავიანთი გამოხმაურება პროექტთან დაკავშირებით: სიტყვიერად შეხვედრის დროს, ვებგვერდის, ელექტრონული ფოსტის, ზარის ან ოფიციალური მიმოწერის საშუალებით. ნებისმიერ შემთხვევაში, პროექტის შემსრულებელი გუნდი და გრანტის ბენეფიციარები უზრუნველყოფენ მის დოკუმენტირებას, აღრიცხვას და მასზე რეაგირებას, საჭიროებისამებრ. ზოგიერთ შემთხვევაში, ამ პროცესმა შეიძლება გამოავლინოს საჩივარი. თუ ასეა, იწყება მე-2 ეტაპი. *პროექტის შემსრულებელი გუნდი უპასუხებს შეკითხვებს ხუთ (5) სამუშაო დღეში.*

ეტაპი 2 - საჩივარი გაფორმებულია: როდესაც საჩივარი იდენტიფიცირდება, ის ოფიციალურად რეგისტრირდება და მას ენიჭება უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი. საჩივრის კატეგორია განისაზღვრება მისი ტიპისა და მისი სიმძიმის მიხედვით. პირველადი პასუხი ეგზავნება იმ პირს (პირებს), ვინც წამოაყენა საჩივარი. პასუხში აღიარებული იქნება საჩივრის მიღება, აღწერილი იქნება შემდგომი ნაბიჯები, მითითებული იქნება მათი განხორციელების სავარაუდო ვადები და დასახელებული იქნება საკონტაქტო პირი.

ეტაპი 3 - შესწავლა და გადაწყვეტა: პროექტის განმახორციელებელი გუნდი შეისწავლის საჩივარს და მასთან დაკავშირებულ გარემოებებს. ეს შესწავლა დროულად ჩატარდება. მისი შედეგები განიხილება და შემოთავაზებული იქნება საკითხის გადაწყვეტის გზა. გადაწყვეტილება შეიძლება ითვალისწინებდეს კონსულტაციას მონაწილე პირ(ებ)თან (პირებთან) და ზოგიერთ შემთხვევაში დამოუკიდებელ მესამე პირთან. ამის შემდგომ, შემოთავაზებული გადაწყვეტილება ოფიციალურად ეცნობება ყველა მხარეს. *პროცესი დასრულდება და მომჩივანი პასუხს მიიღებს 30 დღეში.*

ეტაპი 4 - გადაწყვეტა: თუ გადაწყვეტილება მისაღები იქნება ყველა მხარის მიერ, ის განხორციელდება და საჩივარი დაიხურება. თუ გადაწყვეტილება მისაღები არ იქნება, ის გადაიხედება და შეიძლება შემოთავაზებულ იქნეს შესწორებული ვარიანტი. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირ(ებ)ს შეუძლიათ ნებისმიერ დროს გამოიყენონ სადაო

საკითხის გადაწყვეტის გარე საშუალებები, მათ შორის იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება მიღწეული ვერ იქნება.

ეტაპი 5 - მონიტორინგი და შეფასება: გადაწყვეტილების განხორციელების შემდეგ, მოხდება მისი მონიტორინგი და ეფექტურობის შეფასება. გადაწყვეტილების განხორციელების შესახებ ეცნობება ყველა მხარეს და მათ შესაძლებლობა ექნებათ აზრი გამოხატონ საჩივრების პროცესზე და მის განხორციელებაზე.

პროექტის ყველა თანამშრომელს, მათ შორის გრანტის ბენეფიციარებს, ჩაუტარდებათ ცნობიერების ამაღლების სესია საჩივრის მექანიზმის შესახებ. პროექტში განსაზღვრული იქნება საჩივრების მექანიზმის მუშაობის ძირითადი ინდიკატორები.

დანართები

დანართი 1. მსოფლიო ბანკის ჯგუფის გამომრიცხავი სია

დანართი 2. გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის საკონტროლო სია

დანართი 3. მსოფლიო ბანკის პროექტების კატეგორიებად დაყოფა

დანართი 4. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის ქვეპროექტის საორიენტაციო სტრუქტურა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის კონსულტანტების კვალიფიკაცია

დანართი 5. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის ქვეპროექტის საკონტროლო სია

დანართი 6. მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების 3 და მსოფლიო ბანკის ჯგუფის გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის სახელმძღვანელო პრინციპების მოთხოვნები პესტიციდების მართვის მიღებულ პრაქტიკასთან დაკავშირებით

დანართი 1 მსოფლიო ბანკის ჯგუფის მიერ დაფინანსებისთვის აკრძალულ ქმედებათა სია

მსოფლიო ბანკის ჯგუფის/საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მიერ დაფინანსებისთვის აკრძალულ ქმედებათა სია განსაზღვრავს იმ ტიპის პროექტებს, რომლებსაც მსოფლიო ბანკის ჯგუფი არ აფინანსებს.

მსოფლიო ბანკის ჯგუფი შემეგ პროექტებს არ აფინანსებს:

- ნებისმიერი პროდუქტის წარმოება ან ვაჭრობა ან საქმიანობა, რომელიც უკანონოდ მიიჩნევა მასპინძელი ქვეყნის კანონებით, რეგულირების ნორმებით ან საერთაშორისო კონვენციებითა და შეთანხმებებით, ან ექვემდებარება საერთაშორისო აკრძალვებს, მაგ.: ფარმაცევტული საშუალებები, პესტიციდები/ჰერბიციდები, ოზონის დამშლელი ნივთიერებები, პოლიქლორბიფენილი, ველური ბუნება ან პროდუქტები, რომლებიც რეგულირდება „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციით.
- იარაღისა და საბრძოლო მასალის წარმოება ან მათით ვაჭრობა.¹
- ალკოჰოლური სასმელების წარმოება ან მათით ვაჭრობა (ლუდისა და ღვინის გამოკლებით).¹
- თამბაქოს წარმოება და მისით ვაჭრობა.¹
- აზარტული თამაშები, კაზინოები და ეკვივალენტი საწარმოები.¹
- რადიოაქტიური მასალების წარმოება ან მათით ვაჭრობა. ეს არ ეხება სამედიცინო აღჭურვილობის შეძენას, ხარისხის კონტროლის (გაზომვის) აღჭურვილობას და ნებისმიერ აღჭურვილობას, სადაც მსოფლიო ბანკის ჯგუფი მიიჩნევს, რომ რადიოაქტიური წყარო არის უმნიშვნელო და/ან ადეკვატურად დაცული.
- აზბესტის შეუფუთავი ბოჭკოების წარმოება ან ვაჭრობა. აღნიშნული არ ეხება შეუფუთული აზბესტის ცემენტის ფილების შეძენას და გამოყენებას, როდესაც აზბესტის შემცველობა 20% -ზე ნაკლებია.
- დრიფტერული ბადეებით თევზჭერა ზღვაში, თუ ბადის სიგრძე აღემატება 2.5 კილომეტრს.

გამოიყენება გონივრულობის კრიტერიუმი მაშინ, როდესაც საპროექტო კომპანიის საქმიანობას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა განვითარებაზე, თუმცა გამომრიცხავი სია მოითხოვს კორექტირებას ქვეყნის გარემოებების შესაბამისად.

ყველა ფინანსური შუამავალი, გარდა ქვემოთ მითითებული საქმიანობით დაკავებული შუამავლების*, ვალდებულია გაითვალისწინოს შემდეგი გამონაკლისები, მსოფლიო ბანკის ჯგუფის/საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის გამომრიცხავი სიაში მითითებულ საქმიანობათა გარდა:

- იძულებითი შრომის, მავნე ან ექსპლუატაციური ფორმების²/ბავშვთა საზიანო შრომის³ გამოყენებით პროდუქციის წარმოება ან ვაჭრობა.
- ხე-ტყის კომერციული მიზნით დამზადება პირველად ტროპიკულ ტენიან ტყეებში.
- ხე-ტყის პროდუქციის წარმოება და ვაჭრობა, გარდა იმ ტყეებისა, რომელთა მართვა ხდება მდგრადი სახით.

* **მიკროსაფინანსო** საქმიანობაში ინვესტიციის განხორციელების დროს, **ფინანსური შუამავალი** გამოიყენებს შემდეგ პუნქტებს, მსოფლიო ბანკის ჯგუფის გამონაკლისთა ნუსხის გარდა:

- იძულებითი შრომის მავნე ან ექსპლუატაციის ფორმების² /ბავშვთა საზიანო შრომის³/გამოყენებით პროდუქციის წარმოება ან ვაჭრობა.
- საშიში ქიმიური ნივთიერებების მნიშვნელოვანი მოცულობით წარმოება, ამ ნივთიერებებით ვაჭრობა, მათი შენახვა ან ტრანსპორტირება, ან საშიში ქიმიური ნივთიერებების კომერციული მასშტაბით გამოყენება. საშიში ქიმიური ნივთიერებები მოიცავს ბენზინს, ნავთს და სხვა ნავთობპროდუქტებს.
- წარმოება ან საქმიანობა რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს მიწებზე, რომელიც ეკუთვნის, ან რომელზეც სასამართლოს გზით პრეტენზიას აცხადებს ადგილობრივი მოსახლეობა, ასეთი მოსახლეობის სრული დოკუმენტური თანხმობის გარეშე.

* **ვაჭრობის დაფინანსების პროექტები**, ოპერაციების ბუნებიდან გამომდინარე, ფინანსური შუამავლები მსოფლიო ბანკის ჯგუფის გამონაკლისთა ნუსხის გარდა შემდეგ პუნქტს გაითვალისწინებენ:

- იძულებითი შრომის მავნე ან ექსპლუატაციის ფორმების²/ბავშვთა საზიანო შრომის³/გამოყენებით პროდუქციის წარმოება ან ვაჭრობა

განმარტებები

¹ ეს არ ეხება პროექტის სპონსორებს, რომლებიც არსებითად არ არიან ჩართულნი ამ საქმიანობაში. „არსებითად არ არის ჩართული“ ნიშნავს, რომ შესაბამისი საქმიანობა პროექტის სპონსორის პირველადი ოპერაციების დამხმარე საქმიანობას წარმოადგენს.

² იძულებითი შრომა გულისხმობს იძულებით სამუშაოს ან მომსახურებას, რომელიც შესრულებულია პირის მიერ ფიზიკური საფრთხის ან სხვა სახის მუქარის ქვეშ;

³ ბავშვთა საზიანო შრომა გულისხმობს ბავშვთა შრომას, რომელიც ეკონომიკური თვალსაზრისით ექსპლუატატორულია, საზიანოა მათი ჯანმრთელობისათვის ან ხელს უშლის მათ განათლებას, ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ, მორალურ ან სოციალურ განვითარებას.

დანართი 2 გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის ფორმა

ქვეპროექტის მოკლე აღწერა:

პროექტით დაფინანსებითვის აკრძალულ ქმედებათა სია (კითხვები არასათანადო საქმიანობის/საგრანტო განაცხადების/ქვეპროექტების იდენტიფიცირების მიზნით):

განსახილველი საკითხები	დიახ / არა თუ პასუხია „დიახ“, ქვეპროექტი ვერ მიიღებს დაფინანსებას/ არ აქვს მისი მიღების უფლება
1. მოიცავს თუ არა ქვეპროექტი რომელიმე პროდუქტის წარმოებას ან მისით ვაჭრობას ან საქმიანობას, რომელიც უკანონოდ ითვლება მასპინძელი ქვეყნის კანონებით ან რეგულირების ნორმებით ან საერთაშორისო კონვენციებითა და შეთანხმებებით, ან ექვემდებარება საერთაშორისო აკრძალვებს, მაგ.: ფარმაცევტული საშუალებები, პესტიციდები/პერბიციდები, ოზონის დამშლელი ნივთიერებები, პოლიქლორბიფენილი, ველური ბუნება ან პროდუქტები, რომლებიც რეგულირდება „გადამენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციით“.	
2. მოიცავს თუ არა ქვეპროექტი იარაღისა და საბრძოლო მასალის წარმოებას ან მათით ვაჭრობას?	
3. მოიცავს თუ არა ქვეპროექტი ალკოჰოლური სასმელების წარმოებას ან მათით ვაჭრობას (ლუდისა და ღვინის გამოკლებით)?	
4. მოიცავს თუ არა ქვეპროექტი თამბაქოს წარმოებას და მისით ვაჭრობას?	
5. მოიცავს თუ არა ქვეპროექტი აზარტული თამაშებს, კაზინოებს და ეკვივალენტ საწარმოებს?	

განსახილველი საკითხები	დიახ / არა თუ პასუხია „დიახ“, ქვეპროექტი ვერ მიიღებს დაფინანსებას/ არ აქვს მისი მიღების უფლება
6. მოიცავს თუ არა ქვეპროექტი რადიოაქტიური მასალების წარმოება-ვაჭრობას? (ეს არ ეხება სამედიცინო აღჭურვილობის შეძენას, ხარისხის კონტროლის (გაზომვის) აღჭურვილობას და ნებისმიერ აღჭურვილობას, სადაც მსოფლიო ბანკის ჯგუფი მიიჩნევს, რომ რადიოაქტიური წყარო არის უმნიშვნელო და/ან ადეკვატურად დაცული)	
7. მოიცავს თუ არა ქვეპროექტი აზბესტის შეუფუთავი ბოჭკოების წარმოება-ვაჭრობას? (ეს არ ეხება შეფუთული აზბესტის ცემენტის ფილების შეძენას და გამოყენებას, როდესაც აზბესტის შემცველობა 20% -ზე ნაკლებია).	
8. მოიცავს თუ არა ქვეპროექტი დრიფტერული ბადეებით თევზჭერა ზღვაში, თუ ბადის სიგრძე აღემატება 2.5 კილომეტრს?	
9. მოიცავს თუ არა ქვეპროექტი იძულებითი შრომის მავნე ან ექსპლუატაციური ფორმების გამოყენებით პროდუქციის წარმოებას ან ვაჭრობას? (იძულებითი შრომა გულისხმობს არანებაყოფლობით სამუშაოს ან მომსახურებას, რომელიც შესრულებულია პირის მიერ ფიზიკური საფრთხის ან სხვა სახის მუქარის ქვეშ)	
10. მოიცავს თუ არა ქვეპროექტი ბავშვთა საზიანო შრომის გამოყენებით პროდუქციის წარმოება ან ვაჭრობას? (ბავშვთა საზიანო შრომა გულისხმობს ბავშვთა შრომას, რომელიც ეკონომიკური თვალსაზრისით ექსპლუატატორულია, საზიანო მათი ჯანმრთელობისათვის ან ხელს უშლის მათ განათლებას, ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ, მორალურ ან სოციალურ განვითარებას).	
11. მოიცავს თუ არა ქვეპროექტი ხე-ტყის კომერციული მიზნით დამზადებას პირველად ტროპიკულ ტენიან ტყეებში?	
12. მოიცავს თუ არა ქვეპროექტი ხე-ტყის პროდუქციის წარმოებას და ვაჭრობას, გარდა იმ ტყეებისა, რომელთა მართვა ხდება მდგრადი სახით?	
13. მოიცავს თუ არა ქვეპროექტი საშიში ქიმიური ნივთიერებების მნიშვნელოვანი მოცულობით წარმოებას, ამ ნივთიერებებით ვაჭრობას, მათ შენახვას ან ტრანსპორტირებას, ან საშიში ქიმიური ნივთიერებების კომერციული მასშტაბით გამოყენებას? (საშიში ქიმიური ნივთიერებები მოიცავს ბენზინს, ნავთს და სხვა ნავთობპროდუქტებს)	

განსახილველი საკითხები	დიახ / არა თუ პასუხია „დიახ“, ქვეპროექტი ვერ მიიღებს დაფინანსებას/ არ აქვს მისი მიღების უფლება
14. მოიცავს თუ არა ქვეპროექტი წარმოებას ან საქმიანობას, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს მიწებზე, რომელიც ეკუთვნის, ან რომელზეც სასამართლოს გზით პრეტენზიას აცხადებს ადგილობრივი მოსახლეობა, ასეთი მოსახლეობის სრული დოკუმენტური თანხმობის გარეშე?	
15. გამოიწვევს თუ არა ქვეპროექტი მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის OP/BP 7.50 – „პროექტები საერთაშორისო წყლებში“ ამოქმედებას?	
16. გამოიწვევს თუ არა ქვეპროექტი მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის OP/BP 7.60 – „პროექტები სადაო ტერიტორიებზე“ ამოქმედებას?	
17. მოითხოვს თუ არა ქვეპროექტი მიწის შესყიდვას, მიწის გამოყენების შეზღუდვას და/ან უნებლიე განსახლებას?	
18. ექნება თუ არა ქვეპროექტს უარყოფითი გავლენა კრიტიკულ და ბუნებრივ ჰაბიტატებზე და/ან მნიშვნელოვანი ზემოქმედება ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით?	
19. ექნება თუ არა ქვეპროექტს უარყოფითი გავლენა ნაცნობ და დაცულ კულტურულ მემკვიდრეობაზე?	
20. საჭიროა თუ არა ქვეპროექტის ფარგლებში ქვეყნის გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესის განხორციელება?	

პროექტის რისკის კატეგორიის დადგენა/სკრინინგი (კითხვები საქმიანობის /საგრანტო განცხადებების/ქვეპროექტების რისკის კატეგორიის დასადგენად):

განსახილველი შეკითხვები	დიახ / არა თუ პასუხია „დიახ“, გთხოვთ მოკლედ ახსენით	შესაძლოა თუ არა ამან მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს, რომელიც შერბილებას მოითხოვს? დიახ/არა
1. მოიცავს თუ არა ქვეპროექტის ფარგლებში განხორციელებული მშენებლობა, მისი ოპერირება ან მისი ექსპლუატაციიდან გამოყვანა ისეთ მოქმედებებს, რომლებიც ადგილობრივი გარემოს ფიზიკურ ცვლილებებს გამოიწვევს (ტოპოგრაფია, მიწის გამოყენება, ცვლილებები წყლის ობიექტებში და ა.შ.)?		
2. მოიცავს თუ არა ქვეპროექტის ფარგლებში განხორციელებული მშენებლობა, ან მისი ოპერირება ბუნებრივი რესურსების გამოყენებას, მაგ.: მიწის, წყლის, მასალების ან ენერგიის, განსაკუთრებით იმ ბუნებრივი რესურსების, რომლებიც არ არის განახლებადი ან დეფიციტურია ?		
3. მოიცავს თუ არა ქვეპროექტი ისეთი ნივთიერებების ან მასალების გამოყენებას, შენახვას, ტრანსპორტირებას, დამუშავებას ან წარმოებას, რომლებიც შეიძლება საზიანო იყოს ადამიანის ჯანმრთელობისთვის ან გარემოსთვის, ან გამოიწვიოს შემფოთება ადამიანის ჯანმრთელობის რეალური ან სავარაუდო რისკების გამო?		
4. ჩნდება თუ არა ქვეპროექტის შედეგად მყარი ნარჩენები მშენებლობის, ოპერირების ან ექსპლუატაციიდან გამოყვანის დროს?		
5. გამოიყოფა თუ არა პროექტის შედეგად ჰაერში დამაბინძურებელი, ტოქსიკური ან შხამიანი ნივთიერებები?		

განსახილველი შეკითხვები	დიახ / არა თუ პასუხია „დიახ“, გთხოვთ მოკლედ ახსენით	შესაძლოა თუ არა ამან მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს, რომელიც შერბილებას მოითხოვს? დიახ/არა
6. გამოიწვევს თუ არა ქვეპროექტი ხმაურს და ვიბრაციას ან სინათლის, სითბოს ენერგიის ან ელექტრომაგნიტური გამოსხივების გამოყოფას?		
7. გამოიწვევს თუ არა ქვეპროექტი მიწის ან წყლის დაბინძურების რისკს დამაბინძურებელი ნივთიერებების ნიადაგში ან ზედაპირულ წყლებში, გრუნტის წყლებში, სანაპირო წყლებში და ზღვაში გამოყოფის შედეგად?		
8. იქნება თუ არა უბედური შემთხვევის რისკი ქვეპროექტის ფარგლებში მშენებლობისას ან მისი განხორციელების დროს, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ადამიანის ჯანმრთელობას ან გარემოს?		
9. გამოიწვევს თუ არა ქვეპროექტი სოციალურ ცვლილებებს, მაგალითად, დემოგრაფიულ მდგომარეობაში, ცხოვრების ტრადიციულ სტილში, დასაქმებაში?		
10. არის თუ არა სხვა გასათვალისწინებელი ფაქტორები, როგორიცაა შემდგომი განვითარება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გარემოზე ზემოქმედება ან პოტენციური კუმულაციური ზემოქმედება ამ ადგილას სხვა არსებულ ან დაგეგმილ ღონისძიებებთან ერთად?		
11. არის თუ არა ადგილზე ან მის გარშემო ტერიტორია, რომელიც დაცულია საერთაშორისო, ეროვნული ან ადგილობრივი კანონმდებლობით მისი ეკოლოგიური, ლანდშაფტური, კულტურული ან სხვა ფასეულობის გამო, რომლებზეც შეიძლება გავლენა იქონიოს ქვეპროექტმა?		

განსახილველი შეკითხვები	დიახ / არა თუ პასუხია „დიახ“, გთხოვთ მოკლედ ახსენით	შესაძლოა თუ არა ამან მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს, რომელიც შერბილებას მოითხოვს? დიახ/არა
12. არის თუ არა ადგილზე ან მის გარშემო სხვა ტერიტორია, რომელიც მნიშვნელოვანი ან სენსიტიურია ეკოლოგიური თვალსაზრისით, მაგ. ჭარბტენიანი ადგილები, წყლის ნაკადები ან წყლის სხვა ობიექტები, სანაპირო ზონა, მთები, ტყეები ან ტყის მასივები, რომლებზეც შეიძლება ქვეპროექტმა უარყოფითი ზემოქმედება იქონიოს?		
13. არის თუ არა ადგილზე ან მის გარშემო სხვა ტერიტორია, რომელსაც ფლორის და ფაუნის დაცული, მნიშვნელოვანი ან მგრძნობიარე სახეობები იყენებენ მაგ.: გამრავლებისთვის, ბუდობისთვის, საკვებად, დასასვენებლად, გამოსაზამთრებლად ან მიგრაციისთვის და რომელზეც შეიძლება ქვეპროექტმა უარყოფითი ზემოქმედება იქონიოს?		
14. არის თუ არა ადგილზე ან მის გარშემო შიდა, სანაპირო, საზღვაო ან გრუნტის წყლები, რომლებზეც შეიძლება ქვეპროექტმა უარყოფითი ზემოქმედება იქონიოს?		
15. არის თუ არა ადგილზე ან მის გარშემო მაღალი ლანდშაფტის ან პეიზაჟის თვალსაზრისით ფასეულობის მქონე ტერიტორია, რომელზეც შეიძლება ქვეპროექტმა უარყოფითი ზემოქმედება იქონიოს?		
16. არის თუ არა ადგილზე ან მის გარშემო მარშრუტები ან ნაგებობები, რომლებსაც საზოგადოება რეკრეაციული დანიშნულებით ან სხვა ობიექტებზე მისასვლელად იყენებს და რომლებზეც ქვეპროექტმა შეიძლება უარყოფითი ზემოქმედება იქონიოს?		

განსახილველი შეკითხვები	დიახ / არა თუ პასუხია „დიახ“, გთხოვთ მოკლედ ახსენით	შესაძლოა თუ არა ამან მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს, რომელიც შერბილებას მოითხოვს? დიახ/არა
17. არის თუ არა ადგილზე ან მის გარშემო „საცობის“ ან ეკოლოგიური პრობლემების გამოჩენა სატრანსპორტო მარშრუტი, რომელზეც ქვეპროექტმა შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს?		
18. არის თუ არა ქვეპროექტი ისეთ ადგილას, სადაც მას დიდი ალბათობით ბევრი ადამიანი დაინახავს?		
19. არის თუ არა ადგილზე ან მის გარშემო ისტორიული ან კულტურული მნიშვნელობის ობიექტები ან თავისებურებანი, რომლებზეც ქვეპროექტმა შეიძლება უარყოფითი ზემოქმედება იქონიოს?		
20. არის თუ არა ქვეპროექტი მოთავსებული გაუნაშენიანებელ ტერიტორიაზე, სადაც დაიკარგება აუთვისებელი მიწა?		
21. არის თუ არა ადგილზე ან მის გარშემო მიწათსარგებლობის ისეთი სახეები, როგორიც არის მაგალითად სახლები, ბაღები, სხვა კერძო ქონება, მრეწველობა, ვაჭრობა, რეკრეაცია, საზოგადოებრივი ღია სივრცე, საზოგადოებრივი ობიექტები, სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, ტურიზმი, სამთო მოპოვებითი მრეწველობა ან კარიერების დამუშავება, რომლებზეც ქვეპროექტმა შეიძლება უარყოფითი ზემოქმედება იქონიოს?		
22. არის თუ არა ადგილზე ან მის გარშემო მიწათსარგებლობასთან დაკავშირებული გეგმები მომავალში, რომლებზეც ქვეპროექტმა შეიძლება უარყოფითი ზემოქმედება იქონიოს?		

განსახილველი შეკითხვები	დიახ / არა თუ პასუხია „დიახ“, გთხოვთ მოკლედ ახსენით	შესაძლოა თუ არა ამან მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს, რომელიც შერბილებას მოითხოვს? დიახ/არა
23. არის თუ არა ადგილზე ან მის გარშემო მჭიდროდ დასახლებული ან გაშენებული ტერიტორიები, რომლებზეც შეიძლება ქვეპროექტმა უარყოფითი ზემოქმედება იქონიოს?		
24. არის თუ არა ადგილზე ან მის გარშემო მიწათსარგებლობის ისეთი მგრძნობიარე სახეები როგორიც არის საავადმყოფოები, სკოლები, რელიგიური დანიშნულების ადგილები, საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები, რომლებზეც ქვეპროექტმა შეიძლება უარყოფითი ზემოქმედება იქონიოს?		
25. არის თუ არა ადგილზე ან მის გარშემო ტერიტორია, რომელზეც არის მნიშვნელოვანი, მაღალი ხარისხის ან დეფიციტური რესურსები, მაგალითად, გრუნტის წყლები, ზედაპირული წყლები, სატყეო მეურნეობა, სოფლის მეურნეობა, სათევზე მეურნეობა, ტურიზმი, სასარგებლო წიაღისეული, რომლებზე შეიძლება ქვეპროექტმა უარყოფითი ზემოქმედება იქონიოს?		
26. არის თუ არა ადგილზე ან მის გარშემო ისეთი ტერიტორიები, რომლებიც უკვე დაბინძურებას და გარემოზე მავნე ზემოქმედებას განიცდის, მაგალითად, არ არის დაცული არსებული იურიდიული გარემოსდაცვითი სტანდარტები, რომლებზეც შეიძლება ქვეპროექტმა უარყოფითი ზემოქმედება იქონიოს?		

განსახილველი შეკითხვები	დიახ / არა თუ პასუხია „დიახ“, გთხოვთ მოკლედ ახსენით	შესაძლოა თუ არა ამან მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს, რომელიც შერბილებას მოითხოვს? დიახ/არა
27. არის თუ არა ქვეპროექტის ადგილმდებარეობა მგრძნობიარე მიწისძვრების, დატბორვის, მეწყერების, ეროზიის, წყალდიდობის, ექსტრემალური ან არასასურველი კლიმატური პირობების მიმართ, მაგ. ტემპერატურის ინვერსია, ნისლი, ძლიერი ქარი, რამაც ქვეპროექტის ფარგლებში შეიძლება გარემოსდაცვითი პრობლემები გამოიწვიოს?		
28. გამოიწვევს თუ არა ქვეპროექტი ჯგუფებს შორის ან ჯგუფებს შიგნით კონფლიქტებს/დამაბულობას?		
29. ცხოვრობს თუ არა შემოთავაზებულ ადგილზე (ადგილებზე) მოსახლეობის ნაკლებად უზრუნველყოფილი ან მოწყვლადი ჯგუფები, ან ახდენს თუ არა მათზე უარყოფით ზემოქმედებას ქვეპროექტი?		
30. საჭიროა თუ არა სამშენებლო და საექსპლუატაციო საქმიანობისთვის დამატებითი/კვალიფიციური არა ადგილობრივი მუშახელი?		
31. ცხოვრობს თუ არა ქვეპროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადგილებზე ან ტერიტორიებზე მოსახლეობის ნაკლებად უზრუნველყოფილი ან მოწყვლადი ჯგუფები?		

ქვეპროექტის მახასიათებლების მოკლე აღწერა და მისი მდებარეობა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის აუცილებლობაზე მიუთითებს.

მონიშნეთ შესაბამისი უჯრა ☐ რისკის კატეგორია "მაღალი" მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება, დაფინანსებიდან გამორიცხვა ☐ რისკის კატეგორია "მნიშვნელოვანი" დროებითი, პროგნოზირებადი და/ან შექცევადი ზემოქმედება, გამორიცხულია დაფინანსებიდან ☐ რისკის კატეგორია "საშუალო" შეზღუდული ან დროებითი ზემოქმედება, საჭიროა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა ☐ რისკის კატეგორია "დაბალი" მინიმალური ზემოქმედება/ნულოვანი ზემოქმედება, შემდგომი გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება საჭირო არ არის	მომზადებულია:
	სახელი და ხელმოწერა:
	სათაური:
	თარიღი:
	დამტკიცებულია:
	სახელი გვარი და ხელმოწერა:
	თანამდებობა:
	თარიღი:

დანართი 3 მსოფლიო ბანკის პროექტებისთვის რისკის კატეგორიის მინიჭება

მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის თანახმად, პროექტების (მათ შორის პროექტები ფინანსურ შუამავლების მონაწილეობით) რისკი კლასიფიცირდება შემდეგ ოთხ კატეგორიად – **მაღალი რისკი, არსებითი რისკი, ზომიერი რისკი** ან **დაბალი რისკი** შესაბამისი პოტენციური რისკის და ზემოქმედების გათვალისწინებით, როგორცაა ტიპი, ადგილმდებარეობა, პროექტის მგრძნობელობა და მასშტაბი; პოტენციური გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების და ზემოქმედების ბუნება და სიმძლავრე; მსესხებლის შესაძლებლობები და ვალდებულება; და რისკის სხვა სფეროები, რომლებიც შეიძლება დაკავშირებული იყოს გარემოსდაცვითი და სოციალური შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელებასთან და შედეგებთან.

პროექტს ენიჭება **მაღალი რისკის** კატეგორია პროექტთან დაკავშირებული რისკების და მისი ზემოქმედების კომპლექსურად განხილვის შემდეგ, გარემოებებიდან გამომდინარე შემდეგის გათვალისწინებით:

- a. პროექტი, სავარაუდოდ, გამოიწვევს ფართო სპექტრის მნიშვნელოვან რისკებს და ზემოქმედებას მოსახლეობაზე ან გარემოზე. ეს შეიძლება იყოს პროექტის კომპლექსური ხასიათის, მასშტაბის (დიდი ან ძალიან დიდი) ან პროექტის ადგილმდებარეობის (ადგილების) მგრძნობელობის გამო. ამასთან, გათვალისწინებული იქნება მოიცავს თუ არა პროექტთან დაკავშირებული პოტენციური რისკები და ზემოქმედება ქვემოთ ჩამოთვლილი მახასიათებლების უმრავლესობას ან ყველა მათგანს:
 - (i) გრძელვადიანი, მუდმივი და/ან შეუქცევადი (მაგალითად, ძირითადი ბუნებრივი ჰიტატის დაკარგვა ან ჭაობიანი ნიადაგის გადაკეთება); შეუძლებელია მთლიანად იქნას თავიდან აცილებული პროექტის ხასიათის გამო;
 - (ii) სიდიდე ან სივრცული მასშტაბი (ზემოქმედების ქვეშ მყოფი გეოგრაფიული ზონა ან პოპულაციის სიდიდე დიდი ან ძალიან დიდია);
 - (iii) მნიშვნელოვანი კუმულაციური უარყოფითი ზემოქმედება;
 - (iv) მნიშვნელოვანი უარყოფითი ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება; და
 - (v) სერიოზული მავნე ზემოქმედების მაღალი ალბათობა ადამიანის ჯანმრთელობაზე და / ან გარემოზე (მაგალითად, უბედური შემთხვევების გამო, ტოქსიკური ნარჩენების განთავსება და ა.შ).
- b. პოტენციური ზემოქმედების ქვეშ მყოფი ტერიტორია მაღალი ფასეულობით და მგრძნობელობით გამოირჩევა, მაგალითად სენსიტიური და მნიშვნელოვანი ეკოსისტემები და ჰაბიტატები (იურიდიულად დაცული და საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული ბიომრავალფეროვნების მხრივ მაღალი ფასეულობის მქონე ტერიტორიები), ადგილობრივი მოსახლეობის მიწები ან უფლებები / სუბ-საპარული აფრიკის ისტორიულად დაცული ტრადიციული ადგილობრივი თემები და სხვა მოწყვლადი უმცირესობები, ინტენსიური ან კომპლექსური იძულებითი განსახლება ან

მიწის შესყიდვა, ზემოქმედება კულტურულ მემკვიდრეობაზე ან მჭიდროდ დასახლებულ ურბანულ რაიონებზე.

- c. პროექტის ზოგიერთი მნიშვნელოვანი არასასურველი რისკი და ზემოქმედება ვერ შემცირდება ან კონკრეტული შემარბილებელი ღონისძიებები მოითხოვს კომპლექსურ და / ან არააპრობირებულ შემარბილებელ ღონისძიებებს, საკომპენსაციო ღონისძიებებს ან ტექნოლოგიას, ან რთულ სოციალურ ანალიზს და რეალიზაციას.
- d. არსებობს მნიშვნელოვანი შეშფოთება იმის შესახებ, რომ პროექტის არასასურველმა სოციალურმა ზემოქმედებამ და მასთან დაკავშირებულმა შემარბილებელმა ღონისძიებებმა შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი სოციალური კონფლიქტი ან ზიანი ან მნიშვნელოვანი რისკები შეუქმნას ადამიანის უსაფრთხოებას.
- e. პროექტის რაიონში ან სექტორში არსებობს არეულობის ისტორია და უსაფრთხოების ძალების მოქმედებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი შეშფოთება.
- f. პროექტის შემუშავება ხდება სამართლებრივ ან მარეგულირებელ გარემოში, სადაც არის მნიშვნელოვანი გაურკვევლობა ან კონფლიქტი კონკურენტ სააგენტოთა იურისდიქციასთან, ან სადაც კანონმდებლობა ან რეგულაციები ადეკვატურად არ ასახავს კომპლექსური პროექტების რისკებს და ზემოქმედებას, ან მოქმედ კანონმდებლობაში შედის ცვლილებები, ან აღსრულება სუსტია.
- g. კომპლექსური პროექტების შემუშავებაში მსესხებელსა და განმახორციელებელ უწყებებს წარსულში მცირე გამოცდილება აქვთ, გარემოსდაცვითი და სოციალურ საკითხებში მათმა გამოცდილებამ შეიძლება მნიშვნელოვანი პრობლემები ან შეშფოთება გამოიწვიოს პროექტის პოტენციური რისკებისა და ზემოქმედების გათვალისწინებით.
- h. არსებობს მნიშვნელოვანი შეშფოთება, რამდენად აქვთ პროექტის შესაბამისი მხარეებს დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთქმედების შესაძლებლობები და ვალდებულება, ასევე გამოცდილება.
- i. არსებობს მთელი რიგი ფაქტორები, რომლებიც არ ექვემდებარებიან პროექტს, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს გარემოსდაცვითი და სოციალური ღონისძიებების გატარებაზე და პროექტის შედეგებზე.

პროექტს ენიჭება **არსებითი რისკის** კატეგორია, პროექტთან დაკავშირებული რისკების და მისი ზემოქმედების კომპლექსურად განხილვის შემდეგ, გარემოებებიდან გამომდინარე შემდეგის გათვალისწინებით:

- a. პროექტი შეიძლება არ იყოს იმდენად კომპლექსური, რამდენადაც **მაღალი რისკის** კატეგორიაში შემავალი პროექტები, მისი გარემოსდაცვითი და სოციალური ღონისძიებების მასშტაბი და გავლენა შეიძლება შედარებით მცირე იყოს (დიდი და საშუალო) და არ მდებარეობდეს უაღრესად მგრძნობიარე ზონაში. ამავე დროს, ზოგიერთი რისკი და ზემოქმედება შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს. აქ მხედველობაში მიიღება, აქვს თუ არა პოტენციურ რისკებსა და ზემოქმედებას შემდეგი მახასიათებლების უმრავლესობა ან ყველა მათგანი:

- (i) ისინი უმეტესად დროებითი, პროგნოზირებადი და/ან შექცევადია და პროექტის ხასიათი არ გამორიცხავს მათი თავიდან აცილების ან გამოსწორების შესაძლებლობას (თუმცა შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი ინვესტიცია და დრო);
 - (ii) არსებობს შემოფოთება, რომ პროექტის მავნე სოციალურმა ზემოქმედებამ და მასთან დაკავშირებულმა შემარბილებელმა ღონისძიებებმა შეიძლება გამოიწვიოს შეზღუდული მასშტაბის სოციალური კონფლიქტი, ზიანი ან ადამიანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები;
 - (iii) ისინი საშუალო სიდიდის და/ან სივრცული მასშტაბის არიან (სავარაუდო ზემოქმედების ქვეშ მყოფი გეოგრაფიული ზონა და პოპულაციის სიდიდე საშუალოდ ან დიდია);
 - (iv) შეიძლება არსებობდეს კუმულაციური და/ან ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების პოტენციალი, მაგრამ იგი ნაკლებად მძიმეა და უფრო ადვილად აცილებადი ან შემსუბუქებადი, ვიდრე **მაღალი რისკის** კატეგორიაში შემავალი პროექტების შემთხვევაში; და
 - (v) არსებობს ადამიანის ჯანმრთელობაზე და/ან გარემოზე სერიოზული მავნე ზემოქმედების საშუალო და დაბალი ალბათობა (მაგალითად, უბედური შემთხვევების, ტოქსიკური ნარჩენების განკარგვის და ა.შ.) და არსებობს ცნობილი და საიმედო მექანიზმები, რათა ასეთი ინციდენტები გამოირიცხოს ან მათი ალბათობა მინიმუმამდე შემცირდეს.
- b. პოტენციური ზემოქმედების ქვეშ მყოფი ტერიტორია მაღალი ფასეულობით და მგრძნობელობით გამოირჩევა. მოსალოდნელია, რომ პროექტის ზემოქმედება დიდი ფასეულობის მქონე და სენსიტიურ რაიონებზე შედარებით დაბალი იქნება, ვიდრე მაღალი რისკის კატეგორიაში შემავალი პროექტების შემთხვევაში.
 - c. შემარბილებელი და/ან საკომპენსაციო ღონისძიებები შეიძლება უფრო ადვილად შემუშავდეს და უფრო საიმედო იყოს, ვიდრე მაღალი რისკის კატეგორიაში შემავალი პროექტების შემთხვევაში.
 - d. პროექტი ისეთ იურიდიულ ან მარეგულირებელ გარემოში შემუშავდება, სადაც არის გაურკვევლობა ან კონფლიქტი კონკურენტი სააგენტოების იურისდიქციასთან, ან სადაც კანონმდებლობა ან რეგულაციები არ ასახავს ადეკვატურად კომპლექსური პროექტების რისკებს და ზემოქმედებას, მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებები შედის ან აღსრულება სუსტია.
 - e. კომპლექსური პროექტების შემუშავებაში მსესხებელსა და განმახორციელებელ უწყებებს გარკვეულწილად მცირე გამოცდილება აქვთ, გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებში მათმა გამოცდილებამ შეიძლება გარკვეული პრობლემები გამოიწვიოს, რომელთა მოგვარება ადვილად არის შესაძლებელი რეალიზაციის მხარდაჭერის საშუალებით.
 - f. არსებობს გარკვეული შემოფოთება დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთქმედების მართვის შესაძლებლობებსა და გამოცდილებასთან დაკავშირებით, მაგრამ მათი მოგვარება შესაძლებელია რეალიზაციის მხარდაჭერის საშუალებით.

პროექტს ენიჭება **ზომიერი რისკის** კატეგორია, პროექტთან დაკავშირებული რისკების და მისი ზემოქმედების კომპლექსურად განხილვის შემდეგ, გარემოებებიდან გამომდინარე შემდეგის გათვალისწინებით:

- a. პოტენციური რისკები და უარყოფითი ზემოქმედება მოსახლეობაზე და/ან გარემოზე სავარაუდოდ არ იქნება მნიშვნელოვანი, რადგან პროექტი არ არის კომპლექსური და/ან მასშტაბური, იგი არ მოიცავს აქტივობებს, რომლებსაც აქვთ ადამიანების ან გარემოსთვის ზიანის მიყენების დიდი პოტენციალი. ამავე დროს, იგი ეკოლოგიურად ან სოციალურად სენსიტიური ტერიტორიებიდან მოშორებით მდებარეობს. შესაბამისად, პოტენციურ რისკებს, ზემოქმედებას და პრობლემებს სავარაუდოდ შემდეგი მახასიათებლები ექნებათ:
 - (i) პროგნოზირებადი; მოსალოდნელია რომ იყოს დროებითი და/ან გამოსწორებადი;
 - (ii) მცირე სიდიდე;
 - (iii) მხოლოდ ობიექტისთვის დამახასიათებელი, პროექტის მიერ ფაქტობრივად დაკავებული ტერიტორიის მიღმა ზემოქმედების ალბათობის არსებობის გარეშე; და
 - (iv) მაგნე ზემოქმედების დაბალი ალბათობა ადამიანის ჯანმრთელობაზე და/ან გარემოზე (მაგალითად, არ მოიცავდეს ტოქსიკური მასალების გამოყენებას ან განთავსებას, ჩვეულებრივი უსაფრთხოების ზომები სავარაუდოდ საკმარისი იქნება უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და ა.შ.
- b. პროექტის რისკები და ზემოქმედება შეიძლება ადვილად შემცირდეს პროგნოზირებადი გზით.

პროექტს ენიჭება **დაბალი რისკის** კატეგორია თუ მოსახლეობაზე და/ან გარემოზე ზემოქმედების პოტენციური რისკი და უარყოფითი ზემოქმედება სავარაუდოდ მინიმალური ან უმნიშვნელო იქნება. პროექტები, რომლებიც მოიცავენ მცირე რაოდენობის ან არანაირ რისკს, უარყოფით ზემოქმედებას ან პრობლემებს, არ საჭიროებენ შემდგომ გარემოსდაცვით და სოციალურ შეფასებას საწყისი შემოწმების შემდეგ.

დანართი 4 ქვეპროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის საორიენტაციო სქემა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების კონსულტანტების კვალიფიკაცია

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა მოიცავს შემარბილებელი, მონიტორინგისა და ინსტიტუციური ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც გატარდება პროექტის განხორციელებისა და ექსპლუატაციის დროს, არასასურველი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების აღმოსაფხვრელად, მათი კომპენსაციის ან მისაღებ ღონემდე შემცირების მიზნით. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა ასევე მოიცავს იმ ღონისძიებებსა და ქმედებებს, რომლებიც ამ ღონისძიებების განსახორციელებლად არის საჭირო. მსესხებელი (ა) განსაზღვრავს პოტენციურად მავნე ზემოქმედებებზე რეაგირების ღონისძიებების ერთობლიობას; ბ) განსაზღვრავს მოთხოვნებს იმისათვის, რომ ეს რეაგირება მოხდეს ეფექტიანად და დროულად; და (გ) აღწერს ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალებებს.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა მომზადდება ცალკე დოკუმენტის სახით. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის შინაარსი მოიცავს შემდეგს (იხილეთ გეგმის ანგარიშის საორიენტაციო სტრუქტურა ქვემოთ, დაწვრილებითი ინფორმაციის გაცნობის მიზნით):

ა) შერბილება

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა შერბილების იერარქიის შესაბამისად განსაზღვრავს ღონისძიებებსა და ქმედებებს, რომლებიც პოტენციურად უარყოფით გარემოსდაცვით და სოციალურ ზემოქმედებას მისაღებ ღონემდე ამცირებენ. გეგმა მოიცავს კომპენსაციის ღონისძიებებს, საჭიროების შემთხვევაში. სახელდობრ, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა:

- (i) განსაზღვრავს და აჯამებს ყველა მოსალოდნელ უარყოფით გარემოსდაცვით და სოციალურ ზემოქმედებას (მათ შორის, ისეთ ზემოქმედებას, რომელიც მოიცავს მიწის შესყიდვას, არანებაყოფლობით განსახლებას, საზოგადოებრივ ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას, მოწყვლად ჯგუფებს და კულტურულ მემკვიდრეობას);
- (ii) ტექნიკური დეტალების უზრუნველყოფით აღწერს თითოეულ შემარბილებელ ღონისძიებას, მათ შორის, თუ რა სახის ზემოქმედებასთან არის დაკავშირებული და რა პირობებში გამოიყენება (მაგალითად, უწყვეტად თუ გაუთვალისწინებელი გარემოებების შემთხვევაში), სქემებს, აღჭურვილობის აღწერას და საოპერაციო პროცედურებს, გარემოებების შესაბამისად;

- (iii) აფასებს ამ ღონისძიებების პოტენციურ გარემოსდაცვით და სოციალურ ზემოქმედებას; და
- (iv) ითვალისწინებს და შეესაბამება პროექტისათვის საჭირო ზემოქმედების შერბილების ღონისძიებათა სხვა გეგმებს (მაგ.: იძულებითი განსახლების, დასაქმების, დაინტერესებულ პირებთან ურთიერთქმედების ან კულტურული მემკვიდრეობის).

ბ) მონიტორინგი

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების გეგმა განსაზღვრავს მონიტორინგის ამოცანებს და აკონკრეტებს მონიტორინგის სახეს, გარემოსდაცვით და სოციალურ შეფასებაში მითითებულ ზემოქმედებებთან და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების გეგმაში აღწერილ შემარბილებელ ღონისძიებებთან კავშირში. კერძოდ, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების გეგმის მონიტორინგის განყოფილება უზრუნველყოფს (ა) მონიტორინგის ღონისძიებების კონკრეტულ აღწერას, და ტექნიკურ დეტალებს, მათ შორის გასაზომ პარამეტრებს, გამოსაყენებელ მეთოდებს, სინჯების შერჩევის ადგილებს, გაზომვის სიხშირეს, გამოვლენის ზღვრებს (საჭიროების შემთხვევაში), და იმ ზღვრული მაჩვენებლების განმარტებას, რომლებიც მაკორექტირებელი ქმედების საჭიროებაზე მიანიშნებენ; (ბ) მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცედურებს (i) ისეთი პირობების ადრეული გამოვლენის უზრუნველსაყოფად, რომლებიც კონკრეტული შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელებას მოითხოვენ, (ii) შემარბილებელი ღონისძიებების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ ინფორმაციის უზრუნველყოფა.

გ) შესაძლებლობების განვითარება და ტრენინგი

- გარემოსდაცვითი და სოციალური პროექტის კომპონენტებისა და შემარბილებელი ღონისძიებების დროული და ეფექტიანი განხორციელების მხარდასაჭერად, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა ემყარება გარემოსდაცვით და სოციალურ შეფასებაზე პასუხისმგებელი მხარეების არსებობას, როლს და შესაძლებლობებს ადგილზე ან უწყებისა და სამინისტროს დონეზე.
- კერძოდ, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა უზრუნველყოფს ინსტიტუციური ღონისძიებების კონკრეტულ აღწერას, რომელიც განსაზღვრავს რომელი მხარეა პასუხისმგებელი შემარბილებელი და მონიტორინგის ღონისძიებების განხორციელებაზე (მაგ. საქმიანობაზე, ზედამხედველობაზე, აღსრულებაზე, განხორციელების მონიტორინგზე, მაკორექტირებელ ქმედებებზე, დაფინანსებაზე, ანგარიშგებასა და პერსონალის სწავლებაზე).
- განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებებში გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის შესაძლებლობების გასაძლიერებლად, ბუნების და სოციალური გარემოს ზემოქმედების მართვის გეგმა რეკომენდაციას უწევს პასუხისმგებელი მხარეების შექმნას ან გაფართოებას, პერსონალის მომზადებას და სხვა დამატებით

ლონისძიებებს, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს შემარბილებელი ღონისძიებების ან გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების სხვა ღონისძიებების და რეკომენდაციების განხორციელების მხარდასაჭერად.

დ) განხორციელების განრიგი და ხარჯთაღრიცხვა

სამივე ასპექტისთვის (შერბილება, მონიტორინგი და შესაძლებლობების განვითარება), ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა უზრუნველყოფს (ა) პროგრამის ფარგლებში ღონისძიებების განხორციელების გრაფიკს, სადაც მითითებულია ეტაპები და პროექტის განხორციელების საერთო გეგმებთან კავშირი; და (ბ) კაპიტალური და მიმდინარე ხარჯების აღრიცხვას და სახსრების წყაროებს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის განხორციელებისთვის. ეს მაჩვენებლები ასევე ინტეგრირებულია პროექტის მთლიანი ხარჯების ცხრილებში.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის ანგარიშის საორიენტაციო სტრუქტურა

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის ანგარიშის შემოთავაზებული სტრუქტურა შემდეგნაირია:

- **მოკლე მიმოხილვა:**

მოკლე მიმოხილვა წარმოადგენს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის შინაარსის და ძირითად მიგნებების ზოგად მიმოხილვას ფართო საზოგადოებისთვის ადვილად გასაგები ლექსიკის გამოყენებით. იგი უნდა იყოს მკაფიოდ და ლაკონურად ჩამოყალიბებული 3 -დან 5 გვერდის ჩათვლით.

- **შესავალი:**

შესავალი აღწერს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის მიზანს, ამოცანებს, პრინციპებსა და მეთოდოლოგიას. აღნიშნულ ნაწილში წარმოდგენილია პროექტის ინიციატორები, მკვლევართა ჯგუფი და სხვა შესაბამისი ინფორმაცია. იგი ასევე აღწერს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის სქემას, მისი გამოყენების გამარტივების მიზნით.

- **ქვეპროექტის აღწერა:**

ქვეპროექტის აღწერა მოიცავს წინა ისტორიას, მიზანს და სხვადასხვა კომპონენტებს. იგი ასევე მიუთითებს ქვეპროექტისთვის საჭირო კონკრეტულ რესურსებს, როგორცაა მასალები, სამუშაო ძალა, აღჭურვილობა და ა.შ.

- **ქვეპროექტის ტერიტორიის ეკოლოგიური ფონი:**

აღნიშნულ განყოფილებაში მოცემულია კონკრეტული ობიექტის ეკოლოგიური ფონის მიმოხილვა, რომელიც მოიცავს ფიზიკურ და ბიოლოგიურ გარემოს. მასში

შედის ინფორმაცია გარემოს ჰაერის ხარისხის, ხმაურის, ტემპერატურის, ნალექების შესახებ და ა.შ.

- **ქვეპროექტის ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური პროფილი:**

ამ განყოფილებაში აღწერილია ქვეპროექტის ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური პროფილი. იგი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: საზოგადოების სტრუქტურა, განვითარების დაგეგმილი ღონისძიებები, მოსახლეობა, მათ საქმიანობა და საარსებო წყარო, კომუნიკაციის მეთოდები და ტრანსპორტი, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და ა.შ.

- **დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაცია და ინფორმაციის გამჟღავნება:**

ამ განყოფილებაში აღწერილია ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის მომზადების პროცესში დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების მიზანი, პროცესი და შედეგი, ასევე ქვეპროექტის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების მექანიზმები, ინფორმაციის გამჟღავნების შესახებ ბანკის პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

- **ზემოქმედება და შემარბილებელი ღონისძიებები:**

განყოფილებაში განისაზღვრება ყველა უარყოფითი ბუნებრივი და სოციალური ზემოქმედება, ასევე ხარჯთეფექტიანი და განხორციელებადი ღონისძიებები გარემოზე მავნე ზემოქმედების მისაღებ მინიმალურ დონემდე შესამცირებლად. მასში ასევე ტექნიკური დეტალებითურთ მოცემულია შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის ზემოქმედების იმ სახეები, რომლებსაც ისინი უკავშირდებიან. ასევე უზრუნველყოფილია სოციალური ზემოქმედების მეთოდოლოგიის აღწერა.

- **გარემოზე ზემოქმედების მართვისა და მონიტორინგის გეგმა:**

ეს განყოფილება მოიცავს მონიტორინგის ღონისძიებების კონკრეტულ აღწერას, და ტექნიკურ დეტალებს, მათ შორის გასაზომ პარამეტრებს, გამოსაყენებელ მეთოდებს, სინჯების შერჩევის ადგილებს, გაზომვის სიხშირეს, გამოვლენის ზღვრებს (საჭიროების შემთხვევაში) და იმ ზღვრული მაჩვენებლების განმარტებას, რომლებიც მაკორექტირებელი ქმედების საჭიროებაზე მიანიშნებენ; მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცედურები უზრუნველყოფენ ისეთი პირობების ადრეულ გამოვლენას, რომლებიც კონკრეტული შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელებას მოითხოვენ, და ასევე ინფორმაციას შემარბილებელი ღონისძიებების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ. შემარბილებელი ღონისძიებების გეგმის ცხრილისა და მონიტორინგის გეგმის ცხრილის შაბლონები მოცემულია ქვემოთ.

- **ინსტიტუციური მოწყობა:**

ამ განყოფილებაში დეტალურად აღიწერება ინსტიტუციური მექანიზმები, როლები, პასუხისმგებლობები და ანგარიშგების პროცედურები. იგი ასევე უზრუნველყოფს

პროგრამაზე პასუხისმგებელი განმახორციელებელი უწყებების შესაძლებლობების განვითარებისა და სწავლების გეგმას.

- **ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის განხორციელების ბიუჯეტი:**

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის განხორციელების ბიუჯეტის პროექტი მოცემულია აქ. ბიუჯეტი მოიცავს სახსრებს ინსტიტუციური განვითარების ღონისძიებებისთვის, განმახორციელებელი გუნდებისა და ადგილობრივი/ეროვნული ინსტიტუტების სწავლების პროგრამებისთვის, ხელისუფლების ტექნიკური დახმარებისთვის, გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმებისა და სხვა დამცავი დოკუმენტების მომზადებისთვის.

- **დანართები:**

ტექნიკური დანართები ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის განხორციელების მხარდასაჭერად.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის კონსულტანტის კვალიფიკაცია და უნარები

კონსულტანტმა უნდა მოახდინოს იმის დემონსტრირება, რომ სოციალურ და გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის მოსამზადებელ გუნდს აქვს საჭირო ცოდნა და გამოცდილება, იმისათვის, რომ სრულად გაიგოს მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური პრინციპებისა და მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების მოთხოვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს სოციალურ და გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმაში, და შეავსოს სოციალურ და გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის ყველა განყოფილება. გუნდი უნდა შეიცავდეს შესაბამისი რაოდენობის სხვადასხვა დისციპლინის სპეციალისტს, მათ შორის, თუმცა არა მხოლოდ, გარემოსდაცვითი მეცნიერებების, სოციალური მეცნიერებებისა და გეოსაინფორმაციო სისტემების ექსპერტებს. გუნდს სრულყოფილად უნდა ესმოდეს ეროვნული საკანონმდებლო მოთხოვნები, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო, მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური პრინციპები და მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები, ასევე უნდა ჰქონდეს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის კვლევების მომზადების გამოცდილება, რომლებიც დაფინანსდა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ, მათ შორის მსოფლიო ბანკის/საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის/ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის/ევროკავშირის მიერ, და შესაბამის სექტორში მუშაობის გამოცდილება.

შემარბილებელი ღონისძიებების საორიენტაციო გეგმის ცხრილი

ეტაპი	საქმიანობა	გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხი	ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ინსტიტუციური პასუხისმგებლობა	მონიტორინგის ხარჯი/ბიუჯეტი
მომზადება						
მშენებლობა						
ოპერირება						

მონიტორინგის გეგმის ცხრილი

ეტაპი	რა (პარამეტრის მონიტორინგი ხდება?)	სად (ხდება პარამეტრის მონიტორინ- გი?)	როგორ (ხდება პარამეტრის მონიტორინგი?)	როდის (ხდება პარამეტრის მონიტორინგი?) (განსაზღვრეთ სიხშირე / ან ხანგრძლივობა?)	რატომ (ხდება პარამეტრის მონიტორინგი?)	ხარჯი (თუ პროექტის ბიუჯეტში არ შედის)	ვინ (არის მონიტორინგზე პასუხის- მგებელი?)	შენიშვნები და კომენტარები
მომზადება								
მშენებლობა								
ოპერირება								

შენიშვნა: ზოგადად ნებისმიერ პუნქტს/პარამეტრს, რომელიც შემარბილებელი ღონისძიებების გეგმაში განისაზღვრება (დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიების სახით წარმოდგენილი) მონიტორინგის გეგმაში ცალკე პუნქტი ეთმობა.

დანართი 5 ქვეპროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის მარტივი ვარიანტის ფორმა⁸⁹

ნაწილი 1. ინფორმაცია პროექტის შესახებ

ინსტიტუციური და ადმინისტრაციული ასპექტები		
ქვეყანა/პროვინცია რაიონი/უბანი		
პროექტის დასახელები		
პროექტის სფერო და აქტივობები		
ობიექტის აღწერა		
ობიექტის ბლოკის/ნაკვეთის Now		
ობიექტის მდებარეობა		დანართი 1: ობიექტის რუკა [] Y [] N
ობიექტის მფლობელი		

⁸⁹ დანართში მოცემული საკონტროლო ნუსხები მოიცავს ძირითად ზემოქმედებებს და შემარბილებელ ღონისძიებებს, თუმცა არა მათ ამომწურავ ჩამონათვალს. გარდა ამისა, საკონტროლო ნუსხაში განსაზღვრული ყველა პრობლემური საკითხი ყველა ქვეპროექტს არ ეხება.

ობიექტის გეოგრაფიული, ფიზიკური, ბიოლოგიური, გეოლოგიური, ჰიდროლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლების აღწერა	
უახლოესი მგრძნობიარე მიმდებარების (მაგ.: საავადმყოფოების, ჯანდაცვის ცენტრების, სკოლების, სახლების) მდებარეობა და ობიექტამდე მანძილი	
მასალების წყაროების, განსაკუთრებით კი ენერგიის, წყლის და ა.შ. მდებარეობა და ობიექტამდე მანძილი	
კანონმდებლობა	
პროექტის საქმიანობისას გამოსაყენებელი ინფრასტრუქტურული (მაგ.: კანალიზაციის სისტემა, ენერგეტიკული და წყლით მომარაგების ქსელი და ა.შ.) სერვისები	
განსაზღვრეთ ეროვნული და ადგილობრივი კანონმდებლობა; პროექტის საქმიანობასთან დაკავშირებული სავალდებულო ნებართვები (მაგ.: გენერალური გეგმის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვა, ახალი მშენებლობის დაწყების ნებართვა და ა.შ.)	
საჯარო ინფორმაციის გამჟღავნება/კონსულტაცია	

განსაზღვრეთ როდის / სად მოხდა საჯარო ინფორმაციის გამჟღავნება / კონსულტაცია (ადგილობრივი საინფორმაციო შეხვედრების თარიღი და ადგილი)	• ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის საკონტროლო ნუსხის დოკუმენტი ობიექტის ოფისებში განთავსდება და ობიექტის მენეჯერი პასუხს აგებს საზოგადოების მიერ წამოჭრილი ნებისმიერი შეკითხვების/კომენტარის ჩაწერასა და პასუხზე.
ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება	
გატარდება თუ არა შესაძლებლობების განვითარების ღონისძიებები (მაგ.: შრომის უსაფრთხოების საკითხებზე ტრენინგი თანამშრომლებისთვის, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის შესახებ ტრენინგი კონტრაგენტებისთვის და ა.შ.)?	[] არა ან [] დიახ

ნაწილი 2. გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასები

გარემოსდაცვითი / სოციალური სკრინინგი				
	საქმიანობა	სტატუსი		გამოწვეული ქმედებები*
მოიცავს თუ არა ობიექტის საქმიანობა შემდეგს?	A. შენობის რეაბილიტაცია/მცირე მასშტაბის ახალი მშენებლობა	[] დიახ	[] არა	იხილეთ აქტივობა ა განყოფილება 3-ში
	B. ჩამდინარე წყლების გაწმენდა	[] დიახ	[] არა	იხილეთ აქტივობა ბ განყოფილება 3-ში
	C. მავნე ან ტოქსიკური მასალები ⁹⁰	[] დიახ	[] არა	იხილეთ აქტივობა გ განყოფილება 3-ში
	D. ზემოქმედება ტყეებსა და/ან ბიომრავალფეროვნებით გამორჩეულ ტერიტორიებზე	[] დიახ	[] არა	იხილეთ აქტივობა დ განყოფილება 3-ში
	E. ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	[] დიახ	[] არა	იხილეთ აქტივობა ე განყოფილება 3-ში

* მე-3 განყოფილებაში მოცემული ქმედებები „მოზადება და მიწის გამოყოფა“ და „ზოგადი პირობები“ მე-2 განყოფილებაში მითითებულ ყველა სახის საქმიანობაზე ვრცელდება.

⁹⁰ ტოქსიკური / საშიში მასალა მოიცავს აზბესტს, ტოქსიკური საღებავებს, მავნე გამხსნელებს, ტყვიის საღებავის მოცილების საშუალებებს და ა.შ.

განყოფილება 3. ზემოქმედება და შემარბილებელი ღონისძიებები

პროექტის ეტაპი	საქმიანობა	ზემოქმედების პარამეტრი	შემარბილებელი ღონისძიებების საკონტროლო სია
მშენებლობის დაწყებამდე	მომზადება და მიწის გამოყოფა	მიწის მფლობელობა	გრანტის მიმღებს/გრანტის ბენეფიციარს გამოეყო გრანტის-ქვეპროექტის მიწის ნაკვეთი.
მშენებლობის დაწყებამდე	თემის ჩართულობა	თემის/სოციალური მიღება	- შემუშავდა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გამარტივებული გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია გრანტის/ქვეპროექტის დაინტერესებული მხარეები. - პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობის დადებითი და უარყოფითი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია გადაეცა ზემოქმედების ქვეშ მყოფ მოსახლეობასა და ძირითად დაინტერესებულ მხარეებს და განხილულ იქნა მათთან. - ჩატარდა საკონსულტაციო შეხვედრები საარსებო საშუალებებზე უარყოფითი ზემოქმედების გამო თემის მიერ წამოჭრილ საკითხებზე ინფორმაციის მისაღებად, მათ განსახილველად და გადასაჭრელად.
მშენებლობის დაწყებამდე	შრომითი რესურსების მართვა	შრომითი რესურსები მართვა	- შემუშავდა შრომითი რესურსების მართვის გეგმა. - შემუშავდა და განხორციელდა შერჩევა/დაქირავების პროცესი დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპების შესაბამისად.
მშენებლობა	0. ზოგადი პირობები	ინფორმაციის გამჟღავნება	- სამშენებლო და გარემოსდაცვითი ინსპექციები, ადგილობრივი თემები და დაინტერესებული მხარეები ინფორმირებულნი არიან მომავალი საქმიანობის შესახებ. - საზოგადოებას ეცნობა მიმდინარე სამუშაოების შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომ ობიექტებზე შესაბამისი შეტყობინების განთავსების საშუალებით (მათ შორის სამუშაო ობიექტზე). - დაწყების და დასრულების თარიღები, სამუშაო პერიოდები და მუნიციპალიტეტიდან (პროვინციიდან ან რაიონიდან) მიღებული ნებართვები განთავსდება სამშენებლო ობიექტზე (მიმანიშნებელი ბოძი), ადვილად შესამჩნევ ადგილზე. - შესაბამისი ინფორმაცია გამოქვეყნდა „შავი ზღვის გალურჯების პროგრამის“ პროექტის განმახორციელებელი გუნდის პროექტის ვებგვერდზე.

პროექტის ეტაპი	საქმიანობა	ზემოქმედების პარამეტრი	შემარბილებელი ღონისძიებების საკონტროლო სია
		დოკუმენტაცია	- მიღებულია კანონით დადგენილი ყველა ნებართვა და დასტური. - კონტრაგენტი ოფიციალურად აცხადებს თანხმობას, რომ ყველა სამუშაო ჩატარდება უსაფრთხოდ და დისციპლინირებულად, რათა შემცირდეს ზემოქმედება მეზობელ მოსახლეობასა და გარემოზე. - შესაბამისი გარემოს და ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის შესახებ დოკუმენტები ხელმისაწვდომია ობიექტზე. - დოკუმენტურად არის გაფორმებული მონიტორინგისა და აუდიტის შედეგები, ასევე საჩივრების შესახებ ჩანაწერები.
		შრომითი რესურსების მართვა	- არ გამოიყენება ბავშვთა და იძულებითი შრომა. - შემუშავდა თანამშრომლის გასაჩივრების მექანიზმი - თანამშრომლის გასაჩივრების მექანიზმი წარედგინა თანამშრომლებს.

პროექტის ეტაპი	საქმიანობა	ზემოქმედების პარამეტრი	შემარბილებელი ღონისძიებების საკონტროლო სია
მშენებლობა	0. ზოგადი პირობები	შრომის პირობები შრომის უსაფრთხოება და ჯანმრთელობის დაცვა	• შემუშავდა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების კონკრეტული გეგმა/პროცედურები, რომლებიც ისეთ საგანგებო სიტუაციებს მოიცავს, როგორიცაა ხანძარი, უბედური შემთხვევა, სტიქიური უბედურებები (მიწისძვრა, მძიმე მეტეოროლოგიური მოვლენები და სხვა) და თანამშრომლები ინფორმირებულნი არიან ამის შესახებ. • რეგულარულად ტარდება ტრენინგები თანამშრომლებისთვის შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის წესებისა და ღონისძიებების შესახებ. • მუშათა ინდივიდუალური დაცვის საშუალებები შეესაბამება ეროვნულ კანონმდებლობას (ჩაფხუტი ყოველთვის, საჭიროებისამებრ - ნიღბები, დამცავი სათვალე, უსაფრთხოების ღვედი და დამცავი ჩექმები). • არსებული პირობები და აღჭურვილობა შეესაბამება ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებს. • დასაუფთავების ღონისძიებები გათვალისწინებულია ობიექტზე მიმდინარე ყველა სამუშაოსთვის. • ობიექტი კეთილმოწყობილია თანამშრომლებისთვის (მაგ.: ტუალეტები, დასასვენებელი, საკვები, გამოსაცვლელი ადგილები და სხვა). • გამოიყო ობიექტები/ფართი მასალებისა და ნარჩენების შესანახად. • ობიექტზე დაინიშნა შრომის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობის დაცვაზე პასუხისმგებელი პირები. • ობიექტზე განთავსდა შესაბამისი აღმნიშვნელები და შრომის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული საკმარისი რაოდენობის ნიშნები. • შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის დოკუმენტაცია და ტრენინგის მასალები ხელმისაწვდომია ობიექტზე. • მონიტორინგი და აუდიტი რეგულარულად ტარდება; შეუსაბამობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი განხილულია და ანგარიშგება გაკეთებულია.
მშენებლობა	0. ზოგადი პირობები	გასაჩივრების მექანიზმი	• გასაჩივრების მექანიზმი/პროცედურა შემუშავდა. • გასაჩივრების მექანიზმის დოკუმენტაცია (ფორმები და ა.შ.) ხელმისაწვდომია ობიექტზე. • გასაჩივრების მექანიზმის ფარგლებში ობიექტზე კეთდება ჩანაწერები და მათ შესახებ ანგარიშგება რეგულარულად ხდება.

პროექტის ეტაპი	საქმიანობა	ზემოქმედების პარამეტრი	შემარბილებელი ღონისძიებების საკონტროლო სია
		სოციალური სარგებელი	- თანამშრომლების შერჩევა/დაქირავების საკითხში პრიორიტეტი ადგილობრივებს მიენიჭათ, საჭირო და არსებული უნარების მიხედვით. - პროექტისთვის მასალებისა და მომსახურების მიწოდება შეძლებისდაგვარად ადგილობრივ დონეზე განხორციელდა (ან იმავე პროვინციიდან თუ რეგიონიდან).
			- ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებთან, ადგილობრივ და ეროვნულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან ხორციელდება ერთობლივი მმართველობა. - შეხვედრები ადგილობრივ ენებზე წარიმართება. - პროექტის შესახებ პერიოდული და დროულად განახლებული ინფორმაცია მიეწოდება ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებსა და დაინტერესებულ მხარეებს. - პროექტის ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობას ერთობლივად უწევს მონიტორინგს ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემები და დაინტერესებული მხარეები.
მშენებლობა	A. ზოგადი სარეაბილიტაციო და/ან სამშენებლო საქმიანობა	ჰაერის ხარისხი	- ნგრევის შედეგად წარმოშობილი ნარჩენები ინახება კონტროლირებად ადგილას და ხდება მათზე წყლის დასხურება მტვრის შესამცირებლად. - პნევმატური ბურღვით ამოთხრისას მტვრის გავრცელება იზღუდება წყლის მუდმივი შესხურებით და/ან სამშენებლო ობიექტზე მტვრის საწინააღმდეგო ეკრანის გამოყენებით. - მიმდებარე გარემო (ტროტუარები, გზები) დაცული უნდა იყოს ნარჩენებისგან მტვრის მინიმალურ დონემდე შესამცირებლად. - ტრანსპორტის ყველა საშუალება და აღჭურვილობა რეგულარულად გადის ტექნიკურ მომსახურებას და მიღებულია ყველა საჭირო ნებართვა გამონაბოლქვი აირების გაფრქვევაზე. - ნგრევის შემთხვევაში, პირველი სართულის ზემოთ გამოყენებული უნდა იქნეს ნაგვის გაყვანილობა. - სამშენებლო ობიექტზე სამშენებლო მასალების/ნარჩენების ღია წესით დაწვა არ ხდება. - სამშენებლო ობიექტზე სამშენებლო სატრანსპორტო საშუალებების ჭარბი მოცდენა არ ხდება.

პროექტის ეტაპი	საქმიანობა	ზემოქმედების პარამეტრი	შემარბილებელი ღონისძიებების საკონტროლო სია
		ხმაური	• ნგრევისა და მშენებლობის დროს ხმაური იზღუდება ნებართვაში მითითებულ დროის და ეროვნულ კანონმდებლობაში მითითებული ხმაურის დონის შესაბამისად. • სამშენებლო სამუშაოები საცხოვრებელ რაიონებში ან მის მახლობლად განხორციელდება მხოლოდ დღის განმავლობაში. • სამშენებლო სამუშაოების საღამოს და ღამის საათებში გაგრძელების შემთხვევაში, ადგილობრივი ხელისუფლებისგან მიღებული იქნება საჭირო ნებართვა. • მუშაობის დროს გენერატორების, ჰაერის კომპრესორებისა და სხვა მექანიკური აღჭურვილობის ძრავის საფარები უნდა დაიხუროს და აღჭურვილობა განთავსდეს საცხოვრებელი ადგილებიდან მაქსიმალურად შორს. • ყველა სატრანსპორტო საშუალება და აღჭურვილობა რეგულარულად გადის ტექნიკურ მომსახურებას და იმ შემთხვევაში თუ ხმაურის დონე შემაწუხებელი ხდება ერთდროულად არ იმუშავებს ერთზე მეტი სატრანსპორტო საშუალება/აღჭურვილობა.
მშენებლობა	A. ზოგადი სარეაბილიტაციო და/ან სამშენებლო საქმიანობა	წყლის ხარისხი და ჩამდინარე წყლები	• ობიექტი მიიღებს ეროზიის და ნალექის კონტროლის შესაბამის ზომებს, როგორცაა თივის ბალიშები და/ან სილის ღობეები, რათა თავიდან იქნას აცილებული ნალექი ნივთიერებების ობიექტიდან გადაადგილება და ახლომდებარე ზედაპირულ წყლებში მისი შერევა, ასეთის არსებობის შემთხვევაში. • მშენებლობის დროს წარმოქმნილი ჩამდინარე წყლები კანალიზაციის არსებულ სისტემაში ჩაეშვება. • თუ სამშენებლო ობიექტის მიდამოებში საკანალიზაციო ხაზი არ არის, ჩამდინარე წყლები გროვდება სეპტიკურ ავზებში, რომელსაც გაიტანენ ადგილობრივი ხელისუფლების (მუნიციპალიტეტის) ვაკუუმის მანქანებით. • სამშენებლო მანქანები და ტექნიკა გაირეცხება მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში, სადაც ჩამონადენი არ დააბინძურებს ბუნებრივ ზედაპირულ წყლებს.

პროექტის ეტაპი	საქმიანობა	ზემოქმედების პარამეტრი	შემარბილებელი ღონისძიებების საკონტროლო სია
მშენებლობა	A. ზოგადი სარეაბილიტაციო და/ან სამშენებლო საქმიანობა	ნარჩენების მართვა	• სამშენებლო მოედანზე განთავსება ნაგვის ურნები საყოფაცხოვრებო ნარჩენებისთვის, ასევე უზრუნველყოფილი იქნება გადამუშავებადი მასალების (პლასტმასი, მინა, ქაღალდი) განცალკევების საშუალება. • საყოფაცხოვრებო ნარჩენებს მუნიციპალიტეტი გაიტანს. • ნარჩენების შეგროვებისა და განთავსების გზები და ადგილები განისაზღვრება ნარჩენების ყველა ძირითადი ტიპისთვის, რომელიც ნგრევისა და სამშენებლო სამუშაოებისგან შეიძლება წარმოიშვას. • სამშენებლო სამუშაოებისას წარმოქმნილი მინერალური ნარჩენები განცალკევდება ზოგადი, ორგანული, თხევადი და ქიმიური ნარჩენებისგან ადგილზე დახარისხების საშუალებით და შესაბამის დახურულ კონტეინერებში შეინახება. • ნარჩენების დროებითი შესანახი ადგილი განკუთვნილია სამშენებლო ნარჩენებისთვის და სამშენებლო ნარჩენები არ შეერევა ამოთხრილ ნიადაგს, ასეთის არსებობის შემთხვევაში. • ყველა სამშენებლო ნარჩენი (მათ შორის ზეთის ნარჩენები, გამოყენებული ბატარეები და აკუმულატორები, საბურავები) შეგროვდება და სათანადოდ განთავსდება ლიცენზირებული შემგროვებლის მიერ. • იწარმოება ჩანაწერები ნარჩენების გატანის შესახებ, როგორც სათანადო მართვის დამამტკიცებელი საბუთი, გეგმის და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. • შეძლებისდაგვარად კონტრაგენტი ხელახლა გამოიყენებს და გადაამუშავებს სათანადო და ვარგის მასალებს (მათ შორის ამოთხრილ ნიადაგს, აზბესტის გარდა).
მშენებლობა	B. ჩამდინარე წყლების გაწმენდის სისტემა	წყლის ხარისხი და ჩამდინარე წყლები	• მშენებლობის ობიექტების სანიტარულ ნარჩენებთან და ჩამდინარე წყლებთან მოპყრობის მეთოდს (მონტაჟი ან რეკონსტრუქცია) ამტკიცებს ადგილობრივი ხელისუფლება. • წყალმიმღებში ჩაშვებამდე გაწმენდილი ჩამდინარე წყლები უნდა აკმაყოფილებდეს ჩამდინარე წყლების ხარისხის და ჩამდინარე წყლების ხარისხის შესახებ ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ მინიმალურ კრიტერიუმებს. • განხორციელდება ჩამდინარე წყლების გაწმენდის ახალი სისტემების მონიტორინგი. • სამშენებლო მანქანები და ტექნიკა გაირეცხება მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში, სადაც ჩამონადენი არ დააბინძურებს ბუნებრივ ზედაპირულ წყლებს.

პროექტის ეტაპი	საქმიანობა	ზემოქმედების პარამეტრი	შემარბილებელი ღონისძიებების საკონტროლო სია
მშენებლობა	C. სახიფათო ან ტოქსიკური მასალები	აზბესტი მართვა	- პროექტის ობიექტზე აზბესტის განთავსების შემთხვევაში, საჭიროა მკაფიოდ მარკირება, რომ ეს არის საშიში მასალა. - შემდგომი დაგვარად აზბესტი იზოლირდება და დაილუქება გარემოზე მისი ზემოქმედების მინიმალურ დონეზე შემცირების მიზნით. - აზბესტის მოცილებამდე (თუ ეს აუცილებელია) იგი დამუშავდება დამატენიანებელი აგენტით აზბესტის მტვრის შესამცირებლად. - აზბესტის დამუშავება და განთავსება გამოცდილი და კვალიფიცირებული პროფესიონალების მიერ. - თუ აზბესტის მასალა დროებით ინახება, ნარჩენები საიმედოდ დახურულ კონტეინერებში უნდა მოთავსდეს და მოხდეს მისი სათანადოდ მარკირება. მიიღება უსაფრთხოების ზომები ობიექტიდან მისი უნებართვოდ გატანის წინააღმდეგ. - დაუშვებელია აზბესტის ნარჩენების ხელახლა გამოყენება.
მშენებლობა	C. სახიფათო ან ტოქსიკური მასალები	ტოქსიკური / სახიფათო ნარჩენების მართვა	- ყველა საშიში ან ტოქსიკური ნივთიერება ადგილზე დროებით უსაფრთხო კონტეინერებში მოთავსდება, შესაბამისი მარკირებით, შემადგენლობის, თვისებების და მასთან მოპყრობის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციის მითითებით. - სახიფათო ნივთიერებების შემცველი კონტეინერები თავსდება გაჟონვისაგან დაცულ ადგილზე (მყარ გრუნტზე, და არა შემაკავებული საფარის მქონე ნიადაგზე), იმისათვის რომ თავიდან იქნას აცილებული დაღვრა და გაჟონვა. - ეს ნარჩენები ტრანსპორტირდება ლიცენზირებული გადაზიდვების მიერ და განთავსდება ლიცენზირებულ ობიექტზე. - დაუშვებელია ტოქსიკური ინგრედიენტების ან გამხსნელების მქონე საღებავების, ან ტყვიის შემცველი საღებავების გამოყენება.

პროექტის ეტაპი	საქმიანობა	ზემოქმედების პარამეტრი	შემარბილებელი ღონისძიებების საკონტროლო სია
მშენებლობა	D. ზემოქმედების ქვეშ მყოფი ტყეები, ჭაობები/ან ბიომრავალფეროვნების მქონე ტერიტორიები	დაცვა	• ობიექტის მიმდებარე არსებულ არცერთ აღიარებულ ბუნებრივ ჰაბიტატს, ჭაობიან ნიადაგს და დაცული ტერიტორიებს ზიანი არ მიაღებდა და არ მოხდებოდა მათი გამოყენება. • ყველა თანამშრომელს მკაცრად ეკრძალება ნადირობა, საკვების მოპოვება, ხე-ტყის ჭრა ან სხვა საზიანო საქმიანობა. • ჩატარდება სამშენებლო ობიექტის მახლობლად არსებული დიდი ხეების კვლევა და ინვენტარიზაცია, განხორციელდება დიდი ხეების მარკირება და სამშენებლო ობიექტიდან გამოყოფა შემოღობვის საშუალებით, დაცული იქნება ფესვების სისტემა, და აღიკვეთება ხეებისთვის ზიანის მიყენების შესაძლებლობა. • მიმდებარე ჭარბტენიანი ნიადაგები და წყლის ნაკადები დაცულია სამშენებლო ობიექტიდან ჩამონადენისგან ეროზიისა და ნალექის კონტროლის ისეთი შესაბამისი საშუალებებით, როგორც არის მაგალითად, თივის ბალიშები და ქვიშის ტომრები. • მიმდებარე ტერიტორიებზე არ იქნება არალიცენზირებული კარიერები ან ნაგავსაყრელები, განსაკუთრებით დაცულ ტერიტორიებზე.

პროექტის ეტაპი	საქმიანობა	ზემოქმედების პარამეტრი	შემარბილებელი ღონისძიებების საკონტროლო სია
მშენებლობა	E. ტრანსპორტის მოძრაობა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	პირდაპირი თუ არაპირდაპირი საფრთხეები, რომლებსაც სამშენებლო საქმიანობა უქმნის საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობას და ფეხით მოსიარულეებს	- ეროვნული რეგულირების ნორმების შესაბამისად, კონტრაგენტი უზრუნველყოფს, რომ სამშენებლო მოედანი იყოს სათანადოდ დაცული (შემოღობილი) და აკრძალული იყოს მასზე უკონტროლოდ შესვლა. - მშენებლობასთან დაკავშირებული ტრანსპორტის მოძრაობა რეგულირდება შემდეგი საშუალებებით: - მიმანიშნებლები, გამაფრთხილებელი ნიშნები, ბარიერები და ტრანსპორტის მოძრაობის გადამისამართება; ობიექტის დანახვა შესაძლებელია მკაფიოდ და საზოგადოება გაფრთხილებულია პოტენციური საფრთხეების შესახებ. - ტრანსპორტის მოძრაობის მართვის სისტემა და პერსონალის მომზადება, განსაკუთრებით ობიექტზე შესასვლელად და მის ალბო-მახლო ტრანსპორტის გადატვირთული მოძრაობისას. - ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გასასვლელებისა და გადასასვლელების მოწყობა იქ, სადაც მშენებლობის ობიექტზე მომუშავე ტრანსპორტი მოძრაობს. - სამუშაო საათების მორგება ტრანსპორტის მოძრაობის ადგილობრივ სქემასთან, ე.ი. სამშენებლო ტრანსპორტის აქტიურად გადაადგილებისგან თავის შეკავება პიკის საათებში ან პირუტყვის გადაადგილების დროს. - ტრანსპორტის მოძრაობის აქტიური მართვა მომზადებული პერსონალის მიერ, რომლებიც მკაფიოდ ჩანან ობიექტზე, თუ ეს საზოგადოების უსაფრთხო და შესაბამისად გადაადგილებისთვის არის საჭირო. - ობიექტის მახლობლად ტრანსპორტის მოძრაობასთან დაკავშირებული ყველა ორგანიზაციული ღონისძიება დაიგეგმება და მათი კოორდინაცია განხორციელდება მუნიციპალიტეტთან ერთად. - ნებისმიერი სპეციალური მასალა ტრანსპორტით გადაადგილდება ხელისუფლებასთან შეთანხმებული მარშრუტებით.

დანართი 6 მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების და მსოფლიო ბანკის ჯგუფის გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის სახელმძღვანელო პრინციპების მოთხოვნები პესტიციდების მართვის მიღებულ პრაქტიკასთან დაკავშირებით

მავნებლებთან ბრძოლის მთავარი მიზანია იმ მავნებლებისა და დაავადებების მართვა, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებაზე, და მათი ეკონომიკურად უვნებელ დონეზე შენარჩუნება. პესტიციდები ისე უნდა იმართოს რომ შემცირდეს ადამიანსა და მის ჯანმრთელობაზე მანვე ზემოქმედება, აღიკვეთოს მათი მიგრაცია ობიექტის მიღმა არსებულ ნიადაგსა და წყლოვან გარემოში, და ისეთი ეკოლოგიური ზემოქმედება, როგორიცაა სასარგებლო სახეობების განადგურება და პესტიციდების მიმართ რეზისტენტობის განვითარება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიაა მავნებლებთან ბრძოლის კომპლექსური მართვის გამოყენების ხელშეწყობა მავნებლებთან ბრძოლის კომპლექსური გეგმის მომზადებისა და განხორციელების საშუალებით. მავნებლებთან ბრძოლის კომპლექსური მართვა აღნიშნავს ფერმერზე ორიენტირებულ, ეკოლოგიურად დასაბუთებულ მავნებელთა კონტროლის პრაქტიკათა ერთობლივ გამოყენებას, რომლის მიზანია შეამციროს სინთეტიკურ ქიმიურ პესტიციდებზე დამოკიდებულება. იგი მოიცავს: (ა) მავნებელთა მართვას (მათი შენარჩუნება ისეთ დონეზე, რომ ეკონომიკურად საზიანო არ იყოს) და არა მათ განადგურებას; (ბ) კომპლექსურ მრავლობით მეთოდებს (შემდგომისდაგვარად მაქსიმალურად არაქიმიური ღონისძიებების გამოყენება) მავნებელთა პოპულაციის დაბალ დონეზე შესანარჩუნებლად; და (გ) პესტიციდების გამოყენების აუცილებლობის შემთხვევაში, პესტიციდების ისე შერჩევა და გამოყენება, რომ მინიმალურ დონემდე შემცირდეს სასარგებლო ორგანიზმებზე, ადამიანებზე და გარემოზე მათი უარყოფითი ზემოქმედება.

პესტიციდების გამოყენების ალტერნატიული ვარიანტები. შემდგომისდაგვარად, განხილულ უნდა იქნას პესტიციდების გამოყენების შემდეგი ალტერნატიული ვარიანტები:

- განახორციელეთ კულტურების როტაცია ნიადაგის ეკოსისტემაში მავნებლებისა და სარეველების არსებობის შესამცირებლად;
- გამოიყენეთ მავნებლებისადმი მდგრადი კულტურების ჯიშები;
- გამოიყენეთ სარეველების მექანიკური და / ან თერმული კონტროლი;
- მავნებლების ბიოლოგიური კონტროლის მიზნით ხელი შეუწყეთ და გამოიყენეთ ისეთი სასარგებლო ორგანიზმები, როგორიცაა მწერები, ფრინველები, ტკიპები და მიკრობული აგენტები;

- დაიცავით მავნებლების ბუნებრივი მტრები, მათთვის ხელსაყრელი ბუნებრივი გარემოს უზრუნველყოფით, მაგ.: ბუჩქები საბუდარებისთვის ან სხვა ბუნებრივი მცენარეთა საფარი, სადაც შეიძლება მავნებელთა მტაცებლებმა ბინა დაიდონ, და ფართო-სპექტრის პესტიციდების გამოყენების დავიდან აცილებით;
- გამოიყენეთ საქონელი ტერიტორიების მოსაძოვად და მცენარეთა საფარის სამართავად;
- გამოიყენეთ მექანიკური კონტროლის საშუალებები, როგორიცაა ხელით მოცილება, ხაფანგები, ბარიერები, სინათლე და ზგერა მავნებლების მოსაკლავად, გადასადგილებლად ან მოსაგერიებლად.

პესტიციდების გამოყენება. თუ პესტიციდების გამოყენება დაშვებულია, მომხმარებლებისთვის რეკომენდებულია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- მოამზადეთ პერსონალი პესტიციდების გამოყენებაში და დარწმუნდით რომ მათ მიიღეს შესაბამისი სერთიფიკატები ან გაიარეს შესაბამისი მომზადება, თუ ასეთი სერთიფიკატის ქონა საჭირო არ არის;
- გაეცანით და მიჰყევით მწარმოებლის მითითებებს, მაქსიმალური რეკომენდებული დოზის ან გამოყენების შესახებ, ასევე გაეცანით გამოქვეყნებულ ანგარიშებს ეფექტიანობის შემცირების გარეშე შეზღუდული დონით პესტიციდების გამოყენების შესახებ, და გამოიყენეთ ეფექტის მქონე მინიმალური დოზა;
- მოერიდეთ რუტინულ „კალენდარზე დაფუძნებულ“ გამოყენებას და გამოიყენეთ პესტიციდები მხოლოდ მაშინ, როცა საჭირო და სასარგებლოა, ისეთი კრიტერიუმების საფუძველზე, როგორიცაა საველე დაკვირვებები, ამინდის მონაცემები (მაგ. შესაბამისი ტემპერატურა, სუსტი ქარი და ა.შ.);
- მოერიდეთ განსაკუთრებით საშიში პესტიციდების გამოყენებას, განსაკუთრებით არასერტიფიცირებული, მოუმზადებელი და შესაბამისი აღჭურვილობის არ მქონე მომხმარებლების მიერ. აღნიშნული მოიცავს შემდეგს:
 - დარწმუნდით რომ ყველა გამოყენებული პესტიციდი წარმოებულია (შესაბამისი მარეგულირებელი უწყებების მიერ ამჟამად ლიცენზირებული პირის მიერ), დამზადებული და შეფუთულია უსაფრთხო კონტეინერებში, მარკირებულია (უსაფრთხო და შესაბამისი გამოყენების მიზნით), დამუშავდა, ინახება, განთავსდა და გამოყენებულ იქნა მოქმედი საერთაშორისო სტანდარტებისა და ეთიკის კოდექსის, ასევე გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის “პესტიციდების მარკირების სათანადო პრაქტიკის განახლებული

სახელმძღვანელოსა” და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის „პესტიციდების გავრცელებისა და გამოყენების წესების საერთაშორისო კოდექსის შესაბამისად.

- ნებისმიერი პესტიციდის შესყიდვისას შეაფასეთ დაკავშირებული რისკების ბუნება და ხარისხი, მისი გამოყენების მიზნისა და სამიზნე მომხმარებლების გათვალისწინებით. პესტიციდები, პესტიციდის პროდუქტები ან პრეპარატები არ გამოიყენება, თუ მათი გამოყენება არ შეესაბამება მსოფლიო ბანკის გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის სახელმძღვანელო პრინციპებს.
- მოერიდეთ ისეთი პესტიციდის პროდუქტების გამოყენებას, რომლებიც შეიცავს აქტიურ ინგრედიენტებს, რომელთა გამოყენება იზღუდება მოქმედი საერთაშორისო კონვენციებით ან მათი პროტოკოლებით, ან რომლებიც შედის მათი დანართების ჩამონათვალში ან ამ დანართების კრიტერიუმებს შეესაბამება, გარდა იმ შემთხვევების, როდესაც მოხმარება მისაღებია აღნიშნული კონვენციების, მათი პროტოკოლებისა და დანართების განსაზღვრების შესაბამისად, ან იმ შემთხვევაში თუ გამონაკლისი დაიშვა აღნიშნული კონვენციების, პროტოკოლების და დანართების საფუძველზე, ამ ხელშეკრულებებით და სხვა შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებებით პროექტით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად.
- მოერიდეთ ნებისმიერი დამზადებული პესტიციდის პროდუქტის გამოყენებას, რომელიც არ შეესაბამება კანცეროგენურობის, მუტაგენურობის ან რეპროდუქციული ტოქსიკურობის კრიტერიუმებს, შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციის განსაზღვრების თანახმად.
- მოერიდეთ ნებისმიერი სხვა პესტიციდის გამოყენებას, რომელიც პოტენციურად სერიოზულ საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას ან გარემოს და განსაზღვრულია საერთაშორისო მასშტაბით აღიარებულ კლასიფიკაციის და მარკირების სისტემებში თუ: (ა) ქვეყანაში არ არსებობს შეზღუდვები მათ დისტრიბუციაზე, მართვასა და გამოყენებაზე; ან (ბ) სავარაუდოდ გამოყენებული იქნება, ან ხელმისაწვდომი გახდება არაპროფესიონალი პერსონალისთვის, ფერმერებისთვის, ან სხვა პირებისთვის, ამ პროდუქტებთან სათანადოდ მოპყრობის, მათი შენახვისა და გამოყენებისათვის საჭირო მომზადებისა და აღჭურვილობის უზრუნველყოფის გარეშე.
- მოერიდეთ ისეთი პროდუქტების შეძენას, შენახვას, გამოყენებას, წარმოებას ან მათით ვაჭრობას, რომლებიც ჯანმო-ს მიერ კლასიფიცირებულია საშიშროების კლასში 1a (უკიდურესად საშიში) ან 1b (განსაკუთრებით საშიში).

- მოერიდეთ II კლასის (ზომიერად საშიში) პესტიციდების შეძენას, შენახვას, გამოყენებას, წარმოებას ან ვაჭრობას, თუ პროექტის ფარგლებში სათანადოდ არ კონტროლდება ამ ქიმიკატების წარმოება, შესყიდვა განაწილება და/ან გამოყენება. აღნიშნული ქიმიკატებზე პერსონალს არ უნდა მიუწვდებოდეს ხელი სათანადო მომზადების, აღჭურვილობის გარეშე და მათი დამუშავების, შენახვის, გამოყენების, უტილიზაციის სათანადო საშუალებების გარეშე.
- შეარჩიეთ გამოყენების ტექნოლოგიები და პრაქტიკა, რომლებიც მიზნად ისახავს უნებლიე გადატანის და ჩამონადენის შემცირებას, მხოლოდ მავნებლებთან ბრძოლის კომპლექსური მართვის პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად, კონტროლირებად პირობებში;
- განახორციელეთ პესტიციდების შესატანი აღჭურვილობის ტექნიკური მომსახურება და კალიბრაცია მწარმოებლის რეკომენდაციების შესაბამისად და გამოიყენეთ შესატანი აღჭურვილობა, რომელიც რეგისტრირებულია გამოყენების ქვეყანაში.

პესტიციდებთან მოპყრობა და მათი შენახვა. ნიადაგის, მიწისქვეშა ან ზედაპირული წყლის რესურსების დაბინძურება პესტიციდების გადატანის, შერევისა და შენახვის დროს შემთხვევითი დაღვრის გამო, თავიდან უნდა იქნას აცილებული საშიში მასალების შენახვისა და მათთან მოპყრობის რეკომენდაციების დაცვით. კერძოდ, საჭიროა შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- პესტიციდების შენახვა მათ პირვანდელ შეფუთვაში, გამოყოფილ, მშრალ, გრილ, ყინვაგამძლე და კარგად განიავებად ადგილას, რომელიც შეიძლება დაიკეტოს და სათანადო მარკირებით განისაზღვროს და რომელზე წვდომაც მხოლოდ უფლებამოსილი პირებისთვის იქნება დაშვებული. გარდა ამისა, სათავსო ისე უნდა იყოს დაპროექტებული, რომ გათვალისწინებული იყოს დაღვრის ლოკალიზაციის ღონისძიებები და ნიადაგისა და წყლის რესურსების დაბინძურების პოტენციალი.
- პესტიციდების შერევა და გადატანა მომზადებული პერსონალის მიერ, სპეციალური კონტეინერების გამოყენებით.
- კონტეინერების ნებისმიერი სხვა მიზნით გამოყენების თავიდან აცილება, დაბინძურებულ კონტეინერებთან სახიფათო ნარჩენების შესაბამისად მოპყრობა და განთავსება სპეციალურად საშიში ნარჩენებისთვის გამოყოფილ ადგილებში. იდეალურ შემთხვევაში, პესტიციდებით დაბინძურებული კონტეინერების განთავსება გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის სახელმძღვანელო პრინციპებისა და მწარმოებლის მითითებების შესაბამისად ხდება.
- მოერიდეთ საჭიროზე მეტი პესტიციდის შეძენას და შენახვას და მოახდინეთ მარაგების როტაცია მათი შეძენის რიგითობის პრინციპით, რათა პესტიციდები არ მოძველდეს.
- გაასუფთავეთ პესტიციდების შეტანისას გამოყენებული დამცავი ტანსაცმელი ან მოახდინეთ მათი უტილიზაცია ეკოლოგიური პრინციპების დაცვით;

- პესტიციდების გამოყენებისა და ეფექტიანობის შესახებ ჩანაწერების წარმოება.

მოცემულ კონტექსტში პესტიციდებთან მოპყრობა, მათი შენახვა, გამოყენება და განთავსება მოხდება გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის პესტიციდების გამოყენებისა და განაწილების სფეროში ქცევის საერთაშორისო კოდექსის შესაბამისად.